საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.net
№19 (110)
1 - 7 ივნისი, 2011

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
info@geworld.net

დავით დარჩიაშვილი:
## პოლიციას სამშობლოსგან მადლობა ეკუთვნის
15

ბექა სივსივაძე:
## აქციის დაშლის ბრძანება აშშ-ის ელჩმა ჯონ ბასმა გასცა, რომელიც სააკაშვილის უშუალო ხელმძღვანელია
6

## საქართველო ახალი პოლიტიკური ძალის მოლოდინში
13

კახი კავსაძე:
## მაშ, ვინაა პატრიოტი?
18




4

# სააკაშვილმა საკუთარ რეჟიმს ყელი გამოსჭრა

### გმობაა საკვირველი...

## აშშ სახელმწიფო დეპარტამენტმა მოსკოვში პედერასტების დარბევა დაგმო




**28 მაისს მოსკოვში გეი-აღლუმის მესვეურებმა აქციის უცნობი ჯარისკაცის საფლავთან გამართვა სცადეს, რისი საშუალებაც პოლიციამ არ მისცა. სამართალდამცველებმა აქცია ძალის გამოყენებით დაშალეს. დაკავებულ 40-მდე ჰომოსექსუალს შორის ბრიტანეთის, ამერიკისა და საფრანგეთის მოქალაქეებიც არიან.**

ვაშინგტონმა მოსკოვში პედერასტების დაშლა დაგმო და გააპროტესტა. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლის, მარკ ტონერის თქმით, მოსკოვის პოლიციამ აქციაზე დააკავა ლგბტ მოძრაობის წარმომადგენლები, ასევე მათი მოწინააღმდეგეებიც. სახელმწიფო დეპარტამენტი ორმაგად შეშფოთებულა იმის გამო, რომ დაკავებულთა შორის აშშ-ის მოქალაქეებიც იყვნენ, რომლებიც ამ აღლუმში მონაწილეობდნენ.

**ვაშინგტონისთვის პედერასტების უფლებების დაცვა პრიორიტეტია, საქართველოს მოქალაქეების დარბევაზე კი აშშ-ის ელჩი ლამის სანქციას იძლევა. საყოველთაოდ ცნობილია, რომ სწორედ ჯონ ბასის საჯარო „ნებართვა-განცხადების“ შემდეგ აამოქმედა პრეზიდენტმა სააკაშვილმა სადამსჯელო-რეპრესიული მანქანა. აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი კი 26 მაისის უმოწყალო რბევა-ჩეხვის შემდეგ მხოლოდ ჰაეროვანი შეშფოთებით შემოიფარგლა.**

როგორც ჩანს, სანამ თბილისში სააკაშვილის ზონდერების მიერ პედერასტების აღლუმი არ დაირბევა, ვაშინგტონი ხელისუფლების მხრიდან არანაირი ძალადობის მიმართ პროტესტის გამოთქმას არ აპირებს, თუმცა... **ხელისუფლების ზონდერები, რომლებმაც თანამოქალაქეების სისხლის ფასად „უზრუნველყვეს“ დამარცხებული მთავარსარდლისათვის აღლუმის ჩასატარებლად პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიის „გაწმენდა“, გეი-აღლუმს ვერასოდეს დაარბევენ...**



3

ალექსანდრე ჭაჭია:
## მხოლოდ მოღალატეები არ ისარგებლებდნენ იმ პერიოდით, როდესაც ხელისუფლებაში სერგეი ბაგაფში და მისი თაობის წარმომადგენლები იყვნენ

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**ყველაზე მეტად ამერიკელებმა იხეირეს. მათ ხელში, ფაქტობრივად, ჩილეს მთელი ეკონომიკა ჩაიგდეს („ყველაფერი, სინდისის გარდა“, იქაც იყიდებოდა) და ქვეყანას „საგარეო ვალის ხელბორკილი“ დაადეს. ასევე იხეირეს მდიდრების მცირერიცხოვანმა ფენამ და მათი უსაფრთხოების დამცველმა ძალოვანებმა. დანარჩენი მოსახლეობა კი, სალვადორ ალიენდესა და მისი წინამორბედის — ედუარდო ფრეის მმართველობის წლებთან შედარებით, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, გაუბედურდა.**

## გამონათქვამები



**ილია მეორე,**
**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი:**

ნუთუ არ შეიძლება შევქმნათ დარბაზი და ქუჩაში კი არ გამოვიდეს ხალხი, არამედ ამ დარბაზში გადაწყდეს საკითხები. ბოლო ასეთი გამოსვლა იყო ძალიან მძიმე და დამთავრდა მსხვერპლით.

ადამიანთა შორის ურთიერთობის პროცესი ძალიან რთულია. დღეს, როცა ადამიანმა გამოიგონა სხვა ადამიანის დასასჯელი საშუალება, არის შემთხვევები, როდესაც თავად ხდება ამ გამოგონების მსხვერპლი. ყველაზე საშიში კატეგორიული ურთიერთობა და აზროვნებაა. მიუხედავად იმისა, რომ პატრიარქი ვარ, ეს არ ნიშნავს, რომ ყველა საკითხში შეუცდომელი ვარ და ყველაზე ჭკვიანი. ვფიქრობ, დღეს ჩვენი ყოფა და ცხოვრება არ არის ადამიანებს შორის ჰარმონიული ურთიერთობა. ადამიანები გამოდიან ქუჩაში პროტესტის ნიშნად და ხელისუფლება ხშირად მათ ეწინააღმდეგება. ვფიქრობ, ასეთი ურთიერთობა უნდა დამთავრდეს, უნდა იყოს მსჯელობა. ჩვენი მთავარი მიზანი უნდა იყოს, რომ ჩვენი საქმე იყოს საქმე უფლისთვის და სასარგებლო ადამიანებისთვის. ჩვენ ჯერ კიდევ ვერ ვისწავლეთ სხვისი მოსმენა.

*„ინტერპრესნიუსი“*



**ედუარდ შევარდნაძე,**
**საქართველოს ექს-პრეზიდენტი:**

ვერ ხედავთ, ამერიკის პრეზიდენტი ობამა მშვენიერ დროს ატარებდა ინგლისში და სულ არ აინტერესებს, საქართველოს ხელისუფლებამ საკუთარი ხალხი დაარბია თუ არა. მისმა ელჩმაც როგორი მოზომილი განცხადება გააკეთა!

*„ასავალ-დასავალი“*



**მიხეილ მაჭავარიანი,**
**საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერი:**

თუ რომელიმე პოლიტიკურ ლიდერს არ უყვარს ხელისუფლების რომელიმე წევრი, ამის გამო ჯავრი სახელმწიფოზე არ უნდა იყაროს. საქართველო არ არის ისეთი, როგორიც 90-იანი წლების დასაწყისში იყო, როცა შეეძლოთ სამოქალაქო დაპირისპირების პროვოცირება და ქვეყნის არევა.

*„კვირის პალიტრა“*



ჩილე, სანტიაგო. 1981 წელი



საქართველო, თბილისი. 2011 წელი

# საქართველოს ჩილესავით გადაუვლიან

**ჩვენ ჯერ ზუსტად არ ვიცით, რამდენი ადამიანია მოკლული; ვერ გაგვიგია, სად ვეძებოთ უგზო-უკვლოდ დაკარგულები; ასეულობით ოპოზიციონერი ციხეებშია ჩაყრილი. არ მეგონა, რომ ოდესმე მსგავსი ფრაზის დაწერა მომიწევდა; ასეთი რამ ადრე მხოლოდ იმ ლათინოამერიკული ქვეყნების შესახებ გვსმენია, რომლებსაც ახლო წარსულში ბინძური დიქტატურები მართავდა.**





რაც ყველაზე საინტერესოა, არიან ადამიანები, რომლებიც ყოველივე ამას ამართლებენ. მთელ საზოგადოებასთან დაკავშირებით ისინი, სავარაუდოდ, მხოლოდ მცირე, მარგინალურ ჯგუფს წარმოადგენენ, თუმცა ბუნებაში ნამდვილად არსებობენ. ცხადია, **26 მაისის მიტინგის დარბევის გამართლებას (მთლიანობაში) არც ეს ადამიანები ცდილობენ, რადგან ეს, ძალიან დიდი ალბათობით, აღქმული იქნება როგორც მძიმე ფსიქიკური აშლილობის გამოვლინება, თუმცა მოკრძალებულ დუდღუნს რაღაც დიად მიზანზე, რომელიც „განათლებულ ავტორიტარიზმს“ თითქოსდა ამართლებს, ადგილი ნამდვილად აქვს.** ეს „განათლებული“ საიდან მოაქვთ, გაუგებარია, თუმცა ხსენებული ავტორიტარიზმის გაუნათლებლობის ხარისხის ზუსტი განსაზღვრა ჩვენს ამოცანას ამჯერად არ წარმოადგენს.

**„მართალია, პინოჩეტმა ათასობით ადამიანი მოკლა, მაგრამ ჩილე ხომ ააყვავა“, — ამბობენ ეს ადამიანები. ამ პოსტულატის სიღრმისეულ უზნეობაზე საუბარი შორს წაგვიყვანს, ამიტომ შემოვიფარგლოთ იმ მარტივი ფაქტის კონსტატაციით, რომ პინოჩეტს ჩილე არ აუყვავებია. სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით, პინოჩეტმა ჩილე გააუბედურა, ხოლო ფართოდ გავრცელებული მითი „აყვავების“ შესახებ მხოლოდ ციფრებით მანიპულაციას ეფუძნება.**

პინოჩეტის მმართველობის პერიოდში მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე 6,4%-ით დაეცა. 1973-ში შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე 3600 დოლარი იყო. ამ მაჩვენებლის მიღწევა (ინფლაციის გათვალისწინებით) 1993-შიც კი ვერ მოხერხდა (3170 დოლარი). 1974-89 წლებში უარესი მაჩვენებელი მხოლოდ ხუთ ლათინოამერიკულ ქვეყანას ჰქონდა.

**პინოჩეტის ხელისუფლებაში მოსვლის 6 თვის თავზე მოსახლეობის მყიდველუნარიანობა 60%-ით შემცირდა. 1974 წელს, თუნდაც ოფიციალური (გაყალბებული) სტატისტიკის თანახმად, პურის ფასი 22-ჯერ, შაქრის კი 29-ჯერ გაიზარდა. უმუშევრობა გაიზარდა 6%-ით (ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის — 18%). უფასო სამედიცინო მომსახურება გაუქმდა.**

მომდევნო წელს ჩილეში დაიწყო ჩიკაგოს უნივერსიტეტის აღსაზრდელების „სახელოვანი რეფორმები“. მშპ 19%-ით შემცირდა, წარმოება — 25%-ით, მშენებლობა — 50%-ით. უმუშევრობამ 20%-ს მიაღწია (ზოგიერთ რეგიონში კი — 35-40%-ს). ეროვნული ვალუტა ესკუდო ქაღალდად იქცა და მის ნაცვლად პესო შემოიღეს. პინოჩეტის მმართველობის დასასრულს პესო დოლართან მიმართებაში 300-ჯერ დაეცა.

არა, რასაკვირველია, რაღაც-რაღაცები იზრდებოდა: **ბიუროკრატიული აპარატი გაიზარდა 18%-ით, სამხედრო ხარჯები გაორმაგდა, 80-ათასიანი არმიის რიცხოვნებამ 1976-ში 300 ათასს მიაღწია.**

**დაიწყო საგარეო ვალის სწრაფი ზრდა, პინოჩეტმა ჩაიბარა ქვეყანა 4,13 მილიარდი დოლარის ვალით და 27 მილიარდი დოლარის ვალით დატოვა.**

1977-ში წარმოება 1968 წლის დონემდე დაეცა, უმუშევარი კი 4-ჯერ მეტი ადამიანი დარჩა, ვიდრე პინოჩეტის მმართველობის დასაწყისში. ოფიციალური სტატისტიკითაც კი 550 ათასი უსახლკარო ადამიანი ქუჩაში ცხოვრობდა. ორჯერ გაიზარდა ბავშვთა სიკვდილიანობა, ტუბერკულოზით დაავადების შემთხვევები — ექვსჯერ.

„ეკონომიკურ სასწაულზე“ საუბრისას, პინოჩეტის აპოლოგეტები, როგორც წესი, 1976-81 წლების ცალკე აღებული პერიოდის ციფრებს იყენებენ, როდესაც ზრდა წელიწადში საშუალოდ 6,6% აღწევდა. თუმცა ამ დროს ისინი არ ითვალისწინებენ წინა წლების ვარდნას. ეს იგივეა, რომ ღრმა ორმოდან მიწის ზედაპირზე ამომძვრალ ადამიანზე ვთქვათ, ევერესტი დაიპყროო. ეს პოსტკრიზისული ზრდაა, როდესაც ეკონომიკა მხოლოდ „დაკარგულ ტერიტორიას იბრუნებს“. ამ მხრივ, კარგი მაგალითია აშშ-ის 1936 წლის 14,1%-იანი ზრდა „დიდი დეპრესიის“ შემდეგ (საუკეთესო მაჩვენებელი მშვიდობიანობის წლებში). ამასთანვე, 1982-ში ჩილეს ეკონომიკა ისევ ორმოში ჩავარდა, წარმოება 20%-ით შემცირდა, წამყვანი ბანკების უმრავლესობა გაკოტრდა.

**1982 წელს ქუჩაში, ღარიბთა უბნებში (poblaciones), პრაქტიკულად ღია ცის ქვეშ, უკვე 5,5 მილიონი ადამიანი ცხოვრობდა, კიდევ ერთი მილიონი ქვეყნიდან გაიქცა. 1984-იდან კი დაიწყო ციებცხელება ეკონომიკის მუდმივი „დაცემა-წამოდგომით“. ასე რომ, აჯობებს არა ცალკეულ წლებზე, არამედ მთელ პერიოდზე ვისაუბროთ.**

ფერნანდუ კარდოზუს მონაცემებით (ცნობილი ეკონომისტი და სოციოლოგი; ბრაზილიის ყოფილი პრეზიდენტი), საშუალო წლიური „ზრდა“ პინოჩეტის მმართველობის (1974-89) წლებში მინუს (!) 3,9%-ს შეადგენდა, მაშინ, როდესაც საშუალოდ ლათინურ ამერიკაში ეს მაჩვენებელი ამავე პერიოდში +4%-ს აღწევდა.

ამ „რეფორმებისთვის“ მოკლეს ის უამრავი ადამიანი?

პინოჩეტის მმართველობის ბოლოს, 1989 წელს სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მოსახლეობის 41,2% ცხოვრობდა. არ არსებობს მაჩვენებელი, რომლის მიხედვით შეგვიძლია ვთქვათ, რომ 1990-ში მოსახლეობის 80% ცხოვრობდა უკეთ, ვიდრე 1970-ში; გამდიდრდა მხოლოდ 20% (ე.წ. მეხუთე კვინტილი).

**ყველაზე მეტად ამერიკელებმა იხეირეს. მათ ხელში, ფაქტობრივად, ჩილეს მთელი ეკონომიკა ჩაიგდეს** („ყველაფერი, სინდისის გარდა“, იქაც იყიდებოდა) **და ქვეყანას „საგარეო ვალის ხელბორკილი“ დაადეს.**

**ასევე იხეირეს მდიდრების მცირერიცხოვანმა ფენამ და მათი უსაფრთხოების დამცველმა ძალოვანებმა. დანარჩენი მოსახლეობა კი, სალვადორ ალიენდესა და მისი წინამორბედის — ედუარდო ფრეის მმართველობის წლებთან შედარებით, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, გაუბედურდა.**

**იმ საშინელების შედეგების აღმოსაფხვრელად, რომელიც პინოჩეტმა საკუთარ ქვეყანას დამართა, ჩილელები დღემდე ზრუნავენ. ჩვენ კი, ალბათ, სხვა არაფერი დაგვრჩენია, გარდა იმისა, რომ სანაგვეზე მოვისროლოთ მითები „ჩილეს სასწაულზე“ და „განათლებულ ავტორიტარიზმზე“ საუბარიც ზედ მივაყოლოთ.**

**დიმიტრი მონიავა**

მოკლედ

## ყარზაი ავღანეთიდან ნატოს გაძევებით იმუქრება

**ავღანეთის პრეზიდენტმა ხამიდ ყარზაიმ ნატოს ძალებს მშვიდობიანი მოქალაქეების დაბომბვა აუკრძალა.** მისი თქმით, სოფლებზე ახალი ავიაიერიშების შემთხვევაში, დასავლეთის კოალიციის ჯარები ოკუპანტებად გამოცხადდებიან. ამის შესახებ ყარზაიმ ჰელმანდის პროვინციის საცხოვრებელ რაიონებზე ავიადარტყმების შემდეგ განაცხადა. დაბომბვამ 16 მშვიდობიანი მოქალაქე (მათ შორის უმრავლესობა ბავშვია) შეიწირა.



## ობამა კომპრომისზე მიდის

„დიდი რვიანის“ სამიტის დასრულების წინა დღეს რუსეთის პრეზიდენტი დიმიტრი მედვედევი საფრანგეთის პრეზიდენტ ნიკოლა სარკოზის „მისტრალის“ ტიპის ოთხი ვერტმფრენმზიდის შესყიდვის შესახებ შეუთანხმდა, აშშ-ის პრეზიდენტ ბარაკ ობამასგან კი ანტისარაკეტო თავდაცვით სისტემასთან დაკავშირებით კომპრომისზე წასვლის პირობა მიიღო. ობამამ განაცხადა, რომ აშშ დაინტერესებულია რუსეთთან ანტისარაკეტო თავდაცვითი სისტემის ისეთ კონფიგურაციაზე შეთანხმდეს, რომელიც ორივე ქვეყნის უსაფრთხოების ინტერესებს დააკმაყოფილებს.

2007 წლის შემოდგომაზე დავურეკე ერთ მაღალჩინოსანს სააკაშვილის გარემოცვიდან და ვუთხარი — გზების დაგება კარგია, მაგრამ ხომ არ დადგა აფხაზეთთან დაკავშირებით გარკვეული ნაბიჯების გადადგმის დრო-მეთქი და შევთავაზე, რომ პირადად გავუწევდი ორგანიზებას სერგეი ბაგაფშის ვიზიტს თბილისში, რაც უდავოდ მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნებოდა ნდობის აღდგენის კუთხით. მისგან შოკისმომგვრელი პასუხი მივიღე — „ეს ახლა აქტუალური არ არის, ჩვენ ვაკონტროლებთ სიტუაციას და აფხაზეთის საკითხს საკუთარი მეთოდებით ვაგვარებთ“.

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

29 მაისს 62 წლის ასაკში გარდაიცვალა აფხაზეთის ლიდერი სერგეი ბაგაფში. მისი პოლიტიკური მოღვაწეობა და ქართველებისადმი დამოკიდებულება იძლეოდა აფხაზებთან პოზიტიური დიალოგისა და ურთიერთობათა მოწესრიგების სერიოზულ საფუძველს. სერგეი ბაგაფშის გარდაცვალებას საქართველოს მმართველი ელიტის ნაწილი ლამის ზარ-ზეიმით შეხვდა, თუმცა რეალობა გაცილებით მძიმეა და მოვლენათა განვითარება კარგს არაფერს გვიქადის. „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრა ცნობილი პოლიტოლოგი, პროფესორი ალექსანდრე ჭაჭია, რომელიც პირადად იცნობდა სერგეი ბაგაფშს.



## ალექსანდრე ჭაჭია:

# მხოლოდ მოღალატეები არ ისარგებლებდნენ იმ პერიოდით, როდესაც ხელისუფლებაში სერგეი ბაგაფში და მისი თაობის წარმომადგენლები იყვნენ

**— ბატონო ალექსანდრე, ვიცი, რომ თბილი, მეგობრული ურთიერთობა გქონდათ სერგეი ბაგაფშთან.**

— დიახ, სერგეის, მრავალი წელია, ვიცნობ და ძალიან მტკივნეულად განვიცდი მის მოულოდნელ, ნაადრევ გარდაცვალებას. სერგეი ძალიან წესიერი, გულწრფელი, კეთილი ადამიანი იყო, ერთგული მეგობარი, ვინც იცოდა სიტყვის, მეგობრობის ფასი, ვისი ნდობაც ყოველთვის შეიძლებოდა. ის აფხაზეთის მკვიდრთა იმ თაობას მიეკუთვნებოდა, რომელიც გაიზარდა და ჩამოყალიბდა ადამიანებს შორის სუფთა, გულწრფელი ურთიერთობების გარემოში, სადაც არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა ეთნიკურ წარმომავლობას და კარგი ადამიანები ერთმანეთთან მხოლოდ იმიტომ მეგობრობდნენ, რომ კარგები იყვნენ. სერგეის სკოლის, ინსტიტუტისა და სხვა მეგობრების საუცხოო წრე ჰყავდა. ამ ადამიანებთან ის მთელი ცხოვრება მეგობრობდა, სამწუხაროდ, ბევრი მათგანი დღეს ამქვეყნად აღარ არის. აღარ არის დავით ფილია, არჩილ ადამია... დღეს სერგეიც აღარ არის. ასაკობრივი სხვაობის მიუხედავად (ისინი ჩემზე უფროსები იყვნენ), მე მათთან ვმეგობრობდი და თითოეული მათგანის ამქვეყნიდან წასვლას განვიცდი როგორც პირად ტრაგედიას.

**— შეიძლებოდა თუ არა თქვენი მეგობრული ურთიერთობების, ბატონი სერგეის პიროვნული თვისებების გამოყენება ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ნორმალიზებაში?**

— განა საქართველოს ხელმძღვანელობას ოდესმე სურდა აფხაზებთან ურთიერთობის ნორმალიზება? როდესაც შევარდნაძე მოვიდა ხელისუფლებაში, აფხაზეთში მდგომარეობა ერთობ დაძაბული იყო. სოლიკო ხაბეიშვილმა მთხოვა, ჩავსულიყავი სოხუმში და გამერკვია ვითარება. ჩავედი, შევხვდი ადგილობრივი ელიტის წარმომადგენლებს, მერე კი სერგეისთან, დავითთან, ალიკ ანქვაბთან, ენვერ კაპბასთან და სხვა საერთო მეგობრებთან ერთად დავსახეთ რიგი ღონისძიებებისა, რომლებიც ვითარების ნორმალიზებას მოახდენდა. მათ გულწრფელად სურდათ დაძაბულობის მოხსნა ურთიერთობებში; სურდათ, თავიდან აეცილებინათ კონფლიქტი, არ დაეშვათ აფხაზეთის მიწაზე სისხლისღვრა.

შევარდნაძისთვის ანალიტიკური ბარათი მოვამზადე და ხაბეიშვილს გადავეცი. რამდენიმე დღეში მან მთხოვა, სოხუმში გავყოლოდი, სადაც პირადად სურდა აფხაზებთან დალაპარაკება. ყველანი დავით ფილიას სახლში შევიკრიბეთ, ძალიან თბილი შეხვედრა იყო, სადაც სრული ურთიერთგაგება სუფევდა. ხაბეიშვილი თბილისში დაბრუნდა, მე კი ზაფხულის ბოლომდე აფხაზეთში დარჩენა გადავწყვიტე. ორ კვირაში სროლის ხმამ გამაღვიძა. ოჩამჩირეზე შევარდნაძის „არწივებმა“ გაიარეს, მაშინვე თბილისს მივაშურე, ხაბეიშვილს მივაკითხე და ვკითხე, თუ რა ხდებოდა. მან მიპასუხა, რომ მიღებულია აფხაზეთის პრობლემის ერთხელ და სამუდამოდ გადაჭრის გადაწყვეტილება, რომ საქართველოს ჰყავს ლიდერი, რომელსაც შეუძლია პრობლემის ნებისმიერი ხერხით გადაჭრის უფლება მისცეს თავს. მე მას სიტყვასიტყვით მივუგე: **„მოხდა კატასტროფა. მიმაჩნია, რომ ეს არის დანაშაული საქართველოს წინაშე. ჩვენ ამ ომს წავაგებთ და აფხაზეთს სამუდამოდ დავკარგავთ“.** ომის მსვლელობისას რამდენიმეჯერ ვთხოვე ბატონ სოლიკოს, შევარდნაძისათვის გადაეცა ჩემი ბარათები, რომლებშიც ვთხოვდი, არ შეეიარაღებინა და არ მოეხდინა ადგილობრივი ქართული მოსახლეობის მობილიზება, კონფლიქტი ეთნიკურ, მეზობელთა შორის ომში რომ არ გადაზრდილიყო. წაგების შემთხვევაში, ადგილობრივ ქართულ მოსახლეობას აფხაზეთის დატოვება არ მოუწევდა. უკანასკნელად რაც ვთხოვე, იყო ის, რომ არ დაეწყოთ სასწავლო წელი 1 სექტემბერს, არ დაებრუნებინათ საომარ ვითარებაში ბავშვები. საბოლოოდ არც ერთი ჩემი თხოვნა და წინადადება არ იქნა გაზიარებული.

ახალი ხელისუფლებაც არაფრით განსხვავდება შევარდნაძის ხელისუფლებისგან. ის, რომ მათ აფხაზეთის დაბრუნება არ აინტერესებთ, მაშინვე გახდა ცხადი, როგორც კი სააკაშვილმა ტერიტორიული მთლიანობის პრობლემის გადაწყვეტა ჩააბარა ისეთ ადამიანებს, როგორებიც ხაინდრავა, ვიღაც მალაშხია და იაკობაშვილი არიან. ეს ცხადი გახდა მაშინვე, როგორც კი წამოიწყეს ანტირუსული ისტერია, გააძლიერეს შევარდნაძისეული ბოდვა ნატოში შესვლაზე, ანუ ავტომატურად გამორიცხეს რუსეთის პოზიტიური მონაწილეობის შესაძლებლობა.

2007 წლის შემოდგომაზე დავურეკე ერთ მაღალჩინოსანს სააკაშვილის გარემოცვიდან და ვუთხარი — გზების დაგება კარგია, მაგრამ ხომ არ დადგა აფხაზეთთან დაკავშირებით გარკვეული ნაბიჯების გადადგმის დრო-მეთქი და შევთავაზე, რომ პირადად გავუწევდი ორგანიზებას სერგეი ბაგაფშის ვიზიტს თბილისში, რაც უდავოდ მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნებოდა ნდობის აღდგენის კუთხით. მისგან შოკისმომგვრელი პასუხი მივიღე — **„ეს ახლა აქტუალური არ არის, ჩვენ ვაკონტროლებთ სიტუაციას და აფხაზეთის საკითხს საკუთარი მეთოდებით ვაგვარებთ“.**

ეს იმიტომ მოვყევი, რომ გასაგები გავხადო — **საქართველოს არც ყოფილი და არც ამჟამინდელი ხელისუფლებისათვის აფხაზეთის საკითხი მნიშვნელოვანი არ არის. მათ არა მარტო არ შეუძლიათ, არამედ არც სურთ ამ პრობლემის მოგვარება. მხოლოდ მოღალატეები და დამნაშავეები არ ისარგებლებდნენ ქართველებისა და აფხაზების დასაახლოებლად იმ პერიოდით, როდესაც ხელისუფლებაში სერგეი ბაგაფში და მისი თაობის წარმომადგენლები იყვნენ. აფხაზი პოლიტიკოსების ახალ თაობასთან ჩვენ სალაპარაკო აღარაფერი გვექნება.**

**— უკანასკნელად როდის შეხვდით სერგეი ბაგაფშს?**

— სერგეის შარშან შემოდგომაზე, წვეულებაზე შევხვდი ჩემი მძახლის ოჯახში (ისინი ახლო მეგობრები არიან). ერთი კვირით ადრე, ვიდრე მოსკოვში სამკურნალოდ ჩამოიყვანეს, მეგობრებთან ერთად სუფრასთან ვიყავი და დავურეკე სოხუმში, მობილურ ტელეფონზე ვერ დავუკავშირდი. მის მეუღლეს ვესაუბრე, მითხრა სტუმრებთანაა შეხვედრაზეო... 29 მაისს, კვირას, საავადმყოფოში უნდა მომენახულებინა, მაგრამ დილით ადრე მისი გარდაცვალების შესახებ შემატყობინეს. ძალიან განვიცადე... ძალიან მეტკინა სერგეის წასვლა. სხვათა შორის ერთ თვეში სერგეის ვაჟისა და ჩემი ოჩამჩირელი მეგობრის, ნეირონ ბობუას ქალიშვილის ქორწილი უნდა შემდგარიყო. სერგეის ძალიან უხაროდა, მაგრამ მოხდა ის, რაც მოხდა...

**— ბატონო ალექსანდრე, საქართველოში უკანასკნელ დროს რიგი მოვლენები მოხდა, რას იტყოდით...**

— მოდი ამაზე სხვა დროს ვისაუბროთ.

ესაუბრა
**დავით ბაზაძე**

## გაცოფებულნი

**ნინო ბურჯანაძე, „დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოს“ ლიდერი:**



დიახ, მზად ვარ, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ვიბრძოლო! დაე, ჩემი და ჩემი შვილების სისხლი დაიღვაროს პირველი, რადგან მე არ მინდა, ჩემი შვილები ცხოვრობდნენ ისეთ ქვეყანაში, რომელსაც პოლიციის ნაცვლად 21-ე საუკუნეში ჰყავს გესტაპო და ჰყავს ქვეყნის მოღალატე, სისხლის სამართლის დამნაშავე პრეზიდენტი!

*„ასავალ-დასავალი“*

**სალომე ზურაბიშვილი, პარტია „საქართველოს გზის“ ლიდერი:**



რაც მოხდა 26 მაისს რუსთაველზე, ერის შეურაცხყოფაა! რომ არაფერი ვთქვა იმ ადამიანებზე, ვინც დღეს იმ ადგილას მედლები დაიკიდეს!

*„პირველი“*

**რეზო ამაშუკელი, პოეტი:**



პატრიარქი თითქმის ღმერთის დონეზე მიყვარს და იგი 26 მაისს აღლუმზე რომ მისულიყო, მე ყველაფრის რწმენას დავკარგავდი და შეიძლება, თავიც მომეკლა!

*„ასავალ-დასავალი“*

**სოზარ სუბარი, „ქართული პარტიის“ თავმჯდომარე:**



აშშ-ის ელჩის — ჯონ ბასის 25 მაისის განცხადება ხელისუფლებისთვის აქციის დარბევის კუთხით მწვანე შუქის ანთება იყო.

*„ვერსია“*

**ირაკლი ბათიაშვილი, „სახალხო კრების“ ერთ-ერთი ლიდერი:**



ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ მესროდნენ ცეცხლსასროლი იარაღიდან! პირდაპირ ვაცხადებ, რომ ჩემი არათუ დაჭერა, არამედ ლიკვიდაცია ჰქონდათ დავალებული.

*„ასავალ-დასავალი“*

**ლევან გაჩეჩილაძე, „დაიცავი საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი:**



აუცილებელია მორალური და ზნეობრივი დისტანცირებაც ტირანიისადმი... მე ბრძოლას ჩემს შვილებთან ერთად, ჩემს მეგობრებთან ერთად, არ გა-ვა-ჩე-რებ!..

*„კვირის ქრონიკა“*

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95



**რაზე უნდა ისაუბრონ ადამიანებმა, რომელთა ახლობლები 26 მაისს სასტიკად სცემეს, დააპატიმრეს ან საერთოდ „გააქრეს“, მათთან, ვინც ყოველივე ამის გაკეთებაში ფულადი პრემია აიღო? ან კიდევ: რა დარჩა საერთო იმ ქართველებს, ვინც 26 მაისს გამწარებული დაკარგულ ახლობლებს ეძებდა, მათთან, ვინც მიტინგის დარბევას კმაყოფილებით შეხვდა?**

## გაფრაზებულნი



**ოტია იოსელიანი,** მწერალი:

რამდენი წელიწადია, ერთსა და იმავეს გაიძახიან, პრეზიდენტი უნდა ჩამოვაგდოთო. საქმე საქმეზე რომ მიდგა, რაც მოხდა, ყველამ ნახა. როდემდე უნდა ვიძახოთ ერთი და იგივე? ნონა გაფრინდაშვილი ძალიან მენანება... ახლა ისიც ველარაფერს ამბობს... ის ოთხი კაცი არ დაგვლუპვოდა, ნეტავ! სისხლი არ დაღვრილიყო...

*„კვირის პალიტრა“*



**ირაკლი სესიაშვილი,** ექსპერტი:

სააკაშვილი უკვე აღარ ფიქრობს დემოკრატიულ იმიჯზე, იმდენად გაუტკბა პრეზიდენტობა და ძალაუფლება, რომ მზად არის, ჰქონდეს დიქტატორის სტატუსი, ოღონდ იყოს მუდმივი პრეზიდენტი.

*„ასავალ-დასავალი“*



**ზაქარია ქუცნაშვილი,** „კანონი ხალხისთვის“ ხელმძღვანელი:

პროტესტი აუცილებლად უნდა გაგრძელდეს, რადგან არც 12 საათამდე და არც 12 საათის შემდეგ ხელისუფლებას რუსთაველზე ხალხის დარბევის უფლება არ ჰქონდა.

*„რეზონანსი“*



**ნონა გაფრინდაშვილი,** „სახალხო კრების“ თავმჯდომარე:

დარწმუნებული ვართ, რომ სააკაშვილის სისხლიან რეჟიმს არ შერჩება ქართველი ხალხის წინაშე ჩადენილი დანაშაულები და რეჟიმის წარმომადგენლები პასუხს აგებენ დამოუკიდებელი სასამართლოს წინაშე.

*„ახალი თაობა“*



**სოსო ცისკარიშვილი,** პოლიტოლოგი:

როგორც ჩანს, სააკაშვილის ხელისუფლებამ არასწორად გაიგო დიდი შოთას ნათქვამი: „შიში შეიქმს სიყვარულსა“. გარწმუნებთ, ხელისუფლება შიშის დანერგვის შედეგად არა ხალხის სიყვარულს, არამედ სიძულვილს მიიღებს.

*„კვირის პალიტრა“*

# სააკაშვილმა საკუთარ რეჟიმს ყელი გამოსჭრა

**26 მაისს სააკაშვილის ხელისუფლებამ „წითელ ხაზს“ გადააბიჯა. მიხეილ სააკაშვილმა თავის ცხოვრებაში, ალბათ, ყველაზე დიდი, კატასტროფული შეცდომა დაუშვა, რომლის ანალოგი საქართველოს ისტორიაში იოლად მოსაძებნი არაა. სადისტური ანგარიშსწორება მომიტინგეებთან ერთგვარ მიჯნად იქცა; ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში ახალი, თვისობრივად განსხვავებული ეტაპი დაიწყო. ამაზე, ცხადია, დაწვრილებით ვისაუბრებთ. თუმცა, თუ პერსპექტივას ზოგადად შევაფასებთ, ალბათ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ 26 მაისის შემდეგ რეჟიმი ერთობ დაემსგავსა თავმოჭრილ ქათამს: მან შეიძლება საკმაოდ დიდხანს ირბინოს, დიდი აურზაური გამოიწვიოს და გარშემო ყველაფერი სისხლით მოთხვაროს, თუმცა არსებითად ეს არაფერს შეცვლის, რადგან სინამდვილეში ის უკვე მკვდარია.**




## „დამზადებულია შეერთებულ შტატებში“

საქართველოსთვის 26 მაისს დატრიალებული ტრაგედიის მთავარი შედეგია — დიდი, პრინციპული ხასიათის განხეთქილება ხელისუფლებასა და საზოგადოების დიდ ნაწილს შორის; ზოგისთვის ეს ბზარია, ზოგისთვის — ნაპრალი, საკმაოდ ბევრი ადამიანისთვის კი — უფსკრული, რომლის გადალახვა შეუძლებელია. ორ მხარეს შორის კომუნიკაცია შეწყვეტილია; მართლაც, **რაზე უნდა ისაუბრონ ადამიანებმა, რომელთა ახლობლები 26 მაისს სასტიკად სცემეს, დააპატიმრეს ან საერთოდ „გააქრეს“, მათთან, ვინც ყოველივე ამის გაკეთებაში ფულადი პრემია აიღო?** ან კიდევ: **რა დარჩა საერთო იმ ქართველებს, ვინც 26 მაისს გამწარებული დაკარგულ ახლობლებს ეძებდა, მათთან, ვინც მიტინგის დარბევას კმაყოფილებით შეხვდა?**

მეორე პრინციპულად მნიშვნელოვანი მომენტი ისაა, რომ ხსენებული უფსკრულის პირას სხვადასხვა მხარეს მდგომი ადამიანები ერთმანეთს, სავარაუდოდ, მტრებად აღიქვამენ, როგორც სასიკვდილო საფრთხეს, რომელიც უნდა განეიტრალდეს. **ბევრი მათგანი, ვისაც რუსთაველის გამზირზე გაუსწორდნენ ან დარბევის საზარელი კადრები ნახა, ძალიან დიდი ალბათობით, მივიდა დასკვნამდე, რომ ხელისუფლება სოციალურად საშიში გახდა და მის** (მისი ოჯახის წევრების) **სიცოცხლეს უშუალო საფრთხეს უქმნის. თავის მხრივ, სააკაშვილის გვერდით მდგომმა პირებმა, სავარაუდოდ, გააცნობიერეს, რომ უკან დასახევი გზა აღარ დარჩათ და მდგომარეობის შენარჩუნებისთვის ყველა მეთოდის გამოყენება მოუწევთ. 26 მაისმა აჩვენა, რომ ეს „ყველა მეთოდი“ თავის თავში ტოტალურ რეპრესიებსა და სისხლის დაღვრასაც გულისხმობს.**

უცხო სახელმწიფოში ასეთი მდგომარეობის მიღწევისთვის მისი მოწინააღმდეგეები მრავალ წელს და მილიონობით დოლარს ხარჯავენ და ხშირად საწადელს ვერ აღწევენ, მიხეილ სააკაშვილმა კი ყველაფერი რამდენიმე დღეში საკუთარი ხელით გააკეთა. მის აღგზნებულ წარმოსახვას, როგორც ჩანს, უბრალოდ, მიმართულება მისცეს. ეს, როგორც ჩანს, დაახლოებით ასე მოხდა:

1) სააკაშვილმა გადაწყვიტა, რომ 26 მაისის პომპეზური აღნიშვნა მისთვის ძლიერ მნიშვნელოვანია (ან ეს აზრი ჩააწვეთეს);

2) სააკაშვილმა ჩათვალა, რომ კრიტიკულად მნიშვნელოვანია აღლუმის გამართვა მაინც და მაინც რუსთაველის გამზირზე (ან ეს აზრიც ჩააწვეთეს). დღის წესრიგში მიტინგის დაშლის საკითხი დადგა;

3) აშშ-ის ელჩმა ჯონ ბასმა გააკეთა განცხადება, რომელიც სააკაშვილმა, სავარაუდოდ, აღიქვა როგორც „მწვანე ანთება“, კერძოდ კი ეს მონაკვეთი: **„განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ საპროტესტო მოქმედებით არ შეილახოს სხვა მოქალაქის უფლებები, არ შეეშალოთ ხელი მათ საქმიანობაში, გადაადგილებასა და თუნდაც გარკვეული მნიშვნელოვანი დღეების სათანადოდ აღნიშვნაში“;**

4) სააკაშვილის პოლიციამ დაარბია მიტინგი ყოვლად არაადამიანური მეთოდების გამოყენებით, რათა, მათ შორის, ერთხელ და სამუდამოდ მოეგვარებინა რადიკალური ოპოზიციის „პრობლემა“;

5) საინტერესო შუალედური მომენტი, როდესაც ვაშინგტონზე მიბმული ქართველი პოლიტიკოსებისა და ექსპერტების ნაწილი ვერ მიხვდა, რომ ეს მხოლოდ დასაწყისია და კომენტარებს ჯონ ბასის 25 მაისის განცხადების ტონალობაში აკეთებდა;

6) „საარტილერიო მომზადების“ შემდეგ („Human Rights Watch“-ისა და „რეპორტიორები საზღვრების გარეშე“ მწვავე შეფასებები) ავანსცენაზე სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელი მარკ ტონერი გამოჩნდა შემდეგი განცხადებით: **„გვჯერა, რომ თავისუფლად გამოხატვის უფლება საქართველოს მოქალაქეებისთვის ისევე იქნება დაცული, როგორც სხვა ქვეყნებში. გვინდა, მოვუწოდოთ მთავრობას, გამოიძიოს ბოლო რამდენიმე დღის ინციდენტები, რომელთა დროსაც რამდენიმე ადამიანი იყო მოკლული“;**

7) თბილისში „ძალადობის წინააღმდეგ“ საპროტესტო მიტინგები ჩატარდა, ისევე, როგორც ცოტა ხნის წინათ — რიგ არაბულ ქვეყნებში, მათ პოლიტიკოსები არ ხელმძღვანელობდნენ. კრიტიკული პუბლიკაციები სწრაფად მოზღვავდა; ცხადი გახდა, რომ **საჭიროების შემთხვევაში ვაშინგტონი სააკაშვილს „სისხლისმსმელი გველეშაპის“ იმიჯს ორიოდე წუთში მოარგებს, ამისთვის მშვენიერი სასტარტო პოზიცია შეიქმნა;**

8) პროცესი, ცხადია, ფრიად დინამიურად განვითარდება (ჯერ სად ვართ). მაგრამ, ალბათ, აჯობებს, შევჩერდეთ და მომხდარს ზოგადი შეფასება მივცეთ.

ჩვენ ვხედავთ, რომ ხელისუფლება ნაბიჯ-ნაბიჯ ისპობდა სივრცეს მანევრისთვის, ბოლოს კი იმაზე ნაკლები სამოქმედო ვარიანტი დარჩა, ვიდრე უკვე ნახსენებ თავმოჭრილ ქათამს, რომელსაც მხოლოდ სიცოცხლის გახანგრძლივება სწყურია. მანიპულატორს კი პირიქით, — პრაქტიკულად ნებისმიერი სცენარის ეფექტური გათამაშების შესაძლებლობა მიეცა. მას მოქმედება გაუადვილდა და გაცილებით იოლად შეუძლია:

**ა) მიიყვანოს სააკაშვილის ხელისუფლება სომოსას რეჟიმის კონდიციამდე;**

**ბ) უზრუნველყოს მისი იზოლაცია და ხელისუფლებაში „რვიანის“ ან მმართველი პარტიის „პროგრესული ნაწილის“, ან სულაც „რადიკალების“ გაყვანა;**

**ვ) მოახდინოს ძალისმიერი დაპირისპირების პროვოცირება და გაღვივება;**

**გ) მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილ სააკაშვილს ხელი მოაწერინოს ნებისმიერ სცენარზე ახალი ომის დაწყების ჩათვლით და ა.შ.**

**ყველაზე საინტერესო კი ისაა, რომ ქართული (და უცხოური) საზოგადოება ყოველივე** ▶

მსოფლიო

## შურისძიება გრძელდება

**პაკისტანში, ქალაქ ჰანგუს პოლიციის შენობასთან, თვითმკვლელმა ტერორისტმა თავი აიფეთქა.** ტერაქტს 24 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. დაჭრილია 45 ადამიანი. ტერაქტზე პასუხისმგებლობა პაკისტანელმა „თალიბებმა“ აიღეს. მათ განცხადებაში აღნიშნულია, რომ ისინი განაგრძობენ შურისძიებას ოსამა ბენ ლადენის ლიკვიდაციის გამო.



## დიაბეტით დაავადებული ნარკომანი ტერორისტი

**აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოსა და გამოძიების ფედერალური ბიუროს წყაროებზე დაყრდნობით, დასავლური პრესა წერს, რომ ბენ ლადენის გვამი ოთხმა პათოლოგანატომმა გაკვეთა.** როგორც გამოკვლევის შედეგებმა აჩვენა, ბენ ლადენი „მოსიარულე გვამი“ იყო. მას გული აწუხებდა, ნარკოტიკებს იყენებდა, დიაბეტი ჰქონდა, ხოლო თირკმელები — ქრონიკული დაავადებით განადგურებული. ექიმების დასკვნით, „ალ ქაიდას“ ლიდერი ერთ წელიწადში ისედაც მოკვდებოდა.

**ის მოქალაქეებიც კი, რომლებიც ქუჩაში რადიკალური ლოზუნგებით არ გამოდიან, სავარაუდოდ, ამა თუ იმ (ხშირად გაუცნობიერებელი) ფორმით სააკაშვილისგან გაუცხოებას, მისგან დისტანცირებას დააფიქსირებენ და გამორიცხულია, მან ეს ატმოსფერო ვერ იგრძნოს. სააკაშვილი, სავარაუდოდ, არასდროს აპატიებს ნინო ბურჯანაძეს იმას, რომ მისი პოლიტიკური მომავლის, მისი „საპრეზიდენტო იახტის“ ასეთი გამანადგურებელი ტორპედირება მოახდინა; მართალია, თვითონაც „აფეთქდა“ (ნაწილობრივ), მაგრამ სააკაშვილი გაცილებით სერიოზულად დააზარალა.**

# პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95







**ამას, სავარაუდოდ, აღიქვამს, როგორც 26 მაისს დაწყებული პროცესების ლოგიკურ შედეგს, რასაც ობიექტური წინაპირობები ჰქონდა.**

ისე, თუ რომელიმე კურსანტი ჰარვეი-პოინტში (ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მოსამზადებელი ცენტრი; ჩრდილოეთ კაროლინა) მსგავსი ალგორითმების გაწყობას დაიწყებდა, ალბათ, „სამიანს“ დაუწერდნენ, რადგან იგულისხმება, რომ მანიპულაციის ობიექტი ჭკვიანია, ცბიერია და კლინიკური იდიოტი არ არის. მაგრამ ასეთ პრიმიტიულ ფსიქოლოგიურ ანკესზე მიხეილ სააკაშვილის „დაჭერას“, სავარაუდოდ, ეს „სამოსანი“ კურსანტიც შეძლებდა.

**მიუხედავად იმისა, ჰქონდა თუ არა ადგილი მსგავს კონსპიროლოგიურ გათვლებს, ეს ჯონ ბასს მომხდარზე პასუხისმგებლობას, ალბათ, მაინც ვერ მოუხსნის. მისმა 25 მაისის განცხადებამ 26 მაისის ტრაგედიაში, სავარაუდოდ, მნიშვნელოვანი თუ არა, განმსაზღვრელი როლი შეასრულა. ნებისმიერ კადრს, რომელიც მიტინგის ბრუტალურ დარბევას ასახავს, ალბათ, სავსებით ლოგიკურად შეიძლება დაემატოს წარწერა „MADE IN USA“.**

კარგი იქნება, თუ მოღვაწეები, რომლებიც ვაშინგტონთან მჭიდრო პარტნიორობის აუცილებლობაში გვარწმუნებდნენ, ამას საკუთარი ხელით გააკეთებენ.

## „მარტო სახლში – 5“

**26 მაისის შემდეგ ყოველგვარი საუბარი „დემოკრატიის შუქურაზე“, სავარაუდოდ, სამუდამოდ დასრულდება; კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორის — ლინკოლნ მიტჩელის თქმის არ იყოს, „რეალურად ისინი არსებობენ იმისთვის, რომ შეინარჩუნონ ხელისუფლება. ზუსტად ეს არის ნახევრად-ავტორიტარული რეჟიმის განმსაზღვრელი“ (Netgazeti.ge). ასევე დასრულებულია დისკუსიები „პოლიციის წარმატებულ რეფორმაზე“, რადგან მთელმა მსოფლიომ ნახა კადრები, სადაც სააკაშვილის პოლიციელები იქცეოდნენ ისე, როგორც არ შეიძლება იქცეოდეს არა მხოლოდ „რეფორმირებული პოლიციელი“, არამედ საღ გონებაზე მყოფი ადამიანი ზოგადად.**

სავარაუდოდ, ამ ფაქტის გაცნობიერებამ სააკაშვილს მიტინგის დარბევიდან მეორე დღეს გააკეთებინა ძალიან უცნაური განცხადება, რითაც მან პოლიცია ლამის ეკლესიას გაუტოლა: **„ჩვენ ხალხში დიდი მხარდაჭერა გვაქვს. პოლიციას 87% ენდობა. ეს თითქმის იგივეა, რაც ეკლესიისადმი ნდობა“** („ინტეპრესნიუსი“). გამორიცხული არაა, რომ ამ, ერთი შეხედვით, გოროზი სიტყვების მიღმა, იმის სასოწარკვეთილი გაცნობიერებაც იდგა, რომ **პოლიციისადმი ნდობა** (თუ ოდესმე მაღალი იყო) **26 მაისის შემდეგ, სავარაუდოდ, პლინტუსზე დაბლა დაეცემა (გაყალბებულ რეიტინგებს არ** ვგულისხმობთ) **და ძნელი წარმოსადგენია, რომ ამიერიდან მსჯელობა „პოლიციის წარმატებულ რეფორმაზე“ ვინმემ სერიოზულად აღიქვას.**

როდესაც მიხეილ სააკაშვილი მარჯანიშვილის თეატრში „ეკვადორის კულტურის დღეებზე“ მივიდა (ეს სასარგებლოა, აწი ხშირ-ხშირად გავმართოთ „პარაგვაის დღეები“, „სალვადორის დღეები“ და ა.შ., რათა უკეთ შევიგრძნოთ, თუ რა ჰონდურასში ვცხოვრობთ), ერთი ნიშანდობლივი ინციდენტი მოხდა.


თბილისი. 2011 წლის 26 მაისი

არსებობს ორი ვერსია: ან ახალგაზრდებმა სააკაშვილს შოკოლადი სტყორცნეს, ან „მკვლელი“ უწოდეს. თუმცა ხელისუფლების რეაქცია (ერთ-ერთი ახალგაზრდა ციხეში სამი თვით ჩააყუდეს), მკაფიოდ მიანიშნებს იმაზე, რომ სააკაშვილმა ძლიერ განიცადა, გამწარდა ან მოულოდნელობისგან ძლიერ შეეშინდა, ან იფიქრა, რომ ამ ახალგაზრდების ადგილზე შეიძლებოდა ვინმე სხვა, უფრო რადიკალურად განწყობილი ყოფილიყო, ან უცებ იგრძნო, რომ 26 მაისის შემდეგ თბილისში მშვიდად ვეღარ გაივლის. თუმცა სხვა შედეგი მოსალოდნელი არც იყო მაშინ, როდესაც პოლიციელები ადამიანებს ცემით კლავენ (როგორც გადატანითი, ისე პირდაპირი მნიშვნელობით) იმისთვის, რომ მათმა მმართველმა რამდენიმე საათში იმავე ადგილზე აღლუმი გამართოს და ჰაერში ფერადი ბუშტები გაუშვას.

**ის მოქალაქეებიც კი, რომლებიც ქუჩაში რადიკალური ლოზუნგებით არ გამოდიან, სავარაუდოდ, ამა თუ იმ (ხშირად გაუცნობიერებელი) ფორმით სააკაშვილისგან გაუცხოებას, მისგან დისტანცირებას დააფიქსირებენ და გამორიცხულია, მან ეს ატმოსფერო ვერ იგრძნოს. სააკაშვილი, სავარაუდოდ, არასდროს აპატიებს ნინო ბურჯანაძეს იმას, რომ მისი პოლიტიკური მომავლის, მისი „საპრეზიდენტო იახტის“ ასეთი გამანადგურებელი ტორპედირება მოახდინა; მართალია, თვითონაც „აფეთქდა“** (ნაწილობრივ), **მაგრამ სააკაშვილი გაცილებით სერიოზულად დააზარალა.**

ისე, კარიერის მიწურულს სომოსამ, სტრესნერმა, ბატისტამ და ბევრმა სხვამ კონტაქტები გარე სამყაროსთან მკვეთრად შეზღუდეს და ერთგვარ „გაუცხოების კაფსულაში“ მოექცნენ; დიქტატორების ეს სიცარიელით სავსე დღეები დანარჩენი ქვეყნისგან მოწყვეტილ სასახლეში ზოგადად ძალზე საინტერესო თემაა. მაგრამ ნაკლებად სავარაუდოა, ვინმეს დღეს დიდად აინტერესებდეს ექსკურსიები მიხეილ სააკაშვილის ქვეცნობიერის ლაბირინთებში, რადგან 26 მაისს „ყველაფერი მის შესახებ“ ისედაც ცხადი გახდა. **სააკაშვილის დღევანდელ მდგომარეობას კი, ალბათ, ყველაზე კარგად ერთი ამერიკული გამონათქვამი მიესადაგება: „You are Empty!“, რაც ერთდროულად ნიშნავს „შენ ტყვიები აღარ გაქვს!“ და „შენ ცარიელი ხარ!“.**


თბილისი. 2011 წლის 26 მაისი

## „MENE, TEKEL, UPHARSIN...“

**ზემოთქმული სულაც არ ნიშნავს, რომ სააკაშვილის მმართველობა უკვე დასრულდა, მაგრამ პოზიტიური პერსპექტივა მას, ალბათ, უკვე აღარ აქვს. რასაკვირველია, კიდევ იქნება თავგანწირული ბრძოლა ხელისუფლების შენარჩუნებისთვის, არჩევნებთან დაკავშირებული ხრიკები, პროტესტის ჩახშობა, მაგრამ ამის გარდა, სავარაუდოდ, სხვა აღარაფერი იქნება.** ყოვლისმომცველი პოლიტიკური კრიზისი, რომლის მთავარი საკითხი ხელისუფლების შეცვლაა, სავარაუდოდ, გაგრძელდება მანამ, სანამ პრობლემა რაიმე ფორმით არ გადაწყდება და ვიდრე ეს არ მოხდება, რაიმე პოზიტიური დინამიკა ქვეყნის ცხოვრების ნებისმიერ სფეროში, სავარაუდოდ, გამოირიცხება. საქართველო ამ პროცესში გაფლანგავს დროს, რესურსებს და გამორიცხული არაა, ბევრი მოქალაქის ჯანმრთელობა და სიცოცხლეც შეიწიროს.

**ხოლო ჩვენ ვიდრე აღწერილ მოვლენებში ვიყავით ჩართული, 27 მაისს ნიკოლა სარკოზიმ განაცხადა: „რაც შეეხება ჩემს ქართველ მეგობრებს, მე მჯერა, რომ ისინი ჩამოყალიბდნენ 2008 წლის შეთანხმებასთან დაკავშირებით. მათ კარგად იციან, რომ ეს შეთანხმება დაიდო მაშინ, როდესაც საფრანგეთი ევროკავშირის თავმჯდომარე იყო და ამიტომ ახლა საქართველო სრულიად თავისუფალია რუსეთისგან („LA GEORGIE D'AUJOURD'HUI EST TOTALEMENT LIBRE DE LA RUSSIE“). მას უნდა შეეჩერებინა ტანკები თბილისიდან 40 კილომეტრში და მე არ დამავიწყდება, რომ ბატონმა მედვედევმა თავისი სიტყვა შეასრულა“.**

ეს განცხადება, პრინციპში, სხვა არაფერია, თუ არა სააკაშვილის დიპლომატიის ცენტრალური პოსტულატის მიწასთან გასწორება, საფრანგეთის პრეზიდენტის მხრიდან საუბრის დასრულება იმაზე, რომ რუსეთი ჯარებს ძველ პოზიციებზე არ აბრუნებს. ისე, **რატომ დაუდგება გვერდში სარკოზი ან ობამა ხელისუფლებას, რომლის იმიჯიც მშვიდობიანი მომიტინგეების სისხლით დაისვარა?! ნიკოლა სარკოზი, სავარაუდოდ, საკმაო დროის განმავლობაში ეძებდა ხელსაყრელ მომენტს, რათა „ქართული ტვირთი“ მოეცილებინა და სააკაშვილმა შესაბამისი ფონი საკუთარი ხელით შეუქმნა. მეტიც, დღეს ვაშინგტონი, მოსკოვი და ევროპული დედაქალაქები ლამის ერთხმად მოითხოვენ 26 მაისს მომხდარის გამოძიებას. სააკაშვილმა ამასაც „მიაღწია“.**

26 მაისს მომხდართან დაკავშირებით ბევრი შეფასება გაკეთდა (და მომავალშიც გაკეთდება) და იმასაც ნამდვილად ვერ გამოვრიცხავთ, რომ ოდესმე ისტორიის სახელმძღვანელოებში ჩაიწერება: **„2011 წლის 26 მაისს სააკაშვილის რეჟიმის რღვევის ბოლო ეტაპი დაიწყო“.**

**დიმიტრი მონიავა**

## გამოხმაურებანი



**შალვა ხაჭაპურიძე,** ადვოკატი:

ჩვენ დავდებთ რეალურ ფაქტებს, როგორ დაკლეს ადამიანები ტყეში და საერთოდ რა გააკეთეს!

*„ალია“*



**თემურ შაშიაშვილი,** მოძრაობა „თეთრების“ ლიდერი:

პირდაპირ ვამბობ ამას: ბენ ლადენი მკვდარია და დღეს მსოფლიოში ნომერ პირველი ტერორისტი არის სააკაშვილი. ოღონდ ბენ ლადენი თავის რელიგიასა და თავის ხალხს იცავდა, სააკაშვილი კი თავის ხალხს ებრძვის და სპობს!

*„ასავალ-დასავალი“*



**თემო გოცაძე,** სახალხო მხატვარი:

წინა ღამის დარბევა რომ ნახე შენ — რეჯებ ჟორდანიავ, მამაშენის გვარს რომ ატარებ, რა ორდენს იკიდებ? ან შენ, ტარიელ ჭანტურიავ, დიდო პოეტო, როგორ კადრულობ ამას?! არ შეიძლება სისხლიანი ჯილდოების მიღება.

*„ასავალ-დასავალი“*



**სოსო მანჯავიძე,** „წინააღმდეგობის მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი:

ის ხალხი, რომელიც იქ იდგა, იყო ქართველი ერის საუკეთესო ნაწილი. ეს ის ხალხი იყო, რომელმაც სიკვდილის შიში გადალახა, რადგან ყველამ კარგად იცოდა, რაც მოხდებოდა 25 მაისს. ის ხალხი იქ თავისი ღირსების გამო იდგა და არა რომელიმე ლიდერის გამო.

*„ახალი თაობა“*



**ნანა დევდარიანი,** ყოფილი სახალხო დამცველი:

ლიპიანები რომ დაძონძროხებდნენ და დაძუნძულებდნენ იქა და კუთხეში მიმწყვდეულ ერთ ადამიანს რომ უმოწყალოდ სცემდნენ, ვინ არიან ის ლიპიანი ტიპები?.. ჩემი აზრით, ესენი არიან ე.წ. ზონდერბრიგადის წარმომადგენლები, რომლებიც მაშინ გამოჰყავთ, როცა გაუჭირდებათ ხოლმე...

*„ალია“*

მოკლედ

## რუსეთს კადაფისთან შუამავლობას სთხოვენ

**„დიდი რვიანის“ სამიტის ფარგლებში, დასავლეთის ქვეყნების ლიდერებმა რუსეთს სთხოვეს, ლიბიის ლიდერი მუამარ კადაფი დაარწმუნოს, თანამდებობიდან გადადგეს. სანაცვლოდ კადაფის სიცოცხლის შენარჩუნებას პირდებიან და საშუალებას მისცემენ, ლიბიიდან უვნებლად გაემგზავროს.** ამ შუამავლის როლის შესრულების შესახებ თხოვნით მედვედევს დოვილში გამართულ ყველა ორმხრივ შეხვედრაზე მიმართეს.



## ერდოღანს ისევ აფეთქებდნენ

**წინასაარჩევნო კამპანიისას პოლიციამ თურქეთის პრემიერ-მინისტრ რეჯეპ ტაიპ ერდოღანის წინააღმდეგ ტერაქტი აღკვეთა — ქალაქ მარდინისა და შირნაკის დამაკავშირებელი ხიდის ქვეშ დისტანციური მართვის 36-კილოგრამიანი ასაფეთქებელი მოწყობილობა აღმოაჩინა.** სპეციალისტებმა ბომბი გააუვნებელყვეს. თურქეთში მორიგი საპარლამენტო არჩევნები 12 ივნისისთვისაა დანიშნული.

ნაც-ტერორი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

ჩემ გვერდით შუახანს მიტანებული მამაკაცი ხროტინებდა, როგორც ჩანს, ეპილეფსიური შეტევა ჰქონდა. მკითხველმა მაპატიოს და, დუჟიც კი მოსდიოდა პირიდან და ძლივს გასაგონად ითხოვდა წყალს. სპეცრაზმელებს მივმართე, — ღმერთი აღარ გწამთ, წყალი მაინც დაალევინეთ, კაცი კვდება-მეთქი. შენ ვინღა გეკითხება, შენც ზედ დაგაკლავთო და გადაგვიჭირეს და გადაგვიჭირეს ხელკეტები.

# «აქციის დაშლის ბრძანება აშშ-ის ელჩმა ჯონ ბასმა გასცა, რომელიც მიხეილ სააკაშვილის უშუალო ხელმძღვანელია»

## გიორგი მამაცაშვილი: 26 მაისი იყო მიხეილ სააკაშვილის მიერ განხორციელებული სადამსჯელო ოპერაცია ქართველი ერის წინააღმდეგ!



**„ეს იყო გენოციდი ქართველი ხალხის მიმართ. ხელებშეკრულ ადამიანებს სცემდნენ, მაშინ, როცა ხელების შეკვრის საჭიროება იქ არ ყოფილა, რადგან მათ წინააღმდეგობას არავინ უწევდა. ფაშისტებიც კი არ იქცეოდნენ ასე სასტიკად. ასე არ მოიქცევა არც ერთი დამპყრობელი, ვისაც ადამიანობის ნიშანწყალი ცოტა მაინც აქვს შერჩენილი. ამ სპეცრაზმელებს კი ადამიანობის არაფერი ეტყობოდათ. ისინი იქცეოდნენ როგორც ველურები და სისხლმოწყურებული ვამპირები,“ — ასე იხსენებს 26 მაისის ღამეს ჩვენი კოლეგა, გაზეთ „ასავალ-დასავალის“ ჟურნალისტი ბექა სივსივაძე. ბექა და მისი კოლეგა, ჟურნალისტი გიორგი მამაცაშვილი აქციის დაშლის პროცესში პირადად იმყოფებოდნენ პარლამენტის შენობასთან. მათ საკუთარ თავზე იწვნიეს რეზინის ტყვიების, ხელკეტების სიმწარე და უსამართლობა.**
**რა მეთოდებით დაშალა სპეცრაზმმა 26 მაისის ღამეს აქცია და როგორ გაუსწორდა ხელისუფლება აქციის მონაწილეებს, გიორგი მამაცაშვილმა და ბექა სივსივაძემ ჩვენთან საუბარში გაიხსენეს.**



## ბექა სივსივაძე: დღეს საქართველოში 1937 წელია და სააკაშვილის «სპეცბანდამ» მეც 37 ტყვია მესროლა!

**ბექა სივსივაძე:**

— 25 მაისს, ნაშუადღევიდან ვიყავი აქციაზე. ვცდილობდი, ყველა მნიშვნელოვანი დეტალი დამეფიქსირებინა. საღამოს საათებში ჩემი კოლეგა და მეგობარი გიორგი მამაცაშვილი შემომიერთდა.

როდესაც განხორციელდა შეტევა პირველი გიმნაზიის მხრიდან, გაუშვეს წყალი, მხუთავი გაზი, ჩვენ მეტროსადგურ „თავისუფლების მოედნისკენ“ გადმოვინაცვლეთ, სადაც ასევე მობილიზებული იყო სპეცრაზმი. ყველა გასასვლელი ჩაკეტილი იყო. მოგვამწყვდიეს ალყაში და არ მოგვცეს ტერიტორიის დატოვების საშუალება! პრესკარტები მოვიმარჯვეთ და ჩვენ წინ აღმართულ სპეცრაზმელებს ვუთხარით, რომ ჟურნალისტები ვიყავით. თავისუფლების მოედნის მხარეს გასვლას ვცდილობდით, რათა იქიდან გაგვეგრძელებინა მუშაობა. **შეძახილს, ჩვენ ვართ ჟურნალისტები, სპეცრაზმელების მხრიდან სროლა მოჰყვა. ვიგრძენი, როგორ მომხვდა 10-15 ტყვია ერთად. ამის დამადასტურებელი კადრებიც არსებობს, რომელიც „ტვ 25“-ს აქვს გადაღებული. მოგვიანებით დავთვალე და ტანზე 37 ნატყვიარი მაქვს.**

**— ტელევიზიებმა ისე გააშუქეს, თითქოს ჟურნალისტებისთვის სპეცრაზლემებს მუშაობაში ხელი არ შეუშლიათ.**

**გიორგი მამაცაშვილი:**

— სპეცრაზმელებს ჟურნალისტებისთვის ხელი კი არ შეუშლიათ, — ადგილზევე დაგვხვრიტეს! დარწმუნებული ვარ, ცეცხლსასროლი იარაღი რომ ჰქონოდათ, იმავეს იზამდნენ!

**ბექა სივსივაძე:**

— დღეს საქართველოში 1937 წელია და სააკაშვილის „სპეცბანდამ“ მეც 37 ტყვია მესროლა. ვთქვი და ვიმეორებ — ჩვენ, ფაქტობრივად, დაგვხვრიტეს! როდესაც პირველი ზალპის შემდეგ სიტუაცია ჩაცხრა და მეტროსთან ამოვედით, ვუთხარით პატრულს, რომელსაც გზა ჰქონდა გადაკეტილი, რომ ჟურნალისტები ვიყავით და უსაფრთხო ადგილიდან მუშაობის გაგრძელება გვინდოდა, მაგრამ წიხლისკვრით მოგვიშორეს და უკან გამოგვყარეს. ამასობაში უკანა მხრიდან სპეცრაზმი მოგვადგა. შემდეგი რამდენიმე წუთი აღარ მახსოვს, რადგან თავზე ხელკეტი გადამიჭირეს და გონება დავკარგე. როდესაც გონზე მოვედი, მაწვიმდა, თავით გუბეში ვიყავი ჩაყუდებული და ზურგზე გადაგრეხილ ხელებზე ხელბორკილი მედო. ვითომ ეცადნენ, „დემოკრატიული“ პლასტმასის ხელბორკილი მოეტანათ, მაგრამ ეს არანაკლებ მწარე და ჯოჯოხეთური ხელბორკილია, ვიდრე ჩვეულებრივი, რკინის.

როგორც კი თავი ავწიე, ჩემგან ხელმარჯვნივ გიორგი მამაცაშვილი დავინახე, რომელიც ცდილობდა, აეხსნა სპეცრაზმელებისთვის, ხელები გაეხსნათ, რადგან ჟურნალისტები ვიყავით. მე გავხოხდი გიორგისკენ და ვიდრე მივუახლოვდებოდი, გზადაგზა მხვდებოდა ადამიანების ნაწამები და დაუნდობლად ნაცემი სხეულები, რომლებსაც სიცოცხლის ნიშანწყალი არ ეტყობოდათ. **ღმერთმა გაანათლოს ნიკა კვინტრაძისა და მისი მამის სული. ძალიან დიდი ტრაგედია მოხდა, ფიზიკურად არ ვიცნობდი მას, მაგრამ შესაძლოა, სასიკვდილოდ ნაცემ ადამიანებს შორის ერთ-ერთი ნიკა კვინტრაძეც იყო.**

მერე ვიღაც მოვიდა ჩვენთან, სავარაუდოდ, ერთ-ერთი უფროსთაგანი, საბუთები გამოგვართვეს და დაიწყეს იმის გარკვევა, ვიყავით თუ არა ნამდვილად ჟურნალისტები. ამ დროს მოედანზე ხელებშეკრულ ადამიანებს უმოწყალოდ სცემდნენ. **ვთქვათ, ადამიანი ეგდო გულდაღმა, გადაუვლიდა მას სპეცრაზმელი წიხლებით, გვარიანად მოიჯერებდა გულს ხელკეტით ცემით, გადმოატრიალებდა მეორე მხარეს, წაავლებდა ქეჩოში ხელს, ააწევინებდა თავს და ჩასძახებდა: „ჰაა ბიჭო, კიდე გამოხვალ აქციაზე? კიდე გააპროტესტებ იმას, რაც ხდება ქვეყანაში? კიდე დაიჭერ ბურჯანაძის მხარეს?“.**

ასე ექცეოდნენ ყველას, ვისაც ხელები შეკრული ჰქონდა. როდესაც გაიგეს, „ასავალ-დასავალის“ ჟურნალისტები ვიყავით, განსაკუთრებით დიდი აგრესია წამოვიდა მათგან და გამეტებით დაგვიწყეს ცემა.

**ვეყარეთ უპატრონოდ, წვიმაში. მოდიოდნენ სპეცრაზმელები, იკითხავდნენ — ვინ არიან აქ ჟურნალისტებიო. იმის საპასუხოდ — აი, გვეშველათქო, რომ ვიძახდით, ისინი ხელკეტებს გვირტყამდნენ.** გიორგი მამაცაშვილი ჩემ წინ იწვა და ხელკეტი მას უფრო მეტი მოხვდა. ორივეს გვაქვს ტვინის შერყევა. არ ვიცი, რამდენ ხანს გრძელდებოდა ეს ძმათამკვლელი წუთები. გარკვეული დროის შემდეგ ის ადამიანი, რომელმაც ჩვენი საბუთები წაიღო, დაბრუნდა. ჩაგვავლო მხარში ხელი, გვერდით ამოუდგა მეორე 18-19 წლის ღლაპი სპეცრაზმელი, რომელიც გვეუბნებოდა, რომ მიგიყვანთ ყვითელ ავტობუსში და, იქ თუ არ გაირკვევა, რომ ჟურნალისტები ხართ, დედას გიტირებთ, დაგჭრით, დაგასახიჩრებთო. **საბედნიეროდ, გზად შეგვხვდა მიხეილ სააკაშვილის პირადი ფოტოგრაფი ირაკლი გედენიძე, რომელმაც დაუდასტურა სპეცრაზმელებს, რომ ჩვენ მართლაც ჟურნალისტები ვიყავით. ამის შემდეგ ჩვენი გამოშვება გადაწყვიტეს. ვთხოვეთ, ხელები გაეხსნათ და შედარებით უსაფრთხო ადგილზე მივეყვანეთ, მაგრამ ამაზე ცინიკურად გვიპასუხეს: „სახლშიც ხომ არ მიგიყვანოთო?!“.**

ასე ხელებშეკრულებმა გამოვაღწიეთ სოლოლაკისკენ, სადაც თავი ერთ-ერთი ახლობლის ოჯახს შევაფარეთ.

ეს იყო მიხეილ როდიონოვის მიერ განხორციელებული ბართლომეს ღამე. ტიპიური, თანამედროვე საკონცენტრაციო ბანაკი, სადაც ადამიანებს სასიკვდილოდ სცემდნენ და დღეს, როდესაც საუბარია იმაზე, რომ სადმე გვამი იპოვეს, დიდი ეჭვი მაქვს, რომ ეს ადამიანები სპეცრაზმელებს შემოაკვდათ და შემდეგ სხვადასხვა ადგილებზე დააწყვეს.

**გიორგი მამაცაშვილი:**

**— ჩემ გვერდით შუახანს მიტანებული მამაკაცი ხროტინებდა, როგორც ჩანს, ეპილეფსიური შეტევა ჰქონდა. მკითხველმა მაპატიოს და, დუჟიც კი მოსდიოდა პირიდან და ძლივს გასაგონად ითხოვდა წყალს. სპეცრაზმელებს მივმართე, — ღმერთი აღარ გწამთ, წყალი მაინც დაალევინეთ, კაცი კვდება-მეთქი. შენ ვინღა გეკითხება, შენც ზედ დაგაკლავთო და გადაგვიჭირეს და გადაგვიჭირეს ხელკეტები.** კარგი, მე არამკითხე ვიყავი და ზედმეტი აქტიურობის გამო გამისწორდნენ, მაგრამ იმ პიროვნებას რაღად მიუბრუნდნენ, ხელკეტს ურტყამდნენ და ეუბნებოდნენ: „კიდე წახვალ მიტინგზე? არ მოგწონს სააკაშვილის პოლიტიკა?“ შესაძლოა, ის კაცი ცოცხალი ვერც გადარჩა. **ერთი ახალგაზრდა ბიჭი მოიყვანეს და დააგდეს კიდევ ბექას სიახლოვეს, თავგაჩეხილი... იმხელა ჭრილობა ჰქონდა, მე მგონი, ტვინი სდიოდა თავიდან. მისი უსიცოცხლო სხეული, ფაქტობრივად, ბექაზე დააგდეს. ბიჭი დაეცა თუ არა, ხმა აღარ ამოუღია. ეს ორი რამ ყველაზე მძაფრი და ამაზრზენი იყო, რაც მახსოვს.** იყო მომენტები, როდესაც ვითიშებოდი და არ მახსოვს, რა ხდებოდა გარშემო. „ტვ 25“-მა ახლახან მოგვაწოდა კადრები, რისთვისაც განსაკუთრებული მადლობა უნდა გადავუხადო ამ არხის ხელმძღვანელობას და, რა თქმა უნდა, იმ ჟურნალისტს, რომელიც არ შეშინდა

**„ეს იყო საჩვენებელი დარბევა. მათ სპეციალურად არ გათიშეს პირდაპირი ეთერი, რათა სრულიად საქართველოს ენახა, თუ როგორ უსწორდება სააკაშვილის კრიმინალური პოლიცია ხელისუფლების მოწინააღმდეგე ადამიანებს. გამობრძანდა ის გაბღენძილი და თვითკმაყოფილი შოთა უტიაშვილი და განაცხადა, რომ რეზინის ტყვიით არავინ დაზიანებულაო. ეს ადამიანი, ალბათ, სხვა საქართველოში ცხოვრობს, სხვა რეალობაშია“.**

ნახ-ტეჯორი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

და იღებდა ამ კადრებს. ახლა რომ ვუყურებ ამ კადრებს, შინაგანად ძალიან მიჭირს. მახსენდება მწკრივებად ჩაწყობილი ცოცხალ-მკვდარ ადამიანთა სხეულები და თავს ძალიან ცუდად ვგრძნობ. ღმერთმა უწყის, მათგან რამდენი გადარჩა. ბოლოს, მადლობა ღმერთს, 4-5-ჯერადად ცემის შემდეგ ვიღაც ადამიანობაშერჩენილი სპეცრაზმელი გამოჩნდა და — ჟურნალისტები ვინ არიან, ადექით, წამომყევითო. მიუხედავად იმისა, რომ გვხედავდნენ, როგორ გავყავდით ტერიტორიიდან, შემხვედრი სპეცრაზმელები მაინც გვირტყამდნენ ხელკეტებს. ეს იყო სადამსჯელო ოპერაცია ქართველი ერის წინააღმდეგ! ეს იყო გენოციდი ქართველი ერის წინააღმდეგ!

**ბექა სივსივაძე:**

**— ეს იყო საჩვენებელი დარბევა. მათ სპეციალურად არ გათიშეს პირდაპირი ეთერი, რათა სრულიად საქართველოს ენახა, თუ როგორ უსწორდება სააკაშვილის კრიმინალური პოლიცია ხელისუფლების მოწინააღმდეგე ადამიანებს. გამობრძანდა ის გაბღენძილი და თვითკმაყოფილი შოთა უტიაშვილი და განაცხადა, რომ რეზინის ტყვიით არავინ დაზიანებულაო. ეს ადამიანი, ალბათ, სხვა საქართველოში ცხოვრობს, სხვა რეალობაშია და ვეტყოდი მას: მე შემოგხედოს და მერე გაიმეოროს იგივე ფრაზები! ჩემს და გიორგის ნატყვიარ სხეულებს შეხედოს და მერე ილაპარაკოს ბევრი!**

მთელი დღის განმავლობაში ვრცელდებოდა ინფორმაციები, რომ მიხეილ სააკაშვილს მუჭა-მუჭა აყრიდნენ დამამშვიდებელ წამლებს. კარის მლიქვნელები არწმუნებდნენ, რომ აღლუმი აუცილებლად უნდა გამართულიყო პარლამენტის წინ. მისი პირადი სურვილი იყო, რომ ასეთი ფორმით დაეშალათ აქცია. რაც შეეხება აქციის დაშლის ბრძანებას, როგორც ჩანს, იგი აშშ-ის ელჩმა გასცა, რომელიც მიხეილ სააკაშვილის უშუალო ხელმძღვანელია. არაერთ პოლიტიკოსს უთქვამს, რომ მიშა სწორედ მისგან იღებს ინსტრუქციებს! სააკაშვილი არის ადამიანი, რომელსაც სურს, ქართველებს ტრაქტორით გადაუაროს. ტრაქტორი არ ყოფილა იქ, მაგრამ სპეცრაზმელებმა მართლაც ტრაქტორებივით გადაუარეს ქართველ ხალხს.

**გიორგი მამაცაშვილი:**

— ჩვენ ამ საქმეს ბოლომდე მივყვებით. მივმართავ ყველა საერთაშორისო ორგანიზაციას, საერთაშორისო ჟურნალისტთა ფედერაციებს, რომ ვიბრძოლებთ მანამ, ვიდრე არ დაისჯებიან დამნაშავეები, რომლებმაც 26 მაისის ღამეს ქართველი ერი დახვრიტეს!

**— წამყვანი ტელევიზიების ჟურნალისტებმა თუ გამოხატეს თქვენ მიმართ იმ წუთებში ან შემდგომ კოლეგიალობა ან სოლიდარობა?**

**გიორგი მამაცაშვილი:**

— სხვადასხვა გაზეთისა თუ ტელევიზიის ჟურნალისტებს ერთმანეთთან ნორმალური ურთიერთობა გვაქვს. მათ შეეძლოთ თუნდაც დაერეკათ და მოვეკითხეთ, მორალურად დაგვდგომოდნენ გვერდით, მაგრამ ბევრმა მათგანმა ეს არ გააკეთა.

**ბექა სივსივაძე:**

— კი, ბატონო, გადაიღე და არ გაგაშვებინეს. უფროსი რასაც გიბრძანებს, ემორჩილები, მაგრამ უბრალო მოკითხვის შესაძლებლობა ყველას ჰქონდა. ასე გეშინიათ? ასე ისმინება თქვენი ტელეფონები? სხვა შესაძლებლობა არ გაქვთ, რომ ის მაინც გეთქვათ, არ მომეცა გაშუქების საშუალება, მაგრამ ვიზიარებ შენს დიდ ტკივილსო? ბევრს შეეძლო ამის გაკეთება, მაგრამ, მათდა სამარცხვინოდ, არ გააკეთეს.

**— კარგა ხანია, უკვე ხელისუფლების მხრიდან გვესმის, რომ საქართველოში დემოკრატიითა და სიტყვის თავისუფლების დონით ყველა რეიტინგი დავიპყარით. იმ ყველაფრის გათვალისწინებით, რაც თქვენ ნახეთ, რას იტყვით ამის თაობაზე?**

**გიორგი მამაცაშვილი:**

— საქართველოში სიტყვის თავისუფლება არის — რასაც მინდა, იმას ვიტყვი, მაგრამ მეორე საკითხია, როგორ მაგებინებენ შემდეგ ჩემს ნათქვამზე პასუხს. ბექას 37 ტყვიით აგებინეს, მე — ჩვიდმეტამდე ტყვიარით, პლიუს კიდევ ორივეს ერთად — ხელკეტებით. აი, ასე გვაგებინა ამ ხელისუფლებამ იმ თავისუფალ სიტყვაზე პასუხი, რომელსაც გუშინ და გუშინწინ ვამბობდით და დღესაც ვამბობთ!

**ბექა სივსივაძე:**

**— ის, რომ მიხეილ სააკაშვილი არ კითხულობს ჟურნალ-გაზეთებს, ტყუილია. ის სიტყვა-სიტყვით, აბზაც-აბზაც კითხულობს თითოეულ სტატიას, რომელიც იწერება „ასავალ-დასავალში“, „საქართველო და მსოფლიოში“ და კიდევ რამდენიმე გამოცემაში, სადაც სიმართლისა და იმედის ნაპერწკალი ღვივის. მე ვიტყოდი, რომ ეს იყო ანგარიშსწორება „ასავალ-დასავალის“ მიმართაც!**

**— როგორ ფიქრობთ, საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან გაკეთდა თუ არა მოვლენების სათანადო ანალიზი და შეფასება? ყველა ის ადამიანი, ვინც ამ დღის სიმწარე იწვნია და იმ ადამიანთა სულები, ვინც ამ დღეს დაიღუპა, სამართლის აღსრულებას ითხოვს...**

**ბექა სივსივაძე:**

— სამართლის აღსრულებას საქართველოში არა მარტო 26 მაისს დაღუპული ადამიანების სულები ითხოვენ, არამედ ირინა ენუქიძის, სანდრო გვირგვლიანის, ვაზაგაშვილის, რობაქიძის სულები... და ეს სამართალი, ადრე თუ გვიან, აღსრულდება.

ხელისუფლების მიერ მოსყიდულმა რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციამ ქართველი ერის საწინააღმდეგო განცხადებები გააკეთა. თუმცა ვნახეთ, რომ ევროკავშირმა საკმაოდ მკაცრად დატუქსა ხელისუფლება და საკმაოდ მწვავე განცხადება გააკეთა ამ მოვლენების თაობაზე. დარწმუნებული ვარ, როდესაც ნახავენ სხვადასხვა კადრებსა და ვიდეო მასალებს, რომლებიც ჯერ არ გამოქვეყნებულა, კიდევ უფრო მკვეთრ და მწვავე შეფასებებს გააკეთებენ.

**გიორგი მამაცაშვილი:**

— ორიოდე სიტყვით გიპასუხებთ: მალე გათენდება და მზე ისევ ამოვა!

## დარეჯან პაატაშვილი (ინტერპრესნიუსი):

# სპეცრაზმელმა ყელზე ძლიერად შემომაჭდო მკლავი და ნელ-ნელა გონებას ვკარგავდი

— აქციის დარბევის შემდეგ სასტუმრო „ქორთიარდ მერიოტთან“ მოვხვდი, სადაც კამერით ვიღებდი, თუ როგორ სვამდნენ ხელბორკილდადებულ ადამიანებს ყვითელ ავტობუსებში. იქვე გამოჰყავდათ სხვა „ტყვებიც“ და სასტუმროს წინ აყენებდნენ. ვხედავდი ერთ რიგად ჩამწკრივებულ თავპირდასისხლიანებულ ადამიანებს, რომლებსაც თავები ჰქონდათ ჩაქინდრული. არ მჯეროდა, რომ ეს ჩემს ქვეყანაში ხდებოდა... ალბათ, დიდხანს შემოვრჩი იმ ადგილს და თვალშიც ამიტომ მოვხვდი სპეცრაზმს.. შემამჩნიეს თუ არა, ერთი სპეცრაზმელი ყვირილით მომვარდა, თუ რა მინდოდა და რას ვაკეთებდი. ვაჩვენე ჟილეტი წარწერით, მერე გულზე დაკიდებული ბეიჯიც, მაგრამ, ბეიჯი ჩამომგლიჯა, მერე მკლავში მწვდა და კამერის წართმევა დამიპირა. საბოლოოდ, ჩვენი ჩხუბი იმით დასრულდა, რომ ვიღაცამ ყელზე ძლიერად შემომაჭდო მკლავი და ნელ-ნელა გონებას ვკარგავდი...

ამასობაში კამერა გამომგლიჯეს. ვიღაცამ დაუძახა, ქალია, რას შვრებითო, მაგრამ ჩემი კამერის უკვე ახლანდელმა მეპატრონემ მიუგო: „თუ ქალია, წავიდეს სახლშიო“. თუმცა ეს მაინცდამაინც ზრდილობიანად არ უთქვამს. არც ტკივილი მიგრძვნია, არც — შიში. ყველაზე დიდი იმედგაცრუება ჩემთვის იყო ქართული სპეცრაზმის დამოკიდებულება იქ მყოფი ადამიანების მიმართ.

## თაზო კუპრეიშვილი (ნეტგაზეთი):

# სპეცნაზელები გინებით მომვარდნენ და რეზინის ხელკეტები დამიშინეს

— „ნეტგაზეთის“ სხვა ჟურნალისტებთან ერთად მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის კუთხეში ვიდექი და ჩიტაძის ქუჩიდან რუსთაველისკენ მომავალ სპეცრაზმს ვიღებდი. ამ დროს ქაშუეთის მხრიდანაც წამოვიდა სპეცრაზმი და იძულებული გავხდი, თავისუფლების მოედნისკენ წავსულიყავი, თან ვიდეოკამერით ვიღებდი, ფოტოაპარატი კი კისერზე მქონდა ჩამოკიდებული. სახეზე ქურთუკს ვიფარებდი, რომ რეზინის ტყვიები არ მომხვედროდა. ქაშუეთიდან და მეტრო „თავისუფლების მოედნის“ მხრიდან მომავალ სპეცრაზმელებს შორის ადგილი სულ უფრო მცირდებოდა; იყო საშინელი კვამლი, გასაქცევი კი — არსად. მოახლოებულ სპეცრაზმელებს ვუყვიროდი, რომ ვარ ჟურნალისტი და გამიშვითთქო, მაგრამ რამდენიმე სპეცნაზელი გინებით მომვარდა და ჯერ ფეხებში, მერე კი ზურგზე რეზინის ხელკეტები დამიშინეს. ამასობაში ძირს დავვარდი და რამდენიმეჯერ თავშიც მომხვდა რეზინის ხელჯოხი. ამ დროს ერთმა სპეცრაზმელმა ხელიდან ვიდეოკამერა გამომგლიჯა, მეორე კი ფოტოაპარატის წართმევას ცდილობდა. მე მაინც ვყვიროდი, რომ ვარ ჟურნალისტი და თავი დაენებებინათ. მოგვიანებით გამოჩნდა პოლიციელი და სპეცრაზმელებს ჩემი ცემა შეაწყვეტინა, წამომაყენა და ტერიტორიიდან გამიყვანა. სპეცრაზმელებს შორის რომ გამოვდიოდი, რამდენიმე მათგანმა რეზინის ხელკეტი თავში ჩამარტყა, წიხლებსაც მირტყამდნენ. თავი ჯერ სასტუმრო „მერიოტს“ შევაფარე, მოგვიანებით კი – მაღაზია „პოპულს“.

## მალხაზ ჭკადუა (ინტერპრესნიუსი):

# სპეცრაზმელმა პრესბარათი ამაგლიჯა და სადღაც მოისროლა

— მიტინგის დაშლის შემდეგ ჟურნალისტების ჯგუფი ჯერ ფურცელაძის, შემდეგ კი თაბუკაშვილის ქუჩებზე შევიკრიბეთ. რამდენიმე სააგენტოს ჟურნალისტებთან ერთად ვცდილობდი რუსთაველის გამზირისკენ ასვლას, მაგრამ პოლიციის თანამშრომლებმა ამის საშუალება არც ერთს არ მოგვცეს. ვნახეთ წყლის ჭავლითა და ცრემლსადენი გაზით დაზარალებულები. ერთი ქალბატონი მოთქვამდა, რომ მის 20 წლის ვაჟიშვილს ჯერ სასტიკად სცემეს, შემდეგ კი მანქანაში შეათრიეს.

**საინფორმაციო სააგენტო „ექსპრესნიუსის“ ჟურნალისტებთან და „palitra tv“-ს ოპერატორთან ერთად ლაღიძის ქუჩაზე გადავინაცვლე. ვხედავდით, რომ სპეცრაზმის წევრები „თბილისი მარიოტის“ გვერდით იდგნენ. ისე ვაკვირდებოდით სიტუაციას, არც არაფერი გადაგვიღია. უცებ ატყდა სროლა. აშკარა იყო, რომ ჩვენი მიმართულებით ისროდნენ.**

ყვირილი დავიწყეთ, რომ პრესის წარმომადგენლები ვიყავით. მაგრამ ამას შედეგი არ მოჰყოლია. ისინი ჩვენკენ მორბოდნენ და ჩვენც თაბუკაშვილის ქუჩისკენ გაქცევით ვუშველეთ თავს. ერთგან შევუხვიეთ, შესახვევის ბოლოს კიბე ჩავირბინეთ და ვიწრო ქუჩაზე აღმოვჩნდით. სწორედ ამ დროს დაგვეწივნენ და დაგვაკავეს. თავში მაშინვე ძლიერი ტკივილი ვიგრძენი — ერთ-ერთმა ჩაფხუტიანმა ხელკეტი უკნიდან ჩამარტყა. პირველს მეორე მოჰყვა. გინებით მიწაზე დამაგდო, თან გაშმაგებით მირტყამდა. ამასობაში მეორემაც მოირბინა და ხელებზე ბორკილი დამადეს. ის, პირველი ძალიან მონდომებული ჩანდა ცემაში, „ბურჯანაძის მონავ“, — სულ ასე ამბობდა. **ვყვიროდი, რომ ჟურნალისტი ვიყავი. სანამ ხელებს შემიკრავდნენ, რამდენიმეჯერ ამისი დამადასტურებელი პრესბარათიც ვუჩვენე, მაგრამ პრესბარათი ამაგლიჯა და სადღაც მოისროლა. შემდეგ თბილისის პოლიციის სამმართველოში წაგვიყვანეს.**

სამმართველოში ჩვენთან ერთად იყო რამდენიმე მამაკაცი, რომლებიც ამბობდნენ, რომ აქციის მონაწილეები არ იყვნენ და ქეიფიდან ბრუნდებოდნენ. მამა-შვილიც იყო მათ შორის. შვილი ამბობდა, რომ მანქანას მართავდა, ამიტომ არ დაულევია, სხვებს კი აშკარად ეტყობოდათ სიმთვრალე. კიდევ ერთი მამაკაცი მოიყვანეს. ამბობდა, რომ 18 და 20 წლის შვილები სახლიდან აქციაზე გამოეპარნენ და მათ საძებნელად იყო წამოსული. სულ ცოტა ხანში კი შუახნის მოქალაქე მოიყვანეს, ცხვირი ჰქონდა გატეხილი და სისხლი სდიოდა.

**არ დამავიწყდება ის სასულიერო პირი, რომელიც თაბუკაშვილის ქუჩაზე მოვიდა: არ ვიცი, მოძღვარი იყო, მორჩილი თუ ბერი. პოლიციელებსა და სპეცრაზმელებს მიმართა, გამაყოლეთ ეს ხალხიო. მოახლოებაც კი დაუშალეს. თუ არ გამაყოლებთ, მაშინ მეც მათთან ერთად წამიყვანეთო, — უთხრა, თუმცა საბოლოოდ იძულებული გახდა, შორიდან ედევნებინა თვალი სამმართველოში ჩვენი გადაყვანისთვის.**

ძალიან ბევრი კოლეგა მირეკავდა და მწერდა. მადლობა ყველას მხარდაჭერისთვის. დაკავების დღესვე გავიგე, რომ ჩემ გარდა არაერთი ჟურნალისტისთვის მიუყენებიათ ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა. არ მინდა, დამოუკიდებლობის დღეს ქვეყანა სისხლიანი რუსთაველითა და მორიგი რევოლუციის სურვილით ხვდებოდეს. თუ სწორად მახსოვს, მერაბ მამარდაშვილი წერდა, თუ ქართველმა ხალხმა საკუთარ შეცდომებზე სწავლა ვერ შეძლო, ჯოჯოხეთი მუდმივად გაუმეორდებაო...

გვერდები მოამზადა
**თეო ტაბატაძე**

## „საქართველო და მსოფლიოს“ რედაქციისგან:

**საქართველოს უახლესი ისტორიის მემატიანე, დამოუკიდებელი და ზეპარტიული გაზეთი „ასავალ-დასავალი“ მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში და, უპირველესად, ნიჭიერი, პატრიოტული სულისკვეთებით ანთებული შემოქმედებითი ჯგუფისა და მთლიანად ქართული საზოგადოების თვალსაჩინო მონაპოვარია დამოუკიდებლობის ეკლიან გზაზე. შესაბამისად, ნებისმიერი ძალადობრივი ქმედება, მიმართული ხსენებული გამოცემის წინააღმდეგ, უნდა შეფასდეს როგორც საქართველოში ცენზურის საბოლოოდ გაბატონების აშკარა მცდელობა.**

**„საქართველო და მსოფლიო“ კატეგორიულად გმობს დამოუკიდებელი და ზეპარტიული გაზეთის — „ასავალ-დასავალის“ ჟურნალისტების: გიორგი მამაცაშვილისა და ბექა სივსივაძის, აგრეთვე, სხვა მედიასაშუალებების წარმომადგენელთა მიმართ ხელისუფლების მიერ გაუგონარი სისასტიკით განხორციელებულ ძალადობის აქტს და მომხდარს აფასებს, როგორც სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებაზე ზეწოლას, თავისუფალი მედიისადმი დესპოტური აგრესიით ჩადენილ დანაშაულს, რომელსაც ძნელად თუ მოეძებნება პრეცენდენტი.**

**„საქართველო და მსოფლიო“ სოლიდარულია და თანადგომას უცხადებს დამოუკიდებელი და ზეპარტიული გაზეთის მთავარ რედაქტორს, ბატონ ლაშა ნადარეიშვილს, აგრეთვე, მთელ შემოქმედებით ჯგუფს, განსაკუთრებით ხელისუფლების გაუგონარი აგრესიის შედეგად დაზარალებულ კოლეგებს — გიორგი მამაცაშვილსა და ბექა სივსივაძეს.**

**ითვალისწინებს რა საზოგადოების უკიდურესად დაბალ ნდობას ხელისუფლების, როგორც დაინტერესებული მხარის მიერ მსგავსი დანაშაულებრივი ქმედების ობიექტურად გამოძიებისადმი, „საქართველო და მსოფლიო“ პრინციპულად სთხოვს საერთაშორისო უფლებადაცვით ორგანიზაციებს, აგრეთვე, ქვეყანაში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსს, არ დაიშურონ ძალისხმევა, რათა მოხდეს ზემოაღნიშნული ფაქტის, აგრეთვე, სხვა მედიასაშუალებების წარმომადგენელი ჩვენი კოლეგების მიმართ ჩადენილი დანაშაულის მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი გამოძიება, დამნაშავე პირების გამოვლენისა და კანონის შესაბამისად მათი დასჯის მიზნით.**

ექსკლუზივი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95



**საწყალ გოგონებს სულ შემოახიეს ტანსაცმელი, წიხლები და ხელკეტები სახეში და მუცელში ურტყეს, ეს არ იკმარეს და იატაკზე სისხლის გუბეში მწოლიარეებს ნამუსის ახდითაც ემუქრებოდნენ. ვიფიქრე, მივეშველები-თქო, მაგრამ ისეთ აფექტში იყვნენ ეს ქალლები, რომ უარესს ჩაიდენდნენ გახელებულნი. არც კი ვიცი, ეს ბავშვები ცოცხლები თუ გადარჩნენ. ბოლოს ამ ბავშვებსაც, სხვების მსგავსად, პლასტმასის ხელბორკილები დაადეს და ღმერთმა იცის, სად წაიყვანეს.**

# მიხეილ ამისულაშვილი: სპეცრაზმმა ჯიბრზე სამი 16-17 წლის გოგონა თმით გამოათრია დარბაზის შუაგულში და პირდაპირ სცენაზე დაუწყო ცემა...

**26 მაისს გამართული აქციის დარბევა არაერთგზის შეაფასეს ოპოზიციისა თუ ხელისუფლების წარმომადგენლებმა, ანალიტიკოსებმა თუ საერთაშორისო ორგანიზაციებმა. გაზეთი „საქართველო და მსოფლიო" მკითხველს აქციის მონაწილის, მიხეილ ამისულაშვილის მონათხრობს გთავაზობთ, რომელიც არა მარტო თვითმხილველი იყო შემზარავი ფაქტებისა, არამედ დაზარალებულიც.**



## მოღალატედ მიმაჩნია გუბაზ სანიკიძე, შალვა ნათელაშვილი, ზვიად ძიძიგური

— უპირველეს ყოვლისა, მინდა სამძიმარი გამოვუცხადო გარდაცვლილთა ოჯახის წევრებს და თანავუგრძნო დაკარგული მოქალაქეების ახლობლებს. ვინ იცის, რამდენი დაკარგული მოქალაქე იქნებ გარდაცვლილიც კია და ხელისუფლება ამას მალავს.

**21 წელია, ეროვნულ მოძრაობაში ვარ, არანაირი წამება ჩემთვის უცხო არ არის, მაგრამ არც ერთი ჭრილობის გამო არ მიგრძვნია ისეთი ტკივილი, როგორიც 26 მაისს.**

**— აგვიწერეთ, რა მოხდა 26 მაისს?**

— ეს არ იყო აქციის დარბევა, ეს იყო აქციის მონაწილეების პირდაპირ დასჯა, მათზე შურისძიება. სპეცრაზმის დავალება მხოლოდ აქციის დარბევა რომ ყოფილიყო, ალყას არ შემოგვარტყამდა და ხალხს გაქცევის საშუალებას მისცემდა. **ყველა მხრიდან წამოსული სპეცრაზმი ბოლოს ერთმანეთს შეუერთდა და შუაში მოყოლილებს ზედ გადაგვიარეს. ცხოვრებაში არ მინახავს ხალხზე ასე დაგეშილი, გამწარებული და აგრესიული რობოტები, ზომბები. ძლივს მოვახერხე მანქანის ქვეშ შეძრომა, შემდეგ კი სხვებთან ერთად კინოთეატრს შევაფარე თავი (თუ ამას თავის შეფარება ერქვა).**

კინოთეატრს, ძირითადად, მოხუცები და მანდილოსნები მიაწყდნენ. ისინი მეორე სართულის დარბაზში შეიყუჟნენ. მე კი ეკრანის უკან დინამიკში შევძვერი, რადგან ვეჭვობდი, რომ სპეცრაზმი იქაც შემოვიდოდა. მართლაც, ცოტა ხანში სპეცრაზმი კინოთეატრის ოთხივე (ორი ზემოთ, ორი ქვემოთ) შემოსასვლელს მოადგა. **რამდენიმე გასროლის შემდეგ, მათ ხალხის დაწიოკება დაიწყეს. არავის ინდობდნენ — არც ქალს, არც მოხუცს, არც ბავშვს, ყველას უმოწყალოდ სცემდნენ ხელკეტებით. მოხუცებს სულ თავები დაუტეხეს და იატაკზე დაყარეს ხელებშეკრული.**

ბიჭები წამოცვივდნენ — ქალები და მოხუცები მაინც გაუშვით, ჩვენ, რაც გინდათ, ის გვიყავითო. მაგრამ სპეცრაზმმა ჯიბრზე სამი 16-17 წლის გოგონა თმით გამოათრია დარბაზის შუაგულში და პირდაპირ სცენაზე ცემა დაუწყო. თქვენც ეგ დღე გელითო, — ხალხს ემუქრებოდნენ. **საწყალ გოგონებს სულ შემოახიეს ტანსაცმელი, წიხლები და ხელკეტები სახეში და მუცელში ურტყეს, ეს არ იკმარეს და იატაკზე სისხლის გუბეში მწოლიარეებს ნამუსის ახდითაც ემუქრებოდნენ. ვიფიქრე, მივეშველები-თქო, მაგრამ ისეთ აფექტში იყვნენ ეს ძაღლები, რომ უარესს ჩაიდენდნენ გახელებულნი. არც კი ვიცი, ეს ბავშვები ცოცხლები თუ გადარჩნენ. ბოლოს ამ ბავშვებსაც, სხვების მსგავსად, პლასტმასის ხელბორკილები დაადეს და ღმერთმა იცის, სად წაიყვანეს.**



## პოლიტიკოსებიდან ყველაზე ადრე ბათიაშვილი «მოტყდა», სპეცნაზის შეერთების მომენტში იგი მომიტინგეებს შორის უკვე აღარ იყო

როცა ხალხის ძირითადი მასა კინოთეატრიდან გაიყვანეს, დამალულების ძებნა დაიწყეს, მეც მაშინ მიპოვეს. გამომათრიეს დინამიკიდან და დუბინკებით უმოწყალოდ მცემეს, სიტყვიერ შეურაცხყოფაზე ხომ საუბარიც აღარაა. მერე ხელები შემიკრეს, შენობის სავენტილაციო მილთან მიმათრიეს და მილში შეძრომა მიბრძანეს. ასეც მოვიქეცი, ოლონდაც თავი დაენებებინათ და ჭერზეც დავიწყებდი სიარულს. ერთმა სპეცრაზმელმა მილიდან გამოთრევა და ისევ ცემა დამიპირა, მაგრამ მეორემ შეაჩერე, თავი დაანებე მილში მაინც ჩაძაღლდება, ამისიო...



თბილისი. 2011 წლის 26 მაისი

თავიდან გამიხარდა კიდეც, აქ ყოფნას აიტანს კაცი-მეთქი, მაგრამ თანდათან ისეთი სიცივე ვიგრძენი, რომ ლამის სული დავლიე. მილიდან ცივი ჰაერი უბერავდა და სველი ტანსაცმელი სულ ზედ შემაშრა, ჭრილობებმაც ტკივილი დამიწყო. მილი ერთი მეტრის სიგანისა იქნებოდა, ოთხკუთხედად ამოჭრილი, რომელსაც ზემოდან მთავარი სავენტილაციო ქსელი უერთდებოდა და ცივი ჰაერის ნაკადს უწყვეტად უშვებდა. გაყინვას აღარ დავეძებდი, ნეტა, შიგნით არ შემითრევდეს ეს ნაკადი-თქო... მაგრამ გადავრჩი, მილი ზემოთ მოხვეული იყო და ვერ წამიღო. ვიფიქრე, ხელებს მაინც გავიხსნი-თქო, მაგრამ გვიან ღამემდე სპეცრაზმი შენობაში დადიოდა, მეც გამოსვლას ვერ ვბედავდი. მერე იქვე მილის თუნუქზე დავიწყე პლასტმასის ბორკილების გაჭრა.

**მაშინ არანაირი ტკივილი არ მიგრძვნია, მაგრამ დღეს, ხომ ხედავთ, ფეხზე ვერ ვდგები, თავი გატეხილი მაქვს, თირკმელები ჩალეწილი და საშინლად გაციებული ვარ. ისეთი თავის ტკივილები მაქვს, ტვინის შერყევასაც არ გამოვრიცხავ, სხეულში ანთებით პროცესებზე რომ აღარაფერი ვთქვა.**



თბილისი. 2011 წლის 26 მაისი

## 21 წელია, ეროვნულ მოძრაობაში ვარ, არანაირი წამება ჩემთვის უცხო არ არის, მაგრამ არც ერთი ჭრილობის გამო არ მიგრძვნია ისეთი ტკივილი, როგორიც 26 მაისს

**— რამდენ ხანს მოგიწიათ სავენტილაციო მილში ყოფნა?**

— მთელი ღამე იქ ვიყავი, ალუმის ჩაბარების შემდეგ გამოვედი. სპეცრაზმმა სასიკვდილოდ შემაგდო მილში და მაგათ ცოცხალი დავენახვებოდი? როცა ალუმი საakaშვილმა ჩაიბარა და შენობაში კინოთეატრის თანამშრომლები შემოვიდნენ, მხოლოდ მაშინ გავბედე სავენტილაციო მილიდან გამოსვლა. სულ გათოშილი ვიყავი. ალუმის ჩაბარების შემდეგაც კარგა ხანი გავიდა ჩემს გამოსვლამდე, რადგან საბოლოოდ უნდა დავრწმუნებულიყავი, ვინ იყო რეალურად შენობაში. საუბრით მივხდი, რომ ნამდვილად თანამშრომლები იყვნენ, რადგან ინვენტარის დალეწვის გამო ზოგი ხელისუფლებას აგინებდა გაცხარებული, ზოგიც — მომიტინგეებს.

**— სინამდვილეში ვინ გაანადგურა კინოთეატრის ინვენტარი? სხვადასხვა ტელეარხების გადმოცემით, იგი მომიტინგეებმა დაარბიეს და შენობაში არსებული ტელეფონების მაღაზიაც მათ გაძარცვეს...**

— რა სისულელეა, ხალხს სად ჰქონდა ინვენტარის მსხვრევის თავი, ყველა გადარჩენაზე და დამალვაზე ფიქრობდა ამ მხეცობის შემყურე. ამას კიდევ იფიქრებდა კაცი, მომიტინგეები, თავდაცვაზე რომ გადასულიყვნენ, მაგრამ ვინ გაბედავდა ამას?! **თითო მომიტინგეზე 6 სპეცრაზმელი მოდიოდა. შეტევაზე გადასვლა კი არა, ზოგი აქციაში მონაწილეობას საერთოდ უარყოფდა, გამვლელი ვარ, უბრალოდ, ინტერესის გამო მოვედიო და ა. შ. მაგრამ, რა თქმა უნდა, არავის ინდობდნენ. თავად სპეცრაზმმა დალეწა ყველაფერი. ახლახან გავიგე, ეკრანიც დაჭრილი ყოფილა, ესეც მაგათი ნახელავი იქნება, დარწმუნებული ვარ. ერთადერთი, რაც მომიტინგეებმა დალეწეს, კინოთეატრის შუშებია, ისიც იმიტომ, რომ ხალხს შიგნით შესვლა მოეხერხებინა.**

დარწმუნებით შემიძლია გითხრათ ისიც, რომ მომიტინგეებს არაფერი გაუძარცვავთ. რა მობილურების დარდი ჰქონდა ხალხს, საკუთარი მობილურიც კი იქ დავკარგე. ვიდრე სპეცრაზმი შემოვიდოდა და ხალხის დარბევას შენობაში გააგრძელებდა, ყველაფერი უვნებელი იყო.

**ინვენტარი კი არა, კინოთეატრის დაცვის თანამშრომელიც კი ცემა სპეცრაზმმა. ბიჭი ეუბნებოდა, ვინც იყო, შესაბამისი საბუთიც წარუდგინა, მაგრამ მაინც არ უჯერებდნენ და ხელ-** ▶

**მე თავი მოვალედ ჩავთვალე, მეთქვა ეს, რომ აქციის მონაწილეები ინფორმირებული ყოფილიყვნენ გარდაუვალი საფრთხის შესახებ, რაც მათ ემუქრებოდათ. აქციის ორგანიზატორებს, სამწუხაროდ, შეცდომაში შეჰყავდათ ეს ადამიანები, ეუბნებოდნენ, რომ ჰქონდათ იქ ყოფნის კანონიერი საფუძველი და ვერავინ ხელს ვერ ახლებდა. ვფიქრობ, ვიღაცას აუცილებლად უნდა ეთქვა, რომ ისინი რეალური საფრთხის წინაშე იდგნენ.**

## ნაც-ტერორი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95



თბილისი. 2011 წლის 26 მაისი

კეტებით მის სასტიკ ცემას განაგრძობდნენ, ვიდრე დაცვის მეორე თანამშრომელმა არ დაარწმუნა სპეცრაზმელები, რომ იგი არ იტყუებოდა.

**— თავდასაცავად მომიტინგეებს დროშის ტარები და, შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, „მოლოტოვის კოქტეილებიც" გქონდათ...**

— ვის ახსოვდა დროშის ტარები ან ვინ გაბედავდა ისეთი შეიარაღებული, ფარებიანი სპეცრაზმის წინააღმდეგ დროშის ტარებით წასვლას?! ხელებაწეულ ხალხს რა გვიქნეს და, ვინმეს რომ რაიმე გაებედა, ხომ სულ ჩაგვხოცავდნენ.

რა „მოლოტოვის კოქტეილები"? ასეთი შეიარაღებული რომ ვყოფილიყავით, თავს მაგათ ვაცემინებდით ან ლიდერებს ამისთვის არ ჩააყუდებდნენ?! ახლა, აბა, რას იტყვიან — მშვიდობიანი მომიტინგეები დავლეწეთ და ვცემეთო?!

**— იმასაც ამბობენ, სპეცრაზმელები ქართველები არ იყვნენო...**

**— რა სისულელეა, ყველანი ქართულ ენაზე იგინებოდნენ და იმუქრებოდნენ. ერთი სხვა ენაზე მოლაპარაკე სპეცრაზმელი არ შემხვედრია. უბრალოდ, ხალხს არ უნდა, დაიჯეროს, რომ თანამემამულეებმა ასე გაიმეტეს. სააკაშვილმა უპრეცედენტო რამ გააკეთა — მედიას ამ ყველაფრის გადაღების საშუალება მისცა, რათა ხალხს მისი „ძლიერება" დაენახა; ამით ყველას უთხრა — „მკიდია" თქვენი შეფასებებიო.**

**— აქციის ლიდერებს თუ მოჰკარით თვალი დარბევისას?**

— მინდა, გითხრათ, რომ არც ერთი ლიდერი ადრე არ წასულა, როცა ხალხს სპეცრაზმი დაერია, ტრიბუნაზე ნონა გაფრინდაშვილი, შალვა ხაჭაპურიძე, თემურ შაშიაშვილი, გია ბურჯანაძე და, რა თქმა უნდა, ნინო ბურჯანაძე იდგნენ. ამას ვაცხადებ სრული პასუხისმგებლობით. **თავიდან ნინო ბურჯანაძესთან მისასვლელ გზას ვიცავდი აქციის სხვა მონაწილეებთან და მის დაცვასთან ერთად. როცა დარბევა დაიწყო, მისმა დაცვამ სამივე მანქანა ტრიბუნასთან ჩააყენა. ვკითხე: „ვტყდებით-მეთქი?" — არა, სავარაუდოდ, სპეცდანიშნულების მანქანები ყველა მხრიდან წამოვლენ და ჩვენს მანქანებს შეგნებულად დაამტვრევენო.**

ლიდერებმა მაშინ დაიწყეს დაშლა, როცა ორივე მხრიდან (თავისუფლების მოედნიდან და რუსთაველის გამზირიდან) წამოსული სპეცრაზმი ერთმანეთს შეუერთდა. **პოლიტიკოსებიდან ყველაზე ადრე ბათიაშვილი „მოტყდა", სპეცრაზმის შეერთების მომენტში იგი მომიტინგეებს შორის უკვე აღარ იყო.** სხვათა შორის ლიდერები კი არ გაიქცნენ, სპეცრაზმმა გაატარა...

**— რას გულისხმობთ?**

— იმას, რომ სპეცრაზმმა და ხელისუფლებამ მშვენივრად იცოდა ლიდერების უდანაშაულობა. ამიტომაც არ აიყვანეს და გაუშვეს.

**— ბატონო მიხეილ, ოპოზიციურმა ლიდერებმა ისევ რომ დაუძახონ საზოგადოებას, თქვენ თუ გახვალთ?**

— თუკი დარწმუნებული ვიქნები, რომ ძალადობა არ იქნება და დაცული ვიქნებით, რა თქმა უნდა, გავალ.

მრცხვენია იმ ადამიანის მაგივრად, რომელმაც მეორე არხით აქციების მუდმივი გაშუქების გამო პროტესტი გამოხატა, მეორე არხზე ჩვენი პოლიტიკური ასპარეზისთვის საკმარისი დრო არ გვრჩებაო, თითქოს რაიმე მნიშვნელოვანს აკეთებდეს. ეს არის ეროვნული მოძრაობის პატრიარქის სამარცხვინო ვაჟი კოკო გამსახურდია.

**მოღალატედ მიმაჩნია გუბაზ სანიკიძე, შალვა ნათელაშვილი, ზვიად ძიძიგური და სხვა მათნაირები, რომლებიც ამ მოვლენებზე საერთოდ ხმის ამოღებას ბედავენ — ვიცოდით, „სახალხო კრება" ხალხს შეცდომაში შეიყვანდაო. შე დალოცვილო, თუ ამდენი იცოდი, რატომ შენს მოქალაქეებს, შენს ხალხს გვერდით არ დაუდექი რაიმე ფორმით, ახლა რომ ფილოსოფოსობ უკვე მომხდარ უბედურებაზე?! როგორ ისხდნენ ტელევიზორებთან ამ დროს გულხელდაკრეფილნი?!**

რა უნდათ, რომ საბოლოოდ ნანკა კალატოზიშვილისა და შორენა ბეგაშვილისნაირმა ქალებმა გაუზარდონ ქართველ ერს შვილები?!

ესაუბრა
**ეკა რობაქიძე**



თბილისი. 2011 წლის 26 მაისი



# თამარ ჩოგოშვილი: ოცზე მეტი პირის ადგილსამყოფელი ამ დრომდე უცნობია

**26 მაისის აქცია თავისი მასშტაბებით ბევრად ჩამოუვარდებოდა საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს წინ „ვარდების რევოლუციამდელ" თუ მას შემდეგ გამართულ აქციებს, თუმცა დარბევა, რომელიც ამ დღეს განხორციელდებოდა, ბევრად უფრო სისხლიანი და სასტიკი აღმოჩნდა. დაშავებულებით გადავსებული საავადმყოფოები და წინასწარი დაკავების იზოლატორები, ნაცემი ჟურნალისტები — ასეთი შედეგები 2007 წლის 7 ნოემბრის მრავალათასიანი აქციის დროსაც კი არ ყოფილა. პოლიციის თანამშრომლებისა თუ მოქალაქეების მიერ საავადმყოფოებში მიყვანილი ადამიანები ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის გამო კვლავ იქ რჩებიან. შსს-ს ოფიციალური ინფორმაციით, დაკავებულია 105 აქციის მონაწილე, გაუჩინარებულია რამდენიმე ადამიანი, რომლებსაც ოჯახის წევრები თუ უფლებათა დამცველები ამ დრომდე ეძებენ.**



თბილისი. 2011 წლის 26 მაისი

## ამ ადამიანებს ორი დღის განმავლობაში არ აწვდიდნენ საკვებსა და წყალს

26 მაისის აქციის შედეგად ფიზიკური დაზიანებები მიიღეს ჟურნალისტებმა: „ინტერპრესნიუსის" კორესპონდენტებმა — **დარეჯან პაატაშვილმა** და **მალხაზ ჭკადუამ** (ჭკადუა პოლიციის განყოფილებაშიც გადაიყვანეს რამდენიმე საათით). ასევე დააკავეს „ექსპრესნიუსის" კორესპონდენტები — **ანა გაბუნია** და **თენგო ოკუჯავა**, სცემეს სააგენტო „პირველის" ორ ჟურნალისტს — **თელარა გელანტიასა** და **ხათუნა გაგნიძეს**, „რეზონანსის" ჟურნალისტს — **ზაირა მიქატაძეს**, „ასავალ-დასავალის" ჟურნალისტებს — **გიორგი მამაცაშვილსა** და **ბექა სივსივაძეს**, „ნეტგაზეთის" ჟურნალისტს — **თამაზ კუპრეიშვილს**, „გურია ნიუსის" ჟურნალისტს — **ნატო გოგელიას**, „media.ge"-ს რედაქტორს — **დავით მჭედლიძეს**, მედიაკავშირ „ობიექტივის" ჟურნალისტს — **დიანა ხოფერიას**. რაც შეეხება დაკავებულ და გაუჩინარებულ მომიტინგეებს, მათ უფლებებს „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" იცავს. „საქართველო და მსოფლიოს" ესაუბრა „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" თავმჯდომარე **თამარ ჩოგოშვილი**.

**— თქვენი ორგანიზაცია ახორციელებს დაკავებული მომიტინგეების დაცვას, როგორ მდგომარეობაში არიან დაკავებულები და რა დარღვევები დააფიქსირეს თქვენმა იურისტებმა?**

— **ჩვენი დაცვის ქვეშ მყოფი ყველა პირის მოძებნა ჯერ კიდევ ვერ მოვახერხეთ. 20-ზე მეტი ადამიანის ადგილსამყოფელი არ ვიცით, არც ის ვიცით, დააკავებულები არიან თუ არა, რადგან ეს ადამიანები არც შს სამინისტროს მიერ გამოქვეყნებულ სიაში არიან.** რაც შეეხება იმ პირებს, რომლებიც დროებითი მოთავსების იზოლატორებში იმყოფებიან, სხვადასხვანაირი მდგომარეობაა: ზოგიერთ მათგანს მიღებული აქვს ძალიან მძიმე ფიზიკური დაზიანება. ყველაზე მძიმე მდგომარეობაა თელავის იზოლატორში, სადაც სამი ადამიანია სასტიკად ნაცემი. მათგან ერთ-ერთს (როგორც თავად აცხადებს) თბილისის დროებითი მოთავსების იზოლატორში სცემეს, ანუ დაზიანებები მას მიადგა არა დაკავების დროს, არა აქციაზე, არამედ შემდეგ თბილისის დროებითი მოთავსების იზოლატორში, თელავში გადაყვანამდე. ასევე ეს ადამიანები ორი დღის განმავლობაში იყვნენ საკვების, წყლისა და სამედიცინო დახმარების გარეშე. ჩვენ იძულებული გავხდით, თვითონ შეგვეგზავნა მათთვის საკვები და წყალი, ასევე მოვითხოვეთ ექიმის შეყვანა. ახლა უნდა გადავამოწმოთ, მიიღეს თუ არა საკვები, წყალი და თუ გაეწიათ ექიმის მომსახურეობა.

კიდევ 20-ზე მეტი ადამიანია ჩვენი დაცვის ქვეშ, მაგრამ ამ პირების ადგილსამყოფელი ამ დრომდე უცნობია.

**— 25 მაისს „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ" გაავრცელა ინფორმაცია, რომ აქცია არასანქცირებული იყო და კანონით ექვემდებარებოდა დარბევას.**

— ეს არასწორი ინტერპრეტაციაა, ამიტომ გავიმეორებ ჩემს კომენტარს, რომ აქციის მონაწილეების მხრიდან სწორი იქნებოდა აქციის ადგილის შეცვლა. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ პოლიციას უნდა გამოეყენებინა ძალა და მითუმეტეს — გადამეტებული. **მე თავი მოვალედ ჩავთვალე, მეთქვა ეს, რომ აქციის მონაწილეები ინფორმირებული ყოფილიყვნენ გარდაუვალი საფრთხის შესახებ, რაც მათ ემუქრებოდათ. აქციის ორგანიზატორებს, სამწუხაროდ, შეცდომაში შეჰყავდათ ეს ადამიანები, ეუბნებოდნენ, რომ ჰქონდათ იქ ყოფნის კანონიერი საფუძველი და ვერავინ ხელს ვერ ახლებდა. ვფიქრობ, ვიღაცას აუცილებლად უნდა ეთქვა, რომ ისინი რეალური საფრთხის წინაშე იდგნენ.**

**— არაპოლიტიკურად რომ შევაფასოთ სიტუაცია, არასანქცირებული მიტინგის დაშლის უფლება, კანონით, პოლიციას ჰქონდა.**

— მე არ ვიტყოდი, რომ უფლება ჰქონდა, მითუმეტეს იმ ფორმით, რა ფორმითაც დაშალა, მაგრამ საფრთხე იყო ძალიან რეალური და შეიძლებოდა ლეგიტიმურიც ყოფილიყო ეს. ასე რომ, ვფიქრობ, მომიტინგეებს უნდა სცოდნოდა, რას ამბობდა კანონი.

**— აქციის დაშლისას ადგილი ჰქონდა ძალის გადამეტებას?**

— არც კი ვიცი, რა ვუწოდო. ძალის გადამეტება ძალიან მსუბუქი ნათქვამია. სამართალდამცავებმა სხვადასხვა სიმძიმის სისხლის სამართლის დანაშაული ჩაიდინეს. როგორც ვხედავთ, არის მსხვერპლი, არიან დაღუპულები და ეს ძალიან ტრაგიკული შემთხვევაა. ცალსახად არის დანაშაულის ნიშნები პოლიციელების მხრიდან, რაც აუცილებლად უნდა იქნეს გამოძიებული და დამრღვევები უნდა მიეცნენ სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

**— როგორც შს სამინისტრო აცხადებს, დაღუპულები არიან იმიტომ, რომ მათ გადაუარა გაქცეულთა ესკორტმა.**

— ერთ შემთხვევაში ცხადია, რომ ესკორტს შეეწირა ერთი ადამიანი, მაგრამ საუბარია გარდაცვლილებზე და არის ეჭვი, რომ შეიძლება ისინი ცემის შედეგად გარდაიცვალნენ. ასევე, სასტიკად ნაცემია იზოლატორში მყოფი ადამიანებიც. რა თქმა უნდა, ეს დანაშაულია.

ესაუბრა
**სოფო გელაშვილი**



თბილისი. 2011 წლის 26 მაისი

**სამართალდამცავებმა სხვადასხვა სიმძიმის სისხლის სამართლის დანაშაული ჩაიდინეს**

ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**არ ვიცი ყინულის ტყვიებიც ჰქონდათ თუ სეტყვა იყო. არასოდეს გამეგო, რომ არსებობს ყინულის ტყვია....გულისრევა დამეწყო და ჩავიმუხლე, თავი რომ ავწიე საზარელი სურათი დავინახე — დაახლოებით 70-75 წლის მამაკაცი ტაძარს მისჩერებოდა, კოკისპირულ წვიმაში მუხლებზე იდგა, ხელები ცისკენ ჰქონდა აპყრობილი და ლოცულობდა. ამ დროს მას თავში ხელკეტი ჩაარტყეს, ხოლო მეორემ ზურგი ჩაუწიხლა. საცოდავი პირქვე დაეცა. მისკენ ასაკიანი ქალი გაიქცა დასახმარებლად, უმოწყალოდ ჩაარტყეს და დააგდეს.**

# კოკისპირულ წვიმას სისხლი ერეოდა. თითქოს სისხლის მდინარეები მოდიოდა...

**ეს არ იყო მხოლოდ უსამართლობისადმი პროტესტი. უსამართლობა სულ თან დამდევს, თითქოს მაგნიტივით ვიზიდავ, რაც „ვარდების რევოლუცია“ მოხდა, — უფრო მეტად და მეტად. თავიდან ვფიქრობდი, რომ ეს ჩემი პირადი უიღბლობა იყო, მერე კი მივხვდი: არა, ის, რაც ხდება, მარტო მე არ მემართება. ყოველ ნაბიჯზე, ყოველდღე ვხედავდი, რომ არც თუ ისეთი ვარდისფერია დღეს საქართველო... მიმოვიხედე და დავინახე, სულ უფრო და უფრო გაუბედურებული და გაღატაკებულია ჩემი ქვეყანა... ვხედავდი, როგორ ნადგურდებოდა ყოველივე ის, რაც მიყვარდა, რასაც უნდა გავფრთხილებოდით, რასაც უნდა მოვფერებოდით და გადაგვეცა შვილებისთვის, ისევე, როგორც ჩვენ გადმოგვცეს წინაპრებმა. მივხვდი, რომ საჭიროა ბრძოლა უსამართლობის წინააღმდეგ, აუცილებელია პროტესტის გამოხატვა. ცხოვრებაც ხომ ისე უნდა გაიარო, რომ უკან მოხედვის არ შეგრცხვეს; მხოლოდ საკუთარ თავზე არ უნდა ფიქრობდე...**

## ფეხის დაბიჯება არ მინდოდა, არ მინდოდა, მევლო ჩემს სისხლზე, ქართველების სისხლზე


თბილისი. 2011 წლის 26 მაისი

არ ვარ არც ერთი პარტიის წევრი, არც არასოდეს ვყოფილვარ; სურვილიც კი არ მქონია, მაგრამ ყველა საპროტესტო აქციაზე მივდიოდი, ვხედავდი, რომ ეს აუცილებელი იყო. ასე მოვხვდი „სახალხო კრებაშიც“. თავიდან „შეფიცულებით“ დავინტერესდი, წავიკითხე წესდება და მომეწონა. გადაწყვეტილებაც მივიღე: მე მათ გვერდით დავუდგები უსამართლობის წინააღმდეგ! იმის მიუხედავად, რომ არ ვარ მათი წევრი, მათი მეგობარი გავხდი. რამდენიმეჯერ მათ შეკრებაზე მივედი, ყურადღებით ვუსმენდი, მერე კი აქციაზეც წავედი. **მე იქ არ გამიგია პრორუსული გამოსვლები, არც ძალისმიერ მეთოდებზე საუბრები ყოფილა, არც იმაზე, რომ ბურჯანაძის გაპრეზიდენტება სურდათ. ასე რომ ყოფილიყო, არასოდეს დავდგებოდი მათ გვერდით.** „შეფიცულების“ დანიშნულება იყო აქციის მონაწილეთა დაცვა და პროვოკაციების არიდება; მათი დანიშნულება იყო უსამართლოდ დაჩაგრული ხალხის დახმარება. ეს კი ჩემი სულიერი მოთხოვნილებაც იყო.

**აქციების განმავლობაში — 5 დღე და 4 ღამე — იქ ვიყავი. მხოლოდ ერთი-ორი საათით მივდიოდი სახლში თავის მოსაწესრიგებლად.**

**არ ვნანობ იქ გატარებულ დღეებს, პირიქით მე გამაძლიერა მომქანცველმა დღეებმა და ღამეებმა. ვნახე ძლიერი ქართული სული და გენი. მივხვდი, რომ გმირების გვერდით ვიდექი.**

ვინ იყო ის ხალხი? პრეზიდენტი ამბობს, რომ დაძლია სიღარიბე, მაგრამ არ ამბობს, რომ საქართველოში სიღატაკემ დაისადგურა. ლაპარაკობს მიღწევებზე, ჩვენ კი ვხედავთ საპირისპიროს. **ათასობით მშიერი და გაღატაკებული, გადავსებული ციხეები, ავადმყოფები, რომლებსაც მკურნალობის საშუალება არ აქვთ, ასი ათასობით ადამიანი ჩამორთმეული ქონებითა და ბიზნესით... რამდენი ჩამოვთვალო კიდევ?...** ბევრი ადამიანი გავიცანი. ვსაუბრობდით, ყვებოდნენ თავიანთ პრობლემებზე. გაუბედურებულნი და განადგურებულნი ბოლო იმედის სხივს შესციცინებდნენ ფიზიკურად განადგურების პირას მისულნი, მაგრამ სულიერად ამაღლებულები. ყოველი მათგანი მიყვარდებოდა, გული მტკიოდა მათზე, საკუთარი პრობლემები მავიწყდებოდა, რადგან ჩემზე უბედურებს ვხედავდი.

ჩვენს ჯგუფში უმეტესად ასაკოვანი და საშუალო ასაკს მიღწეულები იყვნენ. სხვა ჯგუფებიც იყო. მთელი ღამეები ჯგუფ-ჯგუფად დავდიოდით და ვაკვირდებოდით ახალგაზრდებს. დღეს კი ხმამაღლა ვამბობ: **არ ყოფილა იქ არავითარი „მოლოტოვის კოქტეილი“, არავითარი იარაღი, არც ძალისმიერი მეთოდებით დამხობისთვის მზადება. ეს სიცრუეა. პირიქით, რამდენჯერაც დანა შევამჩნიეთ, იმდენჯერ დავაფიქსირეთ. კი იყვნენ ცალკეული პირები, რომლებიც ხალხის აყოლიებას ცდილობდნენ, ყველა შემოგზავნილი აგენტი აღმოჩნდა. პირიქით, ყველა პროვოკატორს აქციიდან აძევებდნენ.**

არასოდეს დამავიწყდება ასაკოვანი ქალბატონები, რომლებიც მთელი ღამე გვიდნენ ტერიტორიას ხის ტოტებით, აგროვებდნენ ნაგავს, მაგრამ გარშემო არც ერთი ურნა არ იყო, ყველა გააქრეს. დილით კი რამდენიმე ნაძირალამ ეს ნაგავი მიმოფანტა და ტერიტორიიდან გაიქცა. შემდეგ უცებ გამოვარდნენ კამერებით ტელევიზიიდან და დაიწყეს გადაღება. **განსაკუთრებით ამორალურად იქცეოდა „რეალ-ტივის“ ჟურნალისტი, ახალგაზრდა გოგონა, ყოვლად უნიჭო და უსასიზღრესი. ვერ გავიგე, რამ გააბოროტა და გადააჯიშა, ან რას უხდიდნენ ისეთს, რომ ასეთ სიძულვილს გამოხატავდა ხალხის მიმართ. იმდენად აგრესიული და თავხედი იყო, რომ ყველა მდგომარეობიდან გამოჰყავდა. ყველა ხვდებოდა, რომ პროვოკატორი იყო. ალბათ, ცდილობდა, ვინმეს ეცემა, რომ მერე ამისგან სენსაცია შეექმნა.** მეც ძლივს შევიკავე თავი, მთელი ხმით მიკიოდა — რამდენს გიხდიან, მოგცეს უკვე ფულიო? ახლაც მიკვირს, როგორ არ ვითრიე თმით. ასეთ არსებას, ნეტა, დედა ჰყავს? ან რა ქალმა გაზარდა ასეთი?

25 მაისი თენდებოდა, მთელი ღამე ვხუმრობდით, ჩვენთან ერთად ჟურნალისტებიც ისხდნენ, მათ შორის „იმედის“ და „რუსთავი 2“-ის. ჩვენ ერთმანეთის მიმართ თბილი დამოკიდებულება გაგვიჩნდა. კი, არავის მოსწონდა ამ არხების დეზინფორმაციები, მაგრამ ეს ხომ ხელმძღვანელების ბრალი იყო და არა მათი.

ჩვენთან ერთად ბატონი თემურ შაშიაშვილიც იყო. არავინ მოელოდა იმას, რაც მერე მოხდა...

**26 მაისის ღამეს პარლამენტთან კოკისპირულ წვიმაში ვიდექით,...შემოვლა გვქონდა ქალებს. იმისთვის, რომ არავის არ ეეჭვა ჩვენი დაკვირვება, სტიკერებს „მიშა წადი“ ვაკრავდით და ვათვალიერებდით ტერიტორიას, ყველგან ვიხედებოდით და მე დღეს ხმამაღლა ვამბობ — არავითარი „მოლოტოვის კოქტეილი“, არავითარი ცივი თუ სხვა სახის იარაღი იქ არ ყოფილა! მათ ტვინიც კი არ ეყოთ იმისთვის, რომ ჩვენ მიერ ნაგვის ჩასაყრელად მიტანილ დიდ ცელოფნებში მაინც ჩაედოთ.**

12 საათს გადასცდა — აქციისთვის გამოყოფილი დრო ამოიწურა. 9 აპრილის მემორიალის უკანა მხარეს, ტროტუარზე ვიდექი. მიკროფონით გამოაცხადეს, რომ გზა დაეთმოთ მერიის წარმომადგენლისთვის. შემდეგ ბატონმა თემურმა გამოაცხადა: **„იმედია, ჩვენი მთავრობა მოგვცემს რამდენიმე წუთს, რომ აღვნიშნოთ დამოუკიდებლობის დღე; იმედია, ხალხი გამოვა და ერთად ვიზეიმებთ!“.** შემდეგ დაიწყო ლოცვა: **„მამაო ჩვენო! რომელი ხარ ცათა შინა...“** ლოცვა დამთავრებული არც იყო და, ალბათ, 5 წუთიც კი არ იყო გასული გაფრთხილებიდან, გაისმა საბრძოლო ყიჟინა, მომწამვლელი აირის აუტანელი სუნი დადგა, კვამლი, წყლის ჭავლი — ყოველი მხრიდან... თავბრუ მეხვეოდა, თვალები და ყელი საშინლად მეწვოდა, ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ ცეცხლი მეკიდა.

**ამაზრზენი სანახავი იყო, როგორ უმიზნებდნენ და ესროდნენ. ისე ურტყავდნენ ხალხს ხელკეტებს უმოწყალოდ თავში, შოკში ჩავვარდი, გაშტერებული ვუყურებდი, მუხლები მიკანკალებდა, ვერ ვიჯერებდი...** რამდენიმე რეზინის ტყვია მომხვდა. წვიმისა და სიცივის გამო თბილი ბეწვიანი ჟაკეტი მეცვა და დიდი შარფი მქონდა მოხვეული. ბედზე ჩავიცვი. ტყვიების ძალას ბეწვის საყელო ამცირებდა. **არ ვიცი ყინულის ტყვიებიც ჰქონდათ თუ სეტყვა იყო. არასოდეს გამეგო, რომ არსებობს ყინულის ტყვია....გულისრევა დამეწყო და ჩავიმუხლე, თავი რომ ავწიე საზარელი სურათი დავინახე — დაახლოებით 70-75 წლის მამაკაცი ტაძარს მისჩერებოდა, კოკისპირულ წვიმაში მუხლებზე იდგა, ხელები ცისკენ ჰქონდა აპყრობილი და ლოცულობდა. ამ დროს მას თავში ხელკეტი ჩაარტყეს, ხოლო მეორემ ზურგი ჩაუწიხლა. საცოდავი პირქვე დაეცა. მისკენ ასაკიანი ქალი გაიქცა დასახმარებლად, უმოწყალოდ ჩაარტყეს და დააგდეს.**

* * *

აღარაფერი მესმოდა — აღარც აუტანელი ხმაური, აღარც ხალხის ყვირილი. არ ვიცი, რა დამემართა. მერე მომიყვნენ, გათიშული იყავი და გაქცევის ნაცვლად „სპეცს“ თავს დაესხიო. თურმე ფეხსაცმელი გამიხდია და „კასკაზე“ ვუბრახუნებდი. ჩემმა ხმამ გამომაფხიზლა. ცალ ფეხზე მეცვა, მეორე ფეხსაცმელი კი ხელში მეჭირა. არაადამიანური ხმით ვუყვიროდი — **„დედა არა გყავს, ბიჭო?!“.** ქალს წამოდგომაში დავეხმარე. ვიღაცამ ხელი მომხვია, შევხედე, მხოლოდ თვალები უჩანდა,...თვალებში კი, არ ვიცი, — წვიმის წვეთი თუ ცრემლი... ჩემზე უარესად დაუწყო ყვირილი „თავისიანს“, ქალებს რად სცემთო, მე კი მითხრა — **„დაწყნარდით, ქალბატონო, გაჩუმდით, გაიქეცით, არავინ მოგკლავთო!“.** რამდენიმე იყო კიდევ მისნაირი, თვითონ უყურებდნენ გაოგნებულები.

ვერ გავიქეცი. ხალხი ეყარა. არ ვიცი, ალბათ, შოკი იყო. ვცდილობდი, წამომეყენებინა წაქცეულები. ყველა ჩემსავით იქცეოდა, ერთმანეთს აყენებდნენ, ეხუტებოდნენ, იცავდნენ... ალბათ, სასაცილო სანახავი ვიყავი. ჩემმა ქოლგამ აგრესია გამოიწვია და უმოწყალოდ დაუშინეს ტყვიები, ხელში დამტვრეული ქოლგა მეჭირა და ხელიდან არ ვაგდებდი, ისეთი გრძნობა მქონდა, რომ ამ ქოლგით შევძლებდი მათ დამარცხებას... გარშემო სცემდნენ ხალხს, მე მხოლოდ რამდენიმემ ზურგში „მიჯიკა“ ხელჯოხი ლანძღვა-გინებით, მე კი მხოლოდ ვიმეორებდი ერთსა და იმავეს: „დედა არა გყავს, ბიჭო?!“.

**ხალხს ალყაში აქცევდნენ, ერთი ჯგუფი მთავრობის სახლისკენ მიიმწყვდიეს, ყოველი მხრიდან გამეტებით ურტყამდნენ. ეს არ იყო აქციის ჩაშლა, ეს იყო გამიზნული ხალხის ამოხოცვა.** უცებ ხალხმა გაარღვია ალყა და გამოიქცა პიონერთა სასახლისკენ. რადგან მაღლა იყვნენ ასულები, ქვემოთ ხტებოდნენ. გადმოხტომის დროს რამდენიმე წაიქცა და ერთმანეთს დაეცა. უკან გამოიქცა კაცი და დაუწყო დახმარება. მეც მივირბინე დასახმარებლად. ბოლოს ასაკიანი სრული ქალბატონი ეგდო. მე მას ხელი შევაშველე. როცა წამოდგა, საშინელი დარტყმა ვიგრძენი, თითქოს ცაში ამაგდო და გადამისროლა. ეს წყლის ჭავლი იყო. მანქანა იდგა სასახლესა და მთავრობის სახლს შორის. ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ ასეთი ძალა ექნებოდა. შარვალი ჩამძვრა და საცვლის ამარა ვიყავი. ფეხსაცმელები არ მეცვა. მიმოვიხედე და დავინახე, ჩემი ცალი ფეხსაცმელი როგორ მიცურავდა, მეორე კი იქ ეგდო, სადაც ადრე — ქალბატონი. მივბრუნდი და ავიღე ფეხსაცმელი, ტანსაცმელიც გავისწორე და დახეული შარვალიც. ამ დროს მეორედ გადამაგდო წყლის ჭავლმა. არ ვიცი, იმ დროს იმ ადგილზე მხოლოდ მე ვიდექი, ალბათ. ვიღაც კაცმა მოირბინა ჩემთან და ამაყენა, შემანჯღრია და მითხრა: **„გამოფხიზლდი, დაიკო, გაიქეცი“.** ახლაც მესმის მისი ხმა, ისეთი თბილი და ახლობელი, უცხო ადამიანი, რომელიც მხოლოდ ჩემთვის მობრუნდა უკან.

**მოსწავლეთა სასახლესთან კუთხურადაა შენობა, სადაც ქალები ჰყავდათ ალყაში და სცემდნენ. იმის მიუხედავად, რომ ბევრი „სპეცი“ იყო, რამდენიმე მამაკაცი მივარდა და უყვიროდა: „ქალებს ნუ ცემთ, ნაძირლებო! ქალები გაუშვით!“.**

ერთ კაცს თავი ჰქონდა გატეხილი და სისხლი სდიოდა, მოტრიალდნენ არაკაცები და თავგატეხილ ადამიანს რამდენიმემ ერთდროულად დაუწყო ცემა. მათ კიდევ სხვები დაემატნენ, შედარებით ახალგაზრდა კი მთავრობის სახლისკენ გაიქცა და უკან, ალბათ, ათი მაინც გაეკიდა. მხოლოდ მათი დახმარების შემდეგ შეძლეს ქალებმა გაქცევა.

მოსწავლეთა სასახლესთან უარეს დღეში ჩავვარდი. **კოკისპირულ წვიმას სისხლი ერეოდა. ისეთი სანახავი იყო, თითქოს სისხლის მდინარეები მოდიოდა... ფეხის დაბიჯება არ მინდოდა, არ მინდოდა, მევლო ჩემს სისხლზე, ქართველების სისხლზე. ძირს კი ხელებშეკრული, თავგადაჩეხილი, გაოგნებული სახეებით** ▶

**ახალგაზრდა ბიჭი ეგდო თეთრი პერანგით გაუნძრევლად. მივედი მასთან, სულ პატარა იყო, ჩემი შვილების ტოლი. უცებ ჩემი შვილი მეგონა. მოვკიდე ხელი, წამოყენება მინდოდა. გავშეშდი. მას სიცოცხლის ნიშანი არ ჰქონდა. ახლაც კი დარწმუნებული ვარ, არ იყო ცოცხალი. „სპეცმა“ მიღრიალა უბინძურესი სიტყვებით. წამოვდექი. იქვე ახლოს შუახნის მამაკაცი ეგდო, მუცელი უჩანდა, არ ვიცი მაისური თუ ჯემპრი ეცვა ბეჟი ფერის ყავისფერით გაწყობილი. მუცელზე ვაკვირდებოდი. არ ინძრეოდა, არ სუნთქავდა.**

ნას-ტერორი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**მამაკაცები იწვნენ. სადისტურად ურტყამდნენ ხელებშეკრულებს, ...** ვუყურებდი ჩემთვის უკვე ნაცნობ სახეებს და ვფიქრობდი, ნეტავ, რაიმე იარაღი მქონდეს, ნეტავ, მართლა რამე შემეძლოს, ნეტავ, მართლა ყოფილიყო „მოლოტოვის კოქტეილი“ და უფლის წინაშე გეფიცებით, პირველი მე ვესროდი!

**ახალგაზრდა ბიჭი ეგდო თეთრი პერანგით გაუნძრევლად. მივედი მასთან, სულ პატარა იყო, ჩემი შვილების ტოლი. უცებ ჩემი შვილი მეგონა. მოვკიდე ხელი, წამოყენება მინდოდა. გავშეშდი. მას სიცოცხლის ნიშანი არ ჰქონდა. ახლაც კი დარწმუნებული ვარ, არ იყო ცოცხალი. „სპეცმა“ მიღრიალა უბინძურესი სიტყვებით. წამოვდექი. იქვე ახლოს შუახნის მამაკაცი ეგდო, მუცელი უჩანდა, არ ვიცი მაისური თუ ჯემპრი ეცვა ბეჟი ფერის ყავისფერით გაწყობილი. მუცელზე ვაკვირდებოდი. არ ინძრეოდა, არ სუნთქავდა.**

მეტროს წინ, ავტობუსების გაჩერებასთან, ძირს დაგდებულ კაცს უმოწყალოდ სცემდნენ, კაცს თავზე ხელები ჰქონდა აფარებული და მთელი ხმით ყვიროდა, უცხოელი იყო. მხეცივით მივვარდი, ვუყვიროდი — **„რას აკეთებთ, უცხოელს სცემთ, საქართველოს არცხვენთ?!“.** ახლა მეცინება ამ სიტყვებზე. არ ვუშვებდი, რომ ეცემათ, თავზე შემოხვეულ ხელებზე ხელებს ვაფარებდი, ისე ვიცავდი, როგორც დედა — შვილს. **სილა გამარტყეს, ისე მწარედ, რომ ყურში წივილი მესმოდა, წიხლებით გადამიარეს. უცებ სხვამ გაიგო ჩემი ყვირილი, გაუჩერებლად ვყვიროდი — „უცხოელია, ნუ ცემთ“, მოვარდა ყვირილით — „ქალს სცემ, შენი დედა...“. მივხვდი, რომ გადავრჩით. მან კი ზრდილობიანად მომიბოდიშა, წამომაყენა და უცხოელსაც მიხედა**. ის კაცი იმ დროს აღარ ინძრეოდა. ყველას ვეკითხები, ცოცხალია ის კაცი? მას მუქი ლურჯი ქურთუკი ეცვა. არავის გამოუცხადებია ნაცემ უცხოელზე. სულ ვფიქრობ, ხომ არ მოკლეს?!

**მეგონა, სამშვიდობოს ვიყავი, მაგრამ შევცდი. მიწისქვეშა გადასასვლელს რომ მივუახლოვდი, უარესს შევესწარი. ასაკოვან, 60 წელს გადაცილებულ ქალბატონებს ჯანმაგარი „სპეცები“ უბრახუნებდნენ. ეტყობა, მათი უფროსი იყო, პანღურებს ურტყამდა და ლანძღავდა, მასხრად იგდებდა: „სახლში რატომ არ დაეგდეთ, თქვე ბებერო ბოზებო! რა გინდოდათ, გადატრიალებას აწყობდით? გდებულიყავით, ბორში მოგეხარშათ!“.**

არასოდეს ვყოფილვარ მშიშარა და ახლა მზად ვიყავი, შევკვდომოდი ამ არაკაცებს. საცოდავი მოხუცები ტიროდნენ და კანკალებდნენ. გადავირიე, ყვირილი დავუწყე: **„მაძღარო ღორო, ჰკითხე ამ ხალხს, აქვთ კი ბორშის მოსახარში ფული?“.** „უფროსი“ ჯერ გამექაჩა. ეტყობა, ისეთი სახე მქონდა, რომ უკან დაიხია, ველარ ყვიროდა, ლუღლუღებდა, დაიბნა, არ ელოდა „ვაჟკაცი“ წინააღმდეგობას. უარესად გაავებული ვუყვიროდი — **„დედა არა გყავს? რა ქალმა გაგაჩინა, შენი დედა...“.** სამაგიეროდ, მისი პატარა შეგირდი-ფინია გაავდა, მთელი ძალით პანღური მითავაზა ზედ კიბის თავში, ლამის კიბეზე დავგორდი. **მიწისქვეშა გადასასვლელში ბნელოდა, კიბის ბოლოს კი მოხუცი ქალი ეგდო, რომელიც ჩემს მისვლამდე დაეგორებინათ. საცოდავი ვერ დგებოდა, მწარედ წუხდა მიშას და მის ნაძირალა ხროვას.**

პუშკინის ქუჩაზე ამოვედი და ლესელიძის ქუჩის მიმართულებით წავედი. გზაზე თეთრი მიკროავტობუსები იდგა, სადაც დაპატიმრებულები ჰყავდათ. ხმა მესმოდა, კაცი ეუბნებოდა: **„რა გინდათ ჩემგან, უკვე ხომ დამიჭირეთ“.** საცოდავი ხმა ჰქონდა. მანქანიდან გადმოათრიეს და უმოწყალოდ სცემეს. ეტყობა, ამათ დაჭერილები ებარათ და ვერ დაარბიეს ხალხი, ამიტომ ჯავრი უკვე ხელებშეკრულებზე იყარეს. **აღარაფრის თავი აღარ მქონდა, სველი, დამცირებული და ნაცემი მივდიოდი სახლისკენ, სხეულის ტკივილს ვერ ვგრძნობდი, რადგან სული უფრო მტკიოდა.**

ლესელიძის ქუჩის დასაწყისში „კორდონი“' იყო, ბუზი ვერ გადაიფრენდა. სიცოცხლე აღარ მინდოდა. მზად ვიყავი, მოვმკვდარიყავი. არაფრის არ მეშინოდა. როცა მივუახლოვდი, ამაყად თავაწეულმა ზიზღით ვუთხარი: **„რა, ხალხს სახლებშიც არ უშვებთ? არ გეყოთ, რაც გვცემეთ? ვინ ხართ? რა ჯიშის ხალხი ხართ, რა ქალებმა გაგზარდეს, დედები გყავთ?“.** პასუხად კი დარცხვენილი, ნირწამხდარი ხმით, თითქმის ჩურჩულით მიპასუხეს: **„მიბრძანდით, ქალბატონო, სხვის დედებს ნუ ეხებით, გთხოვთ“.** მწარედ ჩავიცინე და ვუთხარი: **„თქვენ, თქვენ რომ შეეხეთ სხვის დედებს, თქვენ რომ შეეხეთ სხვის შვილებს?“.** თავები დახარეს, ვერ მიყურებდნენ, გზა დამითმეს. მხოლოდ ერთმა ირონიულად დაიწყო სიცილი: **„ბიჭო, შეხედე, მთვრალია, ამისი დედა...“.** მას მხოლოდ ერთი აჰყვა. ხმამაღლა გავიცინე — **„მთვრალი ვარ? შენ ხომ ხარ ფხიზელი! ხოდა, შენი დედაც და შენი პრეზიდენტისაც!“.** ხმა ვერ ამოიღო, სახეზე შეეყინა ირონია....

**მე მხოლოდ ის მაინტერესებს, ამ არაკაცებს ასეთი „მაგარი კაცობისთვის“ პრემიები მართლა თუ დაურიგდათ. იქნებ, ჯობდა ამ პრემიის ნაცვლად აქციაზე მდგომი სოციალურად გაუბედურებული ხალხისთვის გაეკეთებინათ რამე! იმ ხალხისთვის, რომელიც ჩემს თვალში გმირია; იმათთვის, ვისაც სახელმწიფომ და პრეზიდენტმა ჯერ სულში ჩააფურთხეს და, რადგან მაინც ვერ გატეხა, ფიზიკურად გაუსწორდა. არა, არ აინტერესებს პრეზიდენტს ხალხი, ის სხვა ქვეყანაში ცხოვრობს და მისი ქვეყანა ზღაპრულია. როცა მას ვუსმენ, ცრემლები მომდის და მეცინება, ნუთუ ასეთი მსახიობია? იქნებ, მართლა არ იცის, რაც ხდება? ვინ არის საერთოდ ეს კაცი?! სული აქვს?**

და რამდენი საქართველო ყოფილა: ერთი — სამოთხე, მეორე კი — ჯოჯოხეთი, რომელიც საერთოდ ქრება და იშლება. ვფიქრობ, რა ელის იმ საქართველოს, რომელიც ასე მიყვარს. ალბათ, გაქრება ან დარჩება მხოლოდ გეოგრაფიულ სახელად, სადაც ქართველები წითელ წიგნში იქნებიან შესატანი.

მე დღეს ამაყი ვარ, რადგან ამ ხალხთან ერთად ვიდექი, ვისთვისაც სულერთი არაა ქვეყნის ბედი; ვინც, თავად მშიერი, სხვის შიმშილზე დარდობდა, მთელი ღამეები სანთლებს ანთებდა და უფალს ევედრებოდა, უფალო, გადაარჩინე ჩვენი „ენა, მამული და სარწმუნოება!“. თუ ხვალ გამოვლენ, ისევ მათ გვერდით დავდგები, რადგან ზუსტად ეს ნაცემი და გადათელილი ხალხია ჩემთვის საქართველოს სიმბოლო და სახე, ზუსტად ეს ხალხია **საქართველო!!!**

**ჩემი საყვარელი სიტყვებია: „არ დაიჯერო, რომ მიზანსწრაფულ და თავდადებულ ადამიანთა პატარა ჯგუფს არ შეუძლია დიდი საქმეების გაკეთება. ზუსტად ასეთები ცვლიან მსოფლიოს!“. და მეც გადავწყვიტე, რომ ვიბრძოლებ, ვიბრძოლებ უკანასკნელ ამოსუნთქვამდე და თქვენც გეძახით, გავერთიანდეთ, დავდგეთ ერთმანეთის გვერდით, ჩვენ შეგვიძლია სამყაროს შეცვლა.**

**მთვარისა ქაჯაია**



თბილისი. 2011 წლის 26 მაისი

## დავით კირკიტაძე: 26 მაისს ყველა მიხვდა, რომ აქციები წარმატების მომტანი არაა

**25 მაისის საღამოს 8 საათზე დავით კირკიტაძეს სახლთან უცნობი შეიარაღებული პირები დაესხნენ თავს. დავით კირკიტაძე არასამთავრობო ორგანიზაცია „სამოქალაქო ფრონტის“ აქტიური წევრია. მისი განცხადებით, თავდასხმის დროს ის მეგობართან, დედასთან და 9 თვის შვილთან ერთად იმყოფებოდა. ინციდენტის დროს თავდამსხმელებმა მისი აყვანა ვერ შეძლეს, თუმცა ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენება მოასწრეს. კირკიტაძემ გაქცევა შეძლო და მეზობლის სახლს შეაფარა თავი. მაგრამ ისე იყო ნაცემი (და თავიც ჰქონდა გატეხილი), რომ 2 დღე სახლიდან ვერ გამოდიოდა. ამ ინციდენტთან დაკავშირებით დავით კირკიტაძეს პირადად ვესაუბრეთ.**



**— რას ფიქრობთ, რატომ დაგესხნენ თავს?**

— არასამთავრობო ორგანიზაცია „სამოქალაქო ფრონტის“ წევრი ვარ. 25 მაისს აქციაზე არ ვყოფილვარ, სხვა საორგანიზაციო საქმეებს ვაგვარებდი. საღამოს 8 საათი იქნებოდა, ჩემს სახლთან ვიყავი ჩემს მეგობარ გიორგი მელაძესთან, დედაჩემთან და 9 თვის შვილთან ერთად. რუსთაველზე ვცხოვრობ, ქუთათელიძის ქუჩაზე, ხალხმრავალი ადგილია. მოულოდნელად შორიახლოს 2 მანქანა გაჩერდა. მანქანებიდან უცებ ნიღბიანი ადამიანები გადმოხტნენ, თავს დამესხნენ და ფიზიკური შეურაცხყოფა მომაყენეს, თან ცდილობდნენ, მანქანაში ჩავეტენე და გავეტაცებინე. წინააღმდეგობის გაწევას აზრი არ ჰქონდა, გადავწყვიტე, როგორმე გავქცეულიყავი. არ ვიცი, როგორ მოვახერხე მეზობლის სახლისთვის თავის შეფარება. იქ ველარ გაბედეს შემოსვლა.

**— თქვენი აზრით, რატომ მოხდა ეს ინცინდენტი, რა ინტერესი ამოძრავებდათ ამ ადამიანებს?**

— ჩემი აზრით, ესენი იყვნენ ეგრეთ წოდებული ზონდერ ბრიგადებიდან. დარწმუნებით შემიძლია ამის თქმა. პირადად ჩემი გალახვის ინტერესი, არა მგონია, ვინმეს ჰქონოდა. ყველაფერს ამ აქციებს ვუკავშირებ. თუ არადა, რატომ არ მოხდა ეს თუნდაც ერთი თვის წინათ ან უფრო ადრე? ჩვენი ორგანიზაცია აქტიურობდა ამ აქციების დროს და სანამ შინაგან საქმეთა სამინისტრო აქციას დაარბევდა, ჩემთან მოვიდნენ. სახალხო დამცველის აპარატში მომხდართან დაკავშირებით უკვე შევიტანე განცხადება და რეაგირებას ველოდები.

**— 26 მაისის მოვლენებს როგორ აფასებთ?**

— 50 პოლიციელი ერთ კაცს რომ მისდევს და სცემს, ამას რა უნდა დაარქვა? შეფასებაც კი არ შეიძლება ამის. ესაა ქართველი ხალხის მიმართ გამოხატული ზიზღი.

**— ხალხის ერთსულოვნებაზე რას იტყვით?**

— ტელევიზიების აქტიური მონდომებით, ახლანდელი აქცია ისე გამოჩნდა, თითქოს ეს ხალხი იქ მხოლოდ დასალევად იყო მისული. „რეალ ტვ“-მ როგორც გააშუქა, იმ კადრებს თუ ვნახავთ, გეთანხმებით ახლო ხედით ძალიან ცუდი სანახავია სანაგვედქცეული ქუჩები. მსგავსი კადრები იყო 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ დროს, მაგრამ ამაზე ყურადღება მაშინ არავის გაუმახვილებია.

**— ზოგადად, ფორუმებზეც კი, აქციების მიმართ საზოგადოების ნეგატიური დამოკიდებულება გამოიკვეთა, თითქოს ამ აქციებმა ხელისუფლებას მხარდამჭერები გაუმრავლა.**

**მაისის აქციებმა გარკვეულწილად ხელისუფლებას მხარდამჭერები გაუმრავლა**

— გეთანხმებით, მაისის აქციებმა გარკვეულწილად ხელისუფლებას მხარდამჭერები გაუმრავლა. 2007 წლის აქციებს რომ შევადაროთ, ბევრად განსხვავებული სიტუაცია იყო. მაშინ ნინო ბურჯანაძეც მთავრობაში იყო. მე პირად ნინო ბურჯანაძეს ვერასდროს ვაპატიებ იმ აქციების დარბევას. დღეს ერის მენტალიტეტიც შეიცვალა — უმრავლესობა საკუთარ თავაზე ფიქრობს: რა ჭამოს, ოჯახი როგორ არჩინოს... თუმცა დღეს კი მუშაობს, მაგრამ ხვალ შეიძლება უმუშევარი აღმოჩნდეს... 26 მაისს ყველა მიხვდა, რომ აქციები წარმატების მომტანი არაა. ჯერ უნდა შევთანხმდეთ იმაზე, რომ ეს ხელისუფლება არ გვინდა და დანარჩენზე მერე ვიფიქროთ. პარლამენტშიც, სჯობს, ბევრი პარტია შევიდეს. **ყველამ იცის დღეს ჩვენს პარლამენტში რაც ხდება. 20 პულტს აჭერს ერთდროულად ერთი პიროვნება ხელს და იმაზე არავინ ფიქრობს, ქართველ ხალს გვჭირდება თუ არა ამა თუ იმ კანონის მიღება. იტყვის ბელადი, ასე უნდა გაკეთდესო და აკეთებენ.**

**— როგორ განვითარდება მოვლენები, თქვენი აზრით?**

— ჩემთვის ყველაზე მტკივნეული ისაა, რომ 26 მაისის მოვლენები მსხვერპლით დასრულდა. ჩემთვის ერთნაირად მტკივნეულია, პოლიციელი დაიღუპება, თუ მომიტინგე, ორივე ქართველია და ორივე საქართველოს აკლდება. ვილაცის ამბიციების გამო არავინ არ უნდა დაიღუპოს. ამბობენ, 9 ადამიანი დაიღუპაო. ჩვენ თუ ეს ყველაფერი ახლა გადავყლაპეთ, ხვალ ძალიან ცუდად მოგვიბრუნდება.

**ლილი მიროტაძე**



## ჩვენ თუ ეს ყველაფერი ახლა გადავყლაპეთ, ხვალ ძალიან ცუდად მოგვიბრუნდება

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

ანალიტიკა



**ჯერ კიდევ აქციის დარბევამდე რამდენიმე საათით ადრე ჯონ ბასმა განაცხადა: „განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ საპროტესტო მოქმედებებით არ შეილახოს სხვა მოქალაქეების უფლებები, არ შეეშალოთ ხელი მათ თავიანთ საქმიანობაში, გადაადგილებასა და თუნდაც გარკვეული მნიშვნელოვანი დღეების სათანადოდ აღნიშვნაში“. ამით ელჩმა მწვანე შუქი აუნთო ხელისუფლებას, რათა აქციის დასაშლელად ძალა გამოეყენებინა.**

# Modus operandi

**Modus operandi**, ანუ „მოქმედების სტილი“ კრიმინალურ გამოძიებაში გამოიყენება. ეს არის ინფორმაციის კოდირების ზოგადი მეთოდი, რომლის მიზანი ეჭვმიტანილის ქცევის გამომჟღავნება და კრიმინალური ჩვევების დადგენაა, რამაც ხელი უნდა შეუწყოს დანაშაულის შემცირებას.

**მართალია, ჩვენ პრეტენზია კრიმინალისტობაზე არ გვაქვს, თუმცა შევეცდებით, ამ მეთოდის გამოყენებით განვიხილოთ 26 მაისის ღამით განვითარებული მოვლენები: ქართული სპეცრაზმის მიერ მოწყობილი „სისხლიანი კარნავალი“ და დემოკრატიის „ქურუმის“, აშშ-ის ელჩის — ჯონ ბასის ცნობილი განცხადების სავალალო შედეგები.**



თბილისი. 2011 წლის 26 მაისი

## სადამსჯელო ოპერაცია და სპეცრაზმის ნამდვილი სახე

26 მაისი საქართველოს ისტორიაში შევიდა როგორც „სისხლიანი ხუთშაბათი“. „დამოუკიდებლობის დღე“, რომელიც წლების მანძილზე შარავანდედით იყო შემოსილი და თითოეულ ქართველს ეროვნული სიამაყის განცდას გვიათკეცებდა, სააკაშვილის რეჟიმმა სისხლით შეღება. ხელისუფლებამ, რომელიც ცდილობს, თავი დემოკრატიის დამცველად და ზეაღმატებულ პატრიოტად მოგვაჩვენოს, ნამდვილი სახე კიდევ ერთხელ გამოაჩინა: **მშვიდობიან მომიტინგეებს ღამით მიუძღვია გამძვინვარებული სპეცრაზმი, რომლებიც ცოფიანი აფთრებივით დაერივნენ წვიმაში გალუმპულ ადამიანებს, რომელთაც არც მიზანი და არც საშუალება არ ჰქონდათ, მოეხდინათ სახელმწიფო გადატრიალება.**

**ხელისუფლება მისთვის ჩვეული ხერხებით ცდილობს, დაარწმუნოს საზოგადოება — აქციის არნახული სისასტიკით დარბევა რომ არა, სამასამდე მომიტინგე სახელმწიფო გადატრიალებას მოახდენდა. როგორც ყოველთვის დამკვეთად ისევ რუსეთი სახელდება. მაგრამ 11 წლის ბავშვი, რომლის რუსეთის აგენტობასაც ყველანაირი ლოგიკა გამორიცხავს, ისე უმოწყალოდ ცემეს ფორმიანმა ჯალათებმა, ცოცხალი რომ გადარჩა, ნამდვილად უფლის წყალობაა. მაშინ რატომ ურტყამდნენ ასე გამეტებით?— ეს იყო ტიპიური მაგალითი იმისა, თუ როგორ ცდილობს სააკაშვილის რეჟიმი, ჩაკლას განსხვავებული აზრი მომავალ თაობაში.**

სპეცრაზმი, რომელიც გაუგონარი სისასტიკით არბევდა საკუთარი უფლებებისთვის და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისთვის მებრძოლ ადამიანებს, სხვა არა იყო რა, თუ არა კარგად დაგეგმილი სპეცოპერაცია „ტერორისტების“ წინააღმდეგ. მაგრამ საინტერესოა, რუსთაველზე საკუთარი უფლებებისთვის მებრძოლი „ტერორისტები“ საფრთხეს ვის უქმნიდნენ? — შემთხვევით, იმ ხელისუფლებას ხომ არა, რომელმაც საქართველოს მოქალაქეების დიდი ნაწილი ემიგრანტებად, ხოლო ვინც საკუთარ ფუძეს არ მოსწყდა, მათხოვრად აქცია?!

**როგორც უკვე აღვნიშნეთ, 26 მაისის ღამით სახელმწიფო გადატრიალების არანაირი საფრთხე არ არსებობდა. მაშინ რამ განაპირობა სპეცრაზმის ასეთი სისასტიკე, რომელმაც ქალები, მოხუცები, ბავშვები და ჟურნალისტებიც კი არ დაინდო (მამაკაცების დანდობაზე ლაპარაკიც ხომ ზედმეტია)?**

სპეცრაზმის ასეთი სისასტიკე განაპირობა ხელისუფლების დამოკიდებულებამ საკუთარი ხალხისადმი. სააკაშვილის რეჟიმი მუდმივად და დაუფარავად ცდილობს, მის წინააღმდეგ გამართულ მიტინგზე მისული ადამიანები სახელმწიფო ინტერესების წინააღმდეგ მებრძოლ მოღალატეებად წარმოაჩინოს, რაც აისახება კიდეც სპეცრაზმელთა ცნობიერებასა და მოქმედებაში. კერძოდ, ხელისუფლებამ შეძლო მოეხდინა სამართალდამცავი სტრუქტურების პოლიტიზირება და აქედან გამომდინარე, ხელისუფლების საწინააღმდეგო ნებისმიერი აქცია მათში მოტივირებულია როგორც ბრძოლა მტრის წინააღმდეგ. **გარდა ამისა, აქციის დარბევაში მონაწილეობა და საკუთარი თანამემამულეებისათვის თავ-პირის მტვრევა ფულადი ანაზღაურებით — პრემიებით წახალისდა. ასევე სპეცრაზმელთა ზღვარგადასულ სისასტიკეს განაპირობებს დაუსჯელობის განცდა, რადგან არც ერთი სპეცრაზმელი არ დასჯილა არასოდეს ძალის გადამეტებისთვის. სწორედ ამიტომ, როგორც ციცერონი იტყოდა, „ყველაზე დიდი წახალისება ბოროტმოქმედებისა, მისი დაუსჯელობაა“.**

სამწუხაროდ, მიტინგის დარბევისას ნათლად გამოჩნდა, რომ ხელისუფლებამ შეძლო აღეზარდა „ახალი გენერაციის ადამიანები“, რომლებმაც არ იციან, რა არის მორალი, კაცთმოყვარეობა, ზნეობა და, რაც ყველაზე მთავარია, არ აქვთ უნარი, საკუთარი თანამოძმეები მტრებისგან გაარჩიონ. მათი მთავარი „საკაცობრიო მოვალეობა“ მხოლოდ ბრძანების უსიტყვო შესრულებით შემოიფარგლება და მნიშვნელობა არ აქვს, ვის წინააღმდეგ მოუწევთ არაადამიანური ძალის გამოყენება.

## ჯონ ბასი – „დემოკრატიის ქურუმი“ თუ ავტორიტარიზმის გადია

მიტინგის კოსტავას ქუჩიდან პარლამენტის წინ გადანაცვლება, სადაც მეორე დღეს აღლუმი უნდა გამართულიყო, თავისთავად ზრდიდა საფრთხეს, რომ „ტერიტორიის გასათავისუფლებლად“ ხელისუფლება ძალას გამოიყენებდა. მართალია, ეს რეალობა მიტინგის ორგანიზატორებმა არ გაითვალისწინეს (ან შეგნებულად წავიდნენ ამაზე), რაც თავისთავად დიდი უგუნურებაა, მაგრამ ასეთ დროს ჩვენს პარტნიორ ქვეყნებს უნდა ეაქტიურათ, რომ სისხლი არ დაღვრილიყო და ხელისუფლებას ძალა არ გამოეყენებინა. თუმცა მოხდა პირიქით, ამერიკის ელჩის, ჯონ ბასის პოზიციამ ხელისუფლებას დამოუკიდებლობის აღდგენის შესაძლებლობა მისცა, ანუ ეროვნული სიამაყის დღე სისხლით შეეღება.

ჯერ კიდევ აქციის დარბევამდე რამდენიმე საათით ადრე ჯონ ბასმა განაცხადა: **„განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ საპროტესტო მოქმედებებით არ შეილახოს სხვა მოქალაქეების უფლებები, არ შეეშალოთ ხელი მათ თავიანთ საქმიანობაში, გადაადგილებასა და თუნდაც გარკვეული მნიშვნელოვანი დღეების სათანადოდ აღნიშვნაში“.** ამით ელჩმა მწვანე შუქი აუნთო ხელისუფლებას, რათა აქციის დასაშლელად ძალა გამოეყენებინა.

ვინაიდან ამ აქციებს გარკვეულწილად ფონად გასდევდა საქართველოში ამერიკის პოლიტიკის მიმართ უკმაყოფილება და ზოგიერთ შემთხვევაში ანტიამერიკული განწყობაც კი, კონსპიროლოგებმა, შესაძლოა, ჩათვალონ, რომ ეს პროცესი ელჩმა ამერიკის ინტერესების წინააღმდეგ მიმართულ საფრთხედ მიიჩნია და მისი საძირკველშივე ამოშანთვა მოინდომა. **მაგრამ გონიერ ელჩს უნდა გაეთვალისწინებინა, რომ ქართულ საზოგადოებაში ანტიამერიკული განწყობის გამღვივებელი არა ქართული ოპოზიციის ნაწილი, არამედ დემოკრატიის რისხვად მოვლენილი და ამერიკის მხრიდან უპირობოდ მხარდაჭერილი საქართველოს ხელისუფლებაა, რომელიც არაფრად აგდებს თავისი მოქალაქეების სიცოცხლეს.**

ორმაგი სტანდარტების პოლიტიკა, რომელსაც ამერიკის ხელისუფლება საქართველოში ატარებს, აუცილებლად აისახება ქართული საზოგადოების დამოკიდებულებაზე ამერიკის მიმართ. **მაშინ, როცა ამერიკის მეთაურობით თითქმის მთელი განვითარებული სამყარო, უკვე რამდენიმე თვეა, ლიბიას ბომბავს იმის გამო, რომ დიქტატორმა კადაფიმ ოპოზიციურად განწყობილ დემონსტრანტებს, რომლებიც რევოლუციის გზით რეჟიმის შეცვლას ლამობდნენ, ცეცხლი გაუხსნა, მაგრამ არაფერს ამბობს საქართველოს ხელისუფლების მიერ დარბეული და მოკლული ადამიანების შესახებ.**

**კადაფის მოქმედებას არანაირი გამართლება არ აქვს და მისადმი ნეგატიური დამოკიდებულებაც სამართლიანია, მაგრამ ასევე სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ ლიბიის ოპოზიცია კალაშნიკოვებით შეიარაღებული გამოდიოდა აქციაზე, რის გამოც კადაფის უფრო ჰქონდა კანონიერი უფლება, ესროლა მომიტინგეებისთვის, ვიდრე სააკაშვილს — მშვიდობიანი მომიტინგეების წინააღმდეგ ძალის გამოყენების, რასაც ოთხი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. თუმცა ჯონ ბასს დამნაშავედ მაინც საკუთარი უფლებებისთვის მებრძოლი და სასტიკად დარბეული მომიტინგეები გამოჰყავს.**

შესაძლოა, ეს იმის ბრალია, რომ ელჩი ბასი თავისი წინამორბედის — ჯონ ტეფტის პრაქტიკას აგრძელებს და მისი „ინფორმირებულობა“ მხოლოდ ხელისუფლების მიერ მოწოდებული „დამუშავებული ინფორმაციებით“ შემოიფარგლება. **ასეთი მიდგომებით ბატონი ელჩი თავად უქმნის საფრთხეს ამერიკის ინტერესებს საქართველოში. რადგან ჯონ ტეფტი, როგორც „ვიკილიქსის“ მიერ გამოქვეყნებული მასალებიდან გახდა ცნობილი, ყოველთვის მხოლოდ ხელისუფლების მიერ მიწოდებულ ინფორმაციებს ეყრდნობოდა და ამერიკის ხელისუფლების ინფორმირებას საქართველოში არსებულ პოლიტიკურ მდგომარეობაზე ამ წყაროებზე დაყრდნობით ახდენდა. ამ დიპლომატიურმა სიბეცემ სანამდე მიიყვანა საქართველო, ყველა კარგად ვხედავთ.**

ელჩი ბასი იქამდეც კი მივიდა, რომ საკუთარი უფლებებისთვის მებრძოლი ადამიანები კრიმინალებად უცერემონიოდ გამოაცხადა: **„უნდა გვახსოვდეს, რომ გარკვეული რაოდენობის ადამიანების ინტერესებში, რომლებიც ჩართული იყვნენ ამ პროტესტში, შედიოდა არა პროტესტის მშვიდობიანად გამოხატვა, არამედ ძალადობრივი კონფრონტაცია. ეს სრულიად ნათელია“.**

## ბატონმა ელჩმა, სავარაუდოდ, უკვე იცის, რომ...

დღეს „სრულიად ნათელი“ მხოლოდ ის არის, რომ მისი ზემოხსენებული განცხადებით წახალისებული ხელისუფლების უკიდურესად აგრესიული ქმედების შედეგად ამ ავადსახსენებელი განცხადების გავრცელებიდან რამდენიმე საათში ოთხი ადამიანი მოკლეს.

შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ჯონ ბასი მხოლოდ ფერადი სათვალით უყურებს საქართველოში არსებულ პოლიტიკურ ვითარებას. გამომდინარე აქედან სულ მცირე არადიპლომატიურად (ადეკვატურობაზე რომ არაფერი ვთქვათ) ჟღერს მისი მეორე განცხადებაც: **„თუ საქართველო გააგრძელებს დემოკრატიულ განვითარებას, ამერიკა ასევე გააგრძელებს მხარდაჭერას მისი თავისუფლებისა და მომავლის არჩევაში“.** საინტერესოა, რომელ დემოკრატიული განვითარების გაგრძელებაზე საუბრობს ელჩი, ისე, რომ სიტყვაც არ დასცდება 26 მაისს მისი განცხადებით წახალისებული ხელისუფლების ქმედებათა შედეგად დაღვრილ სისხლზე?

ამერიკის დამფუძნებელ მამათაგან ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული თ. ჯეფერსონი პრეზიდენტის ინსტიტუტს ქვეყნისა და ერის ერთიანობის სიმბოლოდ განიხილავდა: **„უმაღლესი ხელისუფლების მქონე პირმა ყველა კეთილგონივრული საშუალება უნდა გამოიყენოს, რათა იქცეს ერის ერთიანობის სიმბოლოდ, მთელი ერის გამაერთიანებლად, უნდა შეძლოს საზოგადოების მთელი ძალების შეკავშირება და წარმართვა ერთიანი მიზნის მისაღწევად“.**

ალბათ, ბატონ ჯონ ბასს შეუძლია განმარტოს, რომელი ერის გამაერთიანებლად გვევლინება პრეზიდენტი სააკაშვილი ან რომელი საზოგადოების შეკავშირებაზე ზრუნავს ასე ძალიან. თუ დემოკრატიისა და პიროვნული თავისუფლების სიკეთეებით სარგებლობაზე ექსკლუზიური უფლება მხოლოდ ამერიკის მოქალაქეებს აქვთ?! ჩვენ კი, ამერიკის „პარტნიორი“ ქვეყნის მოქალაქეებმა, სისხლიანი რეჟიმი უნდა ავიტანოთ, რადგან ელჩი ბასი მის მიმართ კეთილგანწყობილია. ნუთუ ეს არის არამარტო ამერიკული დიპლომატიის, არამედ ამერიკული დემოკრატიის modus operandi კავკასიის „georgia-ში“?!



თბილისი. 2011 წლის 26 მაისი

**ზურაბ ჯამბურია**

**ამ რთულ პოლიტიკურ სიტუაციას პოზიტიური მომენტიც ახლავს, რაც, სუფთა პოლიტიკური დაფის პირობებში, ახალ პოლიტიკურ ძალას გამოჩენის შესაძლებლობას აძლევს, რათა ახალი სისხლი და ენერგია შემოიტანოს ქართულ პოლიტიკაში. საქართველოს დღეს სჭირდება ეროვნულად ორიენტირებული, პატრიოტი და საზოგადოებრივი აზრისა და ნების გამტარებელი პოლიტიკური სუბიექტი და არა ამერიკული კოლონიზატორული პოლიტიკის მალეგიტიმირებელი მარიონეტთა ჯგუფი.**

ანალიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

# საქართველო ახალი პოლიტიკური ძალის მოლოდინში

**26 მაისის ღამე ქართველი ერის ისტორიის კიდევ ერთი ტრაგიკული და სამარცხვინო ფურცელია. ამ დარბევის მასშტაბები და მეთოდების სისასტიკე გასცდა თვით საბჭოთა გენერლის — როდიონოვის მიერ მშვიდობიანი მოქალაქეების წინააღმდეგ ჩატარებული სპეცოპერაციის ფარგლებს. 1989 წლის 9 აპრილი თუ იყო ტოტალიტარული რეჟიმისგან განთავისუფლების საწყისი ფაზა, მაშინ 26 მაისის ღამეს აქციის დარბევა ერთპარტიული დიქტატურისკენ გადადგმული ნაბიჯია.**

საქართველო ტოტალიტარიზმის საშიშ ზღვარს უახლოვდება, ერთი ნაბიჯი დაგვრჩა და გადავიჩეხებით ტოტალიტარიზმის უფსკრულში. დააკვირდით, თუ როგორი სისასტიკით დაარბიეს მომიტინგეები, ყველა მხრიდან მოახდინეს მათი ბლოკირება და არ მისცეს დაშლის საშუალება. სპეცრაზმის, შესაბამისად კი ხელისუფლების მთავარ მიზანს საზოგადოებაში შიშის დანერგვა წარმოადგენდა, რათა მოსახლეობას კვლავაც არ გაუჩნდეს პროტესტის გრძნობა იმ უმსგავსობის მიმართ, რაც ქვეყანაში ხდება: **ტერიტორიების დაკარგვა (უკვე იურიდიულად, როგორც მოგეხსენებათ, რუსეთის ფედერაცია, რომელმაც აღიარა ტერიტორიების იურიდიული დაკარგვა, უშიშროების საბჭოს ერთ-ერთი მუდმივი წევრია), ეკონომიკური კოლაფსი, მოსახლეობის სრული გაღატაკება, დემოკრატიული მართვის სტილის სრული იგნორირება.**

ხელისუფლების წარმომადგენლები ურცხვად გვინერგავენ აზრს ქვეყნის პროგრესსა და განვითარებაზე, ადამიანის უფლებების დაცვასა და დემოკრატიული რეჟიმის დამკვიდრებაზე. ყველაფერ ამას ისინი აკეთებენ მათ მიერ კონტროლირებადი ნაციონალური არხების მეშვეობით, რომლებსაც ტოტალურად დაკავებული აქვს ქართული საინფორმაციო სივრცე. ხელისუფლების მიერ ამუშავებული პროპაგანდის მანქანა ისეთ მეთოდებს იყენებს და ისეთ მასშტაბებს უახლოვდება, რომ მასებისთვის „ტვინების გამორეცხვის" დიდოსტატს, მესამე რაიხის რაიხმინისტრს პროპაგანდის დარგში, იოზეფ გებელსსაც კი შეშურდებოდა.

დღევანდელი პოლიტიკური ვითარება იმდენად რთულია, რომ ძნელია ამ მდგომარეობიდან გამოსვლა, თუმცა არა შეუძლებელი.

**ბოლო მოვლენებმა აჩვენა ჩვენი ოპოზიციის სისუსტე, უპასუხისმგებლობა და, ფაქტობრივად, პოლიტიკური სიკვდილი. დღეს საქართველოში არ არსებობს ოპოზიციური ძალა, რომელიც საზოგადოებას შესთავაზებდა ჩიხური მდგომარეობიდან გამოსავლის ალტერნატიულ გზას და მსოფლმხედველობას.**

ამ ყველაფერმა ქართულ საზოგადოებაში ნიჰილიზმი და პესიმიზმი დანერგა. სწორედ ამ ფაქტორებით შეიძლება ავხსნათ მოქალაქეთა მხრიდან ყველაფერ იმ უმსგავსობასთან შეგუება, რაც საქართველოში ხდება. შეუძლებელია, ვიფიქროთ იმაზე, რომ მოსახლეობის უმრავლესობაში ოპოზიციური სულისკვეთება არ სუფევს (2009 წლის 9 აპრილი ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში, მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობა უფრო გაუარესდა). მაშინ რატომ გამოავლინა ქართველთა უმრავლესობამ გულგრილობა იმ აქციის მიმართ, რომელიც 21 მაისს დაიწყო? ეს ხომ არ მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოში რეალურად არ არსებობს ქართველი ერის ინტერესებისა და მოთხოვნების აღმქმელი და ცხოვრებაში გამტარებელი პოლიტიკური სუბიექტი?!

**ქართული პოლიტიკური სივრცის ოპოზიციური ფლანგი რამდენიმე ხნით გამოთავისუფლდა. პოლიტიკური სისტემის შიგნით ოპოზიციური ძალების პოლიტიკურმა სიკვდილმა პოლიტიკურ ძალთა ბალანსის დარღვევა გამოიწვია და სახელისუფლო პოლიტიკურ კლასს მიეცა შესანიშნავი შანსი მთლიანად პოლიტიკურ სისტემაზე კონტროლის დასამყარებლად.**

აღარ იარსებებს ხელისუფლების ქმედების მაკონტროლებელი და შემზღუდველი პოლიტიკური სუბიექტი, რაც ხელს შეუწყობს ხელისუფლების გარყვნას. დემოკრატიულ ქვეყნებში ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების ერთ-ერთ უმთავრეს ფუნქციას წარმოადგენს ხელისუფლების შეკავება და აგრეგაცია (საზოგადოების მხრიდან წამოსული მოთხოვნების მიტანა სამთავრობო სტრუქტურებამდე).



**საქართველოში ოპოზიციური ძალების არარსებობის პირობებში, ხელისუფლება დაამყარებს ტოტალურ კონტროლს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე. მ. სააკაშვილი იქნება ყველგან და ყოველთვის, ყველა ოჯახში და ყველა ადამიანის გვერდით, იგი გახდება ერთადერთი ჭეშმარიტი იდეების მატარებელი, ყველა დანარჩენი განსხვავებული აზრის მქონე ადამიანი იქნება დისიდენტი და ქვეყნის მტერი.**

კაცობრიობის ისტორიამ ცხადყო, რომ ადამიანები უფრო და უფრო მეტი ძალაუფლებისკენ მიისწრაფვიან. სწორედ ამ ფაქტმა დააყენა განვლილი საუკუნეების ინტელექტუალები პოლიტიკური თამაშის წესების ძიების იმ გზაზე, რომელსაც უნდა დაეცვა საზოგადოება მმართველობის უკანონო და აღვირახსნილი ქმედებებისაგან. ნებისმიერი მმართველი და ხელისუფალი მიდრეკილია გარყვნისაკენ, თუ არ იარსებებს მათი ძალაუფლების შემზღუდველი მექანიზმები. „ხელისუფლება რყვნის, ხოლო აბსოლუტური ხელისუფლება რყვნის აბსოლუტურად" (ლორდი ექტონი).

საქართველოში ხელისუფლების კონტროლის მექანიზმების არარსებობის პირობებში, იგი შეეცდება, ტოტალური კონტროლი დაამყაროს ყველაფერზე, უფრო მეტად მოუჭიროს მარწუხები, რაც პირდაპირპროპორციულად აისახება მოსახლეობიდან წამოსული ნეგატიური იმპულსების ზრდაზე მმართველი გუნდის მიმართ. ეს პროცესები ქვეყანას უფრო მეტ სიღატაკეში ჩააგდებს, რაც ისედაც გაღატაკებულ მოსახლეობას კიდევ უფრო რთულ მატერიალურ და ეკონომიკურ მდგომარეობაში ჩააგდებს, ყველაფერმა ამან შეიძლება საქართველო მომავალში სოციალურ აფეთქებამდე მიიყვანოს, რაც რევოლუციური განწყობების ზრდას შეუწყობს ხელს ქართულ საზოგადოებაში. რევოლუციების, გადატრიალებების მთავარი მამოძრავებელი ძალა არის ადამიანთა შევიწროება, ცუდი პირობები და ასეთი მდგომარეობა ქართულ საზოგადოებას მისცემს სტიმულს, იბრძოლოს უკეთესი მდგომარეობის მისაღწევად.

**ვინმეს თუ ჰგონია, რომ საქართველოში ხელისუფლება არჩევნების გზით შეიცვლება, ძალიან ცდება. „კონსტრუქციული ოპოზიციის" მიერ საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებისა და არჩევნების შედეგად ხელისუფლების შეცვლის თაობაზე გაკეთებული განცხადებები განკუთვნილია მიამიტი ქართველებისთვის. ნუთუ იმ მოვლენების შემდეგ, რომელთაც ადგილი ჰქონდა საქართველოში, ეს ხელისუფლება რომელიმე სხვა პოლიტიკურ ძალას გადასცემს ძალაუფლებას კონსტიტუციური გზით?**

ოპოზიციის პოლიტიკური სიკვდილის შემდეგ დღევანდელი პოლიტიკური რეალობა ისეთია, რომ ხელისუფლებას, „ნაციონალურ მოძრაობას" მომავალ საპარლამენტო არჩევნებში, ფაქტობრივად, კონკურენტი აღარ ეყოლება. მომავალ საპარლამენტო არჩევნებში არ ჩანს ისეთი პოლიტიკური სუბიექტი, რომელიც „ნაციონალურ მოძრაობას" კონკურენციას გაუწევს, თუ იმ ტერორსაც გავითვალისწინებთ, რომელიც განსხვავებულად მოაზროვნეების მიმართ ხორციელდება. ხოლო ის კვაზი პოლიტიკური პარტიები, რომლებიც პარლამენტის შიგნითაა მოკალათებული, ფაქტობრივად, მმართველი პარტიის განშტოებებს წარმოადგენს, რომლებიც მოწოდებულია, დემოკრატიულობის იმიჯი შეუქმნას ქართულ პოლიტიკურ სისტემას. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების ანალიზისას იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ საქართველო მიიღებს ფორმალურად დემოკრატიულ, ხოლო ფაქტობრივად — ერთპარტიულ დიქტატურას.

მომავალი პოლიტიკური ბატალიები იქითკენ მიექანება, რაც პოლიტიკური სისტემის მეტად დახურვას გამოიწვევს. ასეთი მდგომარეობა ხელს შეუწყობს მომავალში მაღალ სახელისუფლო ეშელონებში გამოუცდელი და არაპროფესიონალი, მაგრამ ერთგული კადრების აღზევებას. ისინი ყველაფერს გააკეთებენ ძალაუფლების შენარჩუნების მიზნით. მომავალში არ უნდა გამოვრიცხოთ ძალადობრივი მეთოდებისა და ტერორის უფრო მეტად გამოყენება, რაც, ალბათ, ხელს შეუწყობს რამდენიმე წლის შემდეგ ახალი რევოლუციური ტალღის აგორებას. „ყოველი მომდევნო რევოლუცია შემდეგის წინამობედი ხდებოდა"(დევიდ იუმი). თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ეს ხელისუფლება ძალიან ხშირად ქართულ საზოგადოებას რევოლუციის პირმშოდ მოიხსენიებს.

საქართველოს დღევანდელი პოლიტიკური მდგომარეობა კი სავალალოა, მაგრამ არა უიმედო. შეიძლება ეს პოლიტიკური რეალობა შევაფასოთ როგორც ნეგატიურ, ასევე პოზიტიურ ჭრილში: **პოლიტიკური პროცესების ნეგატიური კუთხით განვითარებაში ვგულისხმობთ იმას, რომ ამერიკელები შეეცდებიან დღევანდელ კლინიკურ სიკვდილში მყოფი „კონსტუქციული" ოპოზიციური პარტიებიდან ხელი შეუწყონ რომელიმეს რეანიმაციას და მის ქართულ პოლიტიკურ ავანგარდში მოთავსებას. არ გამოვრიცხავთ იმასაც, რომ მომავალში ახალი პოლიტიკური დაჯგუფების ლიდერად ირაკლი ალასანია მოგვევლინოს და მას ეს პოლიტიკური ძალები ქართულ საზოგადოებას წარუდგენენ როგორც ერთადერთ ალტერნატივას.**

ამერიკელებმა ბრწყინვალედ იციან, რომ ხელისუფლება კონტროლის გარეშე ნიშნავს კანონიერი ჩარჩოებიდან მის ამოვარდნას და საზოგადოების ძალადობრივი მეთოდებით მართვას, რაც, თავის მხრივ, მოსახლეობაში გამოიწვევს უკმაყოფილების ზრდას. **ასეთი ტიპის რეჟიმების ერთადერთი ბოლო არის გადატრიალება. სწორედ ამ დროს მოხდება პროამერიკული პოლიტიკური ძალებისა (დღესდღეობით ასეთად გვევლინება „კონსტრუქციული" ოპოზიციის სახელით ცნობილი პოლიტიკური პარტიები, შეიძლება, აგრეთვე, მათ რიგს მივაკუთვნოთ „ქრისტიან-დემოკრატები" გ. თარგამაძის ლიდერობით) და მათი ლიდერების წინა პლანზე წამოწევა.**

მოსახლეობის უმრავლესობა, რომელიც დღეს ნიჰილისტურად არის განწყობილი პოლიტიკოსებისა და პოლიტიკური პარტიების მიმართ, იძულებული გახდება, ნებისმიერ პოლიტიკურ ძალას მიემხროს ამ პოლიტიკური რეჟიმის დასამხობად. **შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ჯონ ბასის მიერ გაკეთებული განცხადება, რითაც მან, ფაქტობრივად, მწვანე შუქი აუნთო ხელისუფლების მიერ მომიტინგეთა დარბევას, იმ კარტის გათამაშებას ისახავდა მიზნად, რომელიც ირაკლი ალასანიასა და მის პოლიტიკურ გუნდს მომავალში გაუთავისუფლებდა გზას ხელისუფლებაში მოსასვლელად.** ეს ვარაუდი თუ გამართლდა, მოგვიწევს ისევ იმავე წრეზე ბრუნვა, რომელზეც, უკვე ოცი წელია, ვტრიალებთ. შემდეგ ისევ გაგრძელდება ის, რაც ადრე ხდებოდა. ხელისუფლებაში ახალი გუნდის მოსვლის შემდეგ, მათ ისევ გამოეყოფიან ყოფილი თანაგუნდელები, რომლებიც აუცილებლად ოპოზიციაში გადავლენ და ვაშინგტონში დაწერილი სცენარით მოვლენ ისევ ხელისუფლებაში. ეს ამერიკული წრებრუნვა არ შეწყდება მანამ, სანამ თავის სტრატეგიულ ინტერესებს არ ამოწურავს. თუ უკანასკნელი რამდენიმე წლის ქართულ-ამერიკულ ურთიერთობას გადავხედავთ, ჩვენი ორი ქვეყნის სტრატეგიული ინტერესები აბსოლუტურად განსხვავდება ერთმანეთისგან. ამას ცხადყოფს ზემოხსენებული აშშ-ის ელჩის უკანასკნელი განცხადებაც.

**როგორც უკვე ვთქვით, ამ რთულ პოლიტიკურ სიტუაციას პოზიტიური მომენტიც ახლავს, რაც, სუფთა პოლიტიკური დაფის პირობებში, ახალ პოლიტიკურ ძალას გამოჩენის შესაძლებლობას აძლევს, რათა ახალი სისხლი და ენერგია შემოიტანოს ქართულ პოლიტიკაში. საქართველოს დღეს სჭირდება ეროვნულად ორიენტირებული, პატრიოტი და საზოგადოებრივი აზრისა და ნების გამტარებელი პოლიტიკური სუბიექტი და არა ამერიკული კოლონიზატორული პოლიტიკის მალეგიტიმირებელი მარიონეტთა ჯგუფი.** საქართველოში ამჟამად არსებული სიტუაცია ხელსაყრელ პირობებს ქმნის ახალი პოლიტიკური ძალის აღმოცენებისთვის. ქართულ საზოგადოებაში პოლიტიკური პროცესებისადმი არსებული პესიმიზმი ახალ ეროვნულ იდეოლოგიურ პლატფორმაზე დაფუძნებული პოლიტიკური პარტიის გაჩენის შესაძლებლობის იმედს გვიტოვებს.

**ბოლო მოვლენებიდან გამომდინარე, ნათლად ჩანს, რომ პოლიტიკურ ძალთა კონფიგურაცია შეიცვალა. სახელისუფლო პარტიის გავლენა მკვეთრად გაიზარდა, „სახალხო კრებამ", „ქართულ პარტიასთან" ერთად, ყველანაირი რესურსი ამოწურა და მას არ აქვს მომავალი ქართულ პოლიტიკაში. რაც შეეხება დანარჩენ ოპოზიციურ ძალებს, მათი მდგომარეობა უფრო დამძიმდა — არავითარი შანსი არ ექნებათ მინიმუმ რამდენიმეწლიან პერსპექტივაში, რა თქმა უნდა, ვაშინგტონელი კურატორების დახმარების გარეშე. სწორედ ეს არის მეორე ფაქტორი, რაც გზას უხსნის ახალი პოლიტიკური სუბიექტის გამოჩენას ქართულ პოლიტიკაში.**

**ირაკლი უბილავა**

ქრონიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**და ვაშა სუხიშვილებს, რომლებმაც „ხორუმი“ არ იცეკვეს. პროტესტი იყო აშკარა, რომელიც ჰებელსის კანტორამ ზეიმის ორგანიზატორთა გადაწყვეტილებად გაასაღა. ეუხერხულათო. ამათ ხალხი მართლა ბრბო ჰგონიათ!**

# მეწამული სისხლი შავ ასფალტზე, ანუ «გარკვეულად მნიშვნელოვანი დღე»

**26 მაისს საპროტესტო აქციის დარბევა თბილისში, რუსთაველის პროსპექტზე, უკვე მოინათლა ბართლომეს ღამედ, ევროპის ისტორიის უსაშინელეს ტრაგედიად, როცა კათოლიკებმა პროტესტანტების ხოცვა-ჟლეტა მოაწყვეს.**
**ეს მოხდა 1572 წლის 24 აგვისტოს, წმინდა ბართლომეს დღესასწაულის წინა ღამეს.**
**ტრადიციულად მიიჩნევენ, რომ ტრაგედია საფრანგეთის მეფის, კარლოს IX-ს დედის — ეკატერინე მედიჩის პროვოცირებული იყო.**
**ტრადიციული — „შერშე ლა ფამ“? ეძებეთ ქალი?**
**ჩვენც შეგვიძლია, მოვძებნოთ, მაგრამ საეჭვოა, ასე ამოვხსნათ მრავალუცნობიანი განტოლება.**
**26 აგვისტოს საფრანგეთის მეფემ ოფიციალურად აღიარა, რომ კალვინისტების განადგურება მისი ბრძანებით განხორციელდა. ჩვენთან აღიარებას არავინ აპირებს. იოანე პავლე II-მ 424 წლის შემდეგ ბოდიში მოუხადა ბართლომეს ღამის გამო პროტესტანტებს.**
**ჩვენ, ეტყობა, ხუთ საუკუნეს უნდა ველოდოთ ასეთ ჟესტს.**
**ბოდიში კი მოუხადა რომის პაპმა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ჰუგენოტები სააღდგომო კრავებივით უცოდველები იყვნენ საერთოდ.**


თბილისი. 2011 წლის 26 მაისი



თბილისი. 2011 წლის 26 მაისი

## ეცვა თუ არა ხელთათმანები ვახტანგ მაჭავარიანს? ანუ ყური, შამფური და კომპოზიტორი

მხარეთა ბრალეულობა ჯერ არავის აუწონია, მაგრამ არც უარუყვია, დაუდასტურებიათ კი — მრავალჯერ და უტყუარად.

ეტყობა, თბილისურ ბართლომეს ღამესაც ცალმხრივად ვერ განვიხილავთ, მაგრამ მომიტინგეთა სასტიკი დარბევა, ადამიანების სასიკვდილოდ გაწირვა სახელმწიფო მანქანის მიერ, რა თქმა უნდა, ხელისუფლების ბრალია. მით უფრო, რომ, როგორც ოფიციალურად იყო განცხადებული, ძალოვანმა სტრუქტურებმა ყველაფერი წინასწარ იცოდნენ, მაგრამ არაფერი იღონეს დაპირისპირების თავიდან ასაცილებლად.

**ამიტომ ხელისუფლების მცდელობა, ბრალი მარტოდენ „სახალხო კრებას“ დააკისროს, უსუსური, ყალბი და ყოვლად უსაფუძვლოა. ხოლო მისი არგუმენტები რომ გაიმეორო, თავმოყვარეობა სრულად უნდა გქონდეს დაკარგული, ისე, როგორც სვიმონ მასხარაშვილს. მაგრამ ახლა მისთვის არა გვცალია.**

**ისიც ვთქვათ, რომ ოპოზიციაც არ თვლის საჭიროდ, აღიაროს თავისი წილი პასუხისმგებლობა.**

საპარლამენტო კომისიამ განსაჯოსო.

რა ფასი აქვს ასეთი კომისიის საგამოძიებო დასკვნას, ვიცით...

ამიტომ ხომ არ იკისრა მომრიგებელი მოსამართლის ფუნქცია აშშ ელჩმა საქართველოში ჯონ ბასმა, აქციის დარბევამდე ორიოდ საათით ადრე გამზადებული რეცეპტი რომ დაგვიდო მაგიდაზე. **„საპროტესტო აქციის ორგანიზატორებს შორის არიან ადამიანები, რომლებიც ძალადობრივი კონფრონტაციის გამოწვევას ცდილობენ, — განაცხადა და დაგვმოძღვრა, — საპროტესტო მოქმედებით არ შეიძლება შეილახოს სხვა მოქალაქეების უფლებები, არ შეეშალოთ ხელი მათ თავიანთ საქმიანობაში, გადაადგილებაში და, თუნდაც, გარკვეული მნიშვნელოვანი დღეების სათანადოდ აღნიშვნაში“.**

**ეტყობა, კაიროს ტახრირის მოედანზე კვირების განმავლობაში გაგრძელებული მრავალათასიანი საპროტესტო აქცია ხელს არ უშლიდა ეგვიპტის დედაქალაქში მცხოვრებთ თავიანთი საქმიანობის განხორციელებასა და გადაადგილებაში, არც ტრიპოლიში, არც დამასკოში და არც სხვაგან.**

იმდენად არ უშლიდა, რომ აშშ-ის ხელდასმით ნატომ განახორციელა ახლო აღმოსავლეთის სამხედრო ოპერაცია (რომელიც ამჟამადაც მიმდინარეობს), რათა ამ ქვეყნების მოქალაქეებს მისცემოდათ შესაძლებლობა „თუნდაც გარკვეული მნიშვნელოვანი დღეების სათანადოდ აღნიშვნისთვის“.

ბასის განცხადება, არაორაზროვანი მითითება თუ არა, — მიდით, დაჰკარით, ბიჭებო! — ნამუსის მოწმენდას რომ ჰგავდა, ხომ უეჭველია.

**სურდა თუ არა, ამერიკის ელჩი იმ „ზონდერების“ მხარეს დადგა, ვინც ბართლომეს ღამე მოგვიწყო იმ დელგმასა და მეხთატეხაში, როცა ზეცაც კი აღშფოთებული ჩანდა შავ პერანგიანთა მხეცობით.**

ის ვილამ ასწავლა ამ „ვაჟკაცებს“, ვინაც „საძულველი მეფის რუსეთის“ სადამსჯელო




პრაქტიკიდან გადმოღებული „სკვოზ სტროიში“ გატარების მეთოდი ისედაც ნაცემ-ნაბეგვი დაპატიმრებულების რეზინის ხელჯოხებით „კონდიციამდე“ მიყვანით შემოქმედებითად განავრცო და განავითარა?

აიძულესო, არ თქვათ.

**ერთგულება 2500 ლარად არის ნაყიდი — თითოეულს, დაუზეგრავად.**

**ბატონო ბას! გაისად როგორ უნდა ვიზეიმოთ 26 მაისი — როგორც საქართველოს დამოუკიდებლობის „გარკვეულად მნიშვნელოვანი დღე“, თუ როგორც ბართლომეს ღამის ქართული ვარიანტი?**

**სანამ თქვენ არ იტყვით, ჩვენი ხელისუფლებისგან პასუხს ვერ მივიღებთ.**

### ეცვა თუ არა ხელთათმანები ვახტანგ მაჭავარიანს?

**ცა ფეხად ჩამოდიოდა, გრგვინავდა მრისხანება თბილისის ცაზე, მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის წინ კი ხელფეხშეკრული, თავგაჩეხილი, თვალებდავსილი და პირსახე წაშლილი კაცები ისე ეყარნენ შავ ასფალტზე, როგორც დაბორკილი ცხვრები ყელის გამოღადრვის მოლოდინში.**

**ორი დღის შემდეგ შშს-ს გაქსუებული ჩინოვნიკი გამოვა და გაამართლებს ასეთ სისასტიკეს — მსოფლიოში მიღებული და აპრობირებული მეთოდიაო.**

**დილამდე ხეხავდნენ ასფალტს დასუფთავების ნარინჯისფერი მუშაკები, სისხლის კვალი რომ წაეშალათ.**

დილით კი, როცა ნარინჯისფერი მზე კარგად შემაღლდა ცის კაბადონზე, პარლამენტის კიბეებიდან ჩამობრძანდა ხელისუფალი და საგანგებოდ აგებული თეთრი ტრიბუნის ცენტრში დაიკავა მისთვის განკუთვნილი ადგილი.

საკუთარ ხალხზე გამარჯვების ზეიმი დაიწყო...

ამ ხელისუფლებისგან სხვას რას ელოდით?!

მაგრამ ყველაზე სამარცხვინო და შეურაცხმყოფელი იყო „პრეზიდენტის ბრწყინვალების ორდენის“ ჩამორიგების ცერემონია.

იქ, სადაც მზის სხივებს ზეცისკენ საკმევლად მიჰყვებოდა დაღვრილი სისხლის მირიადები, როგორც ხრუშჩოვის დროინდელ პურის რიგებში, ჩამწკრივებულიყვნენ „გამორჩეულნი“ და როგორც დიდ წყალობას, ელოდნენ ხელისუფლების ნაბოძები რკინაკაველის ჩამორიგებას.

სწორება! სმენა! ზეიმის კულმინაცია!

**არ ვიცი, ვინ როგორ აღიქვა, მე კი ნინი ბადურაშვილის მიერ ნამღერ ჰიმნში ხმის კანკალი უფრო შევნიშნე, ვიდრე საზეიმო ჟღერადობა.**

**და ვაშა სუხიშვილებს, რომლებმაც „ხორუმი“ არ იცეკვეს. პროტესტი იყო აშკარა, რომელიც ჰებელსის კანტორამ ზეიმის ორგანიზატორთა გადაწყვეტილებად გაასაღა.**

**ეუხერხულათო.**

**ამათ ხალხი მართლა ბრბო ჰგონიათ!**

რჩეულთა შორის რჩეულნი კი იდგნენ და ელოდნენ... და სანამ ელოდებიან, ერთი პარალელი გავავლოთ.

რამდენად მართალია, რამდენად ფანტაზიის ნაყოფია, ძნელია ახლა დადგენა, მაგრამ ხალხში მოარულ ხმადაა გავრცელებული, თითქოს ლავრენტი ბერიას მითითებით ქართველ დირიჟორ ევგენი მიქელაძეს ყურში შამფური გაუყარეს.

ძნელი დასაჯერებელია.

მაგრამ ფაქტია, რომ ეს დიდებული ადამიანი, მუსიკოსი, რომელსაც მსოფლიოში ჰქონდა სახელი გავარდნილი, დახვრიტეს.

იდგა 1937 წელი.

ახლა წარმოიდგინეთ: **ბერიას რომელიმე ქართველი მუსიკოსი ევგენი მიქელაძის დახვრეტის კვალზე ორდენით რომ დაეჯილდოებინა, და მასაც საჯაროდ, ხალხის დასანახად და დიდი მადლიერების გრძნობით მიეღო ჯილდო ლავრენტი პავლოვიჩის ხელიდან...**

ვერ წარმოიდგენთ, რადგან ასეთ ფაქტს „ადგილი არ ჰქონია“. სამაგიეროდ ასეთ ფაქტს ”ადგილი ქონდა” 2011 წლის 26 მაისს, რუსთაველის პროსპექტზე, საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავ ზეიმზე.

**ბრწყინვალების ორდენი მიიღო დირიჟორმა ვახტანგ მაჭავარიანმა, ლეგენდარული ქართველი ლოტბარის — კირილე პაჭკორიას შვილიშვილმა, გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორის — ალექსი მაჭავარიანის შვილმა, რომელიც უცხოეთში მოღვაწეობს და საქართველოში ევგენი მიქელაძის სახელობის სიმფონიური ორკესტრის პირველი დირიჟორი იყო.**

ეტყობა, ასეთია დღევანდელი გაგება პირადი ღირსების, პრინციპულობის, მორალის დღევანდელი კონფიგურაცია.

**„როგორ ვიზარდეთ,**
**წარსულისაკენ**
**რა შორი გზაა,**
**რა დაღმართია!“**

წარსულში ჩავიხედოთ და გავიხსენოთ დიდი გერმანელი კომპოზიტორი ვაგნერი.

ვახტანგ მაჭავარიანი ვაგნერი არ არის, მაგრამ — მაინც. ▶

მიტინგი არასდროს ყოფილა ამ ქვეყანაში აკრძალული. რაც შეეხება ნინო ბურჯანაძეს, ვფიქრობ, ის პოლიტიკაში აღარ დარჩება, ვინაიდან საზოგადოებაში მისი რეიტინგი დაბალია. მეორეც, თუ ძიება დაადგენს, რომ მისი და მისი ვაჟის საუბარი მხოლოდ ბოროტი ოცნება კი არა, შეთქმულების ნაწილი იყო, მაშინ უკვე მათი სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი დადგება. ვფიქრობ, ბურჯანაძე საკუთარი ოჯახურ-პიროვნული დიდების წყურვილითაა დაბრმავებული.

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**რიხარდ ვაგნერი პირწავარდნილი ანტისემიტი იყო. სამწუხაროდ, — არა ერთადერთი ხელოვნების სამყაროში. ანტისემიტობით გამოირჩეოდნენ შოპენი, ბეთჰოვენი, ლისტი, რახმანინოვი, ვოლტერი... მაგრამ ვაგნერი აქტიური ანტისემიტი გახლდათ და თავის მრავალრიცხოვან პუბლიკაციებში ებრაელთა გაჟლეტას ქადაგებდა.**

ჰიტლერს იგი თავის სულიერ მოძღვრად მიაჩნდა.

მაგრამ ვაგნერს „ბედმა გაუღიმა", იგი ნაცისტების ხელისუფლებაში მოსვლამდე 50 წლით ადრე გარდაიცვალა.

ამბობენ, რომ ებრაელი კომპოზიტორების ნაწარმოებთა შესრულებისას მას თეთრი ხელთათმანები ეცვა, ჭუჭყი რომ არ მოსცხებოდა.

**ეცვა ხელთათმანები ვახტანგ მაჭავარიანს „პრეზიდენტის ბრწყინვალების ორდენის" მიღებისას?.. არ ვიცი, მაგრამ სათანამშრომლოდ, ეტყობა, მზად არის.**

**მაჭავარიანის ფაქტი კერძო შემთხვევა რომ იყოს, ჯანდაბას. მაგრამ ყველაფრიდან ჩანს, რომ სახეზეა ინტელიგენციის ერთი ნაწილის სულიერი დეგრადაცია. მეორედ ვრწმუნდებით ამაში და არც ერთხელ — არც ამ 26 მაისს, არც — უწინ, არავინ არ გამოჩნდა ისეთი, ვინც, როგორც თავის დროზე შესანიშნავმა ქართველმა მსახიობმა ნოდარ მგალობლიშვილმა შევარდნაძეს ღირსების ორდენი დაუბრუნა, სააკაშვილსაც ისევე დაუბრუნებდა ჯილდოს.**

ერთმა ენამწარე თბილისელმა ამ სამარცხვინო ფაქტთან დაკავშირებით გაზეთში ნეკროლოგის გამოქვეყნება შემოგვთავაზა: **„მწუხარებით ვიუწყებით, რომ დაჯილდოებით გამოწვეულ სიხარულს ვერ გაუძლო, გული გაუსკდა და გარდაიცვალა ყოფილი პოეტი ესა და ესო".**

გვარის დაკონკრეტებისგან და ნეკროლოგის პუბლიკაციისგან თავი შევიკავეთ, რადგან, ჯერ ერთი, თუ მოსწონს, შეარგოს სააკაშვილის ჯილდო, ნასისხლარზე მიღებული; მეორეც იმიტომ, რომ ისედაც ყველა მიხვდება, ვისზეცაა ლაპარაკი.

**დავით ბაზაძე**

**P.S. „ბართლომეს ღამე კათოლიკებსა და ჰუგენოტებს შორის დაუნდობელი ომის კულმინაცია იყო, ჭეშმარიტების მომენტი, როცა თითოეული ადამიანი. საფრანგეთის თითოეული მოქალაქე — ან მკვლელთა მხარეს უნდა დამდგარიყო, ან მათ მსხვერპლთ მიმხრობოდა... იმ ღამეს სახელმწიფოს ბედი უნდა გადაწყვეტილიყო" (ალექსანდრ ბუშკოვი, „რუსეთი, რომელიც არ არის").**

**ერთი შტრიხი იმედის ნაპერწკალივით მაინც გაკრთა ეკრანზე 26-ის ღამეს: დარბევა დაიწყო და ერთი ახალგაზრდა ქალი, „ზონდერებს" გარიდებული, პარლამენტის წინ, ტრიბუნის ფიცარნაგზე ჩამორბის. პოლიციელი ხელს შეაშველებს, მიეხმარება.**

**ღმერთმა არ ქნას, რომ მომეჩვენა.**

## დავით დარჩიაშვილი:

# პოლიციას სამშობლოსგან მადლობა ეკუთვნის

**ხელისუფლების ერთ-ერთი წარმომადგენელი, პარლამენტარი დავით დარჩიაშვილი მიიჩნევს, რომ 25 მაისს ხელისუფლებამ მოსალოდნელი საფრთხე ეფექტურად აღკვეთა და შედეგებზე პასუხისმგებლობა მხოლოდ აქციის ორგანიზატორებს ეკისრება. გამოიძიებს თუ არა ხელისუფლება სამართალდამცველების მხრიდან ძალის გადამეტების ფაქტებს და დაისჯება თუ არა ვინმე — ამის თაობაზე „საქართველო და მსოფლიოს" დავით დარჩიაშვილი ესაუბრა.**



**— თქვენ ფიქრობთ, რომ 25 მაისს განვითარებულ მოვლენებზე პასუხისმგებლობა მხოლოდ აქციის ორგანიზატორებს ეკისრება, რატომ?**

— 25 მაისს განვითარებული მოვლენების სამართლებრივი შეფასება, ვფიქრობ, მარტივია, რადგან არსებობს კანონმდებლობა, რომლის დაცვაც ყველასთვის სავალდებულოა. ქვეყანაში აქციის ჩატარება ნებადართულია, თუმცა არ შეიძლება აქციის ჩატარება ძალადობრივი ფორმითა და მოწოდებებით, როგორც ეს ხდებოდა აღნიშნულ აქციებზე, სადაც ქსენოფობიური განცხადებები და ეროვნულ უმცირესობებზე აგდებული საუბარიც მოვისმინეთ. საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, მაგალითად, გაეროს ერთ-ერთი რეზოლუციის მიხედვით, პოლიციის მხრიდან ძალის გამოყენება უნდა იყოს პროპორციული, მაგრამ ასევე ცალსახადაა ნათქვამი, რომ, თავის მხრივ, პოლიციელზე ხელის აღმართვაც სახელმწიფოზე ხელის აღმართვას ნიშნავს.

**— მაგრამ ეს ადამიანები არ იყვნენ შეიარაღებულები და 25 მაისს მშვიდად მართავდნენ აქციას.**

**— შეიარაღებაში თუ მაინცდამაინც M4 ტიპის ავტომატს გულისხმობთ, შესაძლოა, ავტომატები არ ჰქონდათ, მაგრამ, საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, ეს არ იყო მშვიდობიანი აქცია. ეს იყო ეგზალტირებული ხალხის აქცია, ძალადობრივი მოწოდებებითა და ფიზიკური ძალდობის შემთხვევებით.**

აქციის მონაწილეები აგრესიულები იყვნენ როგორც ჟურნალისტების, ასევე რიგითი გამვლელების მიმართ. რაც აქციის მონაწილეებს ხელში ეჭირათ და რაც ახლომახლო ჰქონდათ მომარაგებული, ესეც შეიარაღებად ითვლება, უბრალოდ, თავიანთმა ინსტრუქტორებმა, ეტყობა, ვერ ასწავლეს „მოლოტოვის კოქტეილების" გამოყენება, ამასთან, სამართალდამცავებმაც სწრაფად და ეფექტურად დაშალეს აქცია და ვითარებაც მალე განიმუხტა.

**— მაგრამ სამართალდამცავების ქმედებას მოჰყვა მსხვერპლი — გარდაიცვალნენ და დასახიჩრდნენ ადამიანები, გრძნობს თუ არა ამ ყველაფერზე პასუხისმგებლობას ხელისუფლება?**

**— სამწუხაროდ, რაც მოხდა, ეს არის ტრაგედია და გარდაცვლილი ადამიანების ოჯახებს უღრმესი სამძიმარი ეკუთვნით, მაგრამ რატომ უნდა იგრძნოს პასუხისმგებლობა ხელისუფლებამ?**

## Human Rights Watch-ი არის მნიშვნელოვანი სტრუქტურა, მაგრამ ის არ არის ერთადერთი ორგანიზაცია, რომელიც მსოფლიოში საზოგადოებრივ აზრს ქმნის

ხელისუფლების მხრიდან საგანგებო ზომების მიღება აუცილებელი იყო და აქციის ლიდერები გაფრთხილებული იყვნენ, მაგრამ მაინც აიღეს საკუთარ თავზე პასუხისმგებლობა, აქციიდან ხალხი არ გაუშვეს, თუმცა იცოდნენ, რომ დაპირისპირებას, შესაძლოა, მსხვერპლი მოჰყოლოდა.

**ამას გარდა, ნინო ბურჯანაძისა და ზოგიერთი პოლიტიკოსის პირველივე წუთებში აქციიდან გაქცევასა და ხალხში ავტომანქანებით შევარდნას თუ გავითვალისწინებთ, როგორ შეიძლება საღად მოაზროვნე ადამიანმა 26 მაისის მოვლენებზე პასუხისმგებლობა ხელისუფლებას დააკისროს?!**

**— როგორც ხელისუფლების ერთ-ერთი წარმომადგენელი აღიარებთ თუ არა, რომ სამართალდამცველების მხრიდან ძალის გადაჭარბებას ჰქონდა ადგილი?**

— შესაძლოა, ცალკეულ შემთხვევებში, ხაზს ვუსვამ, ცალკეული სპეცრაზმელის მხრიდან, ყოფილიყო ძალის გადამეტების ფაქტი. არ ვიცი მკითხველი როგორ გამიგებს, მაგრამ არც ერთ ქვეყანაში არ ხდება აქციის დაშლა ძალის გადამეტების გარეშე. ყველა საერთაშორისო სტანდარტის სკრუპულოზურად დაცვა ძალიან რთულია.

**— საზოგადოებამ იხილა კადრები, სადაც ათი კაცი ერთ ახალგაზრდას ურტყამს, ვნახეთ დასახიჩრებული ადამიანები, ნაცემი მოხუცები...**

— გარწმუნებთ, კონკრეტული პოლიციელების ქმედებები იქნება გამოძიებული. მე ვნახე ერთადერთი ასეთი კადრი ტელეკომპანია „მაესტროს" ეთერში, როდესაც ხელებაწეულ ახალგაზრდას პოლიციელები ურტყამენ, მაგრამ იქ არ ჩანს, როგორ იქცეოდა ეს ახალგაზრდა ამ მომენტამდე, თუმცა ეს, რა თქმა უნდა, პოლიციელებს ქმედებას არ ამართლებს. მაგრამ ამას გარდა, მე ბევრი ისეთი კადრიც ვნახე, სადაც სპეცრაზმელებს მოხუცები და ქალები გამოჰყავდათ აქციიდან და, ჟურნალისტებს რომ არ ერჩოდნენ, ესეც დანამდვილებით ვიცი.

**— შესაძლოა, ცალკეულმა პოლიციელმა გამოიჩინოს კეთილი ნება, მაგრამ ამის მიუხედავად, უამრავი ჟურნალისტი დაზარალდა. ისინი ყვებიან, რომ, როდესაც ჟურნალისტის დამადასტურებელ მოწმობას აჩვენებდნენ, მაინც სცემდნენ, ართმევდნენ სამუშაო აპარატურას, ხელს უშლიდნენ პროფესიული მოვალეობის შესრულებაში. ხელისუფლება აპროტესტებდა ჟურნალისტების მიმართ აქციის მონაწილეების აგრესიულ ქმედებებს, თუმცა 25 მაისს თავად უარესად მოექცა ჟურნალისტებს.**

— მე ძალიან ბევრი ჟურნალისტისგან მოვისმინე, რომ აქციაზე მათთვის არაფერი დაუშავებიათ, მაგრამ **ჟურნალისტმაც უნდა იცოდეს მოქცევის წესები, უნდა იცოდეს, ასეთ დროს სად დადგეს. გარწმუნებთ, ჟურნალისტებს არაფერს ერჩოდნენ და ცალკეული ასეთი შემთხვევები თუ იყო, სამართალდამცველთა პასუხისმგებლობის საკითხი დადგება.**

სამწუხაროა, რომ სწორედ ამგვარი ცალკეული შემთხვევების გამო, ეროვნული ინტერესებისა და მშვიდობისთვის განხორციელებული მოქმედება, მთლიანობაში აღიქმება როგორც არაადეკვატური და უსამართლო.

**— „თავისუფალი დემოკრატების" ლიდერი ირაკლი ალასანია ინიციატივით გამოვიდა, შეიქმნას საპარლამენტო კომისია, რომელიც მომხდარ მოვლენებს გამოიძიებს. აპირებს თუ არა პარლამენტი ამ მიმართულებით მუშაობას?**

**— ირაკლი ალასანიამ ბევრი რამ შეიძლება განაცხადოს. მესმის, რომ მას კრიტიკულად განწყობილი ელექტორატის გულის მოგება სურს, ასევე უნდა ქალბატონი ლიდერის მიმართ იმედგაცრუებული ხალხის მიმხრობაც. ეს პოლიტიკური ბრძოლის ჩვეული მეთოდია, მაგრამ ირაკლი ალასანიას განცხადებები უპასუხისმგებლოა.**

თავად, როგორც უნდა, გამოიძიოს, არავინ უშლის, მაგრამ პარლამენტში როგორ მოვიქცეთ, გადაწყვეტილების მიღების უფლება ჩვენ დაგვიტოვოს, ხოლო როცა არჩევნები ჩატარდება, მოახერხოს პარლამენტში შესვლა და შემდგომში მიიღოს გადაწყვეტილებები.

**—თქვენ ახსენეთ, რომ ხელისუფლება ყველაფერს გამოძიებს, როგორ ფიქრობთ, დაისჯებიან სამართალდამცველები თუ პირიქით, მათ პრემიებით დააჯილდოებენ?**

**— როგორც აღვნიშნე, აქციის დაშლა აუცილებელი იყო, ვინაიდან ქვეყანას სერიოზული საფრთხე ემუქრებოდა. პოლიციის დამსახურებაა, რომ ქვეყანამ მოსალოდნელი საფრთხე აიცილა და ბუნებრივია, პოლიციას სამშობლოსგან მადლობა ეკუთვნის.**

**— 25 მაისის ღამე მსხვერპლით დასრულდა. ამის შემდეგ რამდენად გამართლებული იყო 26 მაისს აღლუმის საზეიმო ვითარებაში ჩატარება?**

— რატომ არ უნდა ჩაგვეტარებინა აღლუმი, პუტინს რომ გახარებოდა?

ჩვენ საქართველოს დამოუკიდებლობა ვიზეიმეთ და არ ვფიქრობ, რომ ეს გასართობი ღონისძიება იყო. ხელისუფლების არც ერთ წარმომადგენელს არ სურს, ძალა გამოიყენოს ხალხის წინააღმდეგ, მაგრამ, სამწუხაროდ, ზოგჯერ ეს გარდაუვალია.

**— ძალის გადამეტებაში და სასტიკ მოპყრობაში თქვენ უფლებადამცველები და იურისტებიც გადანაშაულებენ..**

— გასაგებია, რომ გელა ნიკოლაიშვილი არის აბსოლუტურად პოლიტიზებული ადამიანი; მან ოღონდ ხელისუფლება დაადანაშაულოს და ყოველთვის ისე დახატავს სურათს.

**— არა მარტო გელა ნიკოლეიშვილი, ადამიანის უფლებათა დამცველმა ორგანიზაციამ Human Rights Watch-მა და სხვა უფლებადამცველმა ორგანიზაციებმა სამართალდამცველების მხრიდან გადამეტებაზე ისაუბრეს.**

— **Human Rights Watch**-ი არის მნიშვნელოვანი სტრუქტურა, მაგრამ ის არ არის ერთადერთი ორგანიზაცია, რომელიც მსოფლიოში საზოგადოებრივ აზრს ქმნის. მიმაჩნია, რომ ამ შემთხვევაში მათ, უბრალოდ, არ იციან, რა წინაპირობა უძღოდა ამ ყველაფერს წინ და კონტექსტის გაუთვალისწინებლად მხოლოდ ცალკეულ ფაქტებზე აკეთებენ აქცენტს.

**— აშშ-ის ელჩის — ჯონ ბასის განცხადება საზოგადოების ნაწილმა 25 მაისის აქციის დარბევაზე ხელისუფლებისთვის ნების დართვად აღიქვა. გაამძაფრებს თუ არა ეს საქართველოში ანტიამერიკულ განწყობას?**

— მოდი ხალხს თავი დავანებოთ. ხალხის ენით საუბარი მხოლოდ მაშინ შეიძლება, როდესაც გვაქვს ან არჩევნების, ან სოციოლოგიური კვლევის შედეგები. ხელაღებით ხალხზე საუბარი არასწორი და სუბიექტურია. მე მგონია, რომ ქართულ საზოგადოებას კარგად ესმის, რომ შეერთებული შტატები ჩვენი სტრატეგიული პარტნიორია და სახელმწიფოს მშენებლობის გზა ია-ვარდით მოფენილი არც ერთ ქვეყანაში არ ყოფილა.

**— აქციები ისევ გრძელდება. რას აპირებს ხელისუფლება, შეიძლება თუ არა იმავე მოვლენების განმეორებას ველოდოთ? ბურჯანაძე აცხადებს, რომ ბრძოლას გააგრძელებს...**

— მიტინგი არასდროს ყოფილა ამ ქვეყანაში აკრძალული. რაც შეეხება ნინო ბურჯანაძეს, ვფიქრობ, ის პოლიტიკაში აღარ დარჩება, ვინაიდან საზოგადოებაში მისი რეიტინგი დაბალია. **მეორეც, თუ ძიება დაადგენს, რომ მისი და მისი ვაჟის საუბარი მხოლოდ ბოროტი ოცნება კი არა, შეთქმულების ნაწილი იყო, მაშინ უკვე მათი სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი დადგება. ვფიქრობ, ბურჯანაძე საკუთარი ოჯახურ-პიროვნული დიდების წყურვილითაა დაბრმავებული.**

**— მიხეილ სააკაშვილმა ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენით დაგაჯილდოვათ. როგორ ფიქრობთ, რა დამსახურებისთვის მიიღეთ აღნიშნული ჯილდო?**

— როგორც ვიცი, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სფეროში გარკვეული წვლილის შეტანისთვის დამაჯილდოეს. სიმართლე გითხრათ, ჩემთვისაც მოულოდნელი იყო ეს ორდენი, მაგრამ ნამდვილად მეამაყება.

ესაუბრა
**შორენა ციცქარაშვილი**

ექსკლუზივი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**„ხელისუფლებას დაუმორჩილებლობის შესახებ ინფორმაცია ჰქონდა მინიმუმ 5 მაისის ღამის 4 საათზე, მაგრამ არაფერი გაკეთებულა ამის აღსაკვეთად, თუნდაც ამ დაუმორჩილებლობის აღსაკვეთად; როგორც ადვოკატი შალვა თადუმაძე ამბობს, არ გაკეთებულა მანამ, ვიდრე არ დადგა კამერები, არ გათენდა, არ შეიკრიბა ხალხი და გაკეთდა პოლიტიკური განცხადებები“.**



# ალლუმისადმი პრეზიდენტის ახირებას ადამიანების სიცოცხლე მეორედ შეეწირა

**2009 წლის 5 მაისის დილას საინფორმაციო საშუალებებით ცნობილი გახდა, რომ ქვეყანაში სამხედრო გადატრიალება იგეგმებოდა, რომელიც სამართალდამცავებმა აღკვეთეს. სახელმწიფო გადატრიალებისა და სამხედრო ამბოხში მონაწილეობისთვის 41 პირი დააკავეს, მათგან კობა ოთანაძესა და ლევან ამირიძეს 28 და 29 წელი მიესაჯათ. ამავე დანაშაულისთვის აყვანის დროს მოხდა გია კრიალაშვილის ლიკვიდაცია. ამ ფაქტიდან სამი წლის შემდეგ, „ამბოხის“ ირგვლივ კვლავ უამრავი კითხვაა პასუხგაუცემელი. „ადამიანის უფლებათა ცენტრმა“ ჟურნალისტური გამოძიებით ბევრ კითხვას უპასუხა და ხელისუფლების ვერსია თავდაყირა დააყენა. საქმეში მონაწილე ადვოკატების განცხადებით, აღმოჩნდა, რომ ამბოხად შერაცხული სამხედრო მოსამსახურეების მოქმედებები თურმე რუსეთ-საქართველოს ომის მეორე წლისთავზე, 26 მაისის აღლუმში მონაწილეობაზე პროტესტი იყო. ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, რაზეც საუბარია ფილმში „ოპერაცია ამბოხი“, „საქართველო და მსოფლიომ“ ფილმის ავტორს, გიორგი ჯანელიძეს ინტერვიუ სთხოვა.**

**გიორგი ჯანელიძე**



## მუხროვანის ამბოხი იყო ბლეფი, რომელიც ხელისუფლებამ იმ სამხედროების დასასჯელად გამოიყენა, რომლებმაც დამარცხებული მთავარსარდლისთვის აღლუმის ჩაბარებაზე უარი თქვეს

**— გამოძიებას სხვა ვერსია ჰქონდა, თქვენი ჟურნალისტური გამოძიების შემდეგ კი აბსოლუტურად სხვა შეფასებები გაკეთდა.**

— ეს არ არის კლასიკური ჟურნალისტური გამოძიება, თუმცა ასე კი გამოვიდა, ალბათ, იმიტომ, რომ მასში მონაწილეობდნენ ადვოკატები, სამხედრო ექსპერტები, პოლიტოლოგები. საბოლოო ჯამში, შეიქმნა ისეთი შთაბეჭდილება, რომ, რაც მუხროვანში მოხდა, იყო უბრალო პროტესტი. **რამდენადაც ჩემთვის ადვოკატებისა და ექსპერტების მონათხრობიდანაა ცნობილი, რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ მოდიოდა პირველი 26 მაისი და ჯარისკაცების გარკვეულმა ჯგუფმა უარი განაცხადა აღლუმში მონაწილეობაზე. ეს იყო დაუმორჩილებლობა და არა ამბოხი.** დაუმორჩილებლობაც, რა თქმა უნდა, დასჯადია, მაგრამ კონკრეტული სამხედრო მოსამსახურეები უნდა დასჯილიყვნენ შესაბამისად და არა ასე მკაცრად. მოგეხსენებათ, ჩატარდა სპეცოპერაცია, რასაც შეეწირა ადამიანის სიცოცხლე, 41 ადამიანს წაეყენა ბრალი და დღეისთვის 19 იხდის სასჯელს.

**— ვერსია, რომ ეს იყო 26 მაისის აღლუმში მონაწილეობაზე უარის თქმა, არც კი გაჟღერებულა აქამდე.**

— არც ჩემთვის იყო ცნობილი აქამდე ამის შესახებ, თუმცა კულუარებში საუბრობდნენ, მაგრამ ფილმში, ადვოკატთა კორპუსი და ექსპერტები თამამად აცხადებენ ამის თაობაზე, თუმცა ისინიც არ უარყოფენ, რომ ეს ქმედებაც დასჯადია.

**— ჩვენ გვახსოვს მაშინდელი ვერსიები, რაც გაავრცელა ძალოვანმა უწყებამ, თითქოს ტანკები უნდა გამოსულიყო სამხედრო ნაწილიდან და დაემხო ხელისუფლება, ანუ რეალურად ამაზე საუბარი არც კი ყოფილა?**

— ფილმშიც არის საუბარი ამის თაობაზე. **ხელისუფლებას დაუმორჩილებლობის შესახებ ინფორმაცია ჰქონდა მინიმუმ 5 მაისის ღამის 4 საათზე, მაგრამ არაფერი გაკეთებულა ამის აღსაკვეთად, თუნდაც ამ დაუმორჩილებლობის აღსაკვეთად; როგორც ადვოკატი შალვა თადუმაძე ამბობს, არ გაკეთებულა მანამ, ვიდრე არ დადგა კამერები, არ გათენდა, არ შეიკრიბა ხალხი და გაკეთდა პოლიტიკური განცხადებები.**

**— ანუ ეს ფაქტი გამოიყენეს?**

— ფილმიდან შეგექმნებათ ამის შთაბეჭდილება, მე არაფერს ვამტკიცებ. ვეყრდნობი იმ ადამიანებს, რომლებსაც უშუალო შეხება ჰქონდათ ამ საქმესთან და დასკვნა ასეთია: თუ დაუმორჩილებლობას ჰქონდა ადგილი, ამის აღკვეთა თავისუფლად შეიძლებოდა მანამდეც.

**— რაც შეეხება პასუხისგებაში მიცემულ პირებს, მათი ოჯახის წევრები ამბობენ, რომ აბსურდული ბრალდებები აქვთ წაყენებული.**

— **დიახ. მაგალითად, იარაღის შენახვის მცდელობა, როგორც ადვოკატი შალვა თადუმაძე ამბობს, მსოფლიოში არ არსებობს მსგავსი ბრალდება. საქმეში ასევე ფიგურირებს ტანკი, რომელიც, ადვოკატების განცხადებით, მიჰქონდათ სარემონტოდ, მაგრამ მას გაუწყდა მუხლუხი და გამოიყვანეს მეორე ტანკი, რომელსაც უნდა შეებრუნებინა იგი უკან. ადვოკატი შალვა თადუმაძე ამბობს, ამას დაარქვეს ტექნიკის გადაადგილება და ა.შ., ანუ ტექნიკის გამოყვანასა და დისლოკაციის ადგილის შეცვლას ადგილი არ ჰქონია, შესაბამისად, ფაქტები იმისა, რომ მზადდებოდა გადატრიალება, არ არსებობს.**

**— რა ბრალდებით იხდიან სასჯელს პატიმრობაში მყოფი პირები?**

— სხვადასხვა ბრალდებებით. ოთანაძეს, ამირიძეს აქვთ ამბოხი, დაუმორჩილებლობაში დახმარება... რამდენიმე მუხლია, რაც ალოგიკურია, როგორც იურისტები განმარტავენ, ამბოხი თავისთავად შეიცავს დაუმორჩილებლობასაც, მაგრამ ამ ფილმში მონაწილე ადამიანების განმარტებით, იმისათვის, რომ მაქსიმალურად გაეზარდათ სასჯელი, მათ შეუფარდეს ამბოხი ცალკე და დაუმორჩილებლობა ცალკე, რამაც მოიცვა 29, 28 და 19 წელი. ადვოკატი კარგად ხსნის ამას ფილმში: ამბოხი, დაუმორჩილებლობას, ისევე, როგორც მკვლელობა სხეულის მძიმე დაზიანებას, ავტომატურად შეიცავს, მაგრამ ადამიანებს ცალკე მკვლელობისთვის და ცალკე სხეულის დაზიანებისთვის არ უსჯიან, დაახლოებით მსგავსი პარალელია იქ გავლებული. იმის გამო, რომ შეკრებითობის პრინციპით სასჯელის ვადა გაზრდილიყო, მათ ამ დანაშაულებისთვის ცალ-ცალკე შეუფარდეს სასჯელი.

**— კრიალაშვილის ლიკვიდაციის ოპერაციასაც ეხებით ფილმში?**

— დიახ. ფილმი შეგნებულად არის გადაღებული ავტორის ყოველგვარი კომენტარის გარეშე. ძალიან ბევრი ვერსია და ვარაუდია, მაგრამ საერთო ჯამში ეს ოპერაცია მინიმუმ ეჭვს აღძრავს, რაზეც პასუხები არ არის. სპეცოპერაციის შემდეგ მაშინვე დაიგო ასფალტი იმ ადგილას, ფაქტობრივად, მტკიცებულებები გაქრა. საეჭვოა ასევე, რომ ორმხრივი სროლა იყო და ა.შ. ფილმში საუბარია, რომ ამ სამმა ადამიანმა, რომლებიც იძებნებოდნენ, გადაწყვიტა მიკროავტობუსით გადაადგილება. როგორც ადვოკატი გელა ნიკოლაიშვილი ამბობს, ოთანაძის ჩვენების საფუძველზე, სწორედ ამ მიკროავტობუსში იყო ჩასაფრება, უკანა მხარეს, გატიხრულ ნაწილში. მას შემდეგ, რაც მანქანა დაიძრა და გარკვეული მანძილი გაიარეს, გაიხსნა ცეცხლი. გია კრიალაშვილს სამი ჭრილობა აქვს მიყენებული, მათ შორის ერთი — სასიკვდილო, რვა თუ ცხრა ტყვია აქვს ამირიძეს და შვიდი ტყვია ოთანაძეს. შემდეგ, როგორც ადვოკატები ყვებიან, იგი გადმოაგდეს ავტომანქანიდან და დაუცხრილეს მაჯები. **ცნობილი იყო, რომ ოთანაძეს შეეძლო რკინის ძალაყინის კისერზე გადაღუნვა და რკინის ლარიანებს ორი თითით ღუნავდა. როცა მაჯები დაუხვრიტეს, როგორც მისი ძმა ყვება, უთხრეს: ახლაც დაღუნე ლომი და რკინის ლარიანებიო.** რეალურად რა მოხდა იქ, ძალიან ძნელი სათქმელია და მე არაფერს ვამტკიცებ, მაგრამ ეს ყველაფერი კომპეტენტური ადამიანების მონათხრობზეა აგებული და დასკვნა მაყურებელმა გამოიტანოს.

**— როგორც ვიცი, არც ერთმა სახელმწიფო უწყებამ არ გააკეთა კომენტარი ამ ფილმში.**

— **მე მივწერე გივი თარგამაძეს, პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეს და ვთხოვე, დამხმარებოდნენ, რომ ფილმი გამოსულიყო დაბალანსებული და მოგვესმინა სახელმწიფოს პოზიცია. ეს წერილი 24 მარტს ჩაბარდა პარლამენტს და პასუხი დღემდე არ მოსულა. იმავე პერიოდში გავუგზავნე წერილი საქალაქო სასამართლოს, მინდოდა სპიკერ მოსამართლესთან ინტერვიუს ჩაწერა.** საქალაქო სასამართლომ მოგვწერა, რომ არ მიიჩნიეს მიზანშეწონილად სპიკერ-მოსამართლესთან ინტერვიუ და დაგვაკმაყოფილეს მხოლოდ და მხოლოდ ოფიციალური პრესრელიზით განაჩენის შესახებ, რაც ისედაც დევს მათ საიტზე. **ამ ფილმში ძალიან მნიშვნელოვანია რუსეთის ფაქტორი, ჩემი და არამხოლოდ ჩემი აზრით, თუ მართლაც რუსეთის ფაქტორს ჰქონდა ადგილი, რატომ არ წავიდა გამოძიება ამ მიმართულებით, რატომ არ იქნა ბოლომდე მიყვანილი ეს ყველაფერი?** სხვათა შორის ირაკლი სესიაშვილი ამბობს, რომ თითქოს ყველა პოლიტიკოსს პირი ჰქონდა შეკრული და ყველამ იცოდა, რა უნდა ეთქვა; ყველა გამუდმებით ლაპარაკობდა რუსეთის ფაქტორზე, მაგრამ ამას განვითარება არ მოჰყოლია.

**— დაპატიმრებულებზე თუ ხორციელდება რაიმე სახის ზეწოლა?**

— ამირიძე და ოთანაძე, რამდენადაც ფილმიდან ხდება ცნობილი, ერთკაციან საკანში იყვნენ წელიწად-ნახევრის განმავლობაში, უმძიმეს პირობებში, აბსოლუტურად იზოლირებულნი. სააპელაციო სასამართლოს ჩართვის შემდეგ გახდა შესაძლებელი ამ პირების გადაყვანა შედარებით უკუთეს პირობებში. **ზეწოლას რაც შეეხება, კობა ოთანაძის შვილი გამოაგდეს სკოლიდან. ერთი წლით მოუხდა ბავშვს გადასვლა რუსთავის სკოლაში. შემდეგ კი, როგორც მაშინდელმა განათლების მინისტრმა ნიკა გვარამიამ განაცხადა, მსგავს სისაძაგლეებს ადგილი არ ჰქონია, მოხერხდა მისი დაბრუნა სკოლაში. მე შეგნებულად აღარ მიცდია ამ ფაქტების გამოკვლევა, რადგან კვლავ არ შექმნოდა ბავშვს პრობლემები. ლევან ამირიძის მეუღლე, რომელიც განათლებით იურისტია და მუშაობდა პრობაციის სისტემაში, 5 მაისს გაათავისუფლეს სამსახურიდან. შოთა გორგიაშვილის მეუღლე მუშაობდა თავდაცვაში მაღალ თანამდებობაზე, ისიც გაათავისუფლეს დაკავებული თანამდებობიდან. ყველა საკუთარი განცხადების საფუძველზე, თუმცა ეს არ შეესაბამება სინამდვილეს. რაც შეეხება კობა ოთანაძის ძმას, 5 მაისსა და 21 მაისს ჩატარებულ სპეცოპერაციას შორის არის 16 დღე, ამ ხნის განმავლობაში, როგორც ჯიმი ოთანაძე ყვება, აიყვანეს ოთანაძის ერთი ძმა, ერთი კვირის შემდეგ — მეორე ძმა თავისი ცოლ-შვილით. ერთი ღამის განმავლობაში ისინი „მოდულის“ შენობაში, იზოლატორში ჰყავდათ, სადაც ინტენსიურად მიმდინარეობდა ამ ადამიანის დამუშავება, სთხოვდნენ, გამოეყენებინა ნაცნობთა წრე და დაერწმუნებინა ძმა, ჩაბარებულიყო, წინააღმდეგ შემთხვევაში გაიცემოდა პრეზიდენტის ბრძანება მის ლიკვიდაციაზე. დილამდე ამყოფეს ეს ადამიანი იზოლატორში, პარალელურ რეჟიმში, როგორც ჩანს, მათ მიაგნეს და ეს გამოუშვეს. ჯონი ოთანაძე ყვება, რომ ქვემოთ ჩამოსულმა დაინახა, რომ დაკავებული ჰყავდათ მისი 16 ნათესავი, მათ შორის იყო 8 თვის ბავშვი.**

**— ანუ ძირითადი დარღვევები, რაც გამოიკვეთა, თუ არ ჩავთვლით ლიკვიდაციას, არის ის, რომ იყო ზეწოლა ბრალდებულთა ნათესავებზე, და ბრალდების შეცვლა?**

— იურიდიულად თუ შევხედავთ, ასე გამოდის. შეიძლებოდა ამ ადამიანების დაუმორჩილებლობისთვის გასამართლება. **ფილმში საუბარია იმაზეც, რომ ამ გაუგებრობაში მოხვდნენ ადამიანები, რომელთაც არანაირი კავშირი არ ჰქონდათ ამ ყველაფერთან. მაგალითად, საუბარია ოთანაძეზე. ფილმში ეს არ ჩამისვამს, მაგრამ მისი მეუღლე ამბობს, რომ ოთანაძე არ იყო მოქმედი სამხედრო მოსამსახურე. საინტერესოა, როგორ აღმოჩნდა ის იქ. როგორც მისი მეუღლე ამბობს, ის მსახურობდა ერაყში და იქ აპირებდა გარკვეული სამხედრო მოსამსახურეების წაყვანას. ასევე საინტერესოა, რატომ მაინცდამაინც ეს გვარები — ოთანაძე და კრიალაშვილი გამოიყენეს.** ცნობილია, რომ ეს ადამიანები მონაწილეობდნენ 2001 წლის ამბოხში, რომელიც გასაგებია, რომ სოციალური პირობების გამო, მაგრამ მაინც შეფასებულია ამბოხად. თითქმის ყველა ექსპერტმა აღნიშნა, რომ უფრო დამაჯერებელი რომ ყოფილიყო ეს ყველაფერი, ამიტომ გამოიყენეს ამ ადამიანების გვარები. მე კიდევ ვიმეორებ, ვერაფერს ვამტკიცებ, მაგრამ ეს ყველაფერი აგებულია კომპეტენტური ადამიანების საუბრებზე და დასკვნა თავად გამოიტანეთ.

ესაუბრა
**სოფო გელაშვილი**

**გათენდა, კოკისპირულმა წვიმამ გადაიღო და საპროტესტო აქციისა და მისი სასტიკი დარბევის ყველა კვალი გაქრა. სამხედრო აღლუმი გეგმის თანახმად ჩატარდა და ქართველი მაყურებლები აკვირდებოდნენ იმას, თუ როგორ ჩაიარა მისმა, ერთ დროს დამარცხებულმა, არმიამ იმ ქუჩაზე, რომელზეც იმავე დილას მისმა ძლევამოსილმა პოლიციამ ძალის გამოყენებით სასტიკად დაარბია ის, რასაც, გარემოებების გათვალისწინებით, ყველაზე უკეთ პროდემოკრატიული პროტესტის სახელი მოუხდება.**

დაიჯესტი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

# თვითმხილველის ნაამბობი

## იან კარვერი თბილისში პროდემოკრატიული პროტესტის სასტიკი დარბევის მოწმე გახდა

**თბილისი, 2011 წლის 26 მაისი — ხუთშაბათს საქართველო დამოუკიდებლობის დღეს ძალის მასობრივი დემონსტრაციით ზეიმობდა, ისეთივე ტანკებით, რაკეტებითა და თვითმფრინავებით, რომლებსაც ის 2008 წელს რუსეთთან მის წარუმატებელ ომში იყენებდა. აღლუმი სულ რაღაც რამდენიმე საათში ჩატარდა, მას შემდეგ, რაც მთავრობამ არაადამიანურად დაარბია მანიფესტანტები, რომლებიც, დაგეგმილი სამხედრო აღლუმის ჩაშლის მიზნით, საქართველოს დედაქალაქის მთავარ, რუსთაველის გამზირზე შეიკრიბნენ.**


თბილისი. 2011 წლის 26 მაისი

26 მაისს, შუაღამისას, ასობით მომიტინგესთან ერთად კოკისპირულ წვიმაში ვიდექი, როდესაც მეგობარმა ტექსტური შეტყობინება გამომიგზავნა: „მათ ალყაში მოგაქციეს. გაიქეცი!“. ანტისამთავრობო აქცია, რომელსაც პარლამენტის ყოფილი სპიკერი ნინო ბურჯანაძე ხელმძღვანელობდა, ოფიციალურად არასანქცირებული და უკანონო გახდა, მაგრამ მანიფესტანტებმა დაშლაზე უარი თქვეს და ფეხს არ იცვლიდნენ თბილისის საკულტო პარლამენტის შენობის მიმდებარე ტერიტორიიდან. ისინი გულუბრყვილოდ ემზადებოდნენ გადამწყვეტი ბრძოლისთვის ასობით კარგად გაწრთვნილ და ეკიპირებულ სპეცრაზმელთან და პოლიციელთან.

დროის ამოწურვასთან ერთად (აღლუმის რეპეტიცია ჯერ კიდევ იყო დაგეგმილი ზუსტად ამ ადგილზე) **კბილებამდე შეიარაღებულ პოლიციას დრო უქმად არ დაუკარგავს, ტერიტორია ყველა მხრიდან ალყაში მოაქცია და მანიფესტანტებს ცრემლსადენი გაზი, წყლის ჭავლი და რეზინის ტყვიები დაუშინა, მათ შორის მათაც, ვინც უსაფრთხო ადგილის ძიებაში თავს მეზობლად მდებარე მართლმადიდებლური ქაშუეთის ეკლესიის შესასვლელს აფარებდა.** წყალმა აქციის პერიმეტრზე განთავსებული ხელნაკეთი ბარიკადები წალეკა და მომიტინგეები (ბევრი ხანშიშესული ადამიანი და სასოწარკვეთილი ახალგაზრდა) ურიცხვმა პოლიციელმა გადამეტებული ძალის გამოყენებით დაარბია.

**დაჯავშნულმა და სახანძრო მანქანებმა წყლის ჭავლის გამოყენებით მომიტინგეების ნაწილს პარლამენტის შენობის სიღრმისკენ, ნაწილს კი თავისუფლების მოედნისკენ უბიძგა, სადაც კიდევ უფრო მეტი პოლიციელი მათ ისე ელოდებოდა, როგორც გასაჟლეტ ფარას.** მათ, ვინც სწრაფად გაქცევა ვერ მოახერხა, ხელბორკილები დაადეს, ცემეს და მიწაზე დაყარეს. მათ გარშემო პატარა ჯგუფები მორიგეობდნენ, რომლებიც ამ ადამიანების საპატიმროებში გადაყვანისთვის ტრანსპორტს ელოდებოდნენ.

ამ დროს ასეთი ფაქტის მოწმე გავხდი: **შეშფოთებული მოხუცი მამაკაცი ორ სპეცრაზმელს ეკლესიის ტერიტორიიდან მოჰყავდა; მან გონება დაკარგა და მიწაზე დაეცა. თავდაპირველად პოლიცია მე და სხვა ჟურნალისტებს იმ ადგილს არ გვაკარებდა, გვერდით იდგა და არაფერს აკეთებდა მოხუცის დასახმარებლად, რომელიც მიწაზე ეგდო და, როგორც ჩანს, გულის შეტევის გამო კონვულსიებში ბორგავდა. ამ დროს მეგობარი ამერიკელი ჟურნალისტი (ჯეფრი სილვერმანი) და მე მოხუცის გადარჩენას შევეცადეთ და დაჟინებით მოვითხოვეთ სასწრაფო დახმარების გამოძახება.**

დაახლოებით 10 წუთის შემდეგ, თავისუფლების მოედნიდან სასწრაფო დახმარების ესკორტი გამოჩნდა. ეს ზორბა მამაკაცი მანქანამდე ექიმმა, სილვერმანმა და მე გადავიყვანეთ, მაშინ, როდესაც პოლიცია სასტიკად ესხმოდა თავს მამაკაცების ჯგუფს, რომლებიც სასოწარკვეთილები ცდილობდნენ პარლამენტის შენობის დატოვებას და ვერც კი აცნობიერებდნენ, რომ მათ სამართალდამცველთა ჯგუფი უსაფრდებოდა. **პოლიციას აშკარად ნებისმიერი წინააღმდეგობის მოსპობა უფრო აღელვებდა, ვიდრე იმ დაკავებული მომიტინგეების ან მოწმეების მოწოდებები დამხარებაზე, რომლებსაც გატეხილი თავებიდან სისხლი სდიოდათ.**

ახლა უკვე დათრგუნულ და დემორალიზებულ, ყველა მხრიდან პოლიციელებით გარშემორტყმულ ტყვეებს მარშით მიაცილებდნენ, როგორც აღლუმზე ადგილობრივი და უცხოური მედიის კამერების დასანახად. პოლიციელთა გრძელმა კოლონებმა იმ მიმართულების გადაკეტვა დაიწყეს, საიდანაც თავად მოვიდნენ ისე, თითქოს ეს მეორე დღის მოვლენებისთვის მოსამზადებელი მარში იყო.

**საპროტესტო აქცია უკვე სრულად დარბეული იყო და პოლიციელთა მრავალრიცხოვანი კორდონი ტერიტორიას ჯერ არ ტოვებდა, რომ სილვერმანმა მიწაზე დაცემული უყურადღებოდ მიტოვებული ადამიანი დაინახა, რომელიც ერთი შეხედვით ან კვდებოდა, ან უკვე გარდაცვლილი იყო. ეს მომიტინგე კინოთეატრთან ახლოს, რუსთაველის გამზირზე ტროტუართან იწვა.**

ამ ადამიანის შესამოწმებლად ექიმები მხოლოდ სილვერმანის აღშფოთებისა და დაჟინებული მოთხოვნის შემდეგ მოვიდნენ. მიუხედავად ამისა, უკვე გვიანი იყო და ადამიანი გარდაცვლილი გახლდათ. მას არ ჩაუტარდა არანაირი სამედიცინო დახმარება, ხელოვნური სუნთქვა და გულის მასაჟი. **ექიმებიც და პოლიციელებიც ჩვენ გვემუქრებოდნენ და იმაზე იყვნენ კონცენტრირებულები, რომ როგორმე ჩვენ და სხვა ჟურნალისტებს ამ გარდაცვლილი ადამიანისთვის ფოტო არ გადაგვეღო.**

შემდეგ ექიმებმა სასწრაფო დახმარების მანქანას გადაადგილება სთხოვეს ისე, რომ მედიას ვერ დაენახა ის, თუ როგორ გადაჰყავდათ გარდაცვლილი ადამიანი საკაცეზე, რადგან ის უკვე ყურადღების ცენტრში მოექცა. როგორც ჩანს, განზრახული ჰქონდათ, სილვერმანის სიტყვები ვერავის გაეგო, რომელიც გარდაცვლილისკენ მიანიშნებდა და ქართულ და რუსულ ენებზე გაჰყვიროდა: **„ის ადამიანია და არა ნაგავი. რამე გააკეთეთ!“** .

პოლიცია სულ უფრო გაღიზიანებული ჩანდა, ამიტომ, უსაფრთხოების მიზნით, ჩვენ მალევე დავტოვეთ ტერიტორია, თუმცა მანამდე კიდევ რამდენიმე ფოტო გადავიღეთ.

მეორე დღეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოაცხადა, რომ შეტაკების დროს ორი ადამიანი დაიღუპა (ერთი მომიტინგე და ერთი პოლიციელი) და ბევრი ჰოსპიტალიზირებულია. შსს-ს ცნობით, ორივე ადამიანის დაღუპვაში ბურჯანაძის მხარდამჭერთა ესკორტია დამნაშავე, რომელიც პოლიციის თავდასხმით გამოწვეული ქაოსისთვის თავის დაღწევას უხეშად ცდილობდა. **ჩვენ ვეჭვობთ, რომ მსხვერპლი მეტია, და ის გარდაცვლილი ადამიანი, რომელიც ჩვენ ვნახეთ, დაღუპულთა ოფიციალურ სიაში არაა. ყველა შემთხვევაში, ის, თუ როგორ ეპყრობოდნენ მას, უდიდესი უპატივცემულობისა და უგუნურების დემონსტრირებაა.**

გათენდა, კოკისპირულმა წვიმამ გადაიღო და საპროტესტო აქციისა და მისი სასტიკი დარბევის ყველა კვალი გაქრა. სამხედრო აღლუმი გეგმის თანახმად ჩატარდა და ქართველი მაყურებლები აკვირდებოდნენ იმას, თუ როგორ ჩაიარა მისმა, ერთ დროს დამარცხებულმა, არმიამ იმ ქუჩაზე, რომელზეც იმავე დილას მისმა ძლევამოსილმა პოლიციამ ძალის გამოყენებით სასტიკად დაარბია ის, რასაც, გარემოებების გათვალისწინებით, ყველაზე უკეთ პროდემოკრატიული პროტესტის სახელი მოუხდება.

**იან კარვერი**

openDemocracy

**31 მაისი, 2011 წელი**


თბილისი. 2011 წლის 26 მაისი

# საქართველომ უნდა გამოიძიოს მანიფესტანტების წინააღმდეგ «ძალის გადამეტებული გამოყენება»

**საქართველოს ხელისუფლებამ უნდა გამოიძიოს ბრალდებები პოლიციის მხრიდან ანტისამთავრობო აქციის მონაწილეთა მიმართ გადამეტებული ძალის გამოყენებაზე, რომლის დროსაც ორი ადამიანი დაიღუპა, — განაცხადა 26 მაისს Amnesty International-მა.**



თბილისში პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის გადადგომის მოთხოვნით მიმდინარე საპროტესტო აქციები სპეცდანიშნულების რაზმებმა სასტიკად დაარბიეს, დაშალეს რა დაახლოებით ათასი დემონსტრანტი.

ერთი პოლიციელი და ერთი სამოქალაქო პირი მას შემდეგ დაიღუპა, რაც მათ ის ავტომანქანა დაეჯახა, რომელსაც ადგილიდან, სავარაუდოდ, ოპოზიციის ლიდერი გაჰყავდა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ აქციის მონაწილეთა დაშლის დროს დაახლობით 40 ადამიანი დაშავდა სპეცრაზმის მიერ, რაც შუაღამით მას შემდეგ დაიწყო, რაც აქციის ჩატარების კანონიერი ვადა ამოიწურა და ტერიტორია დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებებისთვის უნდა გაეთავისუფლებინათ.

**„მაშინ, როდესაც მომიტინგეები შეიარაღებული იყვნენ კუსტარული ფარებითა და დროშის ტარებით და აშკარად ეწინააღმდეგებოდნენ მათი დაშლის მცდელობას, არავითარი გამართლება არ აქვს პოლიციის მხრიდან იმ ადამიანების ცემას, რომლებიც მას წინააღმდეგობას არ უწევდნენ,“** – განაცხადა Amnesty International-ის ევროპისა და ცენტრალური აზიის განყოფილების დირექტორმა ჯონ დალჰუსენმა.

**„უნდა მოხდეს ამ ინციდენტების სრულყოფილი გამოძიება, რაც უნდა მოიცავდეს ასევე იმ ინსტრუქციების გამოძიებასაც, რომლებსაც ადგილზე გასცემდნენ ცალკეული ოფიცრები,“** — დასძინა მან.

მედიისა და ადგილობრივ უფლებადამცველთა ჯგუფების ცნობით, შეტაკებების დროს ასევე სცემეს რამდენიმე ჟურნალისტს. **სპეცდანიშნულების რაზმებმა აქციის მონაწილეებს ალყა შემოარტყეს და მათ ცრემლსადენი გაზი და რეზინის ტყვიები დაუშინეს, ასევე გამოიყენეს წყლის ჭავლი.**

**ვიდეომასალაში ჩანს, როგორ დასდევენ პოლიციელები მომიტინგეებს და სცემენ მათ ხელკეტებით, ასევე სცემენ იმ რამდენიმე ადამიანს, რომლებიც უკვე დაკავებული არიან და მიწაზე წვანან.**

დაახლოებით 90 ადამიანია დაკავებული, რომლებსაც ორთვიანი პატიმრობა მიუსაჯეს პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევის ბრალდებით.

AMNESTY INTERNATIONAL

ექსკლუზივი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

ვხედავ, რომ გამოვთიშე იმ რეგისტრიდან და განვაგრძე:
— КАК ВАМ НЕ СТЫДНО. ЧТО ТАКОЕ НАТО, ЧТО ОНО ЗНАЧИТ? БЕЗ РОССИИ В МИРЕ НИКТО НЕ ИМЕЕТ ПРАВО ДАЖЕ ПУКНУТЬ!..

# კახი კავსაძე: მაშ, ვინაა პატრიოტი?

**ინტერვიუსთვის მივედი და ერთი მსახიობის თეატრში აღმოვჩნდი. წარმოდგენაზე, რომელიც სავსე იყო ემოციითა და აზრით, იყო მაქსიმალურად გულახდილი და დიდოსტატურად შესრულებული, უნიკალური სპექტაკლი, რომლის ავტორი, რეჟისორი, მთავარი და ერთადერთი გმირი დიდი მსახიობი კახი კავსაძე ბრძანდებოდა. გივი გადელიამ, კახი კავსაძის ბავშვობის მეგობარმა, კახის ტელეფონის ნომერი რომ მომცა, გამაფრთხილა — გაგიჭირდება დაჭერა, რადგან ხან გადაღებაზეა, ხან — გახმოვანებაზე, ხან — თეატრში და ასე შემდეგო. დიდი მოთხოვნაა კახი კავსაძეზე, უპოპულარეს ქართველ მსახიობზე. თვითონ იკისრა გადელიამ შუამავლობა და ერთ მშვენიერ დღეს მირეკავს, შინ არის და შეგიძლია დაურეკოო.**
**ვურეკავ. შევთანხმდით, რომ დღესვე ჯობია შევხვდეთ ერთმანეთს, რადგან გადადებული საქმე ეშმაკისაა.**
**დღეს — 27 მაისია.**
**გუშინ იყო ბართლომეს ღამე თბილისში, რუსთაველის პროსპექტზე, მომიტინგეთა, როგორც შემდეგ ლევან გაჩეჩილაძე იტყვის, ხალხის ჩაძაღლების ღამე.**



«მაყურებელი ჩემს შვილზე მაღლა დგას»

კახი კავსაძე დონ კიხოტ ლამანჩელის როლში

**— ბატონო კახი, ჩვენი საუბარი პოლიტიკის გარეშე უნდა წარმართულიყო, მაგრამ წუხანდელი დარბევის შემდეგ, ეტყობა, თვალს ვერ დავხუჭავთ და სმენას ვერ დავიხშობთ.**

— გულს, იცით, რა მიკლავს? სამოქალაქო დაპირისპირება! ქართველი ქართველს რომ დაუპირისპირდა. აი, თქვენც ბრძანეთ, ის აქეთ არის, ესენი — იქით. ესე იგი, თქვენც გაყავით საზოგადოება.

სწორედ ეს არის საშინელება!

რას ჰქვია დავყოთ, ვინ უნდა დავყოთ? ეს საიდან წამოვიდა? ააა, შენ იქითა ხარ, აქეთ — არა? მაშინ ვინა ხარ? შენ თუ ჩემთან არა ხარ, არარაობა ხარ. ერთი ამბობს ამას.

მეორე უპასუხებს, არარაობა ხარ შენ!

როცა პირველად სამოქალაქო დაპირისპირება მოხდა, ქართველებმა რომ ესროლეს ერთმანეთს, მაშინ ვთქვი — დავიღუპეთ-მეთქი.

გამსახურდიას დროს ვამბობ.

სამოქალაქო დაპირისპირება რომ იწყება, სამოქალაქო ომი რომ იწყება, აღარ მთავრდება! ისტორიიდან ვიცი, რომ არ მთავრდება, დაუმთავრებელი ამბავია!

ექვს თვეში დაამთავრეს ქართველებმა და მაშინ ვთქვი: — არა, ქართველი ბრძენიამეთქი.

ინტერვიუ ჩამოვართვი უწმინდესს კინოფილმისთვის, მაშინ ვუთხარი, ქართველების სიბრძნემ განმაცვიფრა-მეთქი.

— კიო, — მიპასუხა...

თურმე შევცდი მე: სამოქალაქო დაპირისპირება არ დამთავრებულა. რაც მოხდა გუშინ, უფრო ადრე — 7 ნოემბერს და იმაზე ადრე, ეს სულ გაგრძელებაა და ეს არის უბედურება. ხოლო ვინ დაიწყო, ვინ რა გააკეთა, დეტალებია.

საშინელებაა სამოქალაქო დაპირისპირება: იმათ მიიღეს, ამათ — არა, ესენი ვაჟკაცურად მოიქცნენ, ისინი — შეშინებულები არიან...

ეს პატრიოტიაო, იციან თქმა. რა არის პატრიოტი? პატრიოტი ისაა, ვინც მაგრად ირტყამს მკერდზე მჯიღს, თუ ის, ვინც ბევრს ყვირის — წიიინ! გაუძღვება წინ და მერე, გაპონის არ იყოს, მიატოვებს ხალხს.

თუ პატრიოტი ისაა, ვინც ჩუმად ზის, თავისთვის, არ ყვირის და ქვეყნის საქმეს აკეთებს?

თუ ჩვეულებრივი ქართველი ბიჭია პატრიოტი, რომელიც იძახის ქართველი ვარო და ისე იქცევა და ისე ცხოვრობს, რომ სხვები — ქართველები და უცხოელებიც ამბობენ — შეხედეთ, რა ბიჭია!

მას ქართველობა ტვირთად დააქვს და ძირს არ უნდა დადოს ეს ტვირთი.

ერთი ამბავი მახსენდება.

მანქანით მოვდიოდი ბერლინიდან და უნდა გამომევლო ავსტრია. საზღვარზე ვიზა უნდა მომცენ. მოაღწია ჩემმა რიგმა. მივაწოდე საბუთები. წაიკითხა და მეუბნება ის მესაზღვრე, მოშორდი აქედანო!

— რატომ და რა ხდება-მეთქი?

— მოშორდიო!

ჩავაცივდი. ის კაცი ყვირილზე გადავიდა და მომაძახა:

— Вы — грузины воняете!

ყელში ვწვდი. ძლივს გამაჩერეს.

რა ჩაიდინეს ქართველებმა ისეთი, რომ ეს მაკადრა რიგითმა მესაზღვრემ, რომელმაც, როგორც კი დამინახა ქართველი, თავის ქვეყანაში არ შემიშვა?

რამდენჯერ ყოფილა ასეთი შემთხვევა... ანდა პირიქით: ქართველი მოვიდა! მობრძანდი! კნიაზი მოვიდაო. ისე მიგიღებენ, რომ მეცხრე ცაზე გეგონება თავი.

მაშ, ვინაა პატრიოტი?

ერთხელ იმის მოწმეც ვიყავი, როცა ბიძინა ივანიშვილს ისეთი ქება შეასხეს, რომ ყოველგვარ ზღვარს გადავიდნენ: — აი, ბატონო ბიძინა, თქვენ, და როცა თქვენ... და ასე — აღმატებულად.

მართლა ძალიან არ უყვარს ბიძინას შექება, ძალიან ცუდ დღეში ვარდება. ბევრჯერ ვარ ამის მომსწრე.

— თქვენი ჭირიმე, არ თქვათო, — შეხვეწნია.

— როგორ არ ვთქვათო, — შეპასუხებიან, — როცა ამას აკეთებთ და ამაზე მეტსაცო.

— არა, ბატონო, მე შემიძლია და იმიტომ ვაკეთებო. შემიძლიაო...

— სხვას, რომ შეუძლია და არ აკეთებს?!

— ეს მისი პრობლემა არისო. მან იფიქროს ამაზე. მე რაც შემიძლია, იმას ვაკეთებ და ამიტომ მაგარი ვარო? გმადლობთო, მაგრამ ამისთვის ნუ მაქებთ, თქვენი ჭირიმეო.

ასე თქვა ბიძინამ.

ძალიან დიდი ხნის წინანდელ ამბავს გიყვებით.

ერთი რამეც მახსენდება, სასწაული ამბავი, რომელიც მოსკოვში მოხდა, ჩვენს საელჩოში გამოჩენილი ექიმების მიღებაზე. მეც მთხოვეს მივსულიყავი როგორც სტუმარი. ალბათ, იმიტომ, რომ მიცნობენ რუსული კინოებიდან და, განსაკუთრებით, ფილმიდან „Белое солнце пустыни“. დამინახავდნენ და — „Абдула пришел!“ — ფეხზე დგებოდა მთელი დარბაზი.

რუსებს რაღაც გართულება აქვთ ნატოზე, ჩემდა გასაოცრად, გამონაკლისი არც ცნობილი პედიატრი, პროფესორი ლეონიდ როშალი აღმოჩნდა.

**(ლეონიდ როშალი, „მსოფლიო ბავშვთა ექიმი“, როგორც ჟურნალისტებმა მონათლეს. მას, და მასთან ერთად მისნაირ მოხალისეთა ბრიგადას ათასობით ბავშვი ჰყავს გადარჩენილი მსოფლიოს პრაქტიკულად ყველა „ცხელ წერტილში“: მოსკოვში — დუბროვკაში „ნორდ ოსტის“ ტერაქტის დროს საპიტაკში მიწისძვრის შემდეგ, ჩეჩნეთში, ყოფილ იუგოსლავიაში, საქართველოში, აზერბაიჯანში, ისრაელში, მიწისძვრით დაზარალებულ იაპონიაში, კალიფორნიაში, სახალინზე, ინდოეთში, თურქეთში, სამჯერ იყო ავღანეთში და ა.შ. — ეს ცნობისთვის. — ა.ს.).**

დიდი პატივი მიაგეს როშალს, საქართველოს აკადემიკოსობა მიანიჭეს, თუ არ ვცდები, აქეს და ადიდეს. იმანაც მადლობა გადაიხადა, სრულად დააფასა მასზე დახარჯული კეთილი სიტყვები და უცებ იფეთქა:

— Что вам надо в НАТО! Что вам в НАТО! — გაიმეორა და გაიმეორა.

გავგიჟდი! მივხვდი, ეს კაცი თუ არ დავამუხრუჭე, ისე შორს გარეკავს, ვეღარ შემოვაბრუნებთ.

— რომელ ნატოზე ლაპარაკობთ-მეთქი? — ვკითხე, — ნატო ვაჩნაძეზე ხომ არა?

— Какая Нато Вачнадзе?

— Нато Вачнадзе, наша гениальная актриса.

— არაო.

— ააა, ესე იგი, თქვენ ჩრდილოატლანტიკურ ალიანსზე ლაპარაკობთ?

— კიო.

ვხედავ, რომ გამოვთიშე იმ რეგისტრიდან და განვაგრძე:

— Как Вам не стыдно. Что такое НАТО, что оно значит? Без России в мире никто не имеет право даже пукнуть!..

ურააა! დაიძახეს, ახარხარდა ხალხი, ატყდა ტაში და ამ სიცილ-ხარხარში დაწყნარდა გამწვავების პირზე მისული „პოლიტიკური სიტუაცია“.

ამაზე ვლაპარაკობ: ვისთვის რას ნიშნავს პატრიოტიზმი და სამშობლოს სიყვარული.

**— თქვენთვის?**

— მე მინდა ისეთი არტისტი ვიყო, რომ ყველას ვაჯობო. თუმცა ყველა ქართველი მსახიობი ჩემი მეგობარი და ძმაკაცია. ყველას გამარჯვება მიხარია! ამას მართლა გულით ვამბობ, იმიტომ, რომ, რაც უფრო ბევრი კარგი არტისტი იქნება, ხელოვნების, თეატრის თამასა უფრო მაღლა აიწევს და უფრო დიდ სიმაღლეებს წავეპოტინებით.

სხვა სფერო, სხვა საქმე მე არ ვიცი. არ მესმის, რა არის პოლიტიკა. მაგრამ რახან მკითხეთ, გიპასუხებთ, რომ, ჩემი აზრით, ეს არის ადამიანთა ურთიერთობა: რომელ მოღვაწეს, პოლიტიკოსს როგორ უნდა ველაპარაკო, არ ვიცი. მე ვიცი, როგორ უნდა ველაპარაკო ჩემს კოლეგებს, კარგ რეჟისორს, როგორ დავემორჩილო მას, როგორ დაველაპარაკო ჩემს პარტნიორს ან დრამატურგს — როგორ ვთხოვო მას, ვთქვათ, რომელიმე სცენის გადაკეთება. ეს ვიცი.

ვინმეს გვერდზე დავდგე? მაშასადამე, ამით სხვისი მოწინააღმდეგე გავხდე?

ეს გინდათ?

არ გამოვა!

მე არტისტი ვარ და ყველანი ჩემი მაყურებლები არიან. მაყურებელი კი ჩემს შვილზე მაღლა დგას. უპატივცემულესი ხალხია.

მისი უდიდებულესობა მაყურებელი! იგი მოდის, რომ მნახოს. მე ამ მაყურებლის მომხრე უნდა ვიყო და იმ მაყურებლის — არა?

**— როგორც ექიმისთვის ყველა ავადმყოფი პაციენტია და სხვა არაფერი.**

— აბსოლუტურად! როგორც კი ვიწყებ მაყურებლის გრადაციას, შინაგანად ვირღვევი. ერთხელ დაწერეს ჩემზე — კახი ყველა სპექტაკლს თამაშობს ბოლომდეო.

სხვანაირად არ შემიძლია.

ამას თუ დამიშლი, მე შენი ვერ ვიქნები.

**— თქვენი ამ მონოლოგიდან ასეთი დასკვნის გამოტანა შეიძლება: არა დაპირისპირება, არამედ სიყვარული და მხოლოდ სიყვარული შეიძლება იყოს ქვეყნის მამოძრავებელი ძალა. ისეთი ამაღლებული, როგორიც დონ კიხოტის სიყვარულია დულსინეასადმი?**

— დულსინეა ტობოსელი მან შეთხზა, შექმნა თავისი ოცნების ქალი, შემდეგ, როცა ყველაფერი გაირკვევა, გაქრება ოცნება და ვერ გაუძლებს ლამანჩელი, გული გაუსკდება. მის ოცნებას ხორცი არ შეესხა და მოკვდა კაცი.

მაინც უნდა იოცნებო!

**— ამავე კატეგორიისაა ბრძოლა ქარის წისქვილებთან?**

— ჰეეე! ბოლოს და ბოლოს ესეც წარმოსახვითი მტერი აღმოჩნდა და ესეც კლავს კაცსა: ეგონა მტერს ებრძოდა, ბოროტებას და თურმე ქარის წისქვილი ყოფილა!

**— დონ კიხოტის როლში შესვლას, მის გათავისებას, ალბათ, დიდი დრო და ძალისხმევა დასჭირდა. ფილმის დამთავრების შემდეგ მალე გამოხვედით როლიდან?**

— ყოველთვის მეცინება იმ მსახიობებზე, რომლებიც ფილოსოფიური სერიოზულობითა და შესაფერი ინტონაციით აცხადებენ: „მე შევედი როლში და ძალიან მიჭირს გამოსვლა“... ჰამლეტს ით- ▶

## ევროპამ და ამერიკამ მიტინგის დარბევისთვის სააკაშვილი შეაქო

**აშშ-ისა და ევროკავშირის ელჩებმა საქართველოში საერთო ჯამში დადებითად შეაფასეს საქართველოს ხელისუფლების ქმედებები ოპოზიციის დემონსტრაციის დარბევასთან დაკავშირებით.** შეგახსენებთ, ამ ქმედებების შედეგად 90 ადამიანი დააკავეს, ათობით — დაიჭრა, ოთხი კი — გარდაიცვალა. საქართველოში ევროკავშირის ელჩმა ფილიპ დიმიტროვმა განაცხადა, რომ აქცია ორგანიზებულად და კანონიერი გზით იქნა დარბეული.



## «სააკაშვილი ნამდვილი დიქტატორია»

**რუსეთის ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის ლიდერმა ვლადიმერ ჟირინოვსკიმ ქართული ოპოზიციის მხარდამჭერისკენ მოწოდების განცხადება გააკეთა** და განაცხადა, რომ საქართველოში რევოლუციის მცდელობისას ადამიანთა დაღუპვა „დასავლელი მკურნალების დემოკრატიის“ შედეგია, სააკაშვილი კი ნამდვილი დიქტატორია, რომელსაც დასავლეთი უჭერს მხარს.

# ერთი უცნაური თვისება მჭირს, როცა კინოში როლს შევასრულებ, გავახმოვანებ და მეტყვიან, მორჩა ყველაფერიო, აღარ მაინტერესებს იმის ბედი. აღარ ვნახულობ. რომ გითხრათ, „ღვინის ქურდები“ არ მინახია, დამიჯერებთ?

ექსკლუზივი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

◀ამაშებს და მომდევნო სამ დღეს თავჩაქინდრული დაიარება.

არა, ბატონო!

ერთადერთი, რაც დონ კიხოტის როლში შესასვლელად გამიჭირდა, ის იყო, რომ ძალიან უნდა გავმხდარიყავი.

ბატონმა რეზო ჩხეიძემ სინჯებზე რომ გამომიძახა, კიდევ ერთხელ გადავიკითხე სერვანტესის წიგნი. ზოგი ამბობს, „დონ კიხოტი“ ბავშვობაში მაქვს წაკითხულიო. ბავშვობაში, კაცო?! ეს უდიდესი წიგნი დიდი ჭკუის კაცმა უნდა წაიკითხოს, ბოლომდე რომ ჩაწვდეს მის სიღრმეებს.

დავინტერესდი, ისეთი დიდი ადამიანები, შემოქმედები, როგორებიც იყვნენ ჩარლი ჩაპლინი, თომას მანი, ფოლკნერი, აინშტაინი, ეიზენშტეინი და ა.შ., რას ამბობდნენ დონ კიხოტზე. ვერსად ვერაფერს მივაკვლიე, საერთო აღფრთოვანების გამომხატველი პოზიციის გარდა — ეს ჩემი უსაყვარლესი წიგნია; ეს ჩემი სამაგიდო წიგნია; მის გარეშე არსად დავდივარ, ეს არის ჩემი მეგზური... მეტი არაფერი.

სრულიად შემთხვევით წავაწყდი გენიალური რუსი არტისტის, რომელმაც ცხოვრება ამერიკის შეერთებულ შტატებში დაამთავრა, მიხაილ ჩეხოვის პატარა წიგნს, რომელშიც მსოფლიო ლიტერატურისა და მსოფლიო დრამატურგიის გმირებს ახასიათებს. წაიკითხავ და მიხვდები, როგორ უნდა ითამაშო, როცა ამა თუ იმ გმირის განსახიერებას გადაწყვეტ. საით უნდა წარმართო შენი შინაგანი ფსიქოძალები, ასე ვთქვათ.

იგი წერს: Движущаяся звезда Мефистофеля, находится в зрачках. თვალებშია ამ პერსონაჟის მოქმედების მარცვალი, ის, რაც მას ამოძრავებს. ერთხელ რუსებმა გადაწყვიტეს მეფისტოფელის გადაღება. მაშინ ჩეხოვი წაკითხული არ მქონდა. ვიფიქრე, იგი მწყემსად განმესახიერებინა. დიდი მათრახი მოვითხოვე, რომლითაც ეს ჯოჯოხეთის ნაშობი მწყემსავდა ხალხის ბრბოს, ფარას. მოიქნევს და ჭაახ, ურტყამს.

ჩეხოვმა სხვანაირად წარმოიდგინა: მისი აზრით, თვალთა გუგებით უთვალთვალებს კაცობრიობას მეფისტოფელი.

У Гамлета — в сердце, — განაგრძობს ჩეხოვი, ანუ იგი სამყაროს გულით აღიქვამს. გული უსკდება მისი მამის, მისი ბიძის, დედამისის ტრაგედიის მომსწრეს.

Движущаяся звезда Лира находится в уме. ასეთი ფრაზაც აქვს მეფე ლირს: „მე ტვინში დამჭრეს“... გადარია ყველაფერმა. მაგრამ თვითონ როგორც იქცევა? ვინც სიმართლე უთხრა, ის შეიძულა. ტვინშია მისი პრობლემა...

შემდეგ: Движущаяся звезда Санчо, находится в ягодице. დუნდულებშიაო სანჩოს ვარსკვლავი.

Движущаяся звезда Дон Кихота находится чуть выше головы.

ეს რომ წავიკითხე, ყველაფერი თავის ადგილზე დადგა: არც მიწაზე დგას, არც ცაშია ასული.

**— დავდგეთ მიწაზე, ბატონო კახი. და გკითხავთ: რას ეტყოდით რეჟისორ რობერტ სტურუას, რომელმაც მიხეილ სააკაშვილის სომხობაზე ორი სიტყვა თქვა?**

— ჯერ ის ვთქვათ, რომ რობიკოს მოსვლამ თეატრში ყველაფერი შეცვალა. უდიდესი გავლენა მოახდინა სცენოგრაფიაზეც, დრამატურგიაზეც, მუსიკაზეც, არტისტებზე ხომ მოახდინა და მოახდინა. თეატრის დიდი რეფორმატორია რობერტ სტურუა...

რაო, რა თქვა რობიკომ?

**— სომეხია და რა ვქნაო.**

— არა, რობიკო ამას არ იტყოდა. და თუ თქვა, — სხვა ინტონაციით თქვა. მე არტისტი ვარ და ვიცი, რას ნიშნავს ინტონაცია.

**— ბატონო კახი, ყველა მსახიობი თავის შექსპირზე ოცნებობს, როგორც წესი, ჰამლეტის, მეფე ლირის და ა.შ. როლების შერულებაზე. თქვენი ოცნების შექსპირი როგორია?**

— მე მეოცნებე კი ვარ, მაგრამ ასე „დურაკულად“ მეოცნებე მაინც არა ვარ. აი, კაცი ოტელოს თამაშობს, ჰამლეტს თამაშობს, რიჩარდს თამაშობს, აზდაკსაც თამაშობს, არადა — მაინც და მაინც ბიბლიური აარონი უნდა რომ ითამაშოს. ხდება ხოლმე, რაღაც ოცნებას აიკვიატებენ და შემდეგ ამ ოცნებას მიაკვდებიან. მე ვცდილობ, როლზე არ ვიოცნებო. რატომ? ახლავე გეტყვით. შენ გხედავს რეჟისორი. მან თურმე შენზე უკეთ იცის, რა შეგიძლია. უბედური პროფესია გვაქვს... ერთადერთი, რაზეც მიოცნებია, ჩემთვის მიოცნებია, გოგოლის „შეშლილის წერილები“ იყო. ერთხელ ვნახე, აკაკი ვასაძე რომ თამაშობდა, და გავგიჟდი.

როგორ იწყება?

„Сегодняшный день — есть день величайщего торжества! В Испании есть король. Он отыскался. Этот король я“.

ბედნიერი დღეაო, მეფე ვარო, და ამას მოჰყვება შეშლილის წერილები.

**— ცხოვრებაშიც ხომ არსებობენ ადამიანები, რომლებიც ფიქრობენ, რომ ესპანეთის მეფეები არიან? მეფეები თუ არა, მთავარი ვეზირები მაინც.**

— რა უნდა უთხრას ამ დროს ფსიქიატრმა გიჟს? კი, გენაცვალე, მეფე ხარ. ჩემი მეგობრის სიდედრი ლილი ნაკაშიძე იყო გენიალური ქალბატონი და არაჩვეულებრივი ფსიქიატრი, სულ გენაცვალეთი ელაპარაკებოდა სულით ავადმყოფებს, ეთანხმებოდა ყველაფერში... იყოს რა, გაკლდება ამით რამე?

**— რომელი იყო თქვენი ის როლი, რომლის შესრულების შემდეგ მიხვდით, რომ თეატრის გარეშე ცხოვრება არ შეგიძლიათ?**

— ასეთი როლი არ ყოფილა. მაგრამ იყო ერთი როლი, რომლის შესრულების შემდეგ მივხვდი, რომ თურმე არტისტობა შემძლებია.

ერთი ხანობა თეატრიდან წასვლა და ექიმობა დავაპირე. ვმუშაობდი კიდეც სანიტრად. ალექსანდრე გზირიშვილი იყო არაჩვეულებრივი ქირურგი, აკადემიკოსი. მან ნება დამრთო, მეყურებინა ოპერაციისთვის.

ოპერაციის შემდეგ ექიმები მიდიოდნენ და რჩებოდნენ ავადმყოფები ორი საწყალი, მოხუცი ქალის ანაბარა. დავიწყე ამათთან მუშაობა. ფულსაც კი მაძლევდნენ — 400 მანეთამდე.

ერთხელ სპექტაკლზე დავპატიჟე ბატონი ალექსანდრე. წარმოდგენის შემდეგ პატარა ბარათი მომწერა: „შვილო კახი, მოდი ყველამ თავის საქმეს მიხედოს“. ის დღე იყო და ის დღე — ექიმობაზე აღარ მიფიქრია.

**— რა როლი იყო, რომელმაც თეატრში დაგაბრუნათ?**

— ძალიან კარგად მახსოვს: კაკულის ვთამაშობდი სპექტაკლში „პეპო“. ხოლო ის როლი, რომელმაც დამარწმუნა, რომ არტისტობა შემიძლია, სუმბათაშვილის „ღალატში“ სოლეიმან ხანის როლი იყო. რობიკომ დადგა და შემომთავაზა, რომ ჩემს პერსონაჟს უნდა ელაპარაკა წვრილ ხმაზე და ნელა ემოძრავა. ეს ძალიან ძნელად გადასაწყვეტი ამოცანა იყო. მაგრამ, ვფიქრობ, რომ გამომივიდა. სოლეიმან ხანი, მოვლინებული გველი, დადიოდა და დასრიალებდა საქართველოში, რათა მოეხრჩო ეს ქვეყანა.

დაქირავებული კაცი, რომელიც დავალებას ასრულებს, ჯანმრთელი არ არის. ასეთი ჩანაფიქრი ჰქონდა რეჟისორს. თრიაქით გაბრუებული ისე მოკლავდა ადამიანს, ვითომც არაფერი. ეს ავადმყოფი და გარყვნილი კაცი ერთ ქალს კოცნის, მეორეს კოცნის და ხეზე, რომელიც სცენის ცენტრში დგას და საქართველოს ყლორტს განასახიერებს, ორგაზმით იკლავს ბილწ აგზნებას თავისას.

ხეზე!

დაქირავებული შემსრულებელი გახრწნილია სულიერად და ფიზიკურად...

ამ სპექტაკლისა და ამ როლის შემდეგ ვიფიქრე, რომ თურმე არტისტობა შემძლებია.

ერთი უცნაური თვისება მჭირს, როცა კინოში როლს შევასრულებ, გავახმოვანებ და მეტყვიან, მორჩა ყველაფერიო, აღარ მაინტერესებს იმის ბედი. აღარ ვნახულობ. რომ გითხრათ, „ღვინის ქურდები“ არ მინახია, დამიჯერებთ?

**— არა, რადგან მე ყოველთვის სიამოვნებით ვუყურებ, აღარც კი ვიცი, მერამდენედ.**

— ძალიან მიჭირს ჩემი თავის ყურება. ერთადერთხელ იყო, როცა გოლდონის „სასტუმროს დიასახლისში“ თვალი მოვკარი მომენტს, როცა რაღაცას ვჭამდი (ჭამის განსახიერება ეკრანზე ძალიან ძნელია. სცადეთ და დამეთანხმებით), ბოლომდე ვუცქირე, ვთქვი, ვა, რა სწორად ვჭამ! ავდექი და წავედი.

ერთხელაც რომელიღაც ფილმში დავინახე, რომ დავრბივარ. ვააა, რა ჯანმრთელად დავრბივარ! დანარჩენით არ დავინტერესებულვარ.

ახლა ჯანმრთელობის მხრივ რაღაც პრობლემები მაქვს და ჩემი თავი დავიჭირე, რომ მინდა რაღაცები მოვასწრო.

**ამასწინათ უცხოეთიდან ჩამოვიდნენ ქართველები, ჩვენი სპექტაკლის — „მოხუცი ჯამბაზების“ ნახვა მოისურვეს. თქვესო, რომ კახი ავად არის, გვინდა, მოვასწროთ, თურმე ძალიან სერიოზულად არის საქმეო. საქმე მართლაც სერიოზულადაა... მოვიდნენ, მიყურეს და, სპექტაკლი რომ დამთავრდა, ერთს უთქვამს: — ეგ თუ ავად არის, მე მკვდარი ვყოფილვარო.**

**— ისევეა, როგორც „შენ თუ ამას დალევ... შენ თუ ამას დალევ“...**

— (*გულიანად იცინის*). სოფიკო ამბობდა კოტეზე, გრძნობდა, კარგად რომ ვერ იყო და რაღაცა უნდოდა მოესწროო...

მეც ჩემი თავი დავიჭირე ამ სურვილზე — რაღაცა უნდა მოვასწრო.

**— ეს იქნება საზოგადოებრივი საქმე?**

— არა! თუ საზოგადოებრივ მუშაობაში გადავყავი თავი, მე დავივიწყებ ჩემს საქმეს. მგონია, რომ ჩემი პროფესია ბოლომდე არ ვიცი. ყოველთვის ისეთ შინაგან რაღაცას აღმოაჩენ, რომ, ვაი, დედა, როგორ ვბედავდი ამ როლის თამაშსმეთქი...

**— ახლა რაზე მუშაობთ?**

— ფოლკლორული ცენტრი არის ასეთი, რომელსაც გიორგი უშიკიშვილი ხელმძღვანელობს. მთხოვეს, კავსაძეების სალამო გავაკეთოთო, მამაჩემის — დათაშკა კავსაძის 100 წლისთავთან დაკავშირებით. მამამ ქართველი ტყვეების მომღერალთა გუნდი ჩამოაყალიბა და 1943 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით გამართა კონცერტი.

**— იქ?!**

— იქ, აბა?! ომის დამთავრების შემდეგ საქართველოში რომ ბრუნდებოდა, სოჭში დააპატიმრეს. 1952 წელს გადასახლებაში გარდაიცვალა თუ მოკლეს, არ ვიცით.

ჰოდა, გამართეს მამაჩემისადმი მიძღვნილი საღამო ფოლკლორულ ცენტრში მომუშავე კარგმა ადამიანებმა. ამ საღამოს დაესწრო ჩემი ქალიშვილის მეგობარი რეჟისორი ნანა ჯანელიძე და გაგიჟდა, ისე მოეწონა. ნანასთან ერთად რამდენიმე ფილმზე გვიმუშავია.

— მე უნდა კინო გადავიღოო, — გადაწყვიტა. ახლა ეს ფილმი უკვე დამთავრებულია **(30 მაისს გაიმართა პრემიერა კინოთეატრ „ამირანში“. — ა.ს.)**. „ნეტავი, იქ თეატრი არის?“ — ასე ჰქვია ამ ფილმს.

* * *

**ნეტავი! სანეტარო დროის დადგომისთვის ზოგი ხმალამოღებული იბრძვის, ზოგი — პოლიტიკური, „მშვიდობიანი“ ხერხებითა და მეთოდებით.**

**კახი კავსაძის სანეტარო დრო ერთიანი, გაუხლეჩავი, დაუპირისპირებელი საზოგადოებაა ერთიან და მთლიან საქართველოში.**

**მას თავისი გზა აქვს არჩეული, სხვას — სხვა.**

**ასე იქნება თუ ისე, უნდა დადგეს ეს დრო, რადგან ასეთია კაცობრიობის განვითარების ლოგიკა.**

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**



საქართველოს სახალხო არტისტი კახი კავსაძე „საქართველო და მსოფლიოს“ რედაქციაში

**ამასწინათ უცხოეთიდან ჩამოვიდნენ ქართველები, ჩვენი სპექტაკლის — „მოხუცი ჯამბაზების“ ნახვა მოისურვეს. თქვესო, რომ კახი ავად არის, გვინდა, მოვასწროთ, თურმე ძალიან სერიოზულად არის საქმეო. საქმე მართლაც სერიოზულადაა... მოვიდნენ, მიყურეს და, სპექტაკლი რომ დამთავრდა, ერთს უთქვამს: — ეგ თუ ავად არის, მე მკვდარი ვყოფილვარო**

## მოსკოვი თბილისის მოვლენების საერთაშორისო გამოძიებას ითხოვს

**რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო თბილისში მომიტინგეთა დარბევას ადამიანის უფლებათა საარაკო დარღვევად მიიჩნევს და მომხდარის საერთაშორისო გამოძიებას ითხოვს.** უწყების ოფიციალურმა წარმომადგენელმა ალექსანდრე ლუკაშევიჩმა განაცხადა, რომ „დემონსტრანტების წინააღმდეგ საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების ძალოვანი ქმედებები ადამიანთა მშვიდობიანი შეკრებისა და აზრის გამოხატვის თავისუფლების უფლებათა უხეში დარღვევაა. ვიმედოვნებთ, რომ საქართველოში განვითარებული უკანასკნელი მოვლენები ობიექტურად შეფასდება არა მხოლოდ საერთაშორისო სამართალდამცავი ორგანიზაციების, არამედ იმ სახელმწიფოთა მხრიდანაც, რომლებიც სააკაშვილს უჭერენ მხარს“.



საქართველო და მსოფლიო
სამართალი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

„სახელმწიფო ვალდებულია, პიროვნებას დაპატიმრების შემდეგ სამედიცინო გამოკვლევა ჩაუტაროს და, თუ ის დაავადებულია რაიმეთი, დაუყონებლივ უნდა ჩაუტაროს მკურნალობა. ფაქტია, რომ როდესაც ის პიროვნება შეყვანილ იქნა დაწესებულებაში, მას შიდსი არ ჰქონდა, რაც სამი წლის მანძილზე მუდმივი სამედიცინო გამოკვლევებითაც ჩანს. შემდგომ კი აღმოჩნდა დაავადებული. ეს, ალბათ, არასტერილური ინექციის საშუალებით მოხდა. ახლა კი ამას ტუბერკულოზიც დაემატა".

# ციხეში მიცვალებულებსაც ძარცვავენ

## თბილისის პირველ საპატიმროში მიცვალებულმა პატიმარმა საკუთარი ბარათიდან 108 ლარი «დახარჯა»

**არახალია, რომ ციხეში პატიმრებს აწამებენ, რომ მათზე ფიზიკური და მორალური ზეწოლა ხორციელდება, რომ მკურნალობა ხელმისაწვდომი ვერა და ვერ გახდა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების შემთხვევები ფატალური შედეგით სრულდება. ამაზე უამრავი უფლებადამცველი საუბრობს, თუმცა, ამ ყველაფერთან ერთად, ციხეში თურმე მიცვალებულებს ძარცვავენ კიდეც.**
**დიახ, ადვოკატის განცხადებით, ციხის ადმინისტრაციის თანამშრომლებმა გარდაცვლილ პატიმარს 108 ლარი „წაართვეს". 42 წლის ირაკლი ყორანაშვილი წლეულს, 2 იანვარს, თბილისის №1 საპატიმროში გარდაიცვალა. გარდაცვალებამდე ყორანაშვილს (27 დეკემბერს) დედამ პლასტიკურ ბარათზე 110 ლარი ჩაურიცხა. 3 იანვარს, როცა ოჯახის წევრებს გარდაცვლილის ნივთები და მათ შორის პლასტიკური ბარათი გადასცეს, გაირკვა, რომ ყორანაშვილის ბარათიდან მისი გარდაცვალების შემდეგ გახარჯულა ჯერ 41, შემდეგ კი 67 ლარი. ამ საკითხზე „საქართველო და მსოფლიოს" ადვოკატი მამუკა ნოზაძე ესაუბრა.**






### მამუკა ნოზაძე: პატიმრები შიდსით სასჯელაღსრულების დაწესებულებაში დააავადეს

**— ყორანაშვილს ჩარიცხული ჰქონდა თანხა გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე და აღმოჩნდა, რომ მისი სიკვდილის შემდგომ ეს თანხა გაიხარჯა. ხომ შეუძლებელია, რომ გარდაცვლილ ადამიანს ტელეფონით ესაუბრა? როგორც ჩანს, პატიმარი უპატრონო ეგონათ და ადმინისტრაციის მეშვეობით მოხდა, ალბათ, ამ თანხის გახარჯვა. სხვა, აბა, რა შეიძლება იყოს.**

**— როგორც ვიცით, იგი ტუბერკულოზით გარდაიცვალა.**

— დიახ, მაგრამ დაკავებისას ის სრულიად ჯანმრთელი იყო. წლების მანძილზე იგი ითხოვდა სამედიცინო დახმარების აღმოჩენას, მაგრამ სასჯელაღსრულების დაწესებულებამ არ უზრუნველყო ადეკვატური მკურნალობის ჩატარება. ფაქტობრივად, სახელმწიფომ, სასჯელაღსრულების დაწესებულებამ მიიყვანა იმ მდგომარეობამდე, რომ დამდგარიყო ლეტალური შედეგი, არასათანადო სამედიცინო მკურნალობის გამო.

**— თქვენ ხშირად აკეთებთ განცხადებებს პატიმართა წამების შესახებ, რა მდგომარეობაა ამ მხრივ საქართველოში?**

— აბსოლუტურად არაფერი იცვლება, პირიქით, უარესდება მდგომარეობა. ადმინისტრაციის წარმომადგენლები უფრო აგრესიული და დაუნდობელი გახდნენ. განსაკუთრებით საშინელი მდგომარეობაა მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში, სადაც ხორციელდება პატიმრებზე ზეწოლა.

**შემიძლია დავასახელო კონკრეტული პატიმრების გვარები: ზურაბ ბოსტოლანაშვილი, რომელიც ამჟამად დაავადებულია ინფექციური პათოლოგიის დაავადებებით და უნდა იმყოფებოდეს ინფექციურ განყოფილებაში, ჰყავთ თერაპიულ განყოფილებაში. ჯერ კიდევ 2009 წელს, სახალხო დამცველმა დასაბუთებულად განაცხადა, რომ ეს ადგილი არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს საავადმყოფოდ, მიუხედავად ამისა, იქ მდგომარეობა არ შეცვლილა. იქ გადატვირთულობის პრობლემაცაა. პატიმრებთან შესვლას და მათთვის მედიკამენტების მიწოდებას ექიმებსაც კი უკრძალავენ. ზურაბ ბოსტოლანაშვილს ყოველდღიურად უსწორდებიან ფიზიკურად ადმინისტრაციის წარმომადგენლები — რეჟიმის განყოფილების უფროსი, გიორგი თოლორდავა, აგრეთვე, უსაფრთხოების სამსახურის უფროსი — გიორგი ავსაჯანიშვილი და სხვ.**

თუ ზურაბ ბოსტოლანაშვილი ან სხვა რომელიმე პატიმარი პროტესტს გამოთქვამს, მას ადმინისტრაცია ადმინისტრაციული წესით უფარდებს დამატებით პატიმრობას, რაც საერთო სასჯელში არ შედის.

**მძიმე სიტუაცია აქვს დენის ყვარელაშვილსაც, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ არის მძიმე ავადმყოფი (კონკრეტულად კი ის არის მესამე ხარისხის ჰიპერტენზიით დაავადებული, აგრეთვე, — C, D და B ჰეპატიტით და ა.შ.) გაწერილ იქნა სამკურნალო დაწესებულებიდან არასამკურნალო დაწესებულებაში, სადაც მხოლოდ მისი ოჯახი უზრუნველყოფს მას მედიკამენტებით. ოჯახი კი სოციალურად დაუცველია. სამკურნალო დაწესებულებაში არ გააჩნიათ ისეთი მედიკამენტებიც კი, როგორიცაა ციტრამონი.**

არის უამრავი ავადმყოფი, რომელსაც სასჯელის გადავადება ეკუთვნის, მაგრამ სახელმწიფოს ინტერესში რომ არ შედის ამ პიროვნებების გათავისუფლება, ანუ მათ ხელისუფლებაში „პროტეჟეები" არ ჰყავთ, არ ათავისუფლებენ და ამის გამო დგება ლეტალური შედეგები. ასეთი შედეგი მალე, ალბათ, დადგება ნიკოლოზ მჭედლიშვილზე, რომელიც ციხეში ჯერ განზრახ დაავადეს შიდსით, შემდგომ კი — ტუბერკულოზით. ის, უკვე მეოთხე წელია, სარეცელს არის მიჯაჭვული და უმძიმესი ავადმყოფია, რაც დადგენილია სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით. მიუხედავად ამისა, მის მიმართ არ ხდება სასჯელის გადავადება. ევროპულმა სასამართლომ დაამთავრა ამ საქმის განხილვა და ველოდებით გადაწყვეტილებას, საქართველოს ხელისუფლებას პასუხისგება მოუწევს არამარტო ამ საქმეზე, არამედ ყვარელაშვილისა და სხვათა საქმეებზეც.

**— შიდსით განზრახ დაავადებაში რას გულისხმობთ?**

— სახელმწიფო ვალდებულია, პიროვნებას დაპატიმრების შემდეგ სამედიცინო გამოკვლევა ჩაუტაროს და, თუ ის დაავადებულია რაიმეთი, დაუყონებლივ უნდა ჩაუტაროს მკურნალობა. ფაქტია, რომ როდესაც ის პიროვნება შეყვანილ იქნა დაწესებულებაში, მას შიდსი არ ჰქონდა, რაც სამი წლის მანძილზე მუდმივი სამედიცინო გამოკვლევებითაც ჩანს. შემდგომ კი აღმოჩნდა დაავადებული. ეს, ალბათ, არასტერილური ინექციის საშუალებით მოხდა. ახლა კი ამას ტუბერკულოზიც დაემატა. ეს დაავადება სხვებსაც აღმოაჩნდათ, მაგალითად, მამუკა კოჭლამაზაშვილს. ჩვენ ხელთ გვაქვს დოკუმენტები, რომ ეს პიროვნებები დაპატიმრებამდე ამ დაავადებით არ იყვნენ ავად და შიდსით სასჯელაღსრულების დაწესებულებაში დააავადეს.

ესაუბრა
**სოფო გელაშვილი**

# წერილი ციხიდან

## ტუბერკულოზით დაავადებული პატიმარი შველას ითხოვს

**„გასამართლებული ვარ საქ. სსკ 236-ე და 239-ე მუხლებით, რაზეც სასჯელის ზომად განმესაზღვრა 7 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. სასჯელის ათვლა დაწყებულია 2007 წლის 11 სექტემბრიდან.**

**მინდა, გთხოვოთ, რომ ვარ მძიმე ავადმყოფი, კერძოდ, ტუბერკულოზის მძიმე ფორმით, რის გამოც გავდიოდი მკურნალობას ქსნის სამკურნალო დაწესებულებაში 1 წელზე მეტი, საიდანაც გადმომიყვანეს რუსთავის №17 სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან განუკურნებელი და ამჟამად აქ**



**ვიხდი სასჯელს. დღეისათვის ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობა უფრო და უფრო დამძიმდა. ჩემი არაერთი თხოვნა, გამიწიონ სამედიცინო დახმარება, ამაოა. ამჟამად გწერთ სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან, რის გამოც შეზღუდული ვარ და არ გამაჩნია არანაირი საშუალება, მოგაწოდოთ რაიმე სამედიცინო დასკვნები. მიუხედავად ჩემი არაერთი თხოვნისა, გამიწიონ სამედიცინო დახმარება, ექიმები მპასუხობენ, რომ არაფერი მჭირს, სინამდვილეში კი ჯანმრთელობა სერიოზულად მაქვს შერყეული. გარდა ტუბერკულოზისა, მაწუხებს გული, ღვიძლი, C ჰეპატიტი, რომელიც შევიძინე ციხის პირობებში, ხოლეცისტიტი, მაქვს დაზიანებული ყურის ბარაბანი, მაქვს საშინელი ტკივილები, განვიცდი მძიმე ფსიქოლოგიურ მდგომარეობას ექიმების უგულებელყოფის გამო. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უმორჩილესად გთხოვთ, მომაქციოთ ყურადღება და დამეხმაროთ.**

**ბექა სამადაშვილი**
**(დაბ: 19.06.82)"**

(წერილი მოგვაწოდა „ადამიანის უფლებათა ცენტრის" იურიდიული ჯგუფის ხელმძღვანელმა **ნინო ანდრიაშვილმა**)

**მოძღვრები ხანდახან ვცდებით და ვამბობთ: ჩემი მრევლი, ჩემი სამწყსო, რაც, რა თქმა უნდა, არასწორია. ჩვენ, უბრალოდ, ხიდი ვართ უფალსა და ადამიანებს შორის. მათ ჩვენზე უნდა გაიარონ, რომ უფალთან მივიდნენ. უფალმა თავისი სამწყსო ჩვენ ჩაგვაბარა და ისინი უვნებელნი, სწორად გაზრდილნი უნდა მივიყვანოთ მასთან და, ერთ მათგანს მაინც თუ დავკარგავთ, ათმაგად ვაგებთ პასუხს უფლის წინაშე. შენ, მოძღვარი, ადამიანთა სულების მწყემსი ხარ, თითოეული ადამიანის სული კი ძალიან ძვირფასია. მთელი ხილული სამყარო რომ აიღო, მას ერთი ადამიანის სული გადასწონის, რადგან ყველაფერი ხილული მოკვდავია, წარმავალია, ხრწნადია, სული კი — უკვდავი, მარადიული. ამიტომაც უნდა ვიზრუნოთ ჩვენი მრევლის სულზე ისე, როგორც საკუთარზე...**

რელიგია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

## არქიმანდრიტი შიო ხარძეიშვილი: არც კი მინდა, წარმოვიდგინო ის სასტიკი სასჯელი, რაც აღსარების გამცემ მოძღვარს მოელის!

**არქიმანდრიტი შიო ხარძეიშვილი... ნიკოლოზობას და შიო მღვიმელის ხსენების დღეს ყინწვისში მყოფს განსაკუთრებულად გვტკივა ეს გამორჩეული მოძღვარი. მასთან ეს საუბარი 2006 წლის ივლისში ჩავწერე, 2006 წლის 19 ნოემბერს გარდაიცვალა. მაშინ იგი ყინწვისის მამათა მონასტრის წინამძღვარი იყო, სადაც განისვენებს. გუშინდელ დღესავით მახსოვს, როგორ მომიახლოვდა ერთი გოგონა, მამა შიოს სულიერი შვილი, თვალებში უდიდესი სიყვარული ჩაბუდებოდა, მოკრძალება, სითბო. ისიც ჩემსავით გარინდებული შეჰყურებდა ყინწვისის ანგელოზს. შემდეგ ხმადაბლა, მოწიწებით წარმოთქვა: „მამა შიო თითქოს გამჭვირვალეა, ჩავიხედავ და მის მიღმა მთელ სამყაროს ვხედავ, მაგრამ არა ისეთს, როგორიც ჩვენ ირგვლივაა, არამედ სინათლით, სიწმინდით, სითბოთი, მადლით, სიყვარულით სავსეს... ეს სამყარო საკუთარი სულივით ტკბილია და უზომოდ მიყვარსო...“. გავიხედე და ტაძრის შესასვლელიდან მამა შიოს მოვკარი თვალი. მას ყინწვისის ანგელოზისფერი, ლაჟვარდისფერი, უძირო თვალები ზევით, უსასრულობისკენ მიეპყრო, იმ თვალუწვდენელი უსასრულობისკენ, სადაც მარადიული ჭეშმარიტება და სიყვარულია.**

შორენა სიხარულიძე



დასასრული. დასაწყისი იხ. №18

**— მამა შიო, თქვენ ხომ უამრავი ადამიანის ტკივილსა თუ სიხარულს დაატარებთ გულით.. ალბათ, ძალიან ძნელია მოძღვისთვის ამხელა ტვირთის ზიდვა...**

— როცა ადამიანთა ტკივილს, ცოდვებს მოისმენ, დგება მომენტი, როცა გიჭირს ამ ყველაფრის გადახარშვა, ჩვენ ხომ, პირველ ყოვლისა, ადამიანები ვართ! ამიტომ არის მოძღვრის ტვირთი მძიმეც და მწარეც, უფრო სწორად, ტკბილ-მწარე. ადვილი ნამდვილად არ არის, ადამიანმა მეორე ადამიანის ტკივილი იტვირთო, მაგრამ უფალი ბრძანებს: „ურთიერთას სიმძიმე იტვირთეთ და ესრეთ აღასრულეთ სჯული იგი ქრისტესი“. მოძღვარი ხომ ანგელოზი არ არის, მასაც თავისი სულიერი ბრძოლები აქვს. უნდა იტვირთო უამრავი ადამიანი — ყველა მათგანი ხომ სულიერად ჯანმრთელი არ არის? და ამ ადამიანებთან ერთად უნდა იარო წინ ისე, რომ არ შეგეშალოს, არ ატკინო, არ აწყენინო, რადგან თითოეული მათგანი უფალმა შენ ჩაგაბარა, თითოეულ მათგანზე პასუხს აგებ უფლის წინაშე! მაცხოვარი პეტრე მოციქულს ეუბნება — მე თუ გიყვარვარ, „დამწყსენ ცხოვარნი ჩემნიო“. დიახ, შენი კი არა, „ჩემი ცხოვარნიო“. **მოძღვრები ხანდახან ვცდებით და ვამბობთ: ჩემი მრევლი, ჩემი სამწყსო, რაც, რა თქმა უნდა, არასწორია. ჩვენ, უბრალოდ, ხიდი ვართ უფალსა და ადამიანებს შორის. მათ ჩვენზე უნდა გაიარონ, რომ უფალთან მივიდნენ. უფალმა თავისი სამწყსო ჩვენ ჩაგვაბარა და ისინი უვნებელნი, სწორად გაზრდილნი უნდა მივიყვანოთ მასთან და, ერთ მათგანს მაინც თუ დავკარგავთ, ათმაგად ვაგებთ პასუხს უფლის წინაშე. შენ, მოძღვარი, ადამიანთა სულების მწყემსი ხარ, თითოეული ადამიანის სული კი ძალიან ძვირფასია. მთელი ხილული სამყარო რომ აიღო, მას ერთი ადამიანის სული გადასწონის, რადგან ყველაფერი ხილული მოკვდავია, წარმავალია, ხრწნადია, სული კი — უკვდავი, მარადიული. ამიტომაც უნდა ვიზრუნოთ ჩვენი მრევლის სულზე ისე, როგორც საკუთარზე...** თუმცა ისეც ყოფილა, რომ ჩემი მრევლი სხვასთან წასულა, რაღაც არ მოსწონებია ჩემში... მაგრამ მთავარია, ადამიანი ცხონდეს და ვისთან იქნება — ჩემთან თუ სხვასთან, ამას ჩემთვის არსებითი მნიშვნელობა არ აქვს. ჩემთვის არ არსებობს ჩემი და სხვისი მრევლი, ჩვენ ყველანი ერთნი ვართ, ქრისტესი ვართ. ადამიანს ერთი მოძღვარი, ერთი სულიერი მამა უნდა ჰყავდეს, ვისი კურთხევითაც იცხოვრებს, ერთი და არა მრავალი! თუმცა აღსარება შეიძლება სხვა მოძღვარსაც ჩააბარო. ხშირად უნდათ, მოძღვარი ახლოს ჰყავდეთ. ეს, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ **უმჯობესია, მოძღვარი შორს გყავდეს და მისი კურთხევით ცხოვრობდე, ვიდრე ახლოს გყავდეს და მის კურთხევას არ ასრულებდე.**

**— მამაო, თქვენი გაოცება ნამდვილად ძნელია, მაგრამ თუ არის ამქვეყნად რამე, რაც გაკვირვებთ?**

— იცით, ნამდვილად გამიკვირდება ისეთი ადამიანის ხილვა, ვინც ჭეშმარიტად მორწმუნეა. **დღეს ისეთი დრო დადგა, ადამიანს სურს, შეაზავოს ღმერთისა და ეშმაკის სამსახური და, სამწუხაროდ, ამას ახერხებს.** შეუძლია დილით წირვაზე ეკლესიაში გრძელი კაბით, მანდილით მივიდეს, საღამოს კი დისკოთეკაზე წაბრძანდეს, ნახევრად შიშველი და სიგარეტი მოწიოს. **დღეს გასაკვირი მხოლოდ ჭეშმარიტი სიმდაბლე და მორჩილება, ღვთის უანგარო სამსახურია. ეკლესიაში ადამიანი მოდის იმიტომ, რომ ოჯახი კარგად ჰყავდეს, ჯანმრთელობა ჰქონდეს, ბარაქა არ გამოელიოს, ბიზნესში წარმატებას მიაღწიოს და არა იმის გამო, რომ უფალს მთელი გულით, წრფელად, უანგაროდ ემსახუროს. დღეს ადამიანებს უფლისადმი უანგარო სიყვარული აღარ შეუძლიათ...**

...უფალს ნახევრად ვერ ემსახურები. უფალი წმინდა წერილში ამბობს — ან ცხელი იყავი, მდუღარე, ან ცივიო. გულგრილი მსახურება სძაგს უფალს. ნელ-თბილი წყალი ხომ გულს გვირევს? ასევეა გულგრილი ადამიანიც უფლის წინაშე. **დღეს ამბობენ, სხვა დროა, XXI საუკუნეა, რაღა დროს გრძელი კაბაა, მანდილია, რა საჭიროა ეკლესიური ცხოვრება, ზიარება, აღსარება... ასე ცდილობენ, გაიმარტივონ ცხოვრება, ავიწყდებათ, რომ სასუფეველში ადვილად ვერ შევლენ... ხანდახან შემომჩივლებენ, ლოცვებს ვერ ვკითხულობ, დრო არ მაქვსო. განა 24 საათში თხუთმეტი წუთი არ აქვთ ლოცვისთვის? მაგრამ ურჩევნიათ, ეს დრო სერიალებს და ათას გონების დამაჩლუნგებელ, სულის წამბილწველ რამეს დაუთმონ. ეკლესია შეუძლებელს ადამიანს არაფერს სთხოვს, თუმცა იმ მცირეოდენის გაკეთებაც არ უნდა საკუთარი სულისთვის...**

**— რა არის დღეს ადამიანის უგუნურება?**

**— დღეს ადამიანის უგუნურება ის არის, რომ მან მიატოვა შემოქმედი — ღმერთი და მთელი თავისი ყურადღება მიწიერზე გადაიტანა.** მისთვის მთავარია ქონების შეძენა, მიწიერი კეთილდღეობა. დავით მეფსალმუნის სიტყვებს გავიხსენებ: „კაცი პატივსა შინა იყო და არა გულისხმა-ჰყო, ჰბაძვიდა იგი პირუტყვსა უგუნურსა და მიემსგავსა მას“. უფალმა ადამიანი თავის ხატად და მსგავსად შექმნა, რათა იგი ემსახუროს თავის შემოქმედს, ღმერთს, მაგრამ მან შემოქმედი თვისი დაივიწყა და პირუტყვს მიემსგავსა — მისტირის მიწიერ დიდებას, ჭამასმას, გართობას, კეთილდღეობას... ასეთი ადამიანი და მთლიანად საზოგადოება არის უგუნური, რადგან მან უმთავრესი დაივიწყა. სახარება გვამცნობს: **„რა სარგებელი აქვს ადამიანს, თუ ყველაფერს შეიძენს, მიწიერს, ამქვეყნიურს და სულს დაკარგავს?“.** ადამიანი მუდმივად უნდა ფიქრობდეს, რომ ადამიანი იყოს, ადამს მიემსგავსოს, პირველქმნილ ადამს, რომელიც უცოდველი იყო.

**— მამაო, თქვენ ეს სოფელი დაუტევეთ... მარადიული ჭეშმარიტების ძიებაში. როგორ ფიქრობთ, დღეს უფალთან ხართ?**

— უფალთან ადამიანი კი მიდის, მაგრამ რამდენად არის უფალი მასთან, ეს არის საკითხავი. **უფალი სახარებაში ამბობს — ვისზე განვისვენო?— მშვიდზე და მდაბალზეო...** არ შემიძლია იმის თქმა, რომ უფალი სულ ჩემთან არის ან მე განვისვენებ მასში. ამის თქმა ძალიან ძნელია ჩემთვის.

**— ანუ თქვენი ბერული ცხოვრება არის მცდელობა ქრისტეში ყოფნისა?**

— დიახ, ყველა ადამიანი და მითუმეტეს ბერი ამას უნდა ცდილობდეს. ერთ წმინდა მამას გარდაცვალების წინ ჰკითხეს: **„თქვენც გეშინიათ, მამაო?“** მან კი უპასუხა: **„მე ვიღვაწე ამ ქვეყანაზე, მაგრამ არ ვიცი, ჩემი ცხოვრება სათნოა თუ არა უფლისთვისო“.** ეს მხოლოდ უფლის ნებაა, გაცხონებს თუ არა. **შეიძლება, ისეთი ადამიანი აცხონოს, ვისაც ეკლესიურად ერთი დღეც არ უცხოვრია. ეს უფლის განგებაა და მხოლოდ მან იცის, ვინ აცხონოს.**

**— და მაინც, რა არის ბერობა?**

— ბერობა, პირველ ყოვლისა, საკუთარ თავთან მუდმივი ბრძოლა, თავის უარყოფაა. **ერთი წმინდა მამა ამბობს, რომ ადამიანს სამი რამის წინააღმდეგ უხდება ბრძოლა: წუთისოფლის, საკუთარი თავისა და ეშმაკის წინააღმდეგ.** ბერისთვის ეს ბრძოლა კიდევ უფრო მკაცრი და რთულია... როგორც ამბობენ, ბერობა ჭეშმარიტი ფილოსოფიაა. ბერობა არის ანგელოზებრივი ცხოვრება ამ ქვეყანაზე...

**— თუ მცდელობა ანგელოზებრივი ცხოვრებისა?**

— ...დიახ, მცდელობა... მცდელობა ანგელოზებრივი ცხოვრებისა...

**— როგორ ფიქრობთ, მამა შიო, ჩვენ ბოლო ჟამის მაცხოვრებლები ვართ?**

— ეს მხოლოდ უფალმა იცის... სახარება გვეუბნება, როცა ხეს ფოთოლი გამოაქვს ან მისი რტო დარბილდება — ეს ნიშანია გაზაფხულის მოსვლისა. ასევე, როცა ჩვენ ვიხილავთ უღმერთობას, ფულის სიყვარულს, გარყვნილ ცხოვრებას, უსიყვარულობას, ეს ყველაფერი იმის მაუწყებელია, რომ ქვეყანა დასასრულს მიუახლოვდაო. თუმცა დაბეჯითებით იმის მტკიცება, რომ ჩვენ ბოლო ჟამის მაცხოვრებლები ვართ, არ იქნება მართებული, რადგან ჩვენ, უბრალო მოკვდავთ ამის გამოსაცნობად ძალა არ შეგვწევს. ეს მხოლოდ უფლის ნებაა! როგორც სახარებაში წერია, ეს ქვეყანა ჰგავს იმ ყანას, სადაც ხარობს ხორბალი — კეთილი და ღვარძლი — ბოროტი. ამ ქვეყნის დასასრული უნდა დადგეს, რომ განირჩეს კეთილი და ბოროტი ერთმანეთისგან. **მორწმუნე ადამიანი უნდა ფიქრობდეს ახალ მიწაზე — ახალ იერუსალიმზე, როგორც საგალობელი გვამცნობს, სადაც სიხარულია დაუსრულებელი, სადაც უფალი სუფევს თავისი სიკეთით. მხოლოდ ორი გზა არსებობს ამ ქვეყანაზე — არის გზა ვიწრო, რომელზეც მცირედნი დადიან, და არის გზა ფართე, რომელზეც ძალიან ბევრი ადამიანი დადის... მესამე გზა არ არსებობს.**

**— რა გადაგვარჩენს ქართველებს ამ გლობალიზაციის ეპოქაში? არის ხსნა?**

— უფალმა უდიდესი წყალობა მოიღო ჩვენს ერზე და უმთავრესი საუნჯე — მართლმადიდებლობა მოგვმადლა. **მართლმადიდებლობაა, მხოლოდ ის ქვაკუთხედი, რომელზე დაყრდნობითაც გადავრჩებით. უამისოდ მთელი ქვეყანა დაემსგავსება ქვიშაზე აშენებულ სახლს, რომელსაც სულ უმნიშვნელო სიოც კი დაანგრევს.** ჩვენმა წინაპრებმა სისხლით და ცრემლით შემოგვინახეს ეს მადლმოსილი სარწმუნოება და განა გვაქვს უფლება, მას თვალისჩინივით არ გავუფრთხილდეთ? მართლმადიდებლობაა მხოლოდ საყრდენი ჩვენი ერის გადარჩენისა, სხვა ყველაფერი ამაოა, ცრუა, ყალბია, ჩვენს თავს ძალით მოხვეული უგუნურებაა! ამიტომაც ვიდგეთ მტკიცედ და მყარად მართლმადიდებლურ სარწმუნოებაზე და გადავრჩებით!

ბერძენი ბერი იყო — კირილე ლავრიოტისი (კირილე ლავრელი), რომელიც ათონის მთაზე, წმ.ათანასე დიდის ლავრაში მოღვაწეობდა. მან იოანეს გამოცხადება განმარტა — ბოლო ჟამს ერები მოვლენ საქართველოში, ქართველი ერისაგან ისწავლიან მართლმადიდებლობას, რადგან საქართველო იქნება უძლიერესი მართლმადიდებლური ქვეყანა, რომლისგანაც ბევრი ერი განათლდებაო. აი, რამხელა მისია აქვს საქართველოს კაცობრიობის წინაშე!

**... მადლიანი ქართული მიწა დედა ღვთისმშობელს თავისთვის შემოუნახავს, თავის წილხვედრად დაუდგენია და ვაი იმას, ვინც ქვეყნიერების დედის ამ სამფლობელოს თავისი ბილწი ხელებით შეეხება, მის დაგლეჯას და დანაწევრებას შეეცდება!**

**— მამა შიო, დაგვლოცეთ.**

— ღმერთმა დაგლოცოთ, გაგახაროთ, გაგაძლიეროთ, სიყვარულით აგავსოთ! ყინწვისის ანგელოზის წინაშე ყოველ ცისკარსა თუ მწუხრზე აღვლენილი ლოცვის მადლი გეწეოდეთ. **უფლის წყალობა არ მოგკლებოდეთ თქვენ, ამ გაზეთის მკითხველებს და სრულიად საქართველოს! ამინ!**

**ვაი იმას, ვინც ქვეყნიერების დედის ამ სამფლობელოს თავისი ბილწი ხელებით შეეხება, მის დაგლეჯას და დანაწევრებას შეეცდება!**

**უმჯობესია, მოძღვარი შორს გყავდეს და მისი კურთხევით ცხოვრობდე, ვიდრე ახლოს გყავდეს და მის კურთხევას არ ასრულებდე**

არსენალი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

## ახლა უკვე რეაქტიული ძრავით





**ისრაელში კომპანია „Aeronautics Defense Systems"-ი რეაქტიული ძრავით აღჭურვილი უპილოტო საფრენი აპარატის შექმნაზე მუშაობს.** მისი მასა, სავარაუდოდ, 5000 კილოგრამს შეადგენს. კომპანიის პრეზიდენტის — ავი ლეიმის თქმით, მთავარ პრობლემას ამ აპარატისთვის A-კლასის პერსპექტიული ავიონიკის შექმნა წარმოადგენს.

მოკლედ

## ავღანეთში კიდევ ერთი ქართველი დაიღუპა



**ავღანეთში ქართველი უმცროსი სერჟანტი ლავროსი ივანიაძე დაიღუპა.** იგი 33-ე ბატალიონის შემადგენლობაში „ISAF"-ის სამშვიდობო მისიის ფარგლებში ჰელმანდის პროვინციაში მსახურობდა. ივანიაძე პატრულირების დროს ნაღმზე აფეთქების შედეგად გარდაიცვალა („ინტერპრესნიუსი").

## უკრაინამ კინაღამ სუბმარინა დაკარგა



**სწავლების დროს ერთადერთ უკრაინულ სუბმარინა „Запорожье"-ზე აფეთქება მოხდა; რამდენიმე მეზღვაური დაშავდა.** მას სევასტოპოლში მყოფი უკრაინული და რუსული ხომალდები მიეშველნენ. ეკიპაჟის ნაწილს ევაკუირება სატორპედო აპარატების მეშვეობით მოუხდა. რთული სიტუაციის მიუხედავად, რუსმა და უკრაინელმა მაშველებმა „Запорожье" ჩაძირვას გადაარჩინეს.

## ზედმეტი ხმაურის გარეშე



**რუსეთში, ნიჟნი ნოვგოროდის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის „Буревестник"-ის კონსტრუქტორებმა 82 მმ. ყუმბარმტყორცნი შექმნეს, რომლის გასროლა მაყუჩით აღჭურვილი „კალაშნიკოვის" ავტომატის გასროლაზე ნაკლებ ხმაურიანია.** ამასთანავე, გასროლის დროს კვამლი არ გამოიყოფა. ყუმბარმტყორცნის მოქმედების რადიუსი 100-დან 1200 მეტრამდეა, წონა — 13 კგ., სროლის ტემპი — 15 გასროლა წუთში.

## «უელსის პრინცს» ბიუჯეტი შეუკვეცეს



**ბრიტანეთში ახალი ავიამზიდის — „Prince of Wales"-ის აგება დაიწყო.** საბიუჯეტო ეკონომიის გამო, ავიამზიდისთვის ამერიკულ პერსპექტიულ გამანადგურებლებს — „F-35B Lightning II"-ებს აღარ შეიძენენ; მათ ადგილს „F-35C"-ები დაიკავებს, რომელთა აფრენას კატაპულტა სჭირდება. ამიტომ „Prince of Wales-ზე ფრანგული კომპანია „Converteam"-ის ელექტრომაგნიტურ კატაპულტებს დააყენებენ.

# «Armardillo»-ს გზა შვედეთიდან ავღანეთამდე

**ომმა ავღანეთში დღის წესრიგში ჯავშანტექნიკის მოდერნიზაციის, მისი თანამედროვე კონტრ-პარტიზანული ომის რეალიებისადმი მისადაგების საკითხი დააყენა.
დღეს ჩვენ შვედური „CV90"-ის პოსტავღანურ სახეცვლილებას განვიხილავთ. ის საკმაოდ სახასიათო და, ამასთანავე, საინტერესოც არის.**



საბრძოლო მანქანა „CV90" (ის უფრო ცნობილია თავისი შვედური სახელწოდებით „Strf 90", „Stridsfordon 90, მაგრამ ვინაიდან მის მოდერნიზებულ ვარიანტის სახელწოდებაში მხოლოდ ინგლისური აბრევიატურა „CV90" ფიგურირებს, საბაზო მოდელსაც „CV90"-ად მოვიხსენიებთ) კომპანია „Hagglunds"-ის მიერ გასული საუკუნის 80-იან წლებში შეიქმნა. შვედებს, ტრადიციისამებრ, ძალიან კარგი, მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო ქვეითთა საბრძოლო მანქანა გამოუვიდათ. შვედეთის გარდა „CV90" შეიარაღებაზე ნიდერლანდებმა, შვეიცარიამ, ნორვეგიამ, ფინეთმა და დანიამ მიიღეს. მისი საბაზო (შვედური) ვარიანტი 40 მმ. ქვემეხით აღიჭურვებოდა, საექსპორტო მოდელები კი — 30 და 35 მმ. ქვემეხით. ჯავშნის საბაზო ვარიანტი უზრუნველყოფს დაცვას 14,5 მმ. კალიბრის ტყვიებისგან, დამატებით კერამიკულ ეკრანს კი კორპუსის წინა ნაწილის დაცვა 30 მმ. ჭურვებისგანაც შეუძლია.

**„CV90"-ის უდავო პლიუსებია ეკიპაჟისა და დესანტის დაცულობის მაღალი ხარისხი და კარგი გამავალობა, ხოლო მინუსი — საკმაოდ მაღალი კონტური. მისი სიმაღლე 2,7 მეტრია** (შედარებისთვის: „БМП-3" — 2,3 მეტრი). **ამასთანავე, შვედური საბრძოლო მანქანა ძვირია, მისი ღირებულება 3 მილიონ ევროს აღემატება.**

„CV90" კლასიკური სქემის მიხედვით დაპროექტდა, ძრავა-ტრანსმისიის განყოფილება და მართვის ნაკვეთური წინა მხარესაა განლაგებული. ამ ბაზაზე, აგრეთვე, შეიქმნა სამეთაურო და სადაზვერვო მოდიფიკაციები, თვითმავალი საზენიტო დანადგარი და მსუბუქი ტანკები 105 ან 120 მმ. ქვემეხით.

არავინ ელოდა, რომ ეს მანქანა ბრძოლის ველზე მოხვდებოდა, რადგან მისი მფლობელი ქვეყნები მაღალი აგრესიულობით არ გამოირჩევა, თუმცა ისინი ავღანეთში ნორვეგიულ და დანიურ კონტინგენტთან ერთად აღმოჩნდა. იქ არც ერთი მათგანი მთლიანად არ განადგურებულა, თუმცა 2010 წლის იანვარში ერთ-ერთი ნორვეგიული „CV90" თვითნაკეთ ფუგასზე აფეთქდა და მძღოლი-მექანიკოსი დაიღუპა. იმავე წლის აპრილში მსგავს სიტუაციაში ორი დანიური „CV90" მოხვდა. არავინ დაღუპულა და დაჭრილა, საბრძოლო მანქანებს კი მხოლოდ სავალი ნაწილი დაუზიანდა.

**„BAE SYSTEMS"-ის ინჟინრებმა (2004-ში „HAGGLUNDS"-ი მის მფლობელობაში გადავიდა) „CV90"-ის მოდერნიზება ავღანური გამოცდილებიდან გამომდინარე მოახდინეს. ახალი „CV90 ARMARDILLO" პირველად „EUROSATORY"-ის შეიარაღების გამოფენაზე წარმოადგინეს.**

**კორპუსი, ძრავა და სავალი ნაწილი იგივე დარჩა, თუმცა საბაზო მოდელს მძიმე ორადგილიანი კოშკურა მოაცილეს. მისი ადგილი დისტანციურად მართვადმა საბრძოლო მოდულმა „Lemur RWS"-მა დაიკავა 12,7 მმ. ტყვიამფრქვევით. ამ გადაწყვეტილებამ მნიშვნელოვნად შეამცირა მანქანის მასა, გაჩნდა 9-ტონიანი რეზერვი, რომელიც დაცვის გაძლიერებაზე დაიხარჯა.**

ამ გადაწყვეტილებამ სერიოზული კრიტიკა გამოიწვია. ავღანური ომის პრაქტიკამ აჩვენა, რომ 14,5 მმ. ტყვიამფრქვევი რეალიებში ავტონომიურად მოქმედი ქვედანაყოფისთვის არასაკმარისია, „სასურველი მინიმუმი" კი 25-30 მმ. ავრომატური ქვემეხია. მართალია, კონსტრუქტორები ამბობენ, რომ მოდული „Lemur RWS" შეიძლება აღიჭურვოს 40მმ. ავტომატური ყუმბარმტყორცნით ან ამერიკული მსუბუქი ჯავშანტექნიკისთვის ძირითადი 25 მმ. ქვემეხით „M242 Bushmaster", თუმცა აღსანიშნავია, რომ ძირითადი მოდელი მაინც 14,5 მმ. ტყიამფრქვევით აღიჭურვება. „BAE Systems"-ის ეს გადაწყვეტილება, სავარაუდოდ, „კლიენტის მოთხოვნას" მიესადაგება, რომელსაც, როგორც ჩანს, სურს, რომ ნორვეგიელმა და დანიელმა ჯარისკაცებმა მშვიდად იმოძრაონ საკუთარი ბაზების სიახლოვეს და მაქსიმალურად დაცულები იყვნენ. შეტევები გამაგრებულ სოფლებზე 25-30 მმ. ქვემეხის აკომპანიმენტით და ჩასაფრებაში მოხვედრა ავღანეთის ვიწრო ხეობებში, მათ გეგმებში, სავარაუდოდ, არ შედის.

**ვინაიდან „CV90"-ის ძირი ბრტყელია, კონსტრუქტორებმა მისი სპეციალური ფოლადისგან დამზადება და შედულების წერტილების მინიმუმამდე შემცირება გადაწყვიტეს. შედეგად, მიღწეულია ეკიპაჟისა და დესანტის უსაფრთხოება 10 კგ. ტროტილის ეკვივალენტის აფეთქების შემთხვევაში. რაც შეეხება კორპუსის დაჯავშნას, ახალი სისტემა კერამიკული მოდულებით შეესაბამება „STANAG 4569"-ის მე-5 დონის დაცვას, რაც იმას ნიშნავს, რომ „ARMARDILLO" გაუძლებს 25 მმ. ჭურვს 500 მეტრის მანძილიდან და უზრუნველყოფს ეკიპაჟის უსაფრთხოებას 25 მეტრის მანძილზე 155 მმ. ჭურვის აფეთქების შემთხვევაში.**

**„CV90 Armardillo"-ს დაცვის უმნიშვნელოვანესი ელემენტი აქტიური დაცვის სისტემა „Saab LEDS150"-ია. მისი ფუნქცია ყუმბარმტყორცნებისგან და ტანკსაწინააღმდეგო კომპლექსებისგან მომავალი საფრთხის განეიტრალებაა. ეს სისტემა ჯერ არც ერთ არმიას არ შეუძენია, თუმცა, სავარაუდოდ, ინდოეთს სურს, ის „T-90"-ებზე დააყენოს. „Armardillo", აგრეთვე, აღჭურვილია სპეციალური ხანძარსაწინააღმდეგო სისტემით, რომელიც უზრუნველყოფს მის უსაფრთხოებას, თუ „მოლოტოვის კოქტეილებს" დაუშენენ.**



ახალ მანქანას მოდულური არქიტექტურა აქვს და მის ბაზაზე შესაძლებელია სამედიცინო, სამეთაურო, სადაზვერვო, საინჟინრო მოდელების, აგრეთვე, თვითმავალი ნაღმსატყორცნების შექმნა; კონსტრუქციის დეტალების უნიფიკაციის დონე 65-88 პროცენტს აღევს.

კრიტიკის კიდევ ერთი სამიზნე „Armardillo-ს რეზინის მუხლუხოები გახდა. მართალია, მათი გამოყენება ხმაურს ამცირებს, გზებს ნაკლებად აზიანებს და თოვლში მაღალ გამავალობას უზრუნველყოფს, მაგრამ ყოველივე ეს კარგია შვედეთში, ასე ვთქვათ, „პარკეტზე", ავღანეთში კი მათი ადგილი არ არის. საბჭოთა და ამერიკული გამოცდილება ცხადყოფს, ავღანური რელიეფი და „გზები" რეზინისთვის ზოგადად მომაკვდინებელია და მისი მუდმივი გამოცვლის აუცილებლობას იწვევს, თანაც დაზიანების შემთხვევაში საჭირო გახდება მთელი მუხლუხოს და არა მისი დაზიანებული სექციის გამოცვლა, რასაც ეკიპაჟი საკუთარი ძალებით ვერ გააკეთებს. წარმოვიდგინოთ ეს სიტუაცია ბრძოლის ველზე და ვნახავთ, რომ დაზიანებული „Armardillo"-ს გარშემო, ძალიან დიდი ალბათობით, „უბედურების ზონა" შეიქმნება.

**„CV90 ARMARDILLO"-ს მაგალითზე ძალიან კარგად ჩანს ბოლოდროინდელი ტენდენციები ჯავშანტექნიკის მოდერნიზებაში, რომელთა მთავარი ნიშანია დაცვის გაძლიერება სხვა მახასიათებლების, კერძოდ საცეცხლე ძალის ხარჯზე. ერთის მხრივ, „Armardillo" თითქოსდა უფრო ადაპტირებულია ავღანეთში კონტრ-პარტიზანული მოქმედების მიმართ, თუმცა რიგი გადაწყვეტილებები ძლიერ საეჭვოა, ამასთანავე, სახეზეა კარგი კლასიკური ქვეითთა საბრძოლო მანქანის ტრანსფორმირება ერთგვარ ჰიბრიდულ ჯავშანტრანსპორტიორად, რომელიც სხვა ომის პირობებში შეიძლება აბსოლუტურად გამოუსადეგარი აღმოჩნდეს.**



## ინტერნეტში „ლურჯი ჩინელები“ იმოქმედებენ

**ჩინეთის თავდაცვის სამინისტროს ცნობით, „ინტერნეტში უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით“ სახალხო-გამათავისუფლებელ არმიაში ჯარების ახალი სახეობა შეიქმნა;** მას „ლურჯი ინტერნეტჯარები ეწოდა“. ეს პირველი შემთხვევაა მსოფლიოში, როდესაც ჯარების სახეობის სახელწოდებაში სიტყვა „ინტერნეტი“ ფიგურირებს.

არსენალი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

# ოპერაცია «კატაპულტა» — ბრიტანული ფლოტის სირცხვილი

**საზღვაო ბრძოლაზე, რომელიც 1940 წლის 3 ივლისს ალჟირის (მაშინ საფრანგეთის კოლონია) ნაპირებთან გაიმართა, ისტორიის სახელმძღვანელოებში ძალიან ცოტას წერენ. არადა, ფორმალურად, ეს II მსოფლიო ომის ყველაზე მასშტაბური საზღვაო ბრძოლა იყო, რადგან ბრძოლები წყნარ ოკეანეში ავიამზიდების გამოყენებით უფრო სხვა, კომბინირებულ საავიაციო-საზღვაო ხასიათს ატარებდა.**







**რატომ საუბრობენ ასე ცოტას ბრძოლაზე, რომელშიც შვიდი ლინკორი, ათობით საესკადრო ნაღმოსანი და წყალქვეშა ნავი, ავიაცია და სანაპირო არტილერია მონაწილეობდა?** შესაძლოა იმიტომ, რომ ამ დღეს დიდი ბრიტანეთის ფლოტი მოულოდნელად თავს დაესხა ყოფილი მოკავშირის, საფრანგეთის ხომალდებს და მისი უდიდებულესობის მეზღვაურების მოქმედებამ რიგ ეპიზოდებში მათ ღირსება ნამდვილად არ შემატა.

**1940 წლის 22 ივნისს საფრანგეთის მთავრობამ მესამე რაიხის წინაშე კაპიტულაცია გამოაცხადა. გერმანელებმა საფრანგეთის ნაწილის ოკუპაცია მოახდინეს, მეორე ნაწილს ფრანგული ე.წ. ვიშის მთავრობა აკონტროლებდა. ფლოტი მის განკარგულებაში დარჩა. ფორმალურად, ვიშისტური საფრანგეთი ნეიტრალური სახელმწიფო გახდა, თუმცა ბრიტანელები შიშობდნენ, რომ მსოფლიოს სიდიდით მეოთხე ფლოტის ხომალდები გერმანელების ხელთ აღმოჩნდება. სასწრაფოდ შემუშავდა ოპერაცია „კატაპულტის“ გეგმა, რომელიც მიზნად ამ საფრთხის ნეიტრალიზებას ისახავდა.**

3 ივლისს ბრიტანელები მათ პორტებში მყოფი ყოფილი მოკავშირეების ხომალდებს მიადგნენ. თავდასხმა იმდენად მოულოდნელი (და წარმოუდგენელი) იყო, რომ წინააღმდეგობა მხოლოდ ერთი წყალქვეშა ნავის ეკიპაჟმა გაწია. შეტაკებაში ოთხი ადამიანი დაიღუპა. ბრიტანელებმა ხელთ იგდეს ორი მოძველებული დრედნოუტი, ორი საესკადრო ნაღმოსანი, ხუთი წყალქვეშა ნავი და რვა სატორპედო კატარღა.

ყველაზე ძლიერი ფრანგული ესკადრა ალჟირში, ორანის მახლობლად, მერს-ელ-კაბირში იმყოფებოდა. ბრიტანელებმა იქ ადმირალ სომერვილის ესკადრა გაგზავნეს, რომელშიც სამი ლინკორი, ერთი ავიამზიდი, ორი კრეისერი და 11 საესკადრო ნაღმოსანი შედიოდა. აგრეთვე, ორანთან ბრიტანული წყალქვეშა ნავები მოქმედებდა. **სომერვილმა ფრანგ კოლეგას, ადმირალ ჟენსიულს ულტიმატუმი წაუყენა: ან ფრანგული ხომალდები ბრიტანულ პორტებში მიემართებიან, ან საფრანგეთის აზიურ კოლონიებში გადადიან, ან ფრანგებმა ისინი იქვე, ალჟირში უნდა ჩაძირონ. წინააღმდეგ შემთხვევაში ბრიტანელები „უფლებას იტოვებენ, ყველა საშუალებას მიმართონ, რათა არ დაუშვან გერმანელების ხელში ფრანგული ხომალდების მოხვედრა“. ფრანგმა ადმირალმა ამ მოთხოვნების შესრულებაზე უარი განაცხადა. სომერვილი ლონდონს დაუკავშირდა და ჩერჩილისგან მიიღო ბრძანება, დაუმორჩილებლობის შემთხვევაში ფრანგული ხომალდები ჩაძიროს.**

ვიდრე ორი ადმირალი საუბრობდა, ფრანგი ოფიცრები ლინკორ „Strasbourg“-ის ბორტზე ინგლისელებისთვის ბანკეტის მოწყობაზე ზრუნავდნენ. ამასობაში კი ბრიტანული თვითმფრინავები დაზვერვას აწარმოებდნენ, აგრეთვე, მიმდინარეობდა აკვატორიის ინტენსიური დანაღმვა, რათა ფრანგებისთვის გარღვევის საშუალება შეეზღუდათ.

**მოგვიანებით შარლ დე გოლი** წერდა: **„ჩვენს ხომალდებს ბრძოლის გამართვა არ შეეძლოთ, ისინი პორტში იდგნენ და მანევრის საშუალება არ ჰქონდათ. ინგლისელებს შესაძლებლობა ჰქონდათ, პირველი ზალპები მოეხდინათ, რაც ასეთ მანძილზე გადამწყვეტია. ეს პატიოსანი ბრძოლა არ იყო“.**

ულტიმატუმის ვადა 17 საათსა და 25 წუთზე იწურებოდა, ბრიტანელებმა ცეცხლი უფრო ადრე, 16:54-ზე გახსნეს. პირველი დაზიანებები ლინკორმა „Dunkerque“-მა მიიღო, 17:03-ზე ჭურვები ლინკორ „Provence“-ს მოხვდა, 17:07-ზე გაჩნდა ხანძარი ძველ ლინკორ „Bretagne“-ზე. ორიოდე წუთში ის აფეთქდა და ჩაიძირა; მისი ეკიპაჟიდან 997 მეზღვაური დაიღუპა. „Dunkerque“ ცდილობდა, ფარვატერში გასულიყო და ამავე დროს საპასუხო ცეცხლი ეწარმოებინა. მას სამი ბრიტანული ლინკორი „ხვრეტდა“. ფრანგულ საესკადრო ნაღმოსან „Mogador“-ს 381 მმ. ჭურვი მოხვდა, რამაც მისი ჭურვების დეტონაცია გამოიწვია. ეს ხომალდი ჩაძირვას მართლაც რომ სასწაულებრივად გადაურჩა. დაახლოებით 17:15 საათზე ბრიტანულმა ესკადრამ დაიწყო მანევრი, რომლის მიზანი გარღვევაზე წასული სხვა ხომალდებისთვის გზის გადაღობვა იყო.

ამ დროს ბრძოლის ერთ-ერთი ყველაზე დრამატული ეპიზოდი მოხდა. ლინკორმა „Strasbourg“-მა ხუთ საესკადრო ნაღმოსანთან ერთად ღია ზღვაში გარღვევა მოახერხა. საესკადრო ნაღმოსნებმა ბრიტანულ წყალქვეშა ნავ „Proteus“-ს „Strasbourg“-ზე იერიშის მიტანის შესაძლებლობა არ მისცეს, ხოლო თავად „S“-მა თავისი 330 მმ. არტილერიით აიძულა ბრიტანული საესკადრო ნაღმოსანი „Wrestler“-ი, მისთვის გზა გაეხსნა. 17:10-ზე ეს რაზმი მოულოდნელად ბრიტანულ ავიამზიდ „Ark Royal“-ის უშუალო სიახლოვეს, „პირისპირ“ აღმოჩნდა; მარტოდმარტო ის აბსოლუტურად დაუცველი იყო. **პირველი რანგის კაპიტანს — ლუი კოლინიეს სრული შესაძლებლობა ჰქონდა, 3 ივლისი ბრიტანელებისთვის ეროვნული გლოვის დღედ გადაექცია, თუმცა მან თავის ხომალდებს უბრძანა, ყოფილი მოკავშირისთვის ცეცხლი არ გაეხსნათ. როდესაც ფრანგული ხომალდები დაშორდნენ, „ARK ROYAL“-ის კაპიტანმა ჰაერში 6 „SWORDFISH“-ი აწია. 17:45-ზე ამ თვითმფრინავებმა „STRASBOURG“-ს შეუტიეს.**

**ომში სენტიმენტების ადგილი არ არის, თუმცა, ალბათ, იყო რაღაც ძალიან ღირსეული ფრანგი კაპიტანის გადაწყვეტილებაში და რაღაც ძალიან უღირსი მისი ბრიტანელი კოლეგის საპასუხო ნაბიჯში.**

**იმ დღეს ბედი ლუი კოლინიეს სწყალობდა. მისმა პატარა ესკადრამ ბრიტანული თვითმფრინავების ორი იერიში (6+6) მოიგერია, ორი მათგანი ჩამოაგდო, დადევნებულ ბრიტანულ ხომალდებს დაუსხლტდა და 4 ივლისის საღამოს ტულონში ჩააღწია.**

6 ივლისს ბრიტანელებმა საჰაერო იერიშით „Dunkerque“ კიდევ უფრო დააზიანეს და კიდევ 150 ფრანგი მეზღვაური მოკლეს. მომდევნო დღეებში ბრიტანელებმა იერიში კუნძულ მარტნიკაზე მყოფ ფრანგულ ხომალდებზე მიიტანეს. შემდეგ იყო სხვა ნაბიჯები, რომელთა შედეგად ბრიტანელებმა ჯამში 15 ფრანგული სუბმარინა ჩაძირეს.

**საბოლოოდ კი აღმოჩნდა, რომ ბრიტანელების შიში ფრანგული ხომალდების გერმანელების ხელში აღმოჩენის შესახებ უსაფუძვლო გამოდგა. 1942 წელს, როდესაც შეიქმნა საფრთხე, რომ გერმანელებმა შეიძლება ფრანგული ხომალდების დაპატრონება სცადონ, ეკიპაჟებმა ხომალდები, მათ შორის „Dunkerque“ და „Strasbourg“-ი თვითონვე ჩაძირეს.**

**ოპერაცია „კატაპულტა“ კი საფრანგეთ-ბრიტანეთის ურთიერთობების ისტორიაში შავ ლაქად დარჩა. ბრიტანელ მეზღვაურებს ამ თემაზე საუბარი არ უყვართ.**





## გა[illegible]ზებულნი

**დიმიტრი მედვედევი, რფ-ის პრეზიდენტი:**



რუსულ და ამერიკულ მხარეებს ყველა საკითხთან დაკავშირებით საერთო მოსაზრება არ გააჩნიათ, მაგრამ ეს მათ ხელს არ უშლით, ითანამშრომლონ. ამერიკელ კოლეგასთან ყველაზე მგრძნობიარე საკითხები განვიხილე, მათ შორის ანტისარაკეტო თავდაცვითი სისტემის სფეროში თანამშრომლობის საკითხიც. მე უკვე ვუთხარი ჩემს მეგობარ ბარაკს, რომ, როგორც ჩანს, ეს საკითხები მომავალში გადაწყდება და არა ახლა, შესაძლოა — 2020 წელს.

*Fox News*

**ბარაკ ობამა, აშშ-ის პრეზიდენტი:**



აშშ დაინტერესებულია, რუსეთთან ანტისარაკეტო თავდაცვითი სისტემის ისეთ კონფიგურაციაზე შეთანხმდეს, რომელიც ორივე ქვეყნის უსაფრთხოების ინტერესებს დააკმაყოფილებს. მოსკოვი და ვაშინგტონი ისე იმოქმედებენ, რომ სტრატეგიული ბალანსი შეინარჩუნონ და ორი ქვეყნის პოტენციურ საფრთხეებს გაუმკლავდნენ...

*km.ru*

**ნიკოლა სარკოზი, საფრანგეთის პრეზიდენტი:**



ლიბია რუსეთთან ურთიერთობებში ყველაზე მარტივი საკითხი არაა. კადაფი უნდა გადადგეს ხელისუფლებიდან, უკვე 40 წელია, რომ ებღაუჭება. ის უნდა წავიდეს. რაც მალე გააკეთებს ამას, მით მეტი არჩევანი ექნება შემდგომი მარშრუტისთვის. ჩვენ არ ვსაუბრობთ აუცილებლად გადასახლებაზე, მაგრამ ადამიანი, რომელმაც მძიმე არტილერია გამოიყენა თავისი მოსახლეობის წინააღმდეგ, ხელისუფლებაში ვერ დარჩება.

*kp.ru*

**ბენიამინ ნეთანიაჰუ, ისრაელის პრემიერ-მინისტრი:**



ისრაელი არასდროს დაუშვებს იერუსალიმის გაყოფას. ის მუდამ დარჩება ისრაელის ნაციონალურ დედაქალაქად. მზად ვარ, წავიდე კომპრომისებზე, მაგრამ რაიონები, რომელთაც მნიშვნელოვანი სტრატეგიული დატვირთვა აქვს, ისრაელის საზღვრებში დარჩება. ისრაელელები ოკუპანტები არ არიან, ჩვენ არ ვართ ბრიტანელები ინდოეთში და ბელგიელები კონგოში. ეს ჩვენი წინაპრების მიწაა. ნებისმიერ შემთხვევაში, ისრაელის მიწების ნაწილი ისრაელის საზღვრებს მიღმა დარჩება.

*rian.ru*

არსენალი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95



ისმაილ მუჰამედი, „კატრინას“ მსხვერპლთა ადვოკატი:
— ისე გვექცეოდნენ, თითქოს სრულებით არ აინტერესებდათ ჩვენი ბედი. როდესაც დაუტბორავ რაიონებში გადაგვიყვანეს, გისოსებში გამოგვამწყვდიეს. არავინ იცის, რატომ გვექცეოდნენ პოლიციელები და სამხედროები როგორც დამნაშავეებს. ოფიციალური წარმომადგენლები და სამხედროები საშინელებებს სჩადიოდნენ. მოგვათავსეს საკონცენტრაციო ბანაკის მსგავს ადგილას, სადაც გისოსებში გამომწყვდეულებს შეიარაღებული ადამიანები გვყარაულობდნენ, დაგვცინოდნენ, ტელეფონებით გვიღებდნენ ფოტოებს.

# HAARP – კლიმატური იარაღი, ანუ ამინდის გამოყენება სამხედრო მიზნებისთვის

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №10-18

**პირველად ამინდზე ხელოვნური ზემოქმედება 1946 წელს განხორციელდა. მაშინ ამერიკელმა ქიმიკოსმა ვინსტონ შატერმა თვითმფრინავიდან კილოგრამ-ნახევარი მშრალი ყინული გადმოყარა, რამაც თოვლის მოსვლა განაპირობა. ნალექების პროვოცირების მეთოდის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ღრუბლებში თვითმფრინავის, რაკეტების ან ჭურვების საშუალებით იფანტება სპეციალური რეაგენტები — ვერცხლის, მშრალი ყინულის ან ჩვეულებრივი ცემენტის შენაერთები. ისინი იზიდავს სისველეს, რომელსაც ატმოსფერო შეიცავს, მძიმდება და შემდეგ წვიმის ან სველი თოვლის სახით მოდის. აშშ-ში 40-იანი წლების დასასრულს ნალექების ხელოვნურად გამოწვევის შესაძლებლობათა ნამდვილი ბუმი იყო. კომერციული ფირმები პირდაპირ სთავაზობდნენ ფერმერებს კლიმატურ მომსახურებას. ბუნებრივი სტიქიის კოლოსალური ძალა შეიძლებოდა მასობრივი განადგურების იარაღად ქცეულიყო.**



**კონსტანტინე სივკოვი, სამხედრო მეცნიერებათა დოქტორი, გეოპოლიტიკური პრობლემების აკადემიის ვიცეპრეზიდენტი:**
**— თუ გაირკვევა, რომ რუსეთისა და მსოფლიოს სხვა ქვეყნების ტერიტორიებზე სამოქალაქო თვითმფრინავებიდან მიმოიფრქვევა რაღაც რეაგენტები და ეს არასანქცირებულად კეთდება, ეს, ცხადია, უნდა შეფასდეს როგორც სახელმწიფოს წინააღმდეგ განხორციელებული ტერორისტული აქტი. განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ეს რეაგენტები ნეგატიურად მოქმედებს ადამიანების ცნობიერებასა და ჯანმრთელობაზე.**



ქიმტრეილების პრობლემა ყველა ჩვენგანის ცხოვრებას ძალზე სერიოზულად ეხება. მოსახლეობის 90%-ზე მეტმა, უბრალოდ, არაფერი იცის იმის თაობაზე, რაც ხდება. მრავალი მათგანი გულგრილი ვერ დარჩება, როდესაც სიმართლეს შეიტყობს. იმისათვის, რომ ყველამ გაიგოს, თუ რასთან გვაქვს საქმე, თითოეულმა ჩვენგანმა უნდა ამოიღოს ხმა, იმიტომ, რომ მთელი კაცობრიობის მომავალი დამოკიდებულია სწორედ დღევანდელ მოქმედებებზე.

**12-საათიანი დაკვირვების შედეგად დაფიქსირდა ასზე მეტი თვითმფრინავი, რომლებიც ქიმიურ კვალს ტოვებდა. მზის ჩასვლისას ეს ღრუბლის ზოლები**



**კაშკაშა ვარდისფერი ხდება. ხშირად ახედეთ ცას, რათა იცოდეთ, რა ხდება თქვენს თავს.**

უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე ბუნებრივი კატაკლიზმები ნორმად იქცა. წყალდიდობები, ტორნადოები, ცუნამები, მიწისძვრები, გადაუღებელი წვიმები და გვალვები მოწმენდილ ცაზე ჭექა-ქუხილივით მოულოდნელად სადღაციდან ჩნდება ხოლმე და, ტოტალური ნგრევის გარდა, უამრავი ადამიანის სიკვდილს იწვევს.



სინოპტიკოსები გვარწმუნებენ, რომ ადამიანებს წარსულშიც უხდებოდათ დღევანდელობის მსგავს კატაკლიზმებთან გამკლავება და გვიჩვენებენ გარკვეული თარიღების ისტორიულ ქრონიკებს, მაგრამ არსებობს ერთი პატარა „მაგრამ“, რომლის გახმაურებაც არავის სურს. საქმე ისაა, რომ **ძველად მომხდარ საშინელ სტიქიურ უბედურებებს ერთმანეთისგან ათწლეულები, ხანდახან კი მთელი საუკუნეებიც კი აშორებდა, უკანასკნელი რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში კი გლობალურ კატასტროფებს შორის პერიოდი რამდენიმე თვემდე შემცირდა.**




**სულ ცოტა ხნის წინათ ტელეეთერით საინფორმაციო გამოშვებებში იტყობინებოდნენ:**
**— ამინდის ანომალიები მთელ მსოფლიოს მოედო, სამხრეთ კალიფორნიაში გადაუღებელი წვიმები უდიდესი დანაკარგების მიზეზი გახდა. არადა, სულ რაღაც ერთი თვის წინათ ეს ქალაქი შტორმების მიზეზით გაჩენილი ხანძრების ალში იყო გახვეული. ქალაქის მკვიდრნი ბარიერებს აშენებენ, რომ რამენაირად ღვარცოფების შეჩერება მოახერხონ და სახლები დანგრევას გადაარჩინონ. ამ მომენტში ლოს-ანჯელესის ოლქში საშინელი წყალდიდობაა, რაც მთელი კვირის განმავლობაში გადაუღებელმა კოკისპირულმა წვიმებმა განაპირობა. დაზარალებულთა ევაკუაციისთვის სულ უფრო მეტი მაშველი ერთვება საქმეში. სინოპტიკოსებმა უკვე გაავრცელეს გაფრთხილება მოსალოდნელი ტორნადოს შე-**



**სახებ. ფოტოგრაფმა მოძრავი ღრუბლების დაფიქსირება შეძლო. ძლიერი წვიმებია სამხრეთ კალიფორნიაშიც, სადაც 1200-ზე მეტი სახლის მცხოვრებნი ევაკუირებულ იქნენ ღვარცოფის გამო. კალიფორნიის მთიან რაიონებში კი 1,5 მეტრი თოვლია. პროგნოზების მიხედვით, მოსალოდნელია ტორნადო. მთელს არიზონაში გადაუღებელი წვიმები და წყალდიდობებია.**



**ბუნებრივი კატასტროფები არ ცხრება და ჩვენ უნდა ვიცოდეთ იმის შესახებ, თუ რა ხდება. ჟურნალისტი ბენჟამენ ფურფორტი გახსნილად აცხადებს, რომ აშშ-ის მთავრობა საიდუმლოდ იყენებს პროგრამა ჰარპს ამინდის შესაცვლელად. მისი თქმით, სწორედ ჰარპის დახმარებით გამოიწვიეს 1995 წელს მიწისძვრა იაპონიაში, 2004 წელს — აზიის ცუნამი, 2005 წელს — ქარიშხალი „კატრინა“, რომელმაც ახალი ორლეანი მიწასთან გაასწორა, 2008 წელს — მიწისძვრა ჩინეთში, 2010 წელს მიწისძვრები ჰაიტსა და ჩილეში.**




ვენესუელის პრეზიდენტი **უგო ჩავესი** აცხადებდა, რომ ამერიკელებმა კლიმატური ბომბი გამოიყენეს და ჰაიტზე მიწისძვრა გამოიწვიეს. მისივე თქმით, ეს მხოლოდ რეპეტიცია იყო, აშშ-ის შემდეგი სამიზნე კი ირანი გახდებოდა.



2001 წლის დეკემბერში ნასას კვლევითი ცენტრის მეცნიერებმა 5 ბალისა და მეტი მაგნიტუდის ასზე მეტი მიწისძვრა შეისწავლეს და აღმოაჩინეს, რომ თითქმის ყველა მათგანის მიზეზი იონოსფეროში შექმნილი ელექტრონული დისბალანსი გახდა. შეიძლება თუ არა, რომ ეს ჰარპის ან მისი მსგავსი სადგურის მოქმედებას უკავშირდებოდეს?



**დოქტორი აგნი ბრუგსი, გეოფიზიკოსი, ინჟინერი:**
**— ამ მძლავრი სადგურების შესაძლებლობა, გააღიზიანონ იონოსფერო და გამოიწვიონ მიწისძვრები, მაშფოთებს და მაშინებს კიდეც. 1987 წელს ორეგონში ვმუშაობდით ნავთობისა და გაზის აღმოსაჩენად, მაგრამ მოხდა ის, რასაც არ მოველოდით — დაიწყო მიწისძვრა და მისმა სიმძლავრემ რიხტერის შკალით 4,5 ბალს მიაღწია. ძალიან გაგვიკვირდა, რომ ჩვენ მიერ გამოყენებულმა ტალღებმა ამგვარი ეფექტი გამოიწვია. ეს დაბალსიხშირიანი ტალღების მსგავსი ტალღები იყო. როდესაც ალიასკაზე ჰარპი იწყებს მოქმედებას, იონოსფეროში იგზავნება უმძლავრესი ტალღები, რომლებიც არეკლილი სახით უკან ბრუნდება და შეიძლება უდიდეს მანძილზე გადაიცეს.**

დოქტორ აგნი ბრუგსის თქმით, რამდენიმე მილიონი ვატი განზრახ ან შემთხვევით იქნა მიმართული ნიადაგის შრეების დესტაბილიზაციისკენ და 1987 წელს ორეგონის უძლიერესი ნგრევა გამოიწვია.




**კონსტანტინე სივკოვი:**
— დღეისათვის მრავალი მეცნიერი მიიჩნევს, რომ ქარიშხალი „კატრინა“, რომელმაც ამერიკაში მნიშვნელოვანი ნგრევა გამოიწვია, გენერირებულ იქნა სწორედ ჰარპის მოქმედების შედეგად. ამაზე საუბრობდნენ თავად ამერიკელი მეცნიერებიც, მაგრამ ისინი მიიჩნევდნენ, რომ „კატრინა“ ჰარპის ანალოგიურმა ჩვენმა სადგურმა „სურამ“ წარმოშვა. მაგრამ ეს შეუძლებელია იმიტომ, რომ სურას არ გააჩნდა ფაზირებული ანძების ბადეები, არ შეეძლო გამოსხივების კონცენტრირება იონოსფეროს ლოკალურ ოლქებზე და გამოეწვია მისი იონიზაცია. ამრიგად, „კატრინა“ ყველა ამ შესაძლებლობის მქონე ჰარპმა წარმოშვა. მაშინ ამერიკელებს ადანაშაულებდნენ იმაშიც, რომ ახალი ორლეანის დამბები ქარიშხალ „კატრინას“ დროს შეგნებულად ააფეთქეს.

**გასულ ზაფხულს ბუნებრივ კატაკლიზმებს მთელი მსოფლიო ებრძოდა. ვიდრე რუსეთში გვალვასა და ხანძრებს უმკლავდებოდნენ, ევროპაში, ჩინეთში, ინდოეთში, პაკისტანში, პოლონეთში ხალხმა აღარ იცოდა, როგორ დაეღწია თავი წყალდიდობებისა და მეწყერებისთვის. სამხრეთ ამერიკის ქვეყნების სხვადასხვა რაიონში — არგენტინაში, ჩილეში, პერუში ყინვების გამო სხეულის გადაციებასთან დაკავშირებული დაავადებებით ასობით ადამიანი დაიღუპა. პერუს ხელისუფლებამ ანომალიურ ყინვებთან დაკავშირებით ქვეყნის ტერიტორიის უმეტეს ნაწილში საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა. სამხრეთ რაიონებში თერმომეტრები 30 გრადუსზე დაბალ ტემპერატურას აჩვენებდა.**



# არსენალი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95



**ისმაილ მუჰამედი, „კატრინას“ მსხვერპლთა ადვოკატი:**

— ისე გვექცეოდნენ, თითქოს სრულებით არ აინტერესებდათ ჩვენი ბედი. როდესაც დაუტბორავ რაიონებში გადაგვიყვანეს, გისოსებში გამოგვამწყვდიეს. არავინ იცის, რატომ გვექცეოდნენ პოლიციელები და სამხედროები როგორც დამნაშავეებს. **ოფიციალური წარმომადგენლები და სამხედროები საშინელებებს სჩადიოდნენ. მოგვათავსეს საკონცენტრაციო ბანაკის მსგავს ადგილას, სადაც გისოსებში გამომწყვდეულებს შეიარაღებული ადამიანები გვყარაულობდნენ, დაგვცინოდნენ, ტელეფონებით გვიღებდნენ ფოტოებს.**



**მახსოვს ერთი კაცი, მუხლებზე მდგომი როგორ ეხვეწებოდა სამხედროებს, მისი პატარა ბავშვისთვის სულ ცოტა წყალი მიეცათ, მაგრამ ამ თხოვნისთვის ყური არავის უგდია და ჩემი თვალით ვნახე ამ ბავშვის სიკვდილი. ეს ადამიანთა მკვლელობა იყო. მათ სურდათ, რომ ყველანი დავხოცილიყავით.**



ქარიშხალ „კატრინას“ შემდეგ კომპანია „ვერიჩიპმა“ გაავრცელა ცნობა იმის თაობაზე, რომ სამხედროები ახალი გვამის აღმოჩენის შემთხვევაში ახორციელებდნენ გარდაცვლილის ჩიპირებას, თითქოსდა გარდაცვლილთა დათვლის პროცესის გასამარტივებლად. სამხედრო-საზღვაო ძალების ყოფილი თანამშრომელი აშშ-ის არმიის ხელთარსებულ საშუალებებზე საუბრისას ამბობს, რომ მათ აქვთ მძლავრი გამოსხივების იარაღი, რომელიც წყალქვეშაც კი უდიდეს ეფექტს იწვევს — შეუძლია კურსიდან გადაიყვანოს გემი ან რომელიმე სხვა ობიექტი.



**ჯეიმს ვენტურა, ამერიკელი პოლიტიკოსი და პუბლიცისტი:**

**— როდესაც ჰარპი იონოსფეროში ტალღებს უშვებს, მისი შრეები ცხელდება და ვიზუალურად ერთგვარი ჩრდილოეთის ნათება ჩნდება. სწორედ ამგვარ ჩრდილოეთის ნათებას ხედავდნენ ინდონეზიაში ცუნამის წინ. არადა, ნორმალურ პირობებში ინდონეზიაში ჩრდილოეთის ნათება არ უნდა ჩანდეს.**




ჩილეში მიწისძვრის დაწყებამდე და მის დროს ადამიანები ცაზე ხედავდნენ, როგორ ჩნდებოდა სხვადასხვა ფერები.

გასული ზაფხულის სიცხეებმა რუსეთში ყველა რეკორდი მოხსნა, მაღალი ტემპერატურით გამოწვეულმა ხანძრებმა კი ათასობით ჰექტარზე გაანადგურა მწვანე საფარი. მსოფლიო პრესა იტყობინებოდა, რომ ამ კატაკლიზმის წინ კოსმოსურ სივრცეში გაიყვანეს ამერიკული უპილოტო საფრენი აპარატი, რომლის მისიაც მკაცრად იყო გასაიდუმლოებული. სპეციალისტების აზრით, ასეთ აპარატს მძლავრი ლაზერული იარაღის გადაადგილება შეეძლო და, შესაძლოა, კომპლექს ჰარპის რეტრანსლიატორი ყოფილიყო. ზოგიერთი მონაცემებით, ავტომატურმა ხომალდმა კოსმოსში არაუმცირეს 270 დღე უნდა გაატაროს და შემდეგ აშშ-ის სამხედრო საჰაერო ძალების ერთ-ერთ ბაზაზე დაეშვას.



**ლეონიდ ივაშოვი**, გეოპოლიტიკური პრობლემების აკადემიის პრეზიდენტი, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, გენერალ-პოლკოვნიკი:

— 2010 წელს ლაზერული აღჭურვილობების მთელი რიგი გამოცდები ჩატარდა „ბოინგ 747“-ზე და ივლისიდან სექტემბრამდე მას კიდევ მთელი რიგი გამოცდები უნდა ჩაეტარებინა. მოულოდნელად ეს გამოცდები არ ჩატარდა, „ბოინგი“ გავიდა ავღანეთის ტერიტორიაზე, გაიარა რუსეთი ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე. რა არის ლაზერული იარაღი? ეს არის უწყვეტი ლაზერული იმპულსი, რომელიც იგზავნება რამდენიმე ათეულ კილომეტრზე. ერთი ამგვარი დარტყმის მილიწამი და უზარმაზარი ტემპერატურა, რომელსაც თავისუფლად შეუძლია ამგვარი ხანძრების გამოწვევა, გარანტირებულია, თუმცა ეს ავტორის ვარაუდია.



მოსკოვი 2010 წლის ივლისში ქვის სახიფათო ჯუნგლებს დაემსგავსა. დედაქალაქის თავზე მომწამვლელი ბური იდგა. თვე-ნახევარში მოიხსნა უკანასკნელი ასწლეულის ყველა ტემპერატურული რეკორდი. **საოცარია, მაგრამ ხანძრების უმეტესობა ჩნდებოდა იქ, სადაც სტრატეგიული და თავდაცვითი დანიშნულების სამხედრო ნაწილებია განლაგებული.** დაიწვა 25-ე ცენტრალური საავიაციო-ტექნიკური ბაზა, სადაც 20 მილიარდი რუბლის ღირებულების ავიატექნიკის 200 ერთეული განადგურდა. იმავე დღეს გაჩნდა ხანძარი საჰაერო-სადესანტო ტექნიკის საცავ ცენტრალურ ბაზაზე. 8 აგვისტოს დაიწვა საკონსტრუქტორო ბიუროს საამქროები, სადაც სარაკეტო კომპლექსი „ისკანდერი“ შეიმუშავეს. რამდენიმე დღით ადრე კი ლამის მთლიანად დაიწვა სარაკეტო თავდასხმის შესახებ გაფრთხილების ცენტრი.



როგორც ჩანს, ხანძრებისთვის სამიზნეები საგულდაგულოდ ირჩეოდა. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ, **როდესაც მოსკოვში 40-გრადუსიანი სიცხე იყო, ბერლინში 18 გრადუსი აღინიშნებოდა, ვარშავაში — 25, ვენასა და პარიზში — 20. ყველა ამ ფაქტის შეთავსებით კი ჩნდება აზრი, რომ რუსეთში ახალი კლიმატური იარაღი გამოსცადეს.** მეცნიერთა უმეტესობა თანხმდება იმაზე, რომ წარმოუდგენელი სიცხის მიზეზი იყო გიგანტური ანტიციკლონი, რომელიც რუსეთის ევროპული ნაწილის თავზე შეჩერდა და ჰაერი ხმელთაშუა ზღვისა და ცენტრალური აზიის გავარვარებული ჰაერით გააჯერა. მანამდე რუსეთში მსგავსი ციკლონები არავის უნახავს.



**ბორის როდიონოვი**, ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი:

— ეს სიცხეები, რა თქმა უნდა, შეიძლებოდა ყოფილიყო კლიმატური იარაღის ზემოქმედების შედეგი. ატმოსფერული ნაკადების მართვით, ციკლონებისა და ანტიციკლონების წარმოქმნით, თავისუფლად შეიძლება 40-გრადუსიანი ტემპერატურის გამოწვევა. თუ ამ ტექნოლოგიების მფლობელი ადამიანების ნება იქნება, ცხადია, ტემპერატურამ შეიძლება 50-60 გრადუსსაც უპრობლემოდ მიაღწიოს. ანალოგიური წარმატებით შეიძლება ამავე სიძლიერის ყინვების გამოწვევაც. ეს არ წარმოადგენს არანაირ პრობლემას და ვფიქრობ, გველის კიდეც.



გასულ ზაფხულს ბუნებრივ კატაკლიზმებს მთელი მსოფლიო ებრძოდა. ვიდრე რუსეთში გვალვასა და ხანძრებს უმკლავდებოდნენ, ევროპაში, ჩინეთში, ინდოეთში, პაკისტანში, პოლონეთში ხალხმა აღარ იცოდა, როგორ დაეღწია თავი წყალდიდობებისა და მეწყერებისთვის. სამხრეთ ამერიკის ქვეყნების სხვადასხვა რაიონში — არგენტინაში, ჩილეში, პერუში ყინვების გამო სხეულის გადაციებასთან დაკავშირებული დაავადებებით ასობით ადამიანი დაიღუპა. პერუს ხელისუფლებამ ანომალიურ ყინვებთან დაკავშირებით ქვეყნის ტერიტორიის უმეტეს ნაწილში საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა. სამხრეთ რაიონებში თერმომეტრები 30 გრადუსზე დაბალ ტემპერატურას აჩვენებდა.

**ბორის როდიონოვი:**

**— მთავარი პროცესები სწორედ იქ, იონოსფეროში მიდის და შეიძლება მოხდეს ყველაფერი, რაც გნებავთ. შეიძლება მთელი დედამიწის აფეთქება, არა მხოლოდ კლიმატის შეცვლა მასზე, მიწისძვრების გამოწვევა და ასე შემდეგ. პირდაპირი მტკიცებულებები, რომ ამ იარაღს ნამდვილად იყენებენ, ცხადია, არ მაქვს, მაგრამ ფიზიკას შეუძლია ახსნას, თუ როგორ შეიძლება ამ ყველაფრის განხორციელება და, სავარაუდოდ, როგორც გაკეთდა კიდეც.**



დღეისათვის ჰარპი მთელი თავისი სიმძლავრის მხოლოდ მესამედს იყენებს, თუ მას მთელი დატვირთვით აამუშავებენ, თავისუფლად შეიძლება სხვადასხვა გეოანომალიის გამოწვევა. ეფექტი შეიძლება შეუქცევადი იყოს მთელი პლანეტისთვის. დედამიწის ოზონის შრის დაშლა და კლიმატის განუსაზღვრელი ცვლილება მთელ კონტინენტებზე ან თუნდაც გამყინვარების პერიოდის შესაბამისი სიცივეების განპირობება სირთულეს არ წარმოადგენს. უფრო მეტიც, შეიძლება დედამიწის მაგნიტური ღერძის შებრუნება, პოლუსების გადაადგილება, დედამიწის გადაყვანა თავისი ორბიტიდან.



2005 წლის 4 ივლისს ნასას სპეციალისტებმა კოსმოსში განახორციელეს უნიკალური ოპერაცია, რომლის სახელწოდებაც „ღრმა შეღწევა“ იყო. ექსპერიმენტის მთავარი მიზანი იყო კომეტის ნივთიერებათა სტრუქტურის შესწავლა და კომეტის ტრაექტორიის შეცვლის მცდელობა. ზოგიერთი მეცნიერი ამბობდა, რომ ეს ექსპერიმენტი, შესაძლოა, სახიფათო იყოს, მაგრამ ნასამ უპასუხა მათ, რომ კომეტისთვის მცირეოდენი დარტყმით დიდი არაფერი მოხდებოდა.

როდესაც კომეტა 133 მილიონი კილომეტრის დაშორებამდე მოახლოვდა, ამერიკულმა კოსმოსურმა ხომალდმა მას 370 კილოგრამიანი ჭურვი ესროლა. სენსორებმა შეჯახება და აფეთქება დააფიქსირეს, მაგრამ ამის შემდეგ დარტყმის ადგილას მოხდა კიდევ ერთი, გაცილებით მძლავრი აფეთქება.



**სამი თვის შემდეგ იაპონელმა მეცნიერებმა დააფიქსირეს არც თუ სასიამოვნო ფაქტი, რომ კომეტის ბირთვიდან გამოიყო ნამსხვრევი, რომლის მასა ათასობით ტონას შეადგენდა და რომ ეს ნამსხვრევი შეიძლებოდა დედამიწას დაჯახებოდა.**

ამერიკელი მეცნიერები კი თვლიდნენ, რომ კომეტის ბირთვი ყინულისგან შედგებოდა და იმედოვნებდნენ, რომ დედამიწამდე მოღწევის შემთხვევაშიც კი, მისი ნაწილები ატმოსფეროში დადნებოდა. უფრო გვიანდელმა კვლევებმა კი აჩვენა, რომ ნამსხვრევის შემადგენლობაში წყალი საერთოდ არ იყო და, თუ ის დედმიწას შეეჯახებოდა, ერთ ქალაქს საერთოდ გაანადგურებდა, ოკეანეში კი უზარმაზარ დამანგრეველ ტალღებს წარმოშობდა. ამერიკელებმა კომეტის ტრაექტორიის შეცვლა ვერ მოახერხეს.

**დასასრული შემდეგ ნომერში**

დაიჯესტი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**ტერორიზმის წინააღმდეგ ათწლიანი ბრძოლის მოვლენათა ვერსია ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს, ამიტომაც ახლა უნდა ვთქვათ: ამერიკელებო, ჩვენ თქვენი არ გვჯერა, თქვენ ამბობთ იმას, რასაც ვერ ამტკიცებთ. და ვინაიდან არაფრის დამტკიცება არ გსურთ, ჩვენ უფლება გვაქვს, ვთქვათ, რომ ავღანეთის ომი, ისევე, როგორც ერაყისა, ყალბი ოპერაცია იყო. და საერთოდ, ყველაფერი, რასაც თქვენ მსოფლიო არენაზე აკეთებთ, ჩვენს ინტერესებს არ შეესაბამება.**

ჯულიეტო კიეზა:

# ახალ მსოფლიო ომამდე რამდენიმე ნაბიჯია

**ცნობილი იტალიელი პოლიტიკოსი, ჟურნალისტი და კონსპიროლოგი ამერიკის შეერთებულ შტატებს მსოფლიოს გლობალური გადაკეთების მზადებაში ამხელს. მისი აზრით, ამ გეგმის განსახორციელებლად ამერიკელები პროვოკაციებსა და ინსცენირებებს იყენებენ. სწორედ ამ პროვოკაციებისა და ინსცენირებების ერთ-ერთი უკანასკნელი ნიმუშია უსამა ბენ ლადენის „მკვლელობაც“.**



ჯულიეტო კიეზა



თავის წიგნში „ზერო“ და ფილმში „გამოძიება ნულიდან“ ჯულიეტო კიეზა ამტკიცებს: „11 სექტემბრის ისტორია თავისთავად საეჭვოა“

ახალ მსოფლიო ომამდე რამდენიმე ნაბიჯია. უსამა ბენ ლადენის „მკვლელობას“ ამერიკული კრიზისის გაღრმავებად მივიჩნევ. მართალია, ეს ოპერაცია დიდი ხნის მანძილზე მზადდებოდა, მაგრამ ის, თუ როგორ განხორციელდა ოპერაცია, თუ რა ინფორმაციას აწვდიდნენ მსოფლიოს, გვიჩვენებს, რომ ამ ყველაფერში მნიშვნელოვანი როლი იმპროვიზაციამ შეასრულა. რატომ? იმიტომ, რომ **ბატონმა ობამამ ხელმეორედ გაპრეზიდენტების ყველა შანსი დაკარგა, თუ ტერმინატორად არ იქცევა. ამიტომ მან და მისმა გუნდმა გადაწყვიტეს, განეხორციელებინათ აბსოლუტურად თეატრალიზებული ოპერაცია. ყველა იმ მონაცემის თანახმად, რომელიც ჩვენს ხელთაა, ბენ ლადენი უკვე დიდი ხნის მკვდარია.**

მართალია, ამის დამადასტურებელი მტკიცებულებები არავის აქვს, მაგრამ მიაქციეთ ყურადღება: მსოფლიომ მომენტალურად დაიჯერა ეს ყოველივე. მაგრამ ჩვენ, ჟურნალისტებს, არ შეგვიძლია ვენდოთ მხოლოდ ერთ ვერსიას, ოფიციალურს, და არ ვითვალისწინებდეთ ყველა დანარჩენ გარემოებას. მაშ ასე, რა ვიცით? ვიცით ის, რომ ამერიკელებმა ვიღაც მოკლეს და ზღვაში ჩაძირეს ისე, რომ ფაქტის გადამოწმების საშუალება არავის მისცეს. ეს კი გვაფიქრებინებს, რომ მათ საჩვენებელიც არაფერი ჰქონდათ, მათ ყველაფერი მოიგონეს.

ჩვენ ვცხოვრობთ ფიქტიურ მსოფლიოში, რომელსაც მატრიცა შევარქვი და რომელშიც აქამდე გვასწავლიდნენ, ასე თუ ისე ნამდვილი რაღაცები დაგვეჯერებინა, ახლა კი იმის პრეტენზია გაუჩნდათ, რომ წარმოუდგენელი რამეებიც დაგვაჯერონ. ეს უკვე სერიოზული ამოვარდნაა იმ მსოფლიო საზოგადოების წინააღმდეგ, რომელსაც ყოფილი მსოფლიო იმპერია უწევს ორგანიზებას. ხაზს ვუსვამ — ყოფილი, იმიტომ, რომ **ამერიკა, უკვე დიდი ხანია, აღარ არის იმპერია, მაგრამ მაინც აქვს იმის პრეტენზია, რომ საკუთარი საზომებით მართოს მსოფლიო. სწორედ ამით აიხსნება ამერიკელთა ქცევის უიმედობა, მათი უუნარობა, აღიარონ იმ მსოფლიოს ახალი რეალიები, რომელშიც თავად მრავალთაგან ერთ-ერთნი არიან მხოლოდ და მეტი არაფერი.**

ისინი უკვე აღარ წარმოადგენენ მთავარ მმართველებს; მაგალითად: ჩინეთი ისევე, როგორც ევროპა, ამერიკაზე ძლიერია უკვე ყველა პარამეტრის მიხედვით. ახლა ამერიკა რეაგირებს დაჭრილი ცხოველივით, რომელიც ძველებურ მდგომარეობაში დაბრუნებას ცდილობს და ამ თვალსაზრისით მართლაც უდიდეს საფრთხედ იქცევა პლანეტაზე მშვიდობისთვის.

ტელევიზიით გადაიცა უსამა ბენ ლადენის მცველთან ცნობილი ინტერვიუ, რომელშიც ნათქვამია, რომ ნომერ პირველი ტერორისტი 2006 წელს ავღანეთში დაკრძალეს. არსებობს კიდევ სხვა მრავალი წყარო, რომელთა მტკიცებითაც იგი ჯერ კიდევ 2001 წლის დეკემბერში მოკვდა. ამის შესახებ თავად ბენაზირ ბხუტოც საუბრობდა „ალ-ჯაზირასთვის“ მიცემულ ერთ-ერთ ინტერვიუში, რომელშიც მიანიშნა, რომ იცის, ვინ მოკლა ბენ ლადენი. ამის შემდეგ კიდევ მრავალი წყარო, მათ შორის აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ექსთანამშრომელიც აცხადებდა, რომ უსამა არავის მოუკლავს, იგი ავადმყოფობის შედეგად გარდაიცვალა. პარალელურად იმ ადგილის აღწერილობა, სადაც თითქოსდა ბენ ლადენი მოკლეს, არ შეესაბამება „ალ ქაიდას“ სიმძლავრეთა აღწერილობებს.

**ეს არის გიგანტური მითი, რომელშიც ყველა ჩვენგანი ცხოვრობდა უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში. ამის შესახებაც არაერთხელ თქმულა. მაგალითად, საფრანგეთის ანტიტერორიზმის შეფმა *ალენ ჟიუიემ***

გასული წლის იანვარში საფრანგეთის სენატის წინაშე გამოსვლისას განაცხადა: **„ჩვენი მონაცემების თანახმად, „ალ ქაიდა“ 2002 წლის შემდეგ აღარ არსებობს და როდესაც მოქმედებდა, მის შემადგენლობაში იყო ორმოცამდე ადამიანი, რომელთაც ნამდვილად არ შეეძლოთ მსოფლიო ტერორისტული ქსელის მართვა“.**

ბატონი ჟიუიე უკანასკნელი არ არის, ვინც ირწმუნება, რომ „ალ ქაიდა“ ფიქციაა, „ადიდასის“ ან „კოკა-კოლას“ მსგავსი ლოზუნგია, რომელსაც ყველა იყენებს ისე, რომ არც იცის, რაზეა საუბარი. 11 სექტემბრის ისტორია, რომელიც თავისთავად ძალზედ საეჭვოა, უკვე ავსახე ფილმში „ზერო“ და ამავე სახელწოდების წიგნში. **ტერორიზმის წინააღმდეგ ათწლიანი ბრძოლის მოვლენათა ვერსია ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს, ამიტომაც ახლა უნდა ვთქვათ: ამერიკელებო, ჩვენ თქვენი არ გვჯერა, თქვენ ამბობთ იმას, რასაც ვერ ამტკიცებთ. და ვინაიდან არაფრის დამტკიცება არ გსურთ, ჩვენ უფლება გვაქვს, ვთქვათ, რომ ავღანეთის ომი, ისევე, როგორც ერაყისა, ყალბი ოპერაცია იყო. და საერთოდ, ყველაფერი, რასაც თქვენ მსოფლიო არენაზე აკეთებთ, ჩვენს ინტერესებს არ შეესაბამება.**

არ არსებობს ტრიბუნალი, რომელიც დაადასტურებს ადამიანის გარდაცვალებას, თუ მისი გვამი არ არსებობს. ამერიკელებს შეეძლოთ ესეც გაეყალბებინათ, მაგრამ არ გააკეთეს იმავე მიზეზით, რა მიზეზითაც ერაყში არ მოინდომეს მასობრივი განადგურების იარაღის ვითომდა აღმოჩენა და ომის წამოწყების მიზეზის გამართლება. და იცით, რატომ? იმიტომ, რომ ამერიკა თავად აკონტროლებს მსოფლიოში ინფორმაციის ნაკადებს. მსოფლიოს ყველა გაზეთს ისეთი რეაქცია ჰქონდა ბენ ლადენის სიკვდილზე, თითქოს თავად შეესწრნენ ამ ფაქტს. მასმედია ყოველ წუთს იმეორებს ამერიკულ ვერსიას და მილიარდობით ადამიანი, რომელსაც არ შეუძლია ინფორმაციის გადამოწმება, იჯერებს მას. რა საჭიროა რეალური ფოტოები, თუ ყველა გაზეთი ისედაც მზადაა, ყალბი ფოტოები ბეჭდოს?

რესპუბლიკელი ბუშის დაწყებულ საქმეს დემოკრატი ობამა განაგრძობს. ახლა ჩვენ ამერიკის პოლიტიკური კურსის ცვლილებას ვადევნებთ თვალს. მინდა, ხაზი გავუსვა, რომ ყველაფერი, რაც აქამდე ვთქვი, შემიძლია დავამტკიცო, ის კი, რასაც ახლა ვიტყვი, მხოლოდ ვარაუდია. მაშ ასე, მე ვთვლი, რომ ობამას ხელმეორედ არ აირჩევენ, რადგან მან უკვე დაკარგა საკუთარი სახე და წინააღმდეგობას ვერ უწევს რესპუბლიკელებს. მან ვერ განახორციელა ჯანდაცვის რეფორმა, ვერ განკურნა ფინანსური მდგომარეობა. **ამერიკაში ახლა იმდენად ღრმა კრიზისია, რომ, თუ ობამას საპრეზიდენტო არჩევნებში კენჭისყრა სურს, ამერიკის ფინანსურ სამყაროში, უოლ-სტრიტზე ახალი წესები უნდა დაამყაროს. ძველი წესები ბანკირების წესებია. როგორც ჩანს, მან და მისმა გუნდმა უკვე აღიარეს დამარცხება. ამიტომაც ობამა ბუშის კურსს დაადგა.**

ჯორჯ ბუშმა ათწლეული ტერორიზმთან ბრძოლითა და მთელი მსოფლიოსთვის მითიური უსამა ბენ ლადენის წარდგენით დაიწყო. ამერიკის ახალმა პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ კი კაცობრიობის ნომერ პირველი მტრის მკვლელობით დაასრულა ეს ათწლეული. ობამას კრიზისიდან გამოსასვლელად რეცეპტი არ აქვს. **მრავალი წლის მანძილზე პირველად ამერიკა სრული გაკოტრების მდგომარეობაშია. ახლა ამერიკაში წუთში რამდენიმე მილიარდ დოლარს ბეჭდავენ. ობამას არ შეუძლია ამგვარი სიტუაციის მართვა, ამიტომაც სთავაზობს რესპუბლიკელებს ამერიკის გადარჩენის ეგრეთ წოდებულ ბიპარტიზანულ ხაზს.**

მსოფლიომ ორ დღეში დაივიწყა ბენ ლადენის მკვლელობის სენსაციური მოვლენა. ეს კი კიდევ ერთი მტკიცებულებაა იმისა, რასაც ზემოთ ვამბობდი. თუ ადამიანები ამაზე ფიქრს განაგრძობენ, უამრავ წინააღმდეგობას დაინახავენ, ისევე, როგორც ეს 11 სექტემბრის შემდეგ ხდებოდა. მდგომარეობა გამოყენებულია, ეს წიგნი უნდა დაიხუროს და მასზე საუბარი უნდა აიკრძალოს. **უსამა ბენ ლადენის მკვლელობის ამბავი მსოფლიო საზოგადოების თვალთახედვიდან უნდა გაქრეს, რადგან ახლა ომის ახალი შტო იღებს სათავეს. მე ყოველთვის ვამბობ იმას, რასაც ვხედავ, მე კი ვხედავ, რომ ახალ მსოფლიო ომამდე სულ რამდენიმე ნაბიჯი რჩება.**

**უკრაინის „ნარინჯისფერი“ რევოლუცია, ესტონეთში ბრინჯაოს ჯარისკაცის ჩამოგდება და ომი საქართველოში მაშინ ხდებოდა, როდესაც ევროპასა და ამერიკაში ადამიანები მიიჩნევდნენ, რომ შეტევის მდგომარეობა უჭირავთ. შემდეგ მსოფლიო კრიზისი დაიწყო და შემობრუნება მოხდა.**

2007-2008 წლებში შემობრუნების ხანა იყო. ახალი სიტუაციები ჩნდებოდა, ადამიანები კი ისე იქცეოდნენ, თითქოს ყველაფერი ძველებურად ყოფილიყო. გარდამავალი პერიოდი ფინანსური კრიზისით დაიწყო, შემდეგ კი ამას მოჰყვა ომები არაბულ სამყაროში, რასაც რევოლუციური უწოდეს, მე კი იდეოლოგიურ, ემოციურ სფეროში განმათავისუფლებელ ომს ვუწოდებდი.

**ეს არაა დასავლეთის მიერ „ფერადი“ რევოლუციებით თავსმოხვეული „დემოკრატია“, ეს სულ სხვა რამაა. „ნარინჯისფერ“ რევოლუციამდე, სამხრეთ ოსეთის ხელში ჩაგდების მცდელობამდე ეს ნამდვილად დასავლეთის შეტევა იყო, მაგრამ ახლა ის უკვე დაიბზარა. მე ყველა ბზარს ფართო კრიზისის სიმპტომად მივიჩნევ და ამიტომაც ვაერთიანებ, მიუხედავად მათი სხვადასხვაობისა. კრიზისი არის კონტროლის დაკარგვა როგორც ტექნიკაზე („ფუკუსიმა“), ასევე — ადამიანთა გრძნობებზე (არაბული სამყარო).**

საუბარია ძალიან დიდ კრიზისზე. ეს კაცობრიობის ისტორიაში უპრეცენდენტო კრიზისია, სისტემური კრიზისი. და თუ ჩვენ უკვე ზღვარზე ვართ? ჩვენი განვითარების ფუნდამენტური წყარო ენერგიაა. ენერგია კი მალე ამოიწურება — ჯერ ნავთობი და გაზი, შემდეგ ურანი და ნახშირი. ეს ერთი კრიზისია. მეორეა ფინანსური კრიზისი, ფულის საერთო რაოდენობამ უკანასკნელი 15 წლის მანძილზე ისეთ დონეს მიაღწია, რომ მისი მართვა აღარავის ძალუძს. განვითარების ფინანსურმა სექტორმა გადაყლაპა წარმოება, ჩვენ მხოლოდ ფულს ვაწარმოებთ, ფულს, რომელიც გამოყენებას ეძებს. გამოყენების ადგილი კი აღარსადაა. ამ ფულით უკვე აღარაფრის გაკეთება შეიძლება, გარდა ბუნების განადგურებისა. მაგრამ ბუნება განსაზღვრული სტრუქტურაა, დედამიწა მრგვალია, მაგრამ არა — უსასრულო. უკანასკნელი ორი საუკუნის მანძილზე იმ ილუზიაში ვცხოვრობდით, რომ მუდმივად შეგვიძლია განვითარება, მაგრამ ახლა უკვე დასასრულს ვუახლოვდებით, ბოლო გაჩერებას. სულ რაღაც ხუთი წლის შემდეგ ვიღაც ამ პლანეტაზე ზედმეტი აღმოჩნდება.

**ხუთი წლის შემდეგ დედამიწაზე იქნება ერთ-ნახევარი ჩინეთი, ერთ-ნახევა-** ▶

ნატოს ხელმძღვანელობა იძულებულია, მანევრირებას მიმართოს და იქონიოს სათადარიგო სცენარი, რომლის მიხედვითაც ზოგიერთი არაბული სახელმწიფოს ტერიტორიებზე განლაგდებიან მრავალეროვნული სახმელეთო კონტინგენტები ნატოს დროშის ქვეშ, როგორც ეს ბალკანეთის ნიმუშშია და რისკენაც ვაშინგტონი და ბრიუსელი იხრება.
ბოსნიისა და ჰერცოგოვინის, კოსოვოსა და მაკედონიისგან განსხვავებით, ლიბიისა და სირიის შემთხვევაში მსგავსი გეგმების განხორციელება კიდევ უფრო იოლდება ამ ქვეყნებიდან ზღვაზე გასასვლელის არსებობით.

დაიჯესტი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**◀ რი ინდოეთი, ერთ-ნახევარი ბრაზილია, ერთ-ნახევარი ინდონეზია და 9 მილიარდი ადამიანი. და თუ ყველა ჩინელი, ბრაზილიელი, ინდოელი და ინდონეზიელი ჩვენსავით მოინდომებს ხორცის ჭამას, მანქანებით სიარულსა და კარგ სახლებში ცხოვრებას, ამას არც დედამიწაზე არსებული ენერგია ეყოფა, არც ცემენტი, სურსათი და წყალი. მაქსიმუმ 25-40 წლის მანძილზე ყველა რესურსი ამოიწურება. ეს ცივილიზაციის დასასრულია. ადამიანებს ჰგონიათ, რომ ეს შორეული მომავლის საქმეა, მე კი გეუბნებით, რომ ამას ეს და მომდევნო თაობა მოესწრება.**

თუ ამ გზით განვაგრძობთ სიარულს, ეს ყველაფერი გარდაუვალია. ვინ გაბედავს, აუხსნას 500 მილიონ ევროპელს ან 300 მილიონ ამერიკელს, რომ მათი ცხოვრების დონე მკვეთრად უნდა გაუარესდეს? ამერიკის პრეზიდენტი ვერ შეძლებს — სამი წუთის შემდეგ მოკლავენ. მერკელი? ბერლუსკონი? სარკოზი? — არა. შეცდომა იქნებოდა, გვეფიქრა, რომ მსოფლიოს მმართველები ჩვენსავით აზროვნებენ. ისინი მუტანტები არიან. მათი მთავარი ცდუნება იქნება ძალა, რათა მიითვისონ ჯერ კიდევ დარჩენილი რესურსები. **ამერიკა დღეისათვის მსოფლიოში ყველაზე შეიარაღებული ქვეყანაა და ის იომებს ცხოვრების ახლანდელი დონის შესანარჩუნებლად. ასე რომ, მომავლის ყველაზე მეტად სავარაუდო სცენარი გიგანტური მსოფლიო ომია.**

არ მინდა მდგომარეობა დავამძიმო, მაგრამ ჩვენ ავტორიტარული გადაწყვეტილებებისკენ მივდივართ. თუ ევროპა საერთაშორისო სავალუტო ფონდის კურსით განაგრძობს მსვლელობას, საბერძნეთის, ირლანდიისა და პორტუგალიის ბედი ეწევა ყველას — ადამიანები უცაბედად დაკარგავენ ყველა სოციალურ პრივილეგიასა და გარანტიას. ასე რომ, პოპულისტურის გარდა, სხვა ვარიანტი არ რჩება. **იტალიის მთავრობაში უკვე არიან ფაშისტები, ფინეთში უკანასკნელ არჩევნებზე ნაციონალისტებმა გაიმარჯვეს, ჰოლანდიაში არჩევნები ყველაზე ექსტრემისტულმა და ქსენოფობიურმა პარტიამ მოიგო.**

დემოკრატიის ძველი სტრუქტურები ხელისუფლებასა და ხალხს შორის გარკვეული შეთანხმებების შედეგი იყო. თუ ეს შეთანხმებები დაირღვევა, დასასრული რევოლუციური იქნება. მემარცხენეობა გამორიცხულია, რადგან ადამიანები უკვე საკმარისად გამოშტერდნენ და მომხმარებლებად იქცნენ. ერთადერთი ლოგიკური ალტერნატივა პოპულისტური მემარჯვენეობაა. ყველგან გაჩნდება ვიღაც ბელადი, მეთაური, ფიურერი, დუჩე, რომელიც იტყვის: დამნაშავეა მეზობელი, ემიგრანტი, უნდა დამყარდეს მკაცრი წესრიგი. გამოცდილება უკვე გვაქვს: **1929 წელს ასევე კრიზისი იდგა და ათიოდე წლის შემდეგ მეორე მსოფლიო ომი დაიწყო. ახლა ჩვენ ბევრად უფრო უარეს და ბევრად უფრო დრამატულ მდგომარეობაში ვიმყოფებით.**

**KP.RU**

# ნატო ლიბიისა და სირიისთვის «კოსოვოს მოდელს» ამუშავებს

**23 მაისს ხმელთაშუა ზღვის აკვატორიაში კოდური სახელწოდებით „ფენიქს ექსპრესი“ აშშ-ის, ნატოს, ასევე სამხრეთ ევროპისა და ჩრდილოეთ აფრიკის პარტნიორი ქვეყნების შეიარაღებულ ძალთა ერთობლივი, მრავალეროვნული მანევრები დაიწყო. მას ორი მიზანი აქვს: პოლიტიკური — უჩვენოს ალიანსის შეკრულობა მის რიგებში კრიზისის საფრთხისა და ლიბიის სამხედრო ოპერაციაში ჩავარდნების წინააღმდეგ; სამხედრო — არა მხოლოდ ლიბიაში, არამედ სირიაშიც მომავალ ომში ხმელეთზე დესანტის გადასმის რეპეტიციის გავლა.**



საუბარია სამხედრო ქმედებების ალგორითმის შემუშავებაზე არა მხოლოდ ლიბიაში, არამედ უკვე სირიაშიც. მანევრების პროგრამა სავსებით შეესაბამება ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ახალ სტრატეგიულ კონცეფციას, რომლის თანახმადაც ნატო უნდა ფლობდეს **„პოლიტიკური და სამხედრო შესაძლებლობების უნიკალურ და მძლავრ ნაკრებს, რათა საქმე იქონიოს კრიზისების სრულ სპექტრთან კონფლიქტებამდე, მათ დროსა და მათ შემდეგ“**. დოკუმენტში ნათქვამია: **„ნატო აქტიურად გამოიყენებს ამგვარი პოლიტიკური და სამხედრო საშუალებების აუცილებელ შერწყმას იმისათვის, რომ დახმარება გასწიოს იმ კრიზისების განვითარების მართვაში, რომლებსაც პოტენციურად ალიანსის უსაფრთხოებაზე გავლენის მოხდენა შეუძლია“.**

იმ სიჩქარის გათვალისწინებით, რომლითაც არეულობების ტალღა ხმელთაშუა ზღვის პერიმეტრზე მიგორავს, ლიბია, სირია, შემდეგ კი, შესაძლოა, ირანიც, ალჟირიცა და კიდევ რამდენიმე სხვა სახელმწიფოც ნატოს ახალი სტრატეგიული კონცეფციის საომარ პირობებში აპრობირების პირველ ობიექტებად იქცევა. სხვა ყველაფერთან ერთად, ამ საქმეში წარმატება განხორციელებისკენ მიაახლოვებს აშშ-ში ნეოკონსერვატორული ლობის გეგმებს, რომელთა მიხედვითაც გაერო საერთაშორისო საქმეებს უნდა ჩამოშორდეს.

**უკვე თითქმის აღარ რჩება ეჭვი, რომ ტრიპოლის შემდეგ ნატოს დაბომბვის ობიექტი დამასკო გახდება. „ვფიქრობ, კეთილსინდისიერი იქნებოდა იმის თქმა, რომ ჩვენ ვაპირებთ, სირიის ხელისუფლებას პასუხისმგებლობისკენ მოვუწოდოთ. ის, რაც ახლა ხდება, თავად მოვლენათა ქრონიკა, საერთო ჯამში ჩვენი მუშაობის**

## უკვე თითქმის აღარ რჩება ეჭვი, რომ ტრიპოლის შემდეგ ნატოს დაბომბვის ობიექტი დამასკო გახდება

**გამოვლინებას წარმოადგენს,“** — ამ სიტყვებით ჰილარი კლინტონმა, ფაქტობრივად, აღიარა სირიაში მოვლენების განვითარებაში აშშ-ის პირდაპირი ჩარევის ფაქტი.

სულ ახლახან ბარაკ ობამამ „არაბული გაზაფხულის“ შეფასებისას გააკეთა სახალხო განცხადებები, რომლებიც ლიბიასა და სირიაში ანტისამთავრობო გამოსვლებისთვის ახალი იმპულსის მიცემას ისახავდა მიზნად. **„ჩვენი გზავნილი უბრალოა: თუ თქვენ საკუთარ თავზე იღებთ რეფორმების განხორციელების რისკებსა და პასუხისმგებლობებს, თქვენ ამერიკის შეერთებული შტატების სრულ მხარდაჭერას მიიღებთ“,** — განაცხადა ობამამ. **თეთრი სახლის უფროსის განცხადება იმის თაობაზე, რომ „კადაფი აუცილებლად წავა, ან ჩამოშორებული იქნება ხელისუფლებას“ იმის მინიშნებაა, თუ რა ბედს უმზადებენ ბაშარ ასადს.**

23 მაისს ევროსაბჭოს საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე შეთანხმებული გადაწყვეტილება, ბაშარ ასადი „სანქცირებულთა სიაში“ შეეყვანათ, ამ თემასთან დაკავშირებით ბრიუსელის პოზიციასაც გამოხატავს.

**ჩრდილოეთ აფრიკასა და ახლო აღმოსავლეთში მდგომარეობა გაცილებით რთულია, ვიდრე ვაშინგტონსა და ბრიუსელში გადაწყვეტილებათა მიმღებ ცენტრებს წარმოუდგენიათ.** ამის თაობაზე თავის უკანასკნელ მოხსენებაში წერს საერთაშორისო კრიზისული ჯგუფი: **„ვარაუდი იმისა, რომ დრო ოპოზიციის მხარესაა, რომ რეჟიმი მალე ამოწურავს საბრძოლო მასალების, საწვავის ან ფულის მარაგს, როგორც ჩანს, ადგილს აღარ ტოვებს სერიოზულ პოლიტიკაზე ფიქრისა და მისი გატარებისთვის“.**

ამ პირობებში ნატოს ხელმძღვანელობა იძულებულია, მანევრირებას მიმართოს და იქონიოს სათადარიგო სცენარი, რომლის მიხედვითაც ზოგიერთი არაბული სახელმწიფოს ტერიტორიებზე განლაგდებიან მრავალეროვნული სახმელეთო კონტინგენტები ნატოს დროშის ქვეშ, როგორც ეს ბალკანეთის ნიმუშშია და რისკენაც ვაშინგტონი და ბრიუსელი იხრება.

ბოსნიისა და ჰერცოგოვინის, კოსოვოსა და მაკედონიისგან განსხვავებით, ლიბიისა და სირიის შემთხვევაში მსგავსი გეგმების განხორციელება კიდევ უფრო იოლდება ამ ქვეყნებიდან ზღვაზე გასასვლელის არსებობით. აუცილებელია მხოლოდ ურთიერთქმედების დამუშავება ხმელთაშუა ზღვაში მდგარი გემების ზღვიდან დესანტის გადმოსასმელად და სწორედ ამას აკეთებენ ახლა „ფენიქს ექსპრესის“ მონაწილენი.

**FONDSK.RU**

# დასავლეთის სირიული პოკერი

**ყველაფერი ისე ხდება, როგორც ექსპერტებმა იწინასწარმეტყველეს. 18 მაისს სირიის წინააღმდეგ სანქციები დაწესდა. პრეზიდენტმა ობამამ განაცხადა, რომ ბაშარ ასადი და მასთან დაახლოებული ექვსი პირი „დაისჯება“ ამერიკულ ბანკებში ანგარიშების გაყინვითა და ამერიკის მოქალაქეებისთვის მათთან საქმის დაჭერის აკრძალვით. სასჯელი იმან განაპირობა, რომ ასადმა მშვიდობიანი მომიტინგეების წინააღმდეგ ძალა გამოიყენა.**




ასადის წინააღმდეგ დაწესებულ სანქციებს პრაქტიკული მნიშვნელობა არ აქვს, იმიტომ, რომ იგი ამერიკის ბანკებში ფულს არ ინახავს. სამაგიეროდ, მრავალმხრივია ამ აქციის პოლიტიკური ფონი: აშშ-ის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ **„სირიის პრეზიდენტისთვის დადგა დრო, ან პოლიტიკური რეფორმები გაატაროს, ან წავიდეს“.**

აშშ დამოუკიდებელი ქვეყნის პრეზიდენტს სანქციებს ყოველდღე არ უწესებს. თვით გლობალური ტერორიზმის დამფინანსებლად მიჩნეული ჩრდილოეთ კორეისა და ირანის წინააღმდეგ არ დაწესებულა „პერსონალური სასჯელი“. **ბაშარ ასადი კი, რომელიც „გლობალური მმართველი კლასის“ ნებით, „დიქტატორების“ კატეგორიაში ჩარიცხეს, მოამარ კადაფისა და ალექსანდრე ლუკაშენკოს კამპანიას შეუერთეს. ამიერიდან სირიის პრეზიდენტი აშშ-ის მტრად ითვლება. შემდეგი ნაბიჯი თანამდებობიდან მისი წასვლის მოთხოვნა იქნება — დასავლურ პოკერს უცვლელი წესებით თამაშობენ.**

**ვაშინგტონთან ერთად ბაშარ ასადისა და სირიის 13 გამოჩენილი პოლიტიკოსის წინააღმდეგ სანქციები პოკერში აშშ-ის პარტნიორმა ევროკავშირმაც დააწესა, თანაც ბრიუსელი დაიმუქრა, რომ სირიაში მდგომარეობის გაუარესების შემთხვევაში სანქციები გამკაცრდება.**

და გაიელვა კიდეც სირიის ცაზე არასაფრენი ზონის აჩრდილმა, რომელსაც ქუჩის დემონსტრანტთა უფლებებისთვის მებრძოლი დასავლეთი შემოიღებს.

მიუხედავად ამ ყველაფრისა, ბაშარ ასადმა გასცა ბრძანება, ჩატარდეს პოლიციელთა გადამზადება „ქუჩის არეულობათა ლოკალიზების“ თემატიკით და განაცხადა, რომ სირიამ გადალახა კრიზისი, რაც იმას ნიშნავს, რომ მღელვარებები მალე ჩაცხრება. ამის შემდეგ კი უმალ გავრცელდა ინფორმაცია, რომ პოლიციელებმა ქალაქ ტალ კალაჰში მიტინგი დაარბიეს და ამას თითქოსდა 27 ადამიანი ემსხვერპლა.

ისრაელი სირიაში შექმნილ მდგომარეობას დიდი სიფრთხილით აფასებს. ზოგიერთი ისრაელელი პოლიტიკოსი შიშობს, რომ სირიაში მდგომარეობის გართულება ისრაელში „ჰეზბოლას“ გააქტიურებას გამოიწვევს, ისრაელის საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი ალონ ლიელი კი მიიჩნევს, რომ ასადის წასვლის შემთხვევაში მის ადგილს ექსტრემისტები დაიკავებენ.

**დასავლეთი სარისკო თამაშზე გადავიდა. ფსონები უკვე გაკეთებულია. სირიის პრეზიდენტს გაგდება ელის. მაგრამ არავინ იცის, რა მოჰყვება ამას, არც მოთამაშეებმა იციან, რადგან მათი ზურგს უკან თამაშს ყურადღებით ადევნებენ თვალს ირანელებიც, პალესტინელებიცა და სხვა დაინტერესებული პირებიც. სირიის „მართული არასტაბილურობა“ კიდევ შემოუბრუნდება დასავლეთს ისე, რომ ვერც კი წარმოუდგენია.** საკმარისია მხოლოდ ამერიკელებისა და ინგლისელების გამოკვებილი მოძრაობა „თალიბანის“ გახსენება. ახლა თალიბების ანგლოსაქსურ მშობლებს ამ თავისტკივილის სამკურნალოდ რაიმე აბები არ მოეპოვებათ.

**FONDSK.RU**

შემეცნება
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**ბათუმისთვის ბრძოლაში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა აჭარის ბეგების მიერ დაკავებულ პოზიციას. მათ შორის ყველაზე ძლიერი შერიფ ბეგ ხიმშიაშვილი მტკიცედ ადგა რუსეთის ორიენტაციას და აჭარის საქართველოსთან შეერთების გზას. სხვების პოზიცია კი გაურკვეველი ჩანდა. ამიტომ რუსთა სარდლობა დიდხანს აჭარაში აქტიურ მოქმედებას ვერ ბედავდა. ბოლოს და ბოლოს შერიფ ბეგის მოთხოვნის თანახმად, რუსები ახალციხის მხრიდან შეიჭრნენ აჭარაშიც. დემორალიზებულმა თურქეთის არმიამ ბრძოლის ამ უბანზეც დამარცხება იწვნია.**

# რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომი და საქართველო

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №18



**10 ივნისისთვის მუხთარ ფაშა დარწმუნდა თავისი არმიის ბრძოლისუნარიანობაში და კონტრშეტევა წამოიწყო. მარჯვენა ფლანგზე, ბაიაზეთის მიმართულებით გაგზავნა არმიის ერთი ნაწილი. ბრძოლა მოხდა დარიალის ხეობაში და იგი რუსთა ჯარის გამარჯვებით დამთავრდა. თურქებმა უწესრიგოდ დაიხიეს არზრუმისკენ. მაგრამ ამ მარცხს მუხთარ ფაშას ენერგია არ მოუდუნებია. ანატოლიის კორპუსის სარდალი თვით დაიძრა რუსების წინააღმდეგ. გენერალი ტერ-გუკასოვი კარგად გრძნობდა დარიალის ხეობის დიდ მნიშვნელობას და ამიტომ 21 ივნისს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაუმართა თურქებს და დიდი ზიანიც მიაყენა მათ. მიუხედავად ამისა, ერევნის რაზმის მდგომარეობა კრიტიკული გახდა. მის წინააღმდეგ საბრძოლველად სამჯერ მეტი მტერი იყო განლაგებული.**

ერევნის რაზმზე თურქთა დაწოლის შენელების მიზნით გენერალი ლორის-მელიქოვი თვით ზივინის პოზიციების მიმართულებით დაიძრა. მუხთარ ფაშამ მართლაც მიანება თავი ტერ-გუკასოვის ნაწილებთან ბრძოლას და ზივინის მიდამოებში დაიბანაკა. მართალია, ერევნის რაზმმა თავი დააღწია გასაჭირს, მაგრამ სამაგიეროდ კრიტიკულ მდგომარეობაში ჩავარდნენ ზურგს მოწყვეტილი და მტრის ტერიტორიის სიღრმეში შეჭრილი რუსთა ჯარის ძირითადი ნაწილები.

ზივინთან ბრძოლა 25 ივნისს მოხდა. რიცხობრივი უპირატესობის წყალობით, თურქებმა წარმატებას მიაღწიეს. რუსთა ჯარის ცენტრი და მარჯვენა ფრთა იძულებული გახდა, უკან დაეხია. ამით გამხნევებული თურქები შეტევაზე გადავიდნენ და თანდათან დაიბრუნეს რუსთა ჯარის მიერ ომის დაწყების პირველ თვეს დაკავებული ტერიტორიები.

**1877 წლის ივნისიდან სექტემბრის ბოლომდე რუსთა ჯარის მდგომარეობა მცირე-აზიის ფრონტზე კრიტიკული იყო. წინა პერიოდის წარმატებები შეიცვალა მარცხითა და უკან დახევით. ამის მიზეზად მიჩნეულ იქნა ის, რომ რუსეთის ჯარი მოქმედებდა დანაწევრებულად — სამ კოლონად, რაც ასუსტებდა მას, მტერს კი მანევრირების საშუალებას აძლევდა. რუსთა მოქმედი კორპუსი იძულებული გახდა, დაეტოვებინა მტრის მთელი ტერიტორია და ერევნის გუბერნიის ნაწილიც კი.**

რუსეთის ჯარმა მარცხი განიცადა კავკასიის ფრონტის შავიზღვისპირა უბანზეც. მართალია, რუსთა ჯარის ნაწილებმა ქართველ მოლაშქრეთა დახმარებით ბათუმისკენ შეტევის გზაზე დაიკავეს სოფლები მუხაესტატე და ხუცუბანი, მაგრამ საერთოდ, აჭარაში შეტევას წარმატება არ მოჰყოლია. ეს განპირობებული იყო იმით, რომ რუსეთს შავ ზღვაში სამხედრო გემები, რომელნიც ბომბავდნენ რუსეთის სანაპირო სიმაგრეებს, ახალ-ახალი ნაწილები გამოჰყავდათ ბრძოლის ველზე და შეუფერხებლად ამარაგებდნენ არმიას იარაღით და სურსათ-სანოვაგით. ასეთ პირობებში შავი ზღვის სანაპირო ხაზით შეტევის წარმოება აშკარა შეცდომა იყო, მაგრამ რუსთა ჯარის სარდლობა შეუპოვრად ცდილობდა ბათუმისკენ გაჭრას.

**1877 წლის ივნისში დიდი ბრძოლა გაიმართა ციხისძირთან. ეს სიმაგრე შეუვალად ითვლებოდა და მისი დაცვა მცირე ძალებით შეიძლებოდა. მაგრამ ოსმალეთის მთავრობამ ციხისძირის დასაცავად 35 ათასი ჯარისკაცი გამოყო, რუსთა შემტევ ჯარში კი მხოლოდ 25 ათასი კაცი ითვლებოდა. ძალთა ასეთი თანაშეფარდების პირობებში, ბუნებრივია, რუსეთის ჯარმა ვერ შეძლო ციხისძირის აღება და უკან დაიხია.**

**1877 წლის 11 მაისს თურქებმა დესანტი გადმოსხეს გუდაუთის ახლოს და სოხუმისკენ დაძრეს იგი. სოხუმის გარნიზონის უფროსი გენერალი კრავჩენკო გაუბედავად მოქმედებდა. მან ვერ გაბედა შედარებით ძლიერ მტერთან შებმა და ქალაქი დათმო. თურქებმა თითქმის აფხაზეთის ნახევარი დაიკავეს და აფხაზები აიძულეს, რუსეთის წინააღმდეგ აჯანყებულიყვნენ.**

გენერალ კრავჩენკოს ნაწილების დასახმარებლად და აფხაზეთის გასათავისუფლებლად გაიგზავნა გენერალი ალხაზიშვილი რუს-ქართველთა ჯარით. გადამწყვეტი ბრძოლა ოქუმის მიდამოებში მოხდა. მტერი დამარცხდა და უკან დახევა დაიწყო. 1 აგვისტოს თურქებმა დატოვეს ოჩამჩირე, 2 სექტემბერს კი რუსთა ჯარი სოხუმში შევიდა. მალე აფხაზეთის მთელი ტერიტორია გაწმენდილ იქნა ოკუპანტებისგან.

ამავე დროს რუსეთის სარდლობა კონტრშეტევისთვის ემზადებოდა მცირე აზიის ფრონტზე. 1877 წლის სექტემბრის ბოლოსთვის კავკასიის მოქმედ კორპუსს შეემატა ორი ახალი დივიზია და მილიციონერთა რაზმები. მაგრამ არც თურქები ისხდნენ გულხელდაკრეფილი. მუხთარ ფაშას არმიაც შეივსო ახალი ნაწილებით. გადამწყვეტი ბრძოლის დაწყების წინ კავკასია-მცირე აზიის ფრონტის მთავარ უბანზე (პატარა იანგი — ალაჯის სიმაღლეები — ყიზილ თაფას ხაზი) რუსთა სარდლობას განლაგებული ჰყავდა 50 ათასი კაცი, თურქებს — 37 ათასი.

გენერალური ბრძოლა 2 ოქტომბერს დაიწყო. მოწინააღმდეგეები თავდაპირველად ავლიარის მიდამოებში შეეტაკნენ ერთმანეთს. ბრძოლა ცვალებადი წარმატებით მიმდინარეობდა. პოზიციები ხელიდან ხელში გადადიოდა. ბრძოლის მესამე დღეს რუსთა ჯარმა თავის საწყის პოზიციებზეც კი დაიხია, მაგრამ სისხლი ამაოდ არ დაღვრილა. მტერმა გამანადგურებელი ზარალი განიცადა — ბრძოლის ველზე დატოვა 8500 კაცი.

**რუსთა ჯარის გააფთრებული შეტევებითა და დიდი დანაკარგით დემორალიზებული თურქები აქტიურ მოქმედებას ვეღარ ბედავდნენ და ინიციატივას თანდათან რუსებს უთმობდნენ.**

14 ოქტომბერის ბრძოლაში რუსთა ჯარმა ახალი წარმატება იზეიმა. მაგრამ **გადამწყვეტი გამარჯვება მოპოვებულ იქნა 15 ოქტომბერს, როცა რუსეთის რეგულარული ჯარის ნაწილებმა და კავკასიელმა მილიციონერებმა ალაჯის სიმაგრეებზე გაანადგურეს თურქთა ძირითადი ძალები.** ამ ბრძოლაში თურქებმა დახოცილ-დაჭრილთა სახით 13 ათასი ჯარისკაცი დაკარგეს. 7 ფაშა, 250 ოფიცერი და 7000 ჯარისკაცი ტყვედ იქნა წამოყვანილი. რუსთა ნაწილების დანაკარგი შედარებით უმნიშვნელო იყო, დაჭრილ-დახოცილთა სახით მათ რიგებს გამოაკლდა 1400 კაცი. **სამხედრო თვალსაზრისით, 2-4 ოქტომბრისა და 14-15 ოქტომბრის ბრძოლები იყო ერთი ოპერაციის ორი ეტაპი, რომელიც დამთავრდა თურქთა ანატოლიის კორპუსის განადგურებით. რუსეთის ჯარებმა კვლავ დაიკავეს ვრცელი ტერიტორია სოღანლუღის მთებამდე.**

ავლიარ-ალაჯის ბრძოლის შემდეგ თურქთა განადგურებული კორპუსის სარდალი მუხთარ ფაშა თავის ჯარის ნაშთებთან ერთად თავდაპირველად ყარსის ციხეს შეეფარა; რამდენიმე დღის შემდეგ ქალაქის გარნიზონი ჰუსეინ ხამი ფაშას ჩააბარა, თვითონ კი 3 ათასი კაცით უკან დაიხია ქვეყნის სიღრმეში, თავი მოუყარა მცირე აზიაში გაფანტულ თურქეთის ჯარებს და შეეცადა, ბრძოლის მსვლელობა თავის სასარგებლოდ შემოებრუნებინა. მაგრამ გამარჯვებით გამხნევებული რუსი ჯარისკაცები, ქართველი, სომეხი, აზერბაიჯანელი და სხვ. მოლაშქრეები დამარცხებულ მტერს სულის მოთქმას არ აცდიდნენ და სწრაფად მიიწევდნენ არზრუმისკენ. მუხთარ ფაშამ მაინც შეძლო თავისი ჯარის კონცენტრაცია და 20 ათასი კაცით 5 ნოემბერს დევე ბოინის მთასთან დიდი ბრძოლა გაუმართა რუსებს, მაგრამ ამჯერადაც გამანადგურებელი მარცხი განიცადა — ბრძოლის ველზე დატოვა 3 ათასი გვამი და 42 ქვემეხი.

**დევე ბოინი უკანასკნელი დაბრკოლება იყო არზრუმისკენ შეტევის გზაზე. 10 ნოემბერს რუსთა ჯარის ნაწილები ანატოლიის ამ მთავარ ქალაქს მიადგნენ და მოულოდნელი შეტევით სცადეს მისი აღება. მაგრამ მოუმზადებელ იერიშს წარმატება არ მოჰყოლია.**

იმ დროს, როცა რუსთა ჯარის ერთი ნაწილი დამარცხებულ მტერს მისდევდა და არზრუმს უახლოვდებოდა, მეორე ნაწილი თანდათან ავიწროებდა რკალს ყარსის გარშემო. მართალია, ყარსის სიმაგრეებზე მდგარი 300 ქვემეხის განუწყვეტელი ზალპით შემტევ ჯარებს საგრძნობი ზარალი მოსდევდა, მაგრამ რუსი და ქართველი მებრძოლები უშიშრად მიიწევდნენ წინ.

**17-18 ნოემბერს ღამით რუსთა ჯარებმა გენერალ ლორის-მელიქოვის სარდლობით გადამწყვეტი იერიში მიიტანეს ყარსზე და გათენებისას შეძლეს მისი აღება.**

თურქებმა ამ ბრძოლაში დაკარგეს 2500 კაცი მოკლულთა და 17000 ტყვეთა სახით. მათ შორის ტყვედ იქნა წამოყვანილი 5 ფაშა და 800 ოფიცერი. რუსთა დანაკლისი მოკლულ-დაჭრილთა სახით 2 ათას კაცს არ აღემატებოდა.

**ყარსის აღებას თავისთავად უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. მაგრამ ამ სიკეთეს ემატებოდა ისიც, რომ აქამდე ამ ციხე-ქალაქის ალყით დაკავებული ნაწილები სხვა უბნებზე მოქმედ ჯარებს შეუერთდნენ და კიდევ უფრო გაზარდეს მათი შეტევისუნარიანობა.**

ომი დასასრულს უახლოვდებოდა, მაგრამ სხვა ფრონტზე რუსთა ჯარის გამარჯვებებს აჭარის მიმართულებით მოქმედი დივიზიის წარმატება არ ემატებოდა. რუსთა სარდლობა ცდილობდა ამ ვითარების გამოსწორებას და ბათუმის აღების გეგმას ადგენდა.

**1877 წლის 24 ნოემბერს სვიატოპოლკ-მირსკი მეფისნაცვალს სწერდა, რომ „რუსეთთან ბათუმის შეერთება ამ ომის ყველაზე სასურველი შედეგი იქნება და თუ გვინდა, რომ საზავო მოლაპარაკების დროს ბათუმი ჩვენ დაგვრჩეს, იგი ბრძოლით უნდა დავიკავოთ“.** სვიატოპოლკ-მირსკი კარგად ითვალისწინებდა მოსალოდნელ სიძნელეებს და სარდლობას ურჩევდა, ბათუმისკენ ლაშქრობა ერთდროულად არტაანის, ახალციხისა და ქობულეთის მხრიდან დაეწყო.

1877 წლის 14 დეკემბერს არტაანის რაზმი შავშეთში შეიჭრა და სოფ. ხევი და ხერთვისი დაიკავა. 16 დეკემბერს რუსთა ჯარმა ადგილობრივი მოსახლეობის დახმარებით აიღო ქ. არტანუჯი, სოფ. ბაცა და ბათუმისკენ მიმავალ გზაზე გავიდა. 1878 წლის იანვრისთვის მთელი შავშეთი უკვე რუსეთის ჯარების ხელთ იყო.

**ბათუმისთვის ბრძოლაში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა აჭარის ბეგების მიერ დაკავებულ პოზიციას. მათ შორის ყველაზე ძლიერი შერიფ ბეგ ხიმშიაშვილი მტკიცედ ადგა რუსეთის ორიენტაციას და აჭარის საქართველოსთან შეერთების გზას. სხვების პოზიცია კი გაურკვეველი ჩანდა. ამიტომ რუსთა სარდლობა დიდხანს აჭარაში აქტიურ მოქმედებას ვერ ბედავდა. ბოლოს და ბოლოს შერიფ ბეგის მოთხოვნის თანახმად, რუსები ახალციხის მხრიდან შეიჭრნენ აჭარაშიც. დემორალიზებულმა თურქეთის არმიამ ბრძოლის ამ უბანზეც დამარცხება იწვნია.**

ციხე-ქალაქი არზრუმი მუხთარ ფაშას ერთადერთ იმედად რჩებოდა. მან მოახერხა გარნიზონის რამდენადმე გაძლიერება. მაგრამ რუსთა მოალყე ჯარი გაცილებით მრავალრიცხოვანი და უკეთ შეიარაღებული იყო. რუსეთის სამმა ქვეითმა დივიზიამ და კავალერიის ნაწილებმა არზრუმის 30-ათასიანი გარნიზონი და 60 ათასი მოქალაქე სრულად მოწყვიტა გარე სამყაროს. მიუხედავად იმისა, რომ რუს ჯარისკაცებს აკლდათ სურსათი, თბილი ტანსაცმელი და მის რიგებს ტიფის ეპიდემია ანადგურებდა, რუსთა სარდლობა გადამწყვეტი იერიშისთვის ემზადებოდა.

**როგორც ვხედავთ, რუსეთის არმიამ დიდი წარმატებები მოიპოვა ამიერკავკასია-მცირე აზიის ფრონტზე, მაგრამ გადამწყვეტი ოპერაციები ბალკანეთში გაიშალა.**

**1877 წლის 10 დეკემბერს რუსთა ჯარმა აიღო ძლიერი ციხე-ქალაქი ბულგარეთში პლევნა, გაანადგურა და დაატყვევა მისი 50-ათასიანი გარნიზონი. ამის შემდეგ გენერალ გურკოს ნაწილებმა გადალახეს ბალკანეთის მთები და ბულგარელ მოლაშქრეთა დახმარებით დიდი ზარალი მიაყენეს თურქებს სოფიის დაბლობზე გამართულ ბრძოლებში. 1878 წლის 9 იანვარს გენერალ რადეცკის ჯარმა დაატყვევა 21 ათასი თურქი. მალე გენერალ გურკოს ჯარის ნაწილებმა გაანადგურეს სულეიმან ფაშას 50-ათასიანი არმია. თურქთა წინააღმდეგობა დაძლეულ იქნა. 20 იანვარს რუსთა ჯარმა უომრად აიღო ანდრიანოპოლი და გეზი** ▶

**ბათუმის ციტადელზე აღმართულმა რუსეთის ნაციონალურმა დროშამ და ქვემეხთა სალუტმა მოსახლეობას ამცნო, რომ დამთავრდა თურქთა ხანგრძლივი ბატონობა აჭარაში, რომ ეს მხარე დედასამშობლოს — საქართველოს დაუბრუნდა. ქართველი ხალხი, მოწინავე საზოგადოებრიობა სიხარულით შეეგება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს თურქთა ბატონობისგან გათავისუფლებას. იაკობ გოგებაშვილი წერდა: „ბერლინის ხელშეკრულებამ ჩვენ ერთი დიდი სიკეთე შეგვძინა... ჩვენი ძმები, ჩვენი სისხლხორცი, ჩვენთან ერთად „მებრძოლი შავი ბედისა“, ჩვენი გმირების ბუდე, ჩვენის უწინდელის განათლების და სწავლის აკვანი, ჩვენი ძველი საქართველო დღეს ჩვენ შემოგვიერთდა“.**

მემკვიდრეობა
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**უშუალოდ კონსტანტინოპოლისკენ აიღო. თურქეთის სულთანი იძულებული გახდა, ზავი ეთხოვა. 1878 წლის 31 იანვარს დადებულ იქნა დროებითი ზავი, 3 მარტს კი გაფორმდა სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულება.**

**სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულების თანახმად, დამოუკიდებლობას ღებულობდნენ ბულგარეთი, ჩერნოგორია, რუმინეთი. რუსეთს უნდა გადასცემოდა ევროპაში ბესარაბია, აზიაში კი — სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსა და დასავლეთ სომხეთის ტერიტორიების დიდი ნაწილი სოღანლუღის მთებამდე.**

* * *

**რუსეთის გამარჯვებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველოს მოსახლეობამ. იგი აქტიურად მონაწილეობდა ამ სახალხო-გამათავისუფლებელ ომში, ეხმარებოდა რუსეთის არმიას როგორც ზურგში, ისე ფრონტზე. ომის მსვლელობაში მრავალმა ქართველმა ჯარისკაცმა და ოფიცერმა გვიჩვენა გმირობისა და თავდადების მაგალითები.**

ქართული ლაშქრის (მილიციის) ნაწილები ფრონტზე მამაცურად იბრძოდნენ რუსეთის არმიის რეგულარული ნაწილების მხარდამხარ. ბათუმის მიმართულებით წარმოებულ ხანგრძლივ და მძიმე ბრძოლებში თავი ისახელეს პირველი და მეორე ქვეითი ქართული რაზმების ნაწილებმა, რომლებშიც ქართლ-კახეთის წარგზავნილები იბრძოდნენ; აგრეთვე, გურიის სახელოვანმა პირველმა ქვეითმა რაზმმა. აფხაზეთის მხრიდან თურქეთის დესანტის შემოტევის დროს გმირულად იბრძოდა ქუთაისის პირველი და მეორე ქვეითი რაზმები და არარეგულარული ცხენოსანი პოლკი. არტაანისა და ყარსისთვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს ახალციხისა და თიანეთის (თუშების) რაზმებმა.

**ქართული ნაწილების სიმამაცესა და მაღალ სამხედრო ოსტატობას ქებით იხსენიებდა რუსეთის არმიის სარდლობა. ქობულეთის მიდამოებში გამართული ერთ-ერთი ბრძოლის მონაწილე, გენერალი კოლუბიაკი იტყობინებოდა: „გავიდნენ რა საკმაოდ ჩქარ მდინარე კინტრიშზე და სძლიეს რა მრავალრიცხოვან წინააღმდეგობებს, გაბედულ ქართველები სისტემატურად აწარმოებდნენ გააფთრებულ ბრძოლას, იერიში იერიშზე მიჰქონდათ და მიუხედავად იმისა, რომ საგრძნობ ზარალს განიცდიდნენ, მაინც წარმატებით მიიწევდნენ წინ“.**

იგივე გენერალი გურიის პირველი ქვეითი რაზმის შესახებ, რომელსაც შტაბს-კაპიტანი იასე გურიელი მეთაურობდა, წერდა: **„ყველანი ხარკს უხდიან გურიის რაზმის დაუვიწყარ გმირობას, ლაშქრისა, რომელიც ამ დღეებში, როგორც ჩვენი მსუბუქი ქვეითი ნაწილი და ადგილმდებარეობასთან უფრო გაცნობილი, მუდამ წინ იყო და თავის მხრებზე გადაიტანა ომის მთელი სიმძიმე“.**

**დაუვიწყარია გმირობა 16 ქართველი გლეხისა, რომლებიც ომის დაწყების პირველივე დღეს მოხალისეებად ჩაირიცხნენ ჯარში. ეს გლეხები სოფ. ლიხაურიდან მოვიდნენ და ხუთი თვის განმავლობაში მამაცურად იბრძოდნენ. 1877 წლის 23 ოქტომბერს ბათუმის მიმართულებით შეტევის გზაზე უძნელესი საბრძოლო დავალების შესრულების დროს თექვსმეტივე ლიხაურელი ვაჟკაცი გმირულად დაიღუპა.**

თურქეთის წინააღმდეგ ომში სახელი გაითქვეს რუსეთის რეგულარული არმიის ქართველმა გენერლებმა და ოფიცრებმა: **ზაქარია ჭავჭავაძემ,** რომელიც ღირსეულად უფროსობდა მოქმედი კორპუსის ცხენოსან ჯარს და გააფთრებულ ბრძოლებში ექვსჯერ იქნა დაჭრილი; **ალექსი ქავთარაძემ,** რომელიც მთელი ომის განმავლობაში დარუბანდის 154-ე ქვეითი პოლკის მეთაური იყო და იშვიათი გაბედულებით მიჰყავდა იერიშზე თავისი მებრძოლები; **მიხეილ ამირეჯიბმა,** რომელიც ელიზავეტოპოლის პოლკს მეთაურობდა და ქალაქ არტაანისთვის ბრძოლაში, აგრეთვე, ალაჯის სიმაგრეების იერიშის დროს სიმამაცისა და მხედართმთავრული ოსტატობის მაგალითები გვიჩვენა. თავი ისახელეს, აგრეთვე, **ამილახვარმა, მიქელაძემ, კვიტინაძემ, იოსელიანმა, ჭავჭავაძემ, ორბელიანმა, ფანჩულიძემ** და სხვ. ქართველმა გენერლებმა, ოფიცრებმა და რიგითმა მოლაშქრეებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს მტერზე გამარჯვებაში.

მაგრამ ქართველი ხალხის წვლილი რუსეთ-თურქეთის ომში მარტო სამხედრო ოპერაციებში აქტიური მონაწილეობით როდი ამოიწურებოდა. იმის გამო, რომ ომის ასპარეზი მეტისმეტად ახლოს იყო, ზოგჯერ კი საომარი ოპერაციები თვით საქართველოს ტერიტორიაზე მიმდინარეობდა, ჩვენი სამშობლო გადაქცეული იყო სამხედრო ბანაკად და ომში ამა თუ იმ სახით თითქმის მთელი ქართველი ხალხი მონაწილეობდა. **მოქმედ არმიას ხალხი დახმარებას უწევდა სურსათით, ფურაჟით, ტვირთების გადაზიდვით, ბინებითა და სხვა მატერიალური საშუალებებით. არმიის შეუფერხებელი მომარაგება საომარი მასალებითა და სურსათით უდიდეს ძალ-ღონეს მოითხოვდა. ამ ამოცანის შესასრულებლად ათასობით ქართველი გლეხი მუშაობდა ურმებით, ცხენებითა და აქლემებით.**

* * *

**რუსეთის წარმატებამ, სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულების პირობებმა შეაშფოთა ევროპის დიდი სახელმწიფოები, განსაკუთრებით კი — ინგლისი. მათ რუსეთის მიმართ მტრული პოზიცია დაიკავეს და „დაჩაგრული“ თურქეთის ქომაგობა იკისრეს. ამან გაამხნევა ოსმალეთი და სულთანმა კვლავ დაიწყო იარაღის ჟღარუნი, ინგლისის ფლოტი კი, რუსეთზე ზემოქმედების მიზნით, შავ ზღვაში შევიდა. ინგლის-თურქეთის აგენტები მოედვნენ ამიერკავკასია-მცირე აზიასა და მოსახლეობას რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლისკენ მოუწოდებდნენ.**

სულთნის ემისრები განსაკუთრებულ აქტიურობას მოითხოვდნენ მაჰმადიანი ქართველებისგან. დერვიშ-ფაშამ აჭარლებს იარაღი დაურიგა და მათ რუსეთის წინააღმდეგ ამხედრება მოსთხოვა. ასეთივე ბრძანება მიიღო შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილმაც. იმის გამო, რომ შერიფმა არ შეასრულა ეს მოთხოვნა, აჭარაში თურქთა დამსჯელი რაზმი გაიგზავნა, რომელმაც სოფ. სხალთაში არსებული მისი სასახლე მიწასთან გაასწორა. შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილი ახალციხეში გადავიდა და რუსეთის მთავრობის სამსახურში აშკარად ჩადგა.

**ევროპის დიდი სახელმწიფოების მიერ დაკავებული ანტირუსული პოზიციისა და ინგლის-თურქეთის ახალი ომისთვის მზადების პირობებში სან-სტეფანოს ზავი დროებითი გამოდგა. რუსეთის მთავრობა იძულებული გახდა, დათანხმებოდა ბერლინში ევროპის სახელმწიფოთა კონგრესის მოწვევას და სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულების გადასინჯვას.**

ბერლინის კონგრესმა, რომლის მუშაობაშიც მონაწილეობდნენ ევროპის დიდ სახელმწიფოთა პრემიერ-მინისტრები და სხვა წარმომადგენლები, სხდომები დაიწყო 1878 წლის 13 ივნისს. კონგრესის მუშაობის პროცესში განმტკიცდა ავსტრია-გერმანიის კავშირი და გამომჟღავნდა ინგლის-საფრანგეთის დაახლოების ტენდენცია. მეფის რუსეთი კი იზოლირებული აღმოჩნდა. კონგრესზე მწვავედ იდგა როგორც ბალკანეთის პოლიტიკური მოწყობის, ისე რუსეთ-თურქეთის აზიური საზღვრების საკითხი. განსაკუთრებით დიდი კამათი წარმოებდა ბათუმის გარშემო. მართალია, რუსეთის დიპლომატიამ ზოგი რამ დათმო, მაგრამ ძლევამოსილი ომის ძირითადი მონაპოვარი შეინარჩუნა.

**1878 წლის 13 ივლისს ხელმოწერილი ბერლინის ტრაქტატის ძალით რუსეთის მფლობელობაში გადმოვიდა აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი, იმერხევი, კოლა-არტაანი და ოლთისი. თურქთა ხანგრძლივი ბატონობისგან გათავისუფლდა, აგრეთვე, დასავლეთ სომხეთის მნიშვნელოვანი ნაწილი.**

აღნიშნული ტერიტორიების უმეტესობა ბერლინის ტრაქტატის ხელმოწერის მომენტში რუსთა ჯარის ხელთ იყო. მხოლოდ აჭარაში (ბათუმითურთ) რჩებოდა თურქეთის ჯარი. ოსმალეთის მთავრობა აჭიანურებდა რუსეთისთვის აჭარის გადაცემას. თურქეთის აგენტები ყოველნაირად ცდილობდნენ, გამოეწვიათ კონფლიქტი აჭარლებსა და რუსეთის ჯარს შორის. ერთმორწმუნეებს მოუწოდებდნენ, გადასახლებულიყვნენ თურქეთის შიგა პროვინციებში. რუსეთის მთავრობამ კატეგორიულად მოითხოვა ბათუმიდან და აჭარიდან თურქეთის ჯარების გაყვანა.

ბოლოს და ბოლოს, დაიდო შეთანხმება, რომლის თანახმად აჭარის ქალაქები და სოფლები რუსთა ჯარს უნდა გადასცემოდა თანდათანობით 16-დან 25 აგვისტომდე. თურქთა აგენტების ვარაუდი არ გამართლდა. აჭარის მოსახლეობის დიდი უმრავლესობა თანაგრძნობით ხვდებოდა რუსთა ჯარს. 1878 წლის 25 აგვისტოს რუსთა ნაწილები ბათუმში შევიდნენ. ქალაქის მოსახლეობა გამათავისუფლებელ ჯარს ბარცხანასთან შეხვდა და მის უფროსს პურმარილი მიართვა. იმ დღესვე შევიდა ბათუმის ნავსადგურში რუსეთის ფლოტიც. **ბათუმის ციტადელზე აღმართულმა რუსეთის ნაციონალურმა დროშამ და ქვემეხთა სალუტმა მოსახლეობას ამცნო, რომ დამთავრდა თურქთა ხანგრძლივი ბატონობა აჭარაში, რომ ეს მხარე დედასამშობლოს — საქართველოს დაუბრუნდა.**

**ქართველი ხალხი, მოწინავე საზოგადოებრიობა სიხარულით შეეგება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს თურქთა ბატონობისგან გათავისუფლებას. იაკობ გოგებაშვილი** წერდა: **„ბერლინის ხელშეკრულებამ ჩვენ ერთი დიდი სიკეთე შეგვძინა... ჩვენი ძმები, ჩვენი სისხლხორცი, ჩვენთან ერთად „მებრძოლი შავი ბედისა“, ჩვენი გმირების ბუდე, ჩვენის უწინდელის განათლების და სწავლის აკვანი, ჩვენი ძველი საქართველო დღეს ჩვენ შემოგვიერთდა“.**

მთავრობისგან წაქეზებული თურქი ემისრები მაინც არ ცხრებოდნენ; შექმნეს ტერორისტული ორგანიზაციები, თავს ესხმოდნენ რუსთა და ქართველთა რაზმებს, წვავდნენ სახლებსა და მაღაზიებს, მოსახლეობას მოუწოდებდნენ რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ, ეპატიჟებოდნენ მათ „დედა თურქეთისკენ“. თურქეთის ემისრებმა აჭარის რამდენიმე სოფლის აჯანყებაც კი შეძლეს. რუსეთის ადმინისტრაციის ზოგი წარმომადგენლები აჯანყებულთა მკაცრად დასჯას მოითხოვდა, სხვებს კი მიზანშეწონილად მიაჩნდათ აჭარლების კეთილგანწყობა მოლაპარაკებით ყოფილიყო მოპოვებული. **„ჩვენი აზრი — ეს არის,** — წერდა „დროების“ კორესპონდენტი, — **რომ ჯარებითა და საზოგადოდ ძალდატანებით მხოლოდ ერთი შედეგის მიღწევა შეიძლება: მთელი აჭარის ხალხი გადასახლდება ოსმალეთში და, არა მგონია, რომ ამისთანა შედეგი ვისმესთვის სანატრელი და სასიამოვნო შეიქმნეს. ერთი ხეირიანი უფროსი, ხალხის ზნე-ჩვეულების მცოდნე ჭკვიანი კაცი უფრო მომეტებულ სარგებლობას მოიტანს ამგვარ შემთხვევაში და უფრო უკეთ მოუვლის და დააწყნარებს ხალხს, ვიდრე რამდენიმე ბატალიონი ჯარი“.**

მართლაც, აჯანყებულებთან მოსალაპარაკებლად აჭარაში გაიგზავნა პოლკოვნიკი იოსელიანი მცირე რაზმით. იგი ჩავიდა სოფ. დანდალოში, სადაც რამდენიმე ათასი კაცი იყო შეკრებილი და დაარწმუნა აჭარლები აჯანყების უნაყოფობასა და რუსეთთან ნორმალური ურთიერთობის დამყარების მიზანშეწონილობაში. მართალია, აჭარაში და ქართველებით დასახლებულ სხვა ახალშემოერთებულ რაიონებში სერიოზულ ანტიცარისტულ გამოსვლას ადგილი არ ჰქონია, მაგრამ სულთნის აგენტებმა, რომელთა საქმიანობას გარკვეული მოსაზრებით ხელს არ უშლიდნენ რუსეთის ადგილობრივი ადმინისტრაციის მოხელეები, შეძლეს მაჰმადიან ქართველთა ნაწილის გაბრიყვება და მათი ოსმალეთში გადასახლება.

**უნდობლობის გასაფანტად, აჭარის მოსახლეობასთან მჭიდრო კონტაქტის დამყარების მიზნით, მოწინავე ქართველ მოღვაწეთა ჯგუფმა აჭარელთა დეპუტაცია მოიპატიჟა თბილისში. ბანკეტზე ბევრი გულთბილი სიტყვა წარმოითქვა. ცხადი გახდა, რომ დიდი ხნის წინათ დაშორებულ და კვლავ შეყრილ ძმებს კარგად ესმოდათ ერთმანეთის, კარგად ითვალისწინებდნენ არსებული სიძნელეების დასაძლევად ერთობლივი მუშაობის საჭიროებას. ილია ჭავჭავაძემ** ქართველ ხალხს მოუწოდა, დახმარების ხელი გაეწოდებინა ახლადგათავისუფლებული და ომით დაზარალებული მაჰმადიანი ქართველებისთვის. **„აბა, ქართველობავ,** — წერდა დიდი მოღვაწე, — **ეხლა შენ იცი, როგორ დაანახვებ თავს შენს ახლადშემოერთებულ ძმებსა! ეხლა შენ იცი, როგორ დაუმტკიცებ ქვეყანას მამა-პაპათ ანდერძს: ძმა ძმისთვისა და შავი დღისთვისაო!“**

ილიას ეს მოწოდება როდი დარჩა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა. მთელი ქართველი ხალხის დახმარებით სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობამ მალე მოიშუშა თურქთა ხანგრძლივი ბატონობისა და ომისგან მიყენებული ჭრილობები და პროგრესული განვითარების გზაზე გამოვიდა.

**„ჟამი ხსნისა“,**
**ნაწილი მეექვსე**

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**



**გამოვიდა სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალის «ისტორიული მემკვიდრეობა» მეთვრამეტე ნომერი**

ჟურნალი დღევანდელობის აქტუალურ საკითხებსაც ეხმიანება და ქვეყნის ახლო თუ შორეულ წარსულსაც ვრცლად მიმოიხილავს. პრობლემები, რომლებზეც „ისტორიული მემკვიდრეობის“ ფურცლებზე მსჯელობენ, უთუოდ მიიქცევს მკითხველთა ყურადღებას, რადგან „ისტორიული მემკვიდრეობა“ საქართველოს წარსულსა და აწმყოს ობიექტურად ასახავს.

ჟურნალის რედაქტორია თემურ ქორიძე.




არასამთავრობო ორგანიზაციამ — „ისტორიული მემკვიდრეობა“ — გამოსცა ისტორიული დოკუმენტების კრებულთა სერია, რომელიც XVII-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს ეხება. კრებულები გამიზნულია მკითხველთა ფართო წრისათვის, რამეთუ პოლიტიკური კონიუნქტურის გარეშე, მხოლოდ ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით ასახავს წარსულ სინამდვილეს. თუკი გავითვალისწინებთ ისტორიული ფაქტებით მანიპულირების მზარდ და საშიშ ტენდენციას, გამოცემა ფრიად დროული და აქტუალურია. მსურველებს კრებულების შეძენა შეუძლიათ წიგნის მაღაზიებში. დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ: 34-32-95.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95



### APOTEMNOPHILIA

**აპოტემნოფილიას სექსუალურ გადახრადაც მოიხსენიებენ. ამ დაავადებით შეპყრობილი მიიჩნევს, რომ მისი რომელიმე კიდური უცხოა, არ ეკუთვნის მას, ამიტომაც დაუძლეველი სურვილი უჩნდება, მოიცილოს უცხო კიდური. ამის მისაღწევად სხვადასხვა ხერხს მიმართავს. ზოგი საავადმყოფოში მიდის და აბსოლუტურად ჯანმრთელი კიდურის ამპუტირებას ითხოვს.** რა თქმა უნდა, ჯანსაღი კიდურის მოჭრაზე ავადმყოფებს უარით პასუხობენ, ეს უკანასკნელნი კი შედეგად სახლის პირობებში მიმართავენ სხვადასხვა მაზოხისტურ საშუალებებს. მაგალითად, ფეხს იყინავენ იმ დონემდე, რომ ექიმები იძულებულები არიან, ამპუტაცია ჩაუტარონ. ასევე დაფიქსირებულია არაერთი შემთხვევა, როცა ავადმყოფმა თავად სცადა კიდურის მოჭრა. როდესაც ყველაფერი დასრულდება, ანუ კიდური მოსცილდება სხეულს, ადამიანი უჩვეულოდ ბედნიერად გრძნობს თავს.

# უცნაური ფსიქოლოგიური პრობლემები

**ადამიანის ტვინი და გონება იმდენად რთული რამაა, რომ ჯერჯერობით მისი ბოლომდე გამოკვლევა ვერ მოხერხდა. არსებობს უამრავი ფობიები თუ მიდრეკილებები, რომელთა ახსნაც, ალბათ, ტვინის სწორედ ამ, ჯერ კიდევ შეუსწავლელ ხვეულებში იმალება.**



### WENDIGO PSYCHOSIS

**ეს დაავადება უკვე ძალიან იშვიათად გვხვდება. ის მხოლოდ გარკვეული კულტურებისთვის იყო დამახასიათებელი, უფრო აბორიგენული ტომებისთვის, რომლებმაც დასავლური კულტურების გავლენით მცირე ცვლილებები მაინც განიცადეს და შედეგად ვენდიგოს აშლილობათა რიცხვმა იკლო.** ამ სინდრომით შეპყრობილებს ადამიანთა ხორცის ჭამის დიდი სურვილი უჩნდებათ და ამასთანავე ეშინიათ, რომ კანიბალები გახდებიან. აშლილობას უკავშირებენ ვენდიგოს მითსაც, რომლის მიხედვითაც ადამიანები, რომელნიც ადამიანისვე ხორცს გასინჯავდნენ, სამუდამოდ დაუკავშირდებოდნენ ბოროტ სულს — ვენდიგოს, ამის შემდეგ კი საკუთარი თავის კონტროლს ვეღარ შეძლებდნენ.



### LYCANTHROPY

**ამ აშლილობის შესახებ, ალბათ, ბევრს გაუგია და დაავადებულთა რიცხვიც უფრო და უფრო იზრდება, რაც ძირითადად თანამედროვე ცხოვრების ბრალია.** სინდრომით შეპყრობილებს სჯერათ, რომ მგლად გადაქცევა შეუძლიათ, თუმცა სინდრომი მხოლოდ მგლებზე არაა ორიენტირებული, დაავადებულებს უბრალოდ ჰგონიათ, რომ რომელიმე ცხოველად შეუძლიათ გადაქცევა. უმეტესად დაავადებულები ტყეში გარბიან და ღამეს იქ ატარებენ, თანაც ამბობენ, რომ არ ეშინიათ, რადგანაც ტყე მათი შინაგანი ბუნების ნაწილია.



### DIPSOMANIA

**ამ აშლილობას ერთი შეხედვით დიდი კავშირი აქვს ალკოჰოლიზმთან, მაგრამ ამასთანავე მისგან მკვეთრად განსხვავებულიცაა. დიპსომანიით შეპყრობილებს ალკოჰოლური სასმელების დალევის დაუძლეველი სურვილი უჩნდებათ. ისინი ისეთ სითხეებსაც სვამენ, რომლებიც ადამიანის ჯანმრთელობის უსაფრთხო სულაც არაა.** ეს სურვილი ადამიანში უეცრად ამოხეთქავს, უნდა, რომ დალიოს ნებისმიერი სითხე, რომელიც ალკოჰოლს შეიცავს. არადა, ამ დროს ორგანიზმს საერთოდ არ აქვს მიდრეკილება ალკოჰოლისკენ. დიპსომანია მრავალ ცნობილ სახესთანაა დაკავშირებული. მათ შორის არიან: ერნესტ ჰემინგუეი, მერლინ მონრო და ედგარ ალან პო.

# მსოფლიოს ულამაზესი ხიდები



ხიდი „აიოლა აილენდი“ ავსტრალიის მშვენება და სიამაყეა.



ბოსფორის ხიდი 1973 წელს აშენდა და ევროპა აზიასთან შეაერთა.



ხიდი „შენიანი“ ძველი ჩინური არქიტექტურის შედევრია. ის ხისგან ისე ააგეს, რომ ერთი ლურსმანიც არ გამოუყენებიათ.



„იერუსალიმის აკორდები“ სანტიაგო კალატრავამ იმისთვის ააგო, რომ იერუსალიმი მის ცენტრალურ ავტოსადგურთან დააკავშიროს.



ხიდი „დუნხაი“ შანხაისა და ზღვაში მდებარე პორტ „იანშანს“ აერთებს. ეს მსოფლიოში ყველაზე გრძელი ხიდია და მისი სიგრძე 32 კილომეტრს შეადგენს.



ირანი ამ დრომდეც ამაყობს მე-17 საუკუნეში შაჰ აბასის მიერ აშენებული ხიდით „კხაჯუ“.



ხიდი „მაკინაკ აილენდი“ მიჩიგანის ზედა და ქვედა ნახევარკუნძულებს აერთებს.



ხიდი „ნანპუ“ შანხაიში, ადგილის ეკონომიის მიზნით, 1991 წელს ააგეს.



ხიდი ორესანდი დანიასა და მის სკანდინაველ მეზობელს — შვედეთს აკავშირებს.



**FREGOLI DELUSION**

**ამ ილუზიით დაავადებულები მიიჩნევენ, რომ ადამიანს, მონეტასავით ორი მხარე აქვს. უფრო მეტიც, მათ სჯერათ, რომ ყველა ერთი და იგივე ადამიანია, უბრალოდ, ხანდახან იცვლიან გარეგნობას, ტანსაცმელს და ასე შემდეგ — ნიღაბს ატარებენ.** ავადმყოფი მთლიანად კარგავს ახლოს მყოფი ადამიანებისადმი სიყვარულსა და პატივისცემის გრძნობას, აღარ ენდობა მათ და საბოლოოდ პარანოიკს ემსგავსება. პირველად ამ ილუზიის არსებობის ფაქტი 1927 წელს დადასტურდა. მაშინ გაირკვა, რომ ერთ ქალბატონს სჯეროდა, თითქოს ორი ადამიანი დასდევდა. ეს ორი მამაკაცი მან თეატრში დაინახა და მსახიობები იყვნენ. ისინი, ქალის წარმოდგენით, განუწყვეტლივ იცვლიდნენ ნიღბებს, ტანსაცმელს და მას ახლობლების სახით ევლინებოდნენ.

ქრონოგრაფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

# თუ გრაფ დრაკულასთან სადილობა გსურთ

**ტრანსილვანიის შავბნელი, გაუვალი ტყის სიღრმეში, შიშველი კლდის მწვერვალზე დგას სასახლე ბრანი. ამ სასახლის მთავარი ნაგებობის წაწვეტებული სახურავი თითქოს ცის გახვრეტას ლამობს. ზოგჯერ ამას ახერხებს კიდეც და მაშინ დედამიწაზე ყინულივით ცივი წყლის ნაკადი იღვრება. განრისხებული ზეცა სასახლეს ელვის ისრებს უგზავნის, ხოლო მის ახლომდებარე ხეებს გამძვინვარებული ქარიშხალი ამტვრევს, მათ საპასუხოდ კი ბრანის სასახლიდან გამომავალი გამყინავი ხარხარი ისმის. სწორედ ეს ხარხარი და სასახლის ბნელ და ნესტიან დერეფანში მოსიარული გაურკვეველი აჩრდილია ის, რაც ამ სასახლის მრისხანე მფლობელის — გრაფი დრაკულასგან შემორჩა.**





ყველაფერი იმით დაიწყო, რომ XV საუკუნეში რუმინეთის ვალახეთის ოლქის თავადს, ვლადის შეეძინა ბიჭუნა, რომელსაც დრაკულა, ანუ დრაკონის შვილი დაარქვა. მის დაბადებამდე რომის წმინდა იმპერატორმა დრაკულას მამას თურქების წინააღმდეგ ჯვაროსნულ ომებში მონაწილეობისა და გამოჩენილი მამაცობისთვის დრაკონის საპატიო ორდენი გადასცა. დროთა განმავლობაში უმცროსი ვლადი მსხვილი ფეოდალი გახდა და მამის მსგავსად მანაც სახელი მოიხვეჭა, თუმცა მისი დიდება მამისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა — მან განსაკუთრებული სისასტიკით გაითქვა სახელი. მის საყვარელ გასართობს ცხიმწასმულ სარზე ადამიანების ჩამოცმა წარმოადგენდა. ამბობენ, რომ ამ ხერხით ვლადმა ასი ათასი მოწინააღმდეგე გაანადგურა. ალბათ, შემთხვევითი არ არის, რომ სასახლემდე მიმავალ ბილიკს წაწვეტებული სარების გზას უწოდებენ. ადამიანების ასეთი პათოლოგიური წამების სიყვარულის გამო, ხალხმა ვლადი მხვრეტავად მონათლა.

**„რუმინეთი ვამპირთა სამშობლოა“ — ეს საეჭვო განცხადება ქვეყანაში ტურისტების მიზიდვის მიზნით კეთდება. ახლა ბრანის სასახლეში მუსიკალური შოუები იმართება, რომელთაც აუცილებლად ახლავს სინათლის ეფექტებიც. მუსიკისა და სინათლის სინთეზის დროს, კუთხეებიდან მოჩვენებები ჩნდებიან, ვამპირები კი კუბოებიდან დგებიან... სასახლის 56 ოთახიდან ერთ-ერთში დგას უშველებელი საწოლი, რომელზეც გრაფი დრაკულა გოგონებს აცდუნებდა, შემდეგ კი მათ სისხლს სწოვდა. ცუდ ამინდში სასახლის საკვამურიდან შემზარავი ხმა ისმის, რაც ტურისტების ინტერესს კიდევ უფრო აძლიერებს.**

სასახლის შესასვლელში მრავალი ჯიხურია, სადაც დრაკულას გამოსახულების მქონე მაისურებითა და პლაკატებით ვაჭრობენ. აქვე ტურისტს ისეთი თილისმის შეძენაც შეუძლია, რომელიც მას ვამპირისაგან დაიცავს, ხოლო ახლომდებარე რესტორანში ცეპიშის „საყვარელი კერძის“ გასინჯვაც შეიძლება. კერძის მომზადებამდე სტუმარს გრაფთან დაკავშირებულ შიშის ისტორიებს უამბობენ. აუცილებლად ეტყვიან იმის შესახებაც, რომ კერძს, რომელიც ახლა მისთვის მზადდება, გრაფის სიცოცხლეში განსაკუთრებით „საპატიო“ მძევლისგან ამზადებდნენ. აქვე შეიძლება სისხლიანი ვამპირისა და დრაკულას სპირტიანი სასმელების გასინჯვაც. შუაღამისას დარბაზში სამგლოვიარო მუსიკა ისმის და ცენტრში დადგმული კუბოდან ვამპირი წამოიმართება. იგი დამსწრე საზოგადოებას მადლობას უხდის და იქაურობას მშვიდობიანად ტოვებს. ვამპირთან სადილობის მსურველებმა მაგიდა აუცილებლად წინასწარ უნდა შეუკვეთონ.

# Marina Bay Sand



**ცოტა ხნის წინათ სინგაპურში კურორტ-სასტუმრო კომპლექსის — Marina Bay Sand–ის გახსნის ცერემონია გაიმართა. სამი 55-სართულიანი ცათამბჯენი გემის ფორმას ქმნის. მის ზედა გემბანზე, 200 მეტრის სიმაღლეზე, განთავსებულია მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დიდი — 150-მეტრიანი საცურაო აუზი. იქვეა ბარები, რესტორნები და თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი. კომპლექსის შიგნით არის ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო 2 560 ნომრით, საგამოფენო დარბაზები, რესტორანი, ბუტიკები, სპა-ცენტრი, სპორტული დარბაზი, კაზინო და კიდევ უამრავი რამ, რაც კი შეიძლება გართობისა და დასვენების მსურველს აზრად მოუვიდეს.**











# აჯანყება კავკასიაში და არა — «არაბული გაზაფხული» საქართველოში

**ხუთშაბათს, შუადღისას ნინო ბურჯანაძის ხმის ამოცნობა რთული იყო. ქართული ოპოზიციის ეს ლიდერი ჩვეულებრივ ისე ლაპარაკობს ხოლმე, თითქოს ყელში მეგაფონი აქვს ჩამონტაჟებული. წინა ღამით ის იმ ქუჩის საპროტესტო აქციებს ხელმძღვანელობდა, რომლებიც წარსულში მისი მოკავშირის, დღეს კი სასტიკი მტრის, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის დამხობისკენ იყო მიმართული, მაგრამ სპეცდანიშნულების რაზმმა ამას ცრემლსადენი გაზითა და რეზინის ტყვიებით უპასუხა, ათობით ადამიანს სცემა და ასობით მომიტინგე დააპატიმრა. საეჭვო რევოლუცია ჩაიშალა. მეორე დღეს ბურჯანაძე საკუთარ ოფისს აფარებდა თავს, სატელეფონო ზარებს პასუხობდა და პოლიციის მისვლას ელოდებოდა.
„აქ, ფაქტობრივად, აღარავინ არის, — თქვა მან დატანჯული ხმით, — ყველა დაპატიმრებულია“.**


თბილისი. 2011 წლის 26 მაისი

**მთავრობის განცხადებებისა და მისი მისამართით არსებული ბრალდებების გათვალისწინებით, რომლებიც ამ ქვეყნის პრეზიდენტის დამხობის მიზნით რუსეთთან ერთობლივი შეთქმულების ბრალდებასაც მოიცავს, წარმოუდგენელია ის, რომ ბურჯანაძე ჯერ კიდევ თავისუფალია.**

ოთხშაბათს საღამოს, როდესაც ათასზე მეტი მომიტინგე პოლიციას გაურბოდა, ორ ადამიანს, მათ შორის პოლიციელს, სწრაფად მიმავალი ავტომანქანა დაეჯახა. ეს ადამიანები დაიღუპნენ. მოგვიანებით პოლიციამ განაცხადა, რომ ავტომანქანა ბურჯანაძის ესკორტს ეკუთვნოდა. ის ამას უარყოფს.

მეორე დღეს რუსთაველზე, იმავე გამზირზე გამართულ აღლუმზე, სადაც წინა ღამით აჯანყება იყო, პრეზიდენტმა საპროტესტო აქციებს უცხოეთიდან ორგანიზებული უწოდა – მინიშნება რუსეთის მონაწილეობაზე. **„მე ვიცი, მათ ეს რატომ გააკეთეს,** — განაცხადა სააკაშვილმა აღლუმზე შეკრებილი ადამიანების წინაშე, — **ეს ქართული არმიისთვის სამაგიეროს გადახდის მიზნით გაკეთდა, არმიის, რომელმაც 2008 წელს წინააღმდეგობის დემონსტრირება მოახდინა“,** როდესაც საქართველომ რუსეთთან ერთკვირიანი ომის შემდეგ საკუთარი ტერიტორიის დაახლოებით მეხუთედი დაკარგა.

**ბურჯანაძის მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა, როდესაც ხუთშაბათს პოლიციამ მისი რუსეთთან კავშირის დასადასტურებლად სავარაუდო სატელეფონო საუბრის აუდიოჩანაწერი გამოაქვეყნა.** ფირზე, სადაც ჩანაწერის თარიღი მითითებული არ არის, ბურჯანაძე და მისი ვაჟი, სავარაუდოდ, რევოლუციის გეგმებს განიხილავენ, თანხმდებიან რა იმაზე, რომ საქართველოში „ეგვიპტური სცენარი“ ნამდვილად ღირს ასიდან — ხუთასამდე ადამიანის დაღუპვად. **„ნებისმიერი ქვეყნის მიწა, რომელმაც რაღაცას მიაღწია, სისხლითაა მორწყული,“** — ეს, სავარაუდოდ, ამ აუდიოჩანაწერში მისმა შვილმა ანზორ ბიწაძემ განაცხადა. ამავე დროს ბურჯანაძე არ უარყოფს იმას, რომ ჩანაწერში მართლაც მისი შვილის ხმა ისმის. **„საზოგადოება გახლეჩილია. ის გახლეჩილია ასევე რუსეთთან დამოკიდებულების მხრივ,** — ამბობს ბურჯანაძე აუდიოჩანაწერში, — **მოსახლეობის 50% (რუსეთში) მტერს საერთოდ ვერ ხედავს, ... ყველა რუსეთთან მჭიდრო ურთიერთობების მომხრეა“.**

როგორც ჩანს, გადამეტებული შეფასებაა. სააკაშვილმა, რომელიც ხელისუფლებაში 2003 წლის „ვარდების რევოლუციით“ ცნობილი სახალხო აჯანყების გზით მოვიდა, რუსეთი განარისხა, მტკიცედ დაადგა რა ევროპასთან და შეერთებულ შტატებთან მოკავშირეობის გზას. რუსეთთან კატასტროფულმა ომმა მის პოზიტიურ რეიტინგს ავნო, თუმცა ამავე დროს განამტკიცა მისი მანიფესტური შეხედულება მსოფლიოზე, რომელიც ამბობს, რომ დასავლეთთან ინტეგრაცია — ეს არის ერთადერთი გზა საქართველოსთვის, რომ ამ უკანასკნელმა რუსეთის შეურაცხყოფებს გაუძლოს. ამიტომ ის დღესაც ძლიერი საზოგადოებრივი მხარდაჭერით სარგებლობს, რომელიც, გამოკითხვების თანახმად, 30%-დან 40%-ის დიაპაზონში მერყეობს, მაშინ, როდესაც ბურჯანაძე იმისთვის იბრძვის, რომ მისმა პოზიტიურმა რეიტინგმა 1%-ს მაინც გადააჭარბოს. მისი არაპოპულარობა დიდწილად სწორედ მოსკოვთან მისი სავარაუდო კავშირებით აიხსნება.

აჯანყების მცდელობის მარცხი, ბურჯანაძის სავარაუდო შეთქმულებაზე, პოლიციის აუდიოჩანაწერთან ერთად, როგორც ჩანს, სააკაშვილს მხოლოდ დაეხმარება. ჩანაწერის ყველაზე მიუღებელი ფრაგმენტი ბოლოსკენაა, როდესაც მისი შვილი არმიის მხრიდან დემონსტრანტების წინააღმდეგ ძალის გამოყენების შესაძლებლობას განიხილავს. **„ჩვენ პირველ დარტყმას გავუძლებთ,** — ამბობს ის, სავარაუდოდ, ჩანაწერში, — **შემდეგ კი მათ საქმე „გრუს“ სპეცნაზთან ექნებათ“** („გრუ“ რუსეთის სამხედრო დაზვერვაა).

როდესაც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ვებგვერდზე ამ ჩანაწერის გამოქვეყნებიდან (მოგვიანებით ის საქართველოს ყველა მთავარ ქსელში გავრცელდა) რამდენიმე საათში მას Time დაუკავშირდა. ბურჯანაძე შეეცადა იმის ახსნას, თუ რა ცუდად გამოიყურებოდა ეს ყველაფერი. **„მე პირდაპირ გეტყვით,** — აღნიშნა მან, — **მე რომ მართლაც მემუშავა რუსეთთან, სააკაშვილი დღეს ხელისუფლებაში აღარ იქნებოდა“.** მისი თქმით, როდესაც მისმა შვილმა „გრუ“ ახსენა, ის მხოლოდ ჰიპოთეტურად საუბრობდა. **„[სააკაშვილის] სპეცდანიშნულების რაზმები ვერ მოიგერიებდნენ რუსული სპეცდანიშნულების ძალებს. ჩვენ ყველას კარგად გვახსოვს, თუ რა სწრაფად დასრულდა რუსეთ-საქართველოს ომი“.**

**მოსკოვს არასდროს დაუმალავს, რომ სააკაშვილის მთავრობის მოშორება სურს. 2008 წელს, ერთ-ერთი ფრანგი ჩინოვნიკის თქმით, რუსეთის პრემიერ-მინისტრმა საფრანგეთის პრეზიდენტს მისი ცნობილი ფრაზა უთხრა, რომ მას სააკაშვილის „კვერცხებით“ ჩამოკიდება სურს, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ კრემლი ამ საქმისთვის ბურჯანაძეს გამოიყენებდა, – ამბობს პარლამენტის წევრი და პუტინის პოლიტიკური პარტიის „ერთიანი რუსეთის“ პოლიტტექნოლოგი სერგეი მარკოვი. „ეს ბურჯანაძის ავანტიურა იყო, — განუცხადა მარკოვმა TIME-ს, – ყველა ეუბნებოდა მას, რომ ამისთვის არაფერი მზად არ იყო, მაგრამ მან მაინც გადაწყვიტა გაგრძელება“.**

მარკოვი წლების განმავლობაში ლობირებდა იმ იდეას, რომ რუსეთის მთავრობას უნდა დაეწყო იმის გამოყენება, რასაც იგი რეჟიმების შეცვლის ამერიკულ მოდელს უწოდებს — ადგილობრივი ოპოზიციური მოძრაობების მხარდაჭერა, რომელთაც საკუთარი მთავრობის დამხობა უნდათ. **„ჩვენ არ უნდა ვიყოთ „ფერადი რევოლუციების“ წინააღმდეგები. ფერადი რევოლუციები 21-ე საუკუნეში პოლიტიკური ძალაუფლების ხელში ჩაგდების შესაძლებლობაა,** — აცხადებს მარკოვი, **— და ჩვენ მხარი უნდა დავუჭიროთ ყველა პრორუსულ ძალას, რომლებსაც პოსტსაბჭოთა სივრცეში ხელისუფლებაში მოსვლა სურთ... პრობლემა ის არის, რომ ჩვენ დღემდე არ გვაქვს ინსტიტუტები, რომლებიც ამაზე იმუშავებს“.**

შეუძლებელია იმის თქმა, ბურჯანაძის მხრიდან აჯანყების წარუმატებელი მცდელობა მართლაც იყო კრემლის ამ ენერგიული სტრატეგიის ფარგლებში გადადგმული ნაბიჯი, თუ მისი პარტია დამოუკიდებლად, ეგვიპტის სცენარით შთაგონებული მოქმედებდა, სცენარით, რომელმაც წელს ქაიროში რეჟიმი დაამხო. **ყველა შემთხვევაში ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ყველაზე უიღბლო ოპოზიციური მოძრაობებიც კი მსოფლიოში** (და მთავრობები, რომლებიც მათ მხარს უჭერენ) **21-ე საუკუნის რევოლუციურ ტაქტიკას მიმართავენ.**

**საიმონ შუსტერი**

TIME

28 მაისი, 2011 წ.

## წმიდა ანდრია პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსის სამრეკლო

| | |
|---|---|
| ს.ს „გაერთიანებული ტელეკომი“ | 602602 |
| შპს „ახტელი“ | 700818 |
| შპს „მაგთიკომი“ | 200320 |
| შპს „ჯეოსელი“ | 700305 |
| შპს „ბილაინი“ | 200333 |

ფოთისა და ხობის ეპარქიის განვითარების ფონდის საბანკო რეკვიზიტია:
ს.ს „თი ბი სი ბანკის“ ფოთის ფილიალი
ბანკის კოდი 220101937;
ა/ა 63636080100001; ს/კ 215141246

თანხის ჩარიცხვა შეგიძლიათ სწრაფი გადახდის აპარატებით
იხ. მენიუში: სხვადასხვა — ქველმოქმედება — წმ. ანდრია პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსი.

ინფორმაციისთვის მიმართეთ ფონდის დირექტორს, დეკანოზ თევდორე ბასილაიას:
ქ. ფოთი,
ნ. ნიკოლაძის მოედანი №3,
ტელ.: 8(293) 70736,
მობ.: (899)936563,
e-mail: eparqia-f@mail.ru



საინფორმაციო ანალიტიკური სააგენტო
საქინფორმი
www.saqinform.ge

pirweli.com.ge
პირველი
საინფორმაციო სააგენტო

საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
http://www.geworld.net

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
მთავარი რედაქტორის მოადგილეები:
არმაზ სანებლიძე, ბონდო მძინარაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ლევან ზანგურაშვილი
ვებრედაქტორი გოჩა ხავთასი
რეალიზაციის მენეჯერი დავით ბუაძე, ოფისმენეჯერი თათია ვაშაკიძე,
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 34-32-95; e-mail:info@geworld.net